



# შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში



Implemented by  
**giz** Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



შრომის  
ინსპექციის  
სამსახური

შრომის  
უსაფრთხოება  
სამშენებლო  
სექტორში

თბილისი  
2021

სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელობით და „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET SC) პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შესაბამისი პასუხისმგებელი სამინისტროებისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით. პროგრამის თანადაფინანსება ხორციელდება ევროკავშირის მიერ.

ავტორები:

პროფესორი ირმა ღარიბაშვილი

ასოცირებული პროფესორი ირაკლი არაბიძე

სარედაქციო კოლეგია:

შორენა ყუბანიშვილი

მაია მიქაია

მიხეილ იმერლიშვილი

ხათუნა ქავთარაძე

ანა ჩინჩალაძე

რედაქტორი:

თამარ გაბელაია

დიზაინი:

გვანცა მახათაძე

ფოტო:

GIZ

Berufsgenossenschaft der Bauwirtschaft / BG BAU

© GIZ

თბილისი, 2021

# წინასწინიძყვობა

საქართველო, როგორც პროდასავლური ორიენტაციის, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანა, ისეთივე გამოწვევების წინაშე დგას, როგორცაა სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევები, განსაკუთრებით კი სამშენებლო სექტორში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები განიცადა, რამაც კიდევ უფრო შეუნყო ხელი ცალკეული ინსტიტუციებისა და უფლებრივი მდგომარეობის გამყარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვან საკითხად იკვეთება ქვეყანაში არსებული შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებით, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების განმტკიცებით ხასიათდება. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამშენებლო სექტორში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სახელმწიფოსათვის ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა კონსტიტუციით განსაზღვრული ვალდებულებაა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2006 წლიდან სახელმწიფო დერეგულირების პოლიტიკის შედეგად, თითქმის 10 წლის განმავლობაში, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა საზედამხედველო სისტემა, რომელიც შრომის კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული ნორმების აღსრულებას გააკონტროლებდა. აღნიშნული გამოწვევის და ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების პარალელურად, 2015 წლიდან შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული რეფორმების შედეგად მრავალი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, როგორც საზედამხედველო სისტემის გაძლიერების, ასევე ფუნდამენტური ნორმების განსაზღვრისა და სხვა ტექნიკური რეგულაციების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით. სამშენებლო სექტორში დაფიქსირებულმა სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა სტატისტიკამ, ასევე ამ სექტორში განხორციელებულმა ინსპექტირებებმა გამოავლინა სექტორისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა – შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა ამ მიმართულებით.

ევროინტეგრაციის პროცესის პარალელურად, საქართველოში იზრდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელიც ძირითადად მიზანმიმართულია დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზნებისა და საჭიროებების გამო შეიქმნა სახელმძღვანელო – შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, რომელშიც მოცემულია ყველა ძირითადი ასპექტი სამშენებლო უსაფრთხოებისა.

სახელმძღვანელო ძირითადად ეფუძნება BG BAU BAUSTEINE-უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მობილური აპლიკაციის ქართული ანალოგის – „Construction Safety“ – თეორიულ ნაწილს. სახელმძღვანელო დაყოფილია ორ თავად. პირველ თავში შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზაა მიმოხილული და გაანალიზებულია ზედამხედველი ორგანოების როლი, ფუნქცია და უფლებამოსილება; მეორე თავი სრულად ეთმობა სამშენებლო სფეროს შრომის უსაფრთხოებას, მათ შორის ერთიან სისტემასა და მმართველობითი რგოლის პასუხისმგებლობას. სახელმძღვანელო დაფუძნებულია ეროვნულ კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე.

# სარჩევი

<b>წინასიტყვაობა</b>	<b>3</b>
----------------------	----------

---

## I ნაწილი

<b>შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება</b>	<b>10</b>
---	-----------

---

უსაფრთხო შრომის კონსტიტუციური უფლება	10
შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი	12
უბედური შემთხვევები სამუშაო ადგილზე	21

<b>„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი</b>	<b>23</b>
---	-----------

---

შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნები და ამოცანები	26
შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების პროცედურები	27
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართალდამრღვევისათვის ჩაბარების წესი	30
ზედამხედველ ორგანოებს შორის კოორდინაცია და კოლუზრაცია	32
სამშენებლო უსაფრთხოების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები	34

## II ნაწილი

<b>შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა</b>	<b>42</b>
---	-----------

---

<b>რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე</b>	<b>47</b>
--	-----------

---

**შრომის უსაფრთხოების ნიშნები** 56

---

ამკრძალავი ნიშნები	56
მაფრთხილებელი ნიშნები	57
მავალდებულებელი ნიშნები	58
ავარიული გასასვლელების ან პირველადი სამედიცინო დახმარების ალმნიშნავი აბრები	59
ხანძარსაწინააღმდეგო ნიშნები	60

**კოდირებული სიგნალები** 63

---

ზოგადი დებულება	63
-----------------	----

**ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები** 67

---

რისკების შეფასება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევისას	69
ინფორმირება, სწავლება, კონსულტაცია და ჩართულობა	70
კოლექტიური დაცვის საშუალებები	87
სამუშაო ალჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენება	89
ერგონომიკა და შრომის ჰიგიენა	92

**ყველაზე გავრცელებული შრომის უსაფრთხოების შეუსაბამობები სამშენებლო სექტორში** 96

---

**მოსამზადებელი, ძირითადი და დამხმარე სამშენებლო სამუშაოები** 99

---

სამშენებლო მოედნის ორგანიზება	102
დამხმარე სივრცეები მშენებლობებზე	104
სამოდრო (დროებითი) გზები მშენებლობებზე	105
მინის სამუშაოები	106
ფერდობებზე სამუშაოების წარმოება	118
საძირკვლების მოწყობა	119
ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები	121
სამონტაჟო სამუშაოები	125
გადახურვის სამუშაოები	129

საიზოლაციო სამუშაოები	132
მოპირკეთების სამუშაოები	134
ელექტროსამონტაჟო სამუშაოები	135
ელექტროსამშენებლო და აირსამშენებლო სამუშაოთა უსაფრთხოება	136
<b>მინისაქვება სამუშაოები</b>	<b>139</b>
<b>შენობა-ნაგებობების დემონტაჟი</b>	<b>143</b>
შენობების დემონტაჟი	144
<b>სიმაღლეზე მუშაობა</b>	<b>147</b>
დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებები	148
სწავლება	150
სიმაღლიდან ვარდნის სანინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	151
დამცავი მოაჯირების მოწყობა და ექსპლუატაცია	155
დამცავი ხარაჩოები	159
დაკიდული ხარაჩოები	162
გადასატანი ხარაჩოები	165
უსაფრთხოების ბადეები	166
მაფრთხილებელი ბარიერები	169
გადასატანი კიბეები	171
ლიობები	172
გადასაადგილებელი და მცოცავი ყალიბები	174
<b>სამშენებლო მანქანა-დანადგარების უსაფრთხოება</b>	<b>178</b>
სატვირთო მანქანების ექსპლუატაცია	181
მინისმთხრელი მანქანები	190
ხელის პორტატიული ჯაჭვიანი ხერხი და სამშენებლო ცირკულარული ხერხები/ხელის პორტატიული ცირკულარული ხერხები	235
საკონვეიერო დანადგარი	238
<b>ფიზიკური, ბიოლოგიური და ქიმიური საფრთხეები სამშენებლო გარემოში</b>	<b>242</b>



მტვერი	244
აზბესტი და აზბესტცემენტის მასალები	248
მინაბოტკოვანი საიზოლაციო მასალები	260
ხმაური	262
ვიბრაცია	269
რადიაციის, სიცხისა და სიცივისგან გამონვეული საფრთხე	273
მუშაობა ცხელი და ცივი კლიმატის პირობებში	277
ხელოვნური განათება მშენებლობაზე	279
საჰაერო ელექტროგაყვანილობების სიახლოვეს მუშაობა	282
ქიმიური საფრთხეები	288
ბიოლოგიური საფრთხე	293
პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა	297
აირით მოხუთვა	299
ელექტრული დენით დამწვრობა	303
ხანძრით დამწვრობის დროს პირველადი გადაუდებელი დახმარება	305
ღრძობა	308
პირველი დახმარება მოტეხილობის დროს	308

**დანართი №2 სამშენებლო მოედანზე  
გამოსაყენებელი უსაფრთხოების ნიშნები** 311

---

**გამოყენებული ლიტერატურა** 316

---



# შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება



## უსაფრთხო შრომის კონსტიტუციური უფლება

შრომის უფლება სოციალური უფლებების შემადგენელი ნაწილია, რომელიც სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა აღიარებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რომლისგანაც გამომდინარეობს შემდეგი კონსტიტუციური გარანტია: „შრომის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმტკიცება ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს არსს, რომლის უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსეული ყოფის უზრუნველყოფა.

ყველა დასაქმებულის უფლებაა, ჰქონდეს უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობები. სწორედ ამ ძირითადი უფლების ორგანული კანონით მოწესრიგებას ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი. ეს უფლება შრომის სამართლიანი პირობების აუცილებელი ატრიბუტია. ამის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის კოდექსი შესაბამის თავში (IX. „შრომის პირობების დაცვა“) განსაზღვრავს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლებას (მუხ. 45). კანონი ავალდებულებს დამსაქმებელს, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი და დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი პრევენციული სისტემა. დამსაქმებელმა გონივრულ ვადაში უნდა მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მოქმედი ყველა ფაქტორის შესახებ. თავის მხრივ, დასაქმებულს უფლება აქვს, შრომის სათანადო პირობების დაუცველობის შემთხვევაში უარი განაცხადოს შესაბამისი სამუშაოს შესრულებაზე. დამსაქმებელი ასევე ვალდებულია, დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი პრევენციული სისტემა. მან სრულად უნდა აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის გაუარესების გამო მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა დამატებით მოთხოვნებს განსაზღვრავს მძიმე, მავნე და საშიშპირო-

ბებიან სამუშაოებთან მიმართებით, როგორებიცაა სავალდებულო დაზღვევა და ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაცია. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში შრომის უსაფრთხოების ნორმების დადგენა და ზედამხედველობა აღნიშნულზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებაა, ხოლო სამუშაო ადგილზე ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. შრომის დაცვის წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და სიცოცხლის მოსპობა, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შრომის კოდექსით გარანტირებული უსაფრთხო შრომის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ეკონომიკურ სექტორში, როგორც სამშენებლო სფეროა. ბოლო წლებში არსებული მძიმე სტატისტიკური მონაცემები სამუშაო ადგილებზე დალუპულთა და დაშავებულთა შესახებ, როგორც წესი, მთელი სიმძიმით სწორედ სამშენებლო სფეროს აწევს და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შრომის უსაფრთხოების სისტემური დარღვევები.

თავად ის ფაქტი, რომ უსაფრთხო შრომა, როგორც კონსტიტუციით აღიარებული უფლება, საჭიროებს საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგებას, მიუთითებს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლსა და ვალდებულებებზე, მოახდინოს სფეროს კონტროლი და ეფექტური მართვა.

შრომის ინსპექცია, როგორც უსაფრთხო შრომის უზრუნველყოფის მთავარი სახელმწიფო გარანტი, მისი საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების არსიდან და მასზე დაკისრებული ამოცანების ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომითი უფლებების დაცვისა თუ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კანონმდებლობასთან შესაბამისობის აღსრულების პროცესში. ამდენად, ფუნქციური დატვირთვა განაპირობებს მის ადგილს ზოგადად სახელმწიფო მოწყობისა და შრომის ადმინისტრირების სისტემაში. აღნიშნული ასევე განსაზღვრავს იმ მინიმალურად აუცილებელ გარანტიებს, რომლებიც, საბოლოოდ, შრომის ინსპექციის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მუშაობის შესაძლებლობას ქმნის. ეს უკანასკნელი კი დიდწილად არის დამოკიდებული ინსპექციის კონტროლისა და ზედამხედველობის, აგრეთვე, მისი დაფინანსებისა თუ მაკონტროლებელი ორგანოს მიმართ ანგარიშვალდებულების ფორმებზე. ინსტიტუციურ მოდელში არანაკლები ფუნქცია აკისრია ინსპექციის

თანამშრომლობას სხვა ორგანოებთან, განსაკუთრებით კი სოციალურ პარტნიორებსა და სხვა საზედამხებდველო ორგანოებთან.



## შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოში შრომის უსაფრთხოების ძირითადი საკითხები რეგულირდება ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა კანონის მიზნები, რამაც ის ძირითადი მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპები განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებას, კონსულტაციის განევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

შრომის უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეა ორგანული კანონის გავრცელება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანულ კანონ „საქართველოს შრომის კოდექსითა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მონესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე. ამ კანონის აღსრულების მიზნებისათვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტული მხარდაჭერითა და სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 6 თებერვლის №80 დადგენილებით განსაზღვრა „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, სადაც აღინიშნა, რომ სამშენებლო სფერო მოიცავს განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებს და მისი შემოწმება წელიწადში ხორციელდება სამჯერ. სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა, ცხადია, დაფუძნებულია ბოლოდროინდელი საგანგაშო სტატისტიკურ მონაცემებსა და ზედამხედველობის შედეგად გამოვ-

ლენილი სისტემური ხასიათის დარღვევებზე, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა მკვეთრ შემცირებას, რომელსაც შექმნის განსაზღვრული ნორმების ეფექტურად აღსრულების პირობებში.

შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი განსაზღვრავს სამუშაოთა განმახორციელებელ პირთა მოვალეობებს და უწესებს მოთხოვნას: ყოველი პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს (იგულისხმება სამშენებლო სექტორიც), ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია და ამ საქმიანობის დაწყების, განხორციელების ან შეწყვეტის ან/და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების შეტანის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. ამ წესის დარღვევა კი ექვემდებარება ადმინისტრაციული წესით სახდელის დადებას და ითვალისწინებს 1000-ლარიან ჯარიმას.

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები მთავარი ინსტრუმენტია შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონისა, სადაც განსაკუთრებულ როლს მხარეთა ბალანსი და პასუხისმგებლობების განაწილება ასრულებს.

### **კანონი დამსაქმებელს უწესებს ვალდებულებას:**

„1. სანარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში:

- ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;
- ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
- გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

ე) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება;

ვ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით:

ვ.ა) შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება;

ვ.ბ) უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:

ზ.ა) ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის: ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონებელი გამოსხივება, მაიონებელი გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიზიკური მოქმედების აერობოლები (მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტრომაგნიტი);

ზ.ბ) ქიმიური ფაქტორები (მათ შორის: ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);

ზ.გ) ბიოლოგიური ფაქტორები (მათ შორის: ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები – პროდუცენტები).

2. უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათთვის გასაკებ ენაზე მიწოდოს ინფორმაცია:

ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ) საგანგებო სიტუაციების, სავაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ;

დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

3. დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

ა) პროფესიულ რისკებსა და მავნე სანარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;

ბ) რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს;

გ) საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;

დ) აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოო შესვლასთან, იქ ყოფნასა და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ე) გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს.“ (მუხლ. 5; 1-5 პუნქტ.)

გასათვალისწინებელი ფაქტია კანონის მიდგომა 18 წლამდე პირთა და ორსულთა დასაქმების კუთხით, სადაც იმპერატიული მოთხოვნაა, რომ: დამსაქმებელმა არ უნდა დაასაქმოს 18 წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ სამუშაოზე, რომელმაც, მისი შესრულების ხასიათის ან გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ პირის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. ასევე დამსაქმებელმა არ უნდა დაასაქმოს ორსული და მეძუძური ქალები ისეთ სამუშაოზე, რომელიც დედის ან ბავშვის ჯანმრთელობისათვის საზიანო ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველია.

როგორც წესი, ერთ სამუშაო სივრცეში რამდენიმე დამსაქმებლის მიერ სამუშაოების შესრულება დამატებით ბარიერებს ქმნის სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებასთან დაკავშირებით, რადგან მოშლილია კოორდინაცია და იქმნება დასაქმებულთა დაზიანების არსებითი საფრთხე, ამ პრობლემის პრევენციისათვის ორგანული კანონი განმარტავს, რომ თუ რამდენიმე სანარმოო დასაქმებულები ერთად მუშაობენ, ამ პროცესში მონაწილე ყოველი დამსაქმებელი ვალდებულია: ითანამშრომლოს სხვა დამსაქმებელთან შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოს დამსაქმებელთა საქმიანობის კოორდინაცია დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და პრო-



ფესიული რისკების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით. სხვა დამსაქმებელთან გაცვალს ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შესახებ. დასაქმებულებს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს მიანოდოს ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შესახებ.

მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე, მათ შორის, მშენებლობაზე დასაქმებულ პირთა მიმართ სახელმწიფომ გამოიყენა დაზღვევის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და სწორად მართვა შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის საკვანძო ელემენტია, ამასთან, დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, სანარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სანარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;
- საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და სანარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს;

- კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი;
- უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით: სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და სანარმოო მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით;
- სანარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად;
- უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;
- უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.

შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა არსებითი შემადგენელი ნაწილია შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონისა, სადაც აღინიშნა, რომ შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისათვის დამსაქმებელი ვალდებულია, ჰყავდეს 1 ან მეტი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან ამ მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური. დასაქმებულებთან შეთანხმებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასაქმებულთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი. აგრეთვე, დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია, პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია, ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან

მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ცნება სიახლეა ქართულ კანონმდებლობასა და შრომის ბაზარზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სახელმწიფოს არ ჰქონია მცდელობა, შეექმნა ინსტიტუცია, რომელიც კერძო სექტორში შეძლებდა დამატებითი მუხტის შეტანას და შრომის უსაფრთხოების, როგორც პროფესიის, კიდევ უფრო გაძლიერებას. ამ მხრივ შრომის უსაფრთხოების ორგანიზმმა კანონმა სრულად უპასუხა დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკასა და წარმატებული გამოცდილება ჰეროვნად გაიზიარა. დამატებითი გარანტიების მისანიჭებლად კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სამსახური აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ინსტრუმენტებით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სამსახურის მიერ თავისი მოვალეობების შესასრულებლად შესაფერისი დრო იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ რამდენადაც შესაძლებელია, არ შეფერხდეს საწარმოო პროცესი. აღნიშნული დრო ჩათვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, არ უნდა აღმოჩნდეს სხვა დასაქმებულებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში შრომის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

ნებისმიერ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოუდგენლად მოჩანს უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესში ჩართული პირების გარეშე. ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ხასიათდება ტენდენციურობითა და არათანაზომიერებით. გარდა ამისა, როგორც წესი, სამუშაო ადგილზე დასაქმებულებმა უფრო კარგად იციან თავიანთი საჭიროებებისა და იმ პრობლემების შესახებ, რაც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას. სწორედ ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და შემდგომი პრევენციისათვის დამსაქმებელმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულების ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლის მონაწილეობა, რაც გულისხმობს: დასაქმებულებთან კონსულტაციებს, დასაქმებულის, ან დასაქმებულთა წარმომადგენლის უფლებას, მოახდინოს შრომის უსაფრთხოების შესახებ წინადადების ინიცირება.

საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია შრომითი ურთიერთობების მხარეთა დაბალანსებული მონაწილეობა, რაც, თავის მხრივ, მხარეთათვის გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების დაკისრებას გულისხმობს. მას

შემდეგ, რაც განვიხილეთ დამსაქმებლის ძირითადი პასუხისმგებლობები, საჭიროა, გავეცნოთ დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს: დამსაქმებელთან განიხილოს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების ყველა საკითხი და მოითხოვოს ასეთ განხილვაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ამ დარგის ექსპერტის მოწვევა; მიიღოს ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების, რისკის შეფასების შედეგების, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომების, სამედიცინო გამოკვლევების შედეგების და ზედამხედველი ორგანოს რეკომენდაციებისა და მითითებების შესახებ; უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის დასაქმებულის, ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას, ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას; საფრთხის არსებობისას დატოვოს სამუშაო ადგილი ან სახიფათო ზონა; სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დამსაქმებელს მოსთხოვოს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა, ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ასევე მოსთხოვოს დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ღამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის, თუ კი დამსაქმებელს აქვს შესაბამისი ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს; ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანისათვის, მათ შორის, პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანისათვის და მიმართოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ზედამხედველ ორგანოს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, თუ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების ნორმები სათანადოდ დაცული არ არის.

თავის მხრივ, კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხებში დასაქმებულს აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს, კერძოდ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით დასაქმებული ვალდებულია, სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით, დასაქმებული ასევე ვალდებულია, დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს; როგორც აღვნიშნეთ, შრომის უსაფრთხოებაში თანამშრომლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, შესაბამისად, დასაქმებული ვალდებულია, ითანამშრომლოს დამსაქმებელ-

სა და დასაქმებულთა წარმომადგენელთან შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, დასაქმებულმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. დასაქმებული ვალდებულია, შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, გამოიყენოს მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დამსაქმებლის ინსტრუქციებისა და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, ასევე მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი მოწმობა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება დამსაქმებელმა დაავალა; დასაქმებულმა თვითნებურად არ უნდა გამორთოს, არ უნდა შეცვალოს და არ უნდა მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და ეს მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს; ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე; დაუყოვნებლივ წარუდგინოს დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოინვიოს უბედური შემთხვევა, ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში; დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს; გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც ამ გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, სანარმოს ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები; დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს. ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისათვის ნებისმიერი დავალების

ან ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნების შესასრულებლად; ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან მანამ, სანამ დამსაქმებელი არ დარწმუნდება, რომ სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები საშიშროებას არ უქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას; თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და დამსაქმებლის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად, იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანი მიადგათ.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო სივრცეში სხვა პირის ყოფნისას მას, პრაქტიკულად, იგივე უფლებები და მოვალეობები აქვს, რაც დასაქმებულს.



## უბედური შემთხვევები სამუშაო ადგილებზე

ხშირ შემთხვევაში სანარმოო პროცესი დაკავშირებულია მრავალ საფრთხესა და რისკთან. სამუშაო ადგილებზე ხდება დასაქმებულების სხვადასხვა ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება. „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანება განსაზღვრავს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების კლასიფიცირებას, აღრიცხვის წესს, მოკვლევის ფორმას და ანგარიშგებას. სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგებისა და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

- ა) მსუბუქი უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;
- ბ) საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;
- გ) მძიმე უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

**დ) ფატალური უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

**ე) მასობრივი უბედური შემთხვევა** – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

უბედური შემთხვევის დადგომისას, თუ ის არ არის მსუბუქი კატეგორიის, დამსაქმებელს წარმოეშობა ვალდებულება, მოახდინოს შემთხვევის რეგისტრაცია და შრომის ინსპექციის სამსახურისათვის შეტყობინება დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას ადმინისტრაციული წესით.

# „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებზე სრულად დამსაქმებლის პასუხისმგებლობაა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე დამსაქმებელი სათანადო ყურადღებას არ უთმობს და უფრო მეტიც, ხშირად მეორეხარისხოვან თემად აქცევს უსაფრთხოების მართვას, რასაც შრომის უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევები და ფატალური შედეგები მოჰყვება.

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტმა 2020 წლის 29 სექტემბერს მიიღო. კანონის მიღებით კიდევ უფრო გამკაცრდა სამუშაო ადგილებზე ზედამხედველობის მექანიზმი და გაფართოვდა შემოწმების არეალი. კანონი განსაზღვრავს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებების განხორციელებასა და შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ბრდის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ხარისხს, იგი ასევე ქმნის საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინსტიტუტის მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აღნიშნულმა კანონმა საფუძველი დაუდო შრომის ინსპექციის სამსახურის, როგორც ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. კანონის შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრამდე სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომლებითაც მანამდე ახორციელებდა სახელმწიფო ზედამხედველობას შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, გადაეცა შრომის ინსპექციის სამსახურს.



შრომის ინსპექციის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით წარმოდგენის შემდგომ მისი, როგორც შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველი უწყების, ფუნქციები და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ასევე, მანვე მისცა შესაძლებლობა, სამსახურს ჰქონოდა რეგიონული წარმომადგენლობა, რაც მანამდე არ არსებობდა და იგი მნიშვნელოვნად ართულებდა ზედამხედველობის განხორციელებას.

აუცილებელია განიმარტოს, რომ შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანულ კანონ „საქართველოს შრომის კოდექსით“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამასთან, შრომის ინსპექციის სამსახური ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონიერების, პროფესიონალიზმისა და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებით.

კანონის შესაბამისად, შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- ა) მოთხოვნის შემთხვევაში, შრომითი ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა ან/და ინფორმაციის მიწოდება;
- ბ) შრომითი ნორმების დაცვის ხელშეწყობი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით;
- გ) შრომითი ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება და განხილვა;
- დ) ინსპექტირება;
- ე) საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება.

ინსპექტირების დაწყების საფუძვლებია: დაინტერესებული პირის საჩივარი, ინსპექციის საკუთარი ინიციატივა, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების დარ-

ღვევის თაობაზე ნებისმიერი იდენტიფიცირებადი პირის შეტყობინება. ამასთან, ინსპექტირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი შრომის ინსპექტორი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ინსპექტირების განხორციელების წესი, სადაც მითითებულია, რომ შრომის ინსპექტორი ვალდებულია, სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში დაშვების მიზნით მაიდენტიფიცირებელი ბარათი, რომელიც მას ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად გადაეცა, წარუდგინოს: დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს, სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მფლობელს, მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს. აგრეთვე, ინსპექტირების განხორციელების მიზნით შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია: „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, თავისუფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ინსპექტირებისადმი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში; სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ნებისმიერ შენობაში/სივრცეში, თუ აქვს საფუძველი გონივრული ეჭვისთვის, რომ არსებობს იძულებითი შრომის ან შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევა; მოითხოვოს საჭირო ვადით სამუშაო ადგილის, სამუშაო სივრცის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ხელშეუხებლობა, რაც გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში ინსპექტირების განსახორციელებლად; მოიძიოს, გამოითხოვოს და გამოიკვლიოს ნებისმიერი მასალა, ნივთი ან/და ნივთიერება, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან, ან/და ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელსაც შრომის ინსპექტორი ინსპექტირების განსახორციელებლად გონივრულობის ფარგლებში აუცილებლად მიიჩნევს; ინსპექტირების მიზნებისთვის დალუქოს ან/და ამოიღოს ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა, ნივთი, ნივთიერება ან დოკუმენტი, ან გადაიღოს ასლი. აიღოს ნებისმიერი მასალის, ნივთის, ნივთიერების ან ატმოსფერული ჰაერის ნიმუში; განახორციელოს ამოწვა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება, აწარმოოს ჩანაწერები, გააკეთოს ამონაწერი; გამოჰკითხოთ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში მყოფი ნებისმიერი პირი. შრომის ინსპექტორი უფლებამოსილი არ არის, აღნიშნულ პირს მოსთხოვოს ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ამ პირის მხილება; კონფიდენციალურობის დაცვის პი-

რობით შრომის ინსპექციის სამსახურში მიიწვიოს დამსაქმებელი, დასაქმებული ან ნებისმიერი სხვა პირი და გაესაუბროს მას; შეამოწმოს ან დაათვალიეროს დამსაქმებლის სამუშაო ადგილი ან სამუშაო სივრცე, მასალა, მანქანა-დანადგარი ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა ან/და ხელსაწყო; ინსპექტირებისადმი დაქვემდებარებულ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში მყოფ ნებისმიერ პირს მოსთხოვოს ამ პირის განკარგულებაში არსებული მასალის, ნივთის, ნივთიერების ან დოკუმენტის გადაცემა ან/და ნებისმიერ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის განმარტება, რასაც შრომის ინსპექტორი ინსპექტირების განსახორციელებლად გონივრულობის ფარგლებში აუცილებლად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს შესაბამისი თარჯიმნის ან ტექნიკური ექსპერტის დახმარება; საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა და გასცეს შესაბამისი მითითებები.



## შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნები და ამოცანები

შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, რომლის მისაღწევად, მათ შორის, იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

- მოთხოვნის შემთხვევაში, შრომითი ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა ან/და ინფორმაციის მიწოდება;
- შრომითი ნორმების დაცვის ხელშეწყობი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით;
- შრომითი ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება და განხილვა;
- ინსპექტირება;
- საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობებით.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება შრომით საქმიანობაზე საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



## შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების პროცედურები

შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის დადების წესი რეგულირებულია შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონით, შრომის ინსპექციის შესახებ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსების შესაბამისად. უნდა აღვნიშნოთ, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზანია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის პრევენცია და აქცენტი სამართალდამრღვევის არა დაჯარიმებაზე, არამედ გონივრულ ვადაში დარღვევის გამოსწორებაზეა გადატანილი. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განიხილება **გაფრთხილება, ჯარიმა და სამუშაო პროცესის შეჩერება**. ჯარიმის ოდენობა გამოითვლება მეწარმე სუბიექტის სტატუსისა და ბრუნვის მიხედვით, რომელიც მერყობს 100 ლარიდან 50 000 ლარამდე, ერთ ჯერზე.

შრომის ინსპექციის სამსახური ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ. აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილი გონივრული ვადა განისაზღვრება ზე-

დამხედველი ორგანოს მიერ დამსაქმებელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტსა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან კონსულტაციის საფუძველზე და აღინიშნება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე. ზედამხედველი ორგანო გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამონმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აღინიშნება, შესრულდა თუ არა სამსახურის მიერ გაცემული მითითებები. დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორებლობის შემთხვევაში, ზედამხედველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის სახით ფულადი ჯარიმის გამოყენების შესახებ და, ამასთანავე, სამართალდამრღვევს აძლევს კვლავ გაცემული მითითების შესასრულებლად დამატებით გონივრულ ვადას. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ სუბიექტი არ გამოასწორებს მითითებით განსაზღვრულ პირობებს.

ამასთანავე, ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს, შეაჩეროს სამუშაო პროცესი სამუშაო სივრცის კონკრეტულ მონაკვეთზე (მონაკვეთებზე) ან შესაბამის სამუშაო ადგილზე (ადგილებზე), თუკი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოწერილ იქნა ჯარიმა და შემდგომი გაცემული მითითება გონივრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით არ იყო შესრულებული. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შემონმების აქტი შესაძლებელია შედგეს ზედამხედველი ორგანოს მითითებით დადგენილი ვადის გასვლამდე. ეს ფაქტი უნდა აღინიშნოს შემონმების აქტში.

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შესაბამისი მაგალითი: სამშენებლო კომპანია „X“ შრომის ინსპექციის მიერ შემონმდა 2020 წლის 1 იანვარს და არსებული დარღვევების პირობებში შრომის ინსპექციის მიერ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება. (გაითვალისწინეთ, რომ შემონმების სანყის ეტაპზე (პირველ ჯერზე) ყოველთვის გამოიყენება გაფრთხილება და არა ჯარიმა, თუ საქმე არ გვაქვს სამუშაო პროცესის შეჩერებასთან). გაფრთხილების გაცემის პარალელურად, შრომის ინსპექცია შეადგენს მითითების აქტს და სამშენებლო კომპანიას მისცემს კონკრეტულ დავალებებს, თუ რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი და გონივრულ ვადაში გამოსწორებას მოითხოვს. გონივრული ვადა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, თანხმდება კომპანიასთან. თუ გონივრულ ვადად მიჩნეულ იქნა 10 კალენდარული დღე, მეთერთმეტე დღის დადგომიდან ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს, გადაამონმოს კომპანიისათვის გაცემული მითითებების შესრულება. გადაამონმების შემდეგ დგება შემონმების

აქტი და იქ მიეთითება, თუ რომელი დარღვევები იქნა გამოსწორებული და რომელი უგულებელყო კომპანიამ. ამასთანავე, შრომის ინსპექცია ისევ ადგენს მითითებას, თუ დარღვევები კვლავ რჩება ობიექტზე და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მეორე სახე – ჯარიმა იქნება გამოყენებული კომპანიის მიმართ, რომელიც ანგარიშდება თითოეული დარღვევის მიხედვით ცალ-ცალკე. კომპანიას ისევ ეძლევა ვადა გამოსასწორებლად და თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ არ მოხდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შრომის ინსპექციას უფლება აქვს, მრავალჯერადი დარღვევის შემთხვევაში, შეაჩეროს სამუშაო პროცესი სამუშაო სივრცის კონკრეტულ მონაკვეთზე (მონაკვეთებზე) ან შესაბამის სამუშაო ადგილზე (ადგილებზე).

ცალკე უნდა გამოვყოთ სამუშაო პროცესის შეჩერების მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციული სახდელის შემდგომ უსაფრთხოების წესების დარღვევისას დასჯასთან; ასევე, კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ზედამხედველი ორგანო ვალდებულია, შეაჩეროს მიმდინარე კონკრეტული სამუშაო პროცესი სამუშაო სივრცის კონკრეტულ მონაკვეთზე (მონაკვეთებზე) ან შესაბამის სამუშაო ადგილზე (ადგილებზე), თუ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო საფრთხე ექმნება სამუშაო პროცესთან დაკავშირებული დასაქმებულის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ან/და ჯანმრთელობას და მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა. იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომლისთვისაც ადმინისტრაციულ სახდელად განსაზღვრულია სამუშაო პროცესის შეჩერება, ადგენს ზედამხედველი ორგანო, ხოლო სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ ზედამხედველი ორგანოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს სასამართლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 24 საათში ზედამხედველი ორგანო სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ. შუამდგომლობის აღნიშნულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო სამუშაო პროცესი – აღდგენილად. სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მოქმედებს შესაბამისი დარღვევის გამოსწორებამდე და ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო პროცესის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. დარღვევის გამოსწორების შემდეგ ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, თავისი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, 24 საათში გააუქმოს ზედამხედველი ორგანოს მიერ მიღებული სამუშაო პროცესის შეჩე-

რების შესახებ გადაწყვეტილება. განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულად ჩაითვლება. ამასთან, თუ ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სამუშაო პროცესის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, მისი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს/გაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეს. ეს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.



## **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართალდამრღვევისათვის ჩაბარების წესი**

შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ზედამხედველი ორგანო გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებული მხარისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირადად ჩაბარება ვერ ხერხდება, მოქმედებს შემდეგი წესი:

- ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ მხარეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ეგზავნება ფოსტით რეგისტრაციის ადგილის/ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით;
- ბ) თუ სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი რეგისტრაციის ადგილის/ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით ვერ ჩაჰბარდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უბრუნდება მის გამგზავნს და მასზე კეთდება სათანადო აღნიშვნა;
- გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ სამართალდამრღვევის რეგისტრაციის/ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართზე მყოფი შესაბამისი უფლებამოსილი პირი ფოსტით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებისას განმეორებით უარს განაცხადებს მის მიღებაზე;
- დ) ფოსტის მეშვეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში ზედამხედველი ორგანო უბრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საჯაროდ, ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისაგან. დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში (30 კალენდარული დღე) გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს ზედამხედველი ორგანო დააკისრებს საურავს აღნიშნული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს საურავის გადახდისაგან.

მსგავსი მსჯელობაა მოცემული შრომის ინსპექციის შესახებ საქართველოს კანონში, ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ შრომის უფლებებთან დაკავშირებით შრომის ინსპექტორს უფლება აქვს, გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, თუ ადმინისტრაციული სახდელის რომელ სახეს გამოიყენებს.

განსხვავებული მიდგომა აქვს მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში სახდელის დადებას პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის აღმასრულებელი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტებია, თუმცა ცალკე აღსანიშნავია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სადაც თავმოყრილია ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მშენებლობების უმრავლესობა, სახდელის დადების მექანიზმი. კოდექსი არ იცნობს სახდელის სხვადასხვა სახის გამოყენების შესაძლებლობას არაარსებითი, არსებითი და კრიტიკული შეუსაბამობების შემთხვევაში და ადმინისტრაციული სახდელის სახედ, 30 000-ლარიან ჯარიმასთან ერთად, სამუშაო პროცესის დროებით შეჩერებას (ზოგიერთ შემთხვევაში) ითვალისწინებს. აქვე განვმარტოთ, რომ ჯარიმის ეს ოდენობა მოქმედებს მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში ჯარიმის ოდენობა ბევრად დაბალია.

მშენებლობის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში კიდევ ერთი ზედამხედველი ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ – ასევე ხელმძღვანელობს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად და ადმინისტრაციული სახდელის სახით იყენებს ჯარიმას ან სამუშაო პროცესის შეჩერებას. ჯარიმის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტში. ამასთან, თუ სააგენტოს მიერ აღმოჩენილია არაარსებითი შეუსაბამობები, გაიცემა მითითება მათ გამოსასწორებლად.



ადმინისტრაციული სახდელის ერთჯერადად გასაჩივრებას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, რომლის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, პირველ რიგში, საჩივრდება ზემდგომ თანამდებობის პირთან, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომში საჩივრდება სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეს შეუძლია გაასაჩივროს დოკუმენტის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი საჩივრდება ზემდგომთან (მერიაში) და მხოლოდ შემდეგ სასამართლოში აქტის გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი საჩივრდება ზემდგომთან და შემდეგ სასამართლოში აქტის გაცნობიდან 15 დღის ვადაში.



## **ზედამხედველ ორგანოებს შორის კოორდინაცია და კოოპერაცია**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შრომის ინსპექციას აქვს აბსოლუტური მანდატი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შევიდეს სამშენებლო ობიექტზე და მოახდინოს მისი სრული შემოწმება უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალური ინსპექცია აკონტროლებს მხოლოდ სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვას (ძირითადად №477 ტექნიკური რეგლამენტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად), თუმცა მუნიციპალური ინსპექცია პრაქტიკაში ინტერესდება მხოლოდ ისეთი სამუშაოების უსაფრთხოებით, რომელმაც შეიძლება მყისიერი საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მაგალითად: სიმაღლეზე სამუშაოები, დამცავი აღჭურვილობის არსებობა, დამცავი ბადეები, ხარაჩოები, ღიობები, მოაჯირები და სხვ.

მუნიციპალური ინსპექცია არ ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით, რის გამოც მისთვის მეორეხარისხოვანია დასაქმებულთა ჯანსაღი სამუშაო პირობები (მაგ.: მოსასვენებელი ოთახები, კვების ადგილი, სპეც.ტანსაცმელი, სამედიცინო საშუალებებზე წვდომა) არის თუ არა შექმნილი სამუშაო ადგილზე, სრული აქცენტი გადატანილია მხოლოდ სიცოცხლის დაცვაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ სამშენებლო ობიექტებს ამოწმებს მათი მომეტებული საფრთხის შემცველი პირობებიდან გამომდინარე. ამასთან, სააგენტოს ინტერესის სფეროა არა ზოგადად მშენებლობის უსაფრთხოება, არამედ ამ მშენებლობებზე არსებული მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების გამართულობა, მაგალითად: ლიფტების უსაფრთხოება, ამწე მოწყობილობები და ა.შ.

2018 წლიდან არსებობს შეთანხმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ შორის, რომლის თანახმადაც ისინი ერთობლივად ახდენენ სამშენებლო ობიექტების მონიტორინგს შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და ახდენენ შესაბამის რეაგირებას. გასათვალისწინებელია, რომ სამივე უწყება მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ხშირად დამსაქმებლებში დაბნეულობას იწვევს №477 ტექნიკური რეგლამენტის „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აღსრულება სხვადასხვა ზედამხედველი ორგანოს მიერ. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, ამჟამინდელი სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახური“. ამ ჩანაწერის შესაბამისად, შრომის ინსპექციასა და ქ. თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას უფლება აქვთ, ერთდროულად ან დროის სხვადასხვა მონაკვეთში ერთი კომპანიის მიმართ გამოიყენონ აღნიშნული რეგლამენტის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელი. თუმცა, როგორც წესი, ეს ორგანოები ერთმანეთთან კოორდინებულად მოქმედებენ

და არ ხდება შესრულებული სამუშაოების დუბლირება და არევა. რაც შეეხება სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულად არ არსებობს კვეთა სხვა საზედამხედველო ორგანოებთან.



## სამშენებლო უსაფრთხოების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები

სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი აქტები ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ. პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებამ „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ და აღინიშნა, რომ, სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგულირების მიზნით, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მიღებამდე, აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებულ იქნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის 1992 წლამდე მოქმედი და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებული სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა არ არსებობს საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების ან სხვა ნორმატიული აქტების სახით და რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან/და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეუც არის საქართველო. ამასთან, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მშენებლობის შემთხვევაში, ეს ნორმები და წესები გამოიყენება კონკრეტული სამედიცინო ობიექტისა და განსახორციელებელი სამედიცინო სერვისების სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნულმა დადგენილებამ საშუალება მისცა სამშენებლო სექტორს, გამოეყენებინა საბჭოთა პერიოდში მოქმედი სამშენებლო უსაფრთხოების რეგულაციები და დაეცვა წესები.

აქვე აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილება „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და, ასევე, სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოში სამოქმედოდ იქნა დაშვებული ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, მათ შორის, სამშენებლო სფეროში არსებული სტანდარტები და სერტიფიკატები.

რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან და გავრცელებულ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა გამოყენება ბოლო წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამშენებლო სექტორისთვის, ესენია: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო- და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინა-ბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.

**მეტი თვალსაზრისისათვის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად განვსაზღვროთ შრომის უსაფრთხოების რამდენიმე არსებითი ელემენტი:**

### ► **სამშენებლო მოედნის ორგანიზება**

სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი სანარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე

მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია. ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით, ან უნდა იყოს შემოღობილი.

ლიფტების შახტები, კიბეების უჯრედები და სხვა ლიობები, სადაც შეიძლება ადამიანთა მოხვედრა, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურე-

**შურფი** (გერმ. Schurf) – მიწის ზედაპირიდან გაყვანილი მცირე სიღრმის ვერტიკალური ან დახრილი გვირაბი. გაკყავთ ჩვეულებრივ 25-40 მეტრი.

ბით, ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული. სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით. ერთ ვერტიკალზე სამუშაოთა შეთავსების შემთხვევაში, ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები დაცული უნდა იყოს სათანადო დამცავი საშუალებებით (ფენილი, ბადე, საფარი). მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

## ▶ ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია

მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება. ხარაჩოები უნდა დაიდგას სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად და დატვირთვების ამტანუნარიანობის გათვალისწინებით, მათი მდგრადობის უზრუნველყოფით. ქარხნული წესით დამზადებული ხარაჩოების დაყენება უნდა

განხორციელდეს მწარმოებლის ინსტრუქციის გათვალისწინებით. შენობაზე მიდგმული ხარაჩოების დაშლის დროს პირველი სართული, ყველა კარის ღიობი და ზედა სართულიდან აივანზე ყველა გამოსასვლელი (დასაშლელი უბნის ფარგლებში) უნდა კონტროლდებოდეს. სამუშაო ბაქნის არმქონე მისადგმელი კიბეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მშენებარე ნაგებობის იარუსიდან იარუსზე გადასასვლელად და ისეთი მარტივი სახის სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც არ მოითხოვს შემსრულებლისათვის კიბის კონსტრუქციაზე დამატებითი საყრდენის არსებობას. დისკოიანი სამშენებლო ინსტრუმენტები უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი გარსაცმით.

### ► **სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია**

მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. სამშენებლო მოედანზე მანქანა-მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით. ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად. ელექტროამძრავიანი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის თავიდან ასაცილებლად. მანქანის რთულ პირობებში გადაადგილებისას (დამრეცი გზები, დიდი ქანობები, ნისლი, მოყინული გზები, დიდთოვლობა, რკინიგზის გადასასვლელები და სხვ.) წინასწარ უნდა განისაზღვროს შესაძლო შედეგები და მიღებულ იქნეს სათანადო პრევენციული ზომები.

### ► **მინის სამუშაოები**

მინის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მინისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები. მინისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მინის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით, ხოლო მოქმედი კაბელის ან გაზსადენის განლაგების ზონაში მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, – ქსელების ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობით. აფეთქებით გრუნტის დამუშავებისას დაცული უნდა იყოს სააფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

## ► საძირკვლების მონყოლა

მიწისქვეშა კომუნიკაციების სიახლოვეს, აგრეთვე, ფეთქებადი მასალების აღმოჩენის ან ნიადაგის პათოგენური მოწამვლის ადგილებში, ბურღვისა და შენობა-ნაგებობების საძირკვლების (ფუძეების) სამუშაოთა შესრულება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. გრუნტში ჩასობილი ხიმინჯის გადაჭრისას უნდა იქნეს მიღებული მოჭრილი ნაწილის უკონტროლო ვარდნის საწინააღმდეგო ზომები.

მცურავი ურნალით ხიმინჯის ჩასობის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი დამაგრება ნაპირთან ან ფსკერზე ღუზით, აგრეთვე, კავშირი ნაპირთან მორიგე საცურაო საშუალებებით ან ფეხით სასიარულო ხიდიტ. დაუშვებელია ხიმინჯის ჩასობის სამუშაოთა შესრულება მდინარეებზე და წყალსატევებში 2 ბალზე მეტი ღელვის დროს. ვიბროჩამშვებით ხიმინჯის ჩასობის დროს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როგორც ვიბროჩამშვებისა და ხიმინჯის თავსაცმის მჭიდრო და საიმედო შეერთება, ისე ვიბროჩამშვების ბაგირების თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა.

## ► შენობა-ნაგებობების დემონტაჟი

შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე გამორთული უნდა იყოს ქსელიდან წყლით, სითბოთი, გაზით და ელექტროენერგიით მომარაგება, კანალიზაცია და ტექნოლოგიური მილსადენები. დაუშვებელია შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების ან დანადგარების დემონტაჟი ერთდროულად ერთი ვერტიკალის რამდენიმე იარუსზე, რათა არ მოხდეს ქვედა იარუსზე მომუშავეთა დაზიანება. დაუშვებელია ისეთი კონსტრუქციების ან მათი ნაწილების გადახურვაზე ჩამოყრა/მოხვედრა, რომელთა ზემოქმედებამ შესაძლოა გადააჭარბოს გადახურვის კონსტრუქციის მზიდუნარიანობას. შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის გამოყენებული მანქანები და მექანიზმები უნდა განლაგდეს კონსტრუქციის ჩამონგრევის ზონის გარეთ, პროექტის შესაბამისად. სფერული უროთი ან სოლუროთი შენობა-ნაგებობების დანგრევისას მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უნდა იყოს დაშორებული დასანგრევ ობიექტს შენობა-ნაგებობის სიმაღლეზე მეტი მანძილით.

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.

2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიღებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და იმ მზარდი ფატალური შემთხვევების ფონზე, რომლებიც ფიქსირდებოდა სამშენებლო სამუშაო ადგილებზე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორ საზედამხედველო ორგანოს შეუძლია, გამოიყენოს ტექნიკური რეგლამენტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. დეტალური პროცედურები დადგენილებით განსაზღვრული უსაფრთხოების წესების შესახებ მოცემულია სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში.





# II ნაწილი



# შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დაბეჭდვა

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. ყველა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრება და თავსებადობა. ამასთან, დასახული მიზნების შესაბამისად, აიღოს ვალდებულება, დაანესოს მკაცრი კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები უნდა მოიცავდეს წარმოებაში მოქმედ წესებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესში დასაქმებულთა და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების აღსრულება ორგანიზაციის ტერიტორიაზე სავალდებულო უნდა იყოს ყველა პირისათვის, როგორც დასაქმებულთათვის, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კომპანიის ტერიტორიაზე.

## ► ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა

დამსაქმებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ეროვნული თუ საწარმოო წესების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია, მუდმივ რეჟიმში განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. შრომის უსაფრთხოების სისტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია შემდეგ მოდელზე (იხ. ცხრილი №1).

## ცხრილი №1

<b>PDCA</b>	<b>ქმედება</b>
<b>დაგეგმვა PLAN</b>	განსაზღვრე პოლიტიკა/დაგეგმვა მისი დანერგვა
<b>გააკეთე DO</b>	გაანალიზე რისკები/მოახდინე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზება/განახორციელე გეგმა
<b>შეამოწმე CHECK</b>	გაზომე შესრულების ხარისხი (ანარმოდ დაკვირვება შემთხვევების არარსებობისას, გამოიძიე შემთხვევები)
<b>იმოქმედე ACT</b>	განიხილე შესრულების ხარისხი/იმოქმედე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით

ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მთავარი ღირებულებაა დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. ამ სისტემის შემადგენელ ნაწილებად უნდა განვიხილოთ საკუთრივ დასაქმებულთა ჯანმრთელობა, შრომის უსაფრთხოება და სამუშაო ადგილზე ჯანსაღი გარემოს შექმნა, რაც, თავის მხრივ, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასაც გულისხმობს.

დამსაქმებელმა უნდა გააცნობიეროს თავისი წილი მაღალი პასუხისმგებლობა, რომ სამუშაო ადგილებზე მუდმივ რეჟიმში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები სწორედ მმართველობითი გუნდის მთავარი გამოწვევაა. ობიექტებზე მუდმივ რეჟიმში უნდა წარმოებდეს შრომის უსაფრთხოების დაცვის შესაბამისობის ანალიზი და ხდებოდეს მათი დოკუმენტირება, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით გამოიყენებოდეს რისკის მართვის ეტაპები.

### ► შესაბამობების ანალიზი

დამსაქმებელი მუდმივ რეჟიმში უნდა აწარმოებდეს გამოვლენილი დარღვევების ანალიზს და უზრუნველყოფდეს შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას. ამ მიზნით გამოიყენება არაერთი ღონისძიება – შესაბამობის მართვა, მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები.

შესაბამობის მართვა მოიცავს:

- შესაბამობის გამოვლენას/იდენტიფიცირებას;
- შესაბამობის შეფასებას, მისი კვალიფიკაციის დადგენას;

- შეუსაბამობის რეგისტრაციას;
- შემდგომი ღონისძიებებისათვის გადაწყვეტილების მიღებას;
- განხორციელებული მაკორექტირებელი/პრევენციული ქმედების ეფექტურობის შეფასებას.

ყველა თანამშრომელი, რომელიც ეწევა საქმიანობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვაზე. დადგენილი შეუსაბამობის ანალიზის მიხედვით განისაზღვრება მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები.

ორგანიზაციაში პროცესების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა ან შეცდომები დგინდება:

- თანამშრომლების თვითკონტროლის საშუალებით;
- დადგენილი ანგარიშების/რეპორტირების საშუალებით;
- მონიტორინგის/ინსპექტირების/შიდა აუდიტის შედეგად;
- მომხმარებლების რეკლამაციების საშუალებით.

## ► ინციდენტების (უბედური შემთხვევების) გამოძიება

პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და ჩართულობა ინციდენტებისა და საფრთხის ეფექტური გამოძიებისა და კორექტირება-პრევენციის პროცესში.

ყოველმა გამოძიებამ უნდა გამოავლინოს: **ვინ? რა? სად? როდის? რატომ?**

ინციდენტის გამოძიება მოიცავს ფაქტების, იდეების, ფიზიკური მტკიცებულებებისა და თანმხლები ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას, მაკორექტირებელ/პრევენციულ ღონისძიებებს შესაძლო მოხდენის ალბათობისა და შედეგების გავლენის შემცირებისათვის.

ნებისმიერი ინციდენტის გამოძიებაში ჩართულია დასაქმებული, რომელიც შეესწრო ინციდენტის ფაქტს.

ინციდენტის გამოძიება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ინფორმაციის შეგროვება;
- ანალიზი;
- საკონტროლო ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- გამოსასწორებელი ქმედებების დაგეგმვა.

ინციდენტების ეფექტური გამოძიებისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ელემენტების გადახედვა:

- დავალებები – აქტუალური სამუშაო პროცედურის გადახედვა ინციდენტის დროისთვის;
- მასალები – შესაძლო მიზეზების დადგენის მიზნით გამოყენებული მასალებისა და დანადგარების შესახებ ინფორმაციის შეკრება;
- გარემო – ფიზიკური გარემოსა და გარემოში ცვლილებებისა და მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- პერსონალი – იმ პირთა ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის დადგენა, ვინც პირდაპირ ჩართულია ამ ინციდენტში. ეს უნდა მოხდეს არა ადამიანების დასასჯელად, არამედ საჭიროა პერსონალური თავისებურებების გათვალისწინება სანარმოო ტრავმების შესამცირებლად;
- მენეჯმენტი – აქვს თუ არა მენეჯმენტს ოფიციალური პასუხისმგებლობა სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე. განსაზღვრულია თუ არა მათი უფლება-მოვალეობები ინციდენტების გამოძიების პროცესში.

ინციდენტების გამოძიება დოკუმენტირდება და მტკიცებულებები ინახება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

### ► მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახური ვალდებულია, ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკის შემცირების მიზნით განხორციელებული აქტივობების პროცესი, ასევე, ეს მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. ინსპექტირების შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

ორგანიზაციის თანამშრომლები, მათ შორის, ხელმძღვანელები, ვალდებული არიან, გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე; ასევე აუცილებლად უნდა გაიარონ სწავლება კონკრეტული სპეციალობების მიხედვით ცოდნის შემდგომი შემოწმებით.

ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივი და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს. შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით დაადასტუროს გაცნობა.

გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია, თანამშრომლებს ჰქონდეთ სახელმწიფო ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგ.: სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა; ავტომტვირთავის მართვის მოწმობა; ელექტრიკოსის კვალიფიკაციის მოწმობა და ა.შ.

# რისკების შეფასება სამუშაო ადგილებზე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის №01-15/ნ ბრძანების – „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ – შესაბამისად, ყველა კომპანიას ქვეყნის მასშტაბით დაევალება, შეაფასოს რისკები სამუშაო ადგილებზე, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა რისკების შეფასების წესს სამშენებლო ობიექტებზე აქვს, რადგან ის უნდა განხორციელდეს ყოველი ახალგამოვლენილი საფრთხის კვალდაკვალ, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, დამტკიცებული წესის თანახმად, რისკების შეფასება არის საფრთხეების იდენტიფიცირების, დასაქმებულებისა და სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების, რისკების დონის შეფასებისა და საკონტროლო ზომების განსაზღვრის და განხორციელების პროცესი, რომლებიც ამ რისკების თავიდან აცილებაზე ან მინიმუმამდე დაყვანაზეა ორიენტირებული. ამასთან, დასაქმებელი ვალდებულია, სანარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის გათვალისწინებით მოახდინოს ყველა არსებული საფრთხის იდენტიფიცირება, მათგან მომდინარე რისკების შეფასება და შესაბამისი საკონტროლო ღონისძიებების დანერგვა-განხორციელება.

თავის მხრივ, რისკის შეფასება შედგება ხუთი საფეხურისაგან:

- ა) საფრთხეების იდენტიფიცირება;**
- ბ) პირთა წრის განსაზღვრა;**
- გ) რისკის შეფასება – საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა;**
- დ) საკონტროლო ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირისა და პრევენციული აქტივობების ვადების განსაზღვრა;**
- ე) შედეგების დოკუმენტირება და მონიტორინგი.**

საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის შეფასება ხორციელდება არა შერჩევით, არამედ მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ თუ ორგანიზაციულ დონეზე. პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე,



რისკების შეფასება სავალდებულოა განხორციელდეს საქმიანობის ან/და დასახული ამოცანის შესრულების დაწყებამდე.

### ► საფრთხეების იდენტიფიცირება

საფრთხეების იდენტიფიცირება არის მუდმივად განახლებადი პროცესი, რა დროსაც ხდება სამუშაო სივრცისა და სამუშაო პროცესის სრული შესწავლა, ყველა არსებული საფრთხის გამოვლენა და აღწერა. საფრთხეების იდენტიფიცირებისას დამსაქმებელი აღწერს, თუ რა ტიპის საფრთხე ემუქრება ან შესაძლოა, დაემუქროს კონკრეტული სამუშაოს განმახორციელებელ დასაქმებულს ან/და მესამე პირ(ებ)ს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის, ამ სამუშაოს შესრულებისას არსებული სანარმოო გარემოსა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საფრთხე არის ზიანის მიყენების პოტენციალის მქონე ნებისმიერი ფაქტორი. სამუშაო სივრცის დათვალიერებისას დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს არსებული ყველა რეგულარული და არარეგულარული სამუშაო აქტივობის შეფასება, სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების გამოვლენა, აღწერა, შესაძლო უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ინფორმაციის მოპოვება უნდა განხორციელდეს დასაქმებულებთან, დასაქმებულთა წარმომადგენელთან შრომის უსაფრთხოების საკითხებში გასაუბრებითა და ჩართულობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნისათვის, დამსაქმებელმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოიწვიოს შესაბამისი დარგისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. საფრთხეების იდენტიფიცირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ლოკალურ დონეზე არსებული საფრთხეები, სანარმოში წარსულში მომხდარი უბედური შემთხვევების მიზეზები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამოყენებული ან/და წარმოებული მასალებიდან/ნივთიერებებიდან მომავალი საფრთხეები. მატერიალური სახის მქონე იდენტიფიცირებული საფრთხეები უნდა აღიბეჭდოს ფოტოზე/ვიდეოზე და დაერთოს რისკის შეფასების დოკუმენტს.

### ► პირთა წრის განსაზღვრა

დამსაქმებელმა ყოველ იდენტიფიცირებულ საფრთხესთან მიმართებით რისკის შეფასების დოკუმენტის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს ყველა ის პირი, რომელთაც შესაძლოა მიაღვეს ზიანი იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად. ამასთან, იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს ამ პირთა პოზიციები, მათი სამუშაო ადგილი. პირთა წრის განსაზღვრისას დამსაქმებელმა უნდა მიუთითოს,

ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის არსებობას რა გავლენის მოხდენა შეუძლია შესაბამის ადრესატზე და რა სახის ჯანმრთელობის ზიანის დადგომა არის შესაძლებელი. პირთა წრის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დასაქმებულთა ყველა კონკრეტული საჭიროება (განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის, ორსული და მეძუძური ქალებისა და არასრულწლოვნებისათვის არსებული საჭიროებები).

### ► რისკის შეფასება – საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა

დამსაქმებელი ვალდებულია, განახორციელოს სამუშაო სივრცეში/ადგილ(ებ)ზე იდენტიფიცირებული საფრთხეებიდან მომდინარე რისკის საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას დამსაქმებელი ვალდებულია, იხელმძღვანელოს კონტროლის იერარქიით:

- ა) საფრთხის აღმოფხვრა;
- ბ) საფრთხის შემცირება;
- გ) საფრთხესთან ადამიანების კონტაქტის პრევენცია (საფრთხის იზოლირება);
- დ) უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურები;
- ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

რისკის კონტროლის შესაბამისი იერარქიის არჩევისას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე, დამსაქმებელმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს (საფრთხის აღმოფხვრა), ხოლო დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, თუ ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, იხელმძღვანელოს დაღმავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე. დამსაქმებელი სანყისი რისკის დონის შეფასების შემდგომ გატარებული ღონისძიებების მიხედვით აფასებს ნარჩენ რისკს და განსაზღვრავს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს ნარჩენი რისკის მართვის მიზნით. იმ შემთხვევაში, როცა, დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, დამსაქმებელი ვერ ახერხებს სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას სრული მოცულობით კონტროლის იერარქიის გათვალისწინებით, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და სხვა აუცილებელი დოკუმენტების განხილვის შემდეგ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და, ამასთანავე, შესაძლებლობის გათვალისწინებით, უნდა შეიზღუდოს დასაქმებულებზე მავნე სანარმოო ფაქტორების ზემოქმედების დრო (დროით დაცვა).

ამასთან, ყოველმა დასაქმებულმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია შრომის პირობების, მათი მავნეობის ხარისხის, ჯანმრთელობისათვის შესაძლო მავნე, არახელსაყრელი შედეგების, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების, მავნე ფაქტორთან კონტაქტის დროის შემცირების ზომების შესახებ. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას რეკომენდებულია, დამსაქმებელმა იხელმძღვანელოს ამ წესით გათვალისწინებული რისკის დონის მართვის მეთოდოლოგიით.

### ► შედეგებისა და მონაცემების დოკუმენტირება

სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს რისკის შეფასების წერილობითი/ელექტრონული სახის მქონე დოკუმენტის მომზადება. დამსაქმებელი უფლებამოსილია, რისკის შეფასების დოკუმენტის მომზადებისას მოახდინოს ცვლილება მხოლოდ დამატების სახით, ამ წესით გათვალისწინებული რისკის შეფასების დოკუმენტში, იმ პირობით, რომ იგი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მინიმალურ პირობებს. დამსაქმებელი ვალდებულია, რისკების შეფასების დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახადოს დასაქმებულებისათვის და ზედამხედველი ორგანოსათვის. დამსაქმებლის მიერ ამ წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრის შემდგომ დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პრევენციულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. დამსაქმებელი ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი რისკების შეფასების დოკუმენტით განსაზღვრულ პრევენციული ღონისძიებების შესრულებასა და ვადებზე. დამსაქმებელი ვალდებულია, ზედამხედველი ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირებისას იდენტიფიცირებულ საფრთხეებზე რეაგირება მოახდინოს ზედამხედველი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადაში.

### ► მონიტორინგი

დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს რისკის შეფასების შედეგებისა და მონიტორინგის შედეგების საჯაროობა დასაქმებულთათვის/სხვა პირთათვის და ზედამხედველი ორგანოსათვის. რისკის შეფასების დოკუმენტის მონაცემებისა და შედეგების გადახედვა/განახლება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის, იდენტიფიცირებული ახალი საფრთხის, განხორციელებული ტექნიკური ცვლილების, დასაქმებულის

მიერ სამუშაო ადგილის/სივრცის, საწარმოო პროცესის ცვლილების, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის, სამუშაო გარემო პირობების ცვლილების ან სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, რამაც შეიძლება წარმოშვას ახალი საფრთხე, მაგრამ არაუშეშებს შემდეგი პერიოდულობით:

ა) განსაკუთრებით მაღალი რისკის სექტორები – 10 კალენდარული დღის ვადაში.

## ► რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია

ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის შემდგომ (რისკის შეფასების საკონტროლო ღონისძიებების სწორად განსაზღვრისა და დანერგვის მიზნით) რეკომენდებულია, დამსაქმებელმა განახორციელოს რისკის დონის შეფასება წარმოდგენილი რისკის დონის მართვის მეთოდოლოგიით.

1. რისკის დონის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია თითოეული კომპონენტისათვის რიცხობრივი მნიშვნელობის მინიჭება და კომპონენტთა ნამრავლის რისკის დონედ აღქმა. რისკის დონე განისაზღვრება ზიანის მიყენების ალბათობისა და შედეგის სიმძიმის კომბინაციით. რისკის დონის განსაზღვრა ხდება არა მარტო რისკის მოხდენის ალბათობისა და შედეგის შესწავლით, არამედ რისკის დონის ურთიერთდამოკიდებულებებისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთაც შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ რისკის დონეზე;
2. რისკის დონის განსასაზღვრავად შესაძლებელია მატრიცების გამოყენება;
3. ალბათობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: კონტროლის ზომები, საფრთხის ზემოქმედების სიხშირე და საფრთხესთან დაკავშირებული პირის კატეგორია. შედეგის სიმძიმე დამოკიდებულია საფრთხის სიდიდეზე ან/და სერიოზულობაზე;
4. სავარაუდო რისკის დონის შეფასებისას დამსაქმებელმა უნდა შეაფასოს საწყისი, ხოლო გადამონშემებისას – ნარჩენი რისკი, არსებული პრევენციული მექანიზმების გათვალისწინებით. რისკის დონე განისაზღვრება ალბათობისა და შედეგის სიმძიმის ერთმანეთზე ნამრავლის საფუძველზე (რისკის რეიტინგი);
5. რისკის დონე (რეიტინგი) პირდაპირ მიუთითებს იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად მოსალოდნელი დაზიანების შესაძლებლობის ხარისხზე;
6. რისკის დონის განსაზღვრის წესი არის დამსაქმებლისათვის სახელმძღვანელო გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების შესაბამისი სახეებისა და მათი განხორციელების ვადების განსასაზღვრად.

„ა“ – ალბათობა, „შ“ – შედეგის სიმძიმე, „რ“ – რისკის დონე (რეიტინგის)

	საფრთხეთა იდენტიფიცირება	ამსახველი ფოტო/ვიდეომასალა	პირთა წრე	დაშავების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები			დამატებითი კონტროლის ზომები	გასატარებელი ზომები/ რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/ ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					ა*	საწყისი რისკი					
					შ*						
					რ* (აქმ)						
					ა*	ნარჩენი რისკი					
					შ*						
					რ* (აქმ)						
									დრო:	თარიღი:	

**რისკის შეფასების ფორმა №1**

**რისკის შეფასების მატრიცა (სარეკომენდაციო)**

5	5	10	15	20	25
4	4	8	12	16	20
3	3	6	9	12	15
2	2	4	6	8	10
1	1	2	3	4	5
	1	2	3	4	5

**აღბათობა**

**რისკის დონე = აღბათობა x შედეგი**

**აღბათობა**

- 1 = ძალიან საეჭვოა;
- 2 = საეჭვოა;
- 3 = შესაძლებელია;
- 4 = სავარაუდოა;
- 5 = განსაზღვრულია.

**შედეგი**

- 1 = უმნიშვნელო – დაზიანების გარეშე;
- 2 = მცირე – დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას;
- 3 = ზომიერი – დროებითი შრომისუუნარობა;
- 4 = სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა;
- 5 = კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუუნარობა.

შედეგი	20 – 25	5 – 16	3 – 4
	კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
<b>საჭირო ღონისძიებები</b>	სამუშაო უნდა შეჩერდეს. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.	საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები. შეფასდეს პრიორიტეტები.	სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ საკონტროლო ღონისძიებები.

რისკის დონე	ა x მ
კრიტიკული	20 – 25
ძალიან მაღალი	10 – 16
მაღალი	5 – 9
საშუალო	3 – 4
დაბალი	1 – 2

## რისკების კატეგორიები სიმძიმის მიხედვით

<b>კრიტიკული (20 – 25)</b>	კრიტიკული შეუსაბამობა – მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა.	სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ.
<b>ძალიან მაღალი (10 – 16)</b>	არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის.	ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაოების შეჩერების გარეშე.
<b>მაღალი (5 – 9)</b>	არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის.	გონივრულ ვადებში მიიღეთ ზომები შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით (სავალდებულოა).
<b>საშუალო (3 – 4)</b>	არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის.	ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ.
<b>დაბალი (1 – 2)</b>	მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი).	ზომების მიღება არ არის სავალდებულო.



# შრომის უსაფრთხოების ნიშნები

## ამკრძალავი ნიშნები

### დამახასიათებელი ნიშნები:

- მრგვალი ფორმა
- შავი პიქტოგრამა თეთრ ფონზე, წითელი კიდეები და დიაგონალური ხაზი (წითელი ფერი აბრის მინიმუმ 35%-ს უნდა ფარავდეს).

გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი სახის ნიშნები:



მონევა აკრძალულია



მონევა და ღია ცეცხლი აკრძალულია



ქვეითა შესვლა აკრძალულია



წყლით ჩაქრობა აკრძალულია



წყლის სასმელად გამოყენება აკრძალულია



უცხო პირთა შესვლა აკრძალულია



ინდუსტრიული დანიშნულების მანქანებისთვის შესვლა აკრძალულია



შეხება აკრძალულია



## მაფრთხილებელი ნიშნები

### დამახასიათებელი ნიშნები:

- სამკუთხედი ფორმა
- ყვითელ ფონზე დატანებული შავი პიქტოგრამა შავი კიდეებით (ყვითელი ფერი ამ აბრების მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს)



აალებადი მასალა  
ან მაღალი  
ტემპერატურა



ფეთქებადი  
მასალა



ტოქსიკური  
მასალა



კოროზიული  
მასალა



რადიოაქტიური  
ნივთიერება



დაკიდული ტვირთი



ელექტროშოკის  
საშიშროება



ზოგადი საფრთხე



ლაზერული  
გამოსხივება



მჟანგავი  
ნივთიერება



არამაიონიზებელი  
გამოსხივება



ძლიერი მაგნიტური  
ველი



დაბრკოლებები



ვარდნის  
საშიშროება



ბიოლოგიური  
საფრთხე



# მავალდებულებელი ნიშნები

## დამახასიათებელი ნიშნები:

- მრგვალი ფორმა
- ლურჯ ფონზე დატანებული თეთრი პიქტოგრამა (ლურჯმა ფერმა აბრის მიწიშე 50% უნდა დაიკავოს)



თვალის დამცავის  
გამოყენება  
სავალდებულოა



დამცავი ჩაფხუტის  
გამოყენება  
სავალდებულოა



ყურის დამცავი  
საშუალების  
გამოყენება  
სავალდებულოა



სასუნთქი  
სისტემის დამცავი  
საშუალების  
გამოყენება  
სავალდებულოა



დამცავი  
ფეხსაცმლის  
გამოყენება  
სავალდებულოა



დამცავი  
ხელთათმანების  
გამოყენება  
სავალდებულოა



დამცავი  
კომბინეზონის  
გამოყენება  
სავალდებულოა



სახის დამცავის  
გამოყენება  
სავალდებულოა



დამცავი ღვედების  
გამოყენება  
სავალდებულოა



ფეხით მოსიარულეთათვის  
გამოსაყენებელი  
მარშრუტი





ვალდებულების  
გამომხატავი ზოგადი აბრა  
(სადაც საჭიროა, მას სხვა  
ნიშანი უნდა ახლდეს თან)



## ავარიული გასასვლელების ან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმნიშნავი აბრები

### დამახასიათებელი ნიშნები:

- ოთხკუთხა ან კვადრატული ფორმა
- მწვანე ფონზე დატანებული თეთრი პიქტოგრამა (მწვანე ფერმა ნიშნის მინიმუმ 50% უნდა დაიკავოს)



ავარიული გასასვლელი



საგანგებო ტელეფონი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის ან ევაკუაციისთვის




აქეთ (დამატებითი საინფორმაციო ნიშანი)



პირველადი დახმარების პუნქტი



საკაცე



უსაფრთხოების შხაპი



თვალების გამოსაბანი



## ხანძარსაწინააღმდეგო ნიშნები

### დამახასიათებელი ნიშნები:

- ოთხკუთხა ან კვადრატული ფორმა
- წითელ ფონზე დატანებული თეთრი პიქტოგრამა (წითელმა ფერმა ნიშნის მინიმუმ 50% უნდა დაიკავოს).



სახანძრო შლანგი




სახანძრო კიბე



საგანგებო სახანძრო  
ტელეფონი



ცეცხლმაქრი



აქეთ (დამატებითი საინფორმაციო ნიშნები)

კონკრეტული დაწესებულების/საწარმოს განაშენიანებულ ზონებში არსებული ისეთი ადგილები, სადაც დაბრკოლებებთან შეჯახების, ჩავარდნის/დავარდნის ან გარკვეული საგნების ჩამოვარდნის საშიშროება არსებობს, ყვითელი და შავი ან წითელი და თეთრი ზოლებით უნდა იყოს მონიშნული.

მარკირების ზომები კონკრეტული დაბრკოლების ან სახიფათო ადგილის მასშტაბების შესაბამისი უნდა იყოს.

ყვითელი და შავი ან წითელი და თეთრი ზოლების დახრის კუთხე დაახლოებით 45°-ს უნდა შეადგენდეს და ისინი მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის უნდა იყვნენ.

მაგალითი:



შენობა-ნაგებობების აგებისას, დემონტაჟისა და სხვა ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისას შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა სახის ფაქტორები, რომლებიც ზიანს მიაყენებს დასაქმებულების ჯანმრთელობას. ეს ფაქტორებია: მავნე ნივთიერებების (მტვერი, აირი, გამონაბოლქვი) გამოყოფა-გაფრქვევა ჰაერში, ხმაური, მექანიკური დაზიანების რისკი. სამუშაო გარემოში უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონები და შემოიფარგლოს – დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებითა და სათანადო წარწერებით.

**დამცავი ნიშნები,  
გამაფრთხილებელი  
წარწერები:**

1. საშიშროება;
2. სამშენებლო ზონა, დაიცავით სიფრთხილე.



მშენებლობისას უნდა დადგინდეს სახიფათო ადგილები, კერძოდ:

- ადგილები, რომლებიც ახლოსაა დაუცველ სადენებთან;
- 1,3 მეტრზე მეტი სიმაღლის ადგილები, რომლებიც არ არის შემოზღუდული;
- ადგილები, სადაც შესაძლებელია მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვარზე ზევით არსებობა.

ასევე უნდა დადგინდეს პოტენციურად სახიფათო ადგილები, კერძოდ:

- მშენებლობასთან ახლოს მდებარე სამუშაო გარემო;
- ადგილები, სადაც წარმოებს კონსტრუქციების მონტაჟი/დემონტაჟი;
- ადგილები, სადაც ხდება მანქანათა გადაადგილება.

სახიფათო ზონების ზომები დგინდება შესაბამისი დანართით.

დასაქმებულთა დროებითი ან მუდმივი ადგილმდებარეობა უნდა განისაზღვროს სახიფათო ზონების გარეთ. მუდმივმოქმედი სახიფათო ზონები უნდა იყოს გამო-

ყოფილი დამცავი შემომფარგლავი ნაგებობებით, ხოლო პოტენციურად სახიფათო ზონები უნდა იყოს გამოყოფილი სასიგნალო ზღუდეებით და უსაფრთხოების ნიშნებით. სანარმოს უნდა ჰქონდეს იმ სახიფათო ზონების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დაშვების ფორმას. დაშვების ფორმა გადაეცემა სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელს – სამუშაოთა მნარმოებელს, მენეჯერს ან უსაფრთხოების სპეციალისტს.




მშენებლობის ზონაში განსათავსებელი ამკრძალავი, მაფრთხილებელი და მავალდებულებელი ნიშნები იხილეთ დანართი №2-ის სახით.

# კოდირებული სიგნალები



## ზოგადი დებულება

ქვემოთ მოცემული კოდირებული სიგნალები გამოიყენება კონკრეტულ სექტორებში ერთი და იმავე მანევრების შესასრულებლად:

მნიშვნელობა	აღწერილობა	ილუსტრაცია
<b>ა. ზოგადი სიგნალები</b>		
ყურადღება ბრძანების შესრულების დანწყება	ორივე ხელი ჰორიზონტალურად არის განჭვდილი, ხელის გულები წინ არის მიმართული	
შეჩერდი. შეწყვეტა. მოძრაობის დასრულება	მარჯვენა ხელი ზევით არის აღმართული, ხლო ხელის გული წინ არის მიმართული	
დაასრულე. მოქმედების დასრულება	მარჯვენა ხელი ქვევით არის მიმართული, ხელის გულიც ქვევით არის მიმართული	



მნიშვნელობა	აღწერილობა	ილუსტრაცია
<b>ბ. ვერტიკალური მოძრაობები</b>		
ასწიე	მარჯვენა ხელი ზევით არის აღმართული, ხელის გული წინ არის მიმართული და ხელი ნელ, წრიულ მოძრაობას ახორციელებს	
დასწიე	მარჯვენა ხელი ქვევით არის მიმართული, ხელის გული უკანა მხარეს არის მიმართული და ხელი ნელ, წრიულ მოძრაობას ახორციელებს	
მოკლე ვერტიკალური მოძრაობა	ხელები შესაბამის მანძილს აჩვენებენ	
<b>გ. ჰორიზონტალური მოძრაობები</b>		
იმოძრავე წინ	ორივე ხელი მოხრილია, ხელის გულები ზევით არის მიმართული, ხოლო ხელები ნელ მოძრაობას ახორციელებენ მესიგნალის სხეულის მიმართულებით	

მნიშვნელობა	აღწერილობა	ილუსტრაცია
იმოდრავე უკან	ორივე ხელი მოხრილია, ხელის გულები ქვევით არის მიმართული, ხოლო ხელები ნელ მოძრაობას ახორციელებენ (მესიგნალისგან)	
მესიგნალისგან მარჯვნივ	მარჯვენა ხელი მეტ-ნაკლებად პორიზონტალურად არის გაწვდილი, ხელის გული ქვევით არის მიმართული. ხელი ნელ მოძრაობებს ახორციელებს მარჯვნივ	
მესიგნალისგან მარცხნივ	მარცხენა ხელი მეტ-ნაკლებად პორიზონტალურად არის გაშვებული, ხელის გული ქვევით არის მიმართული. ხელი ნელ მოძრაობებს ახორციელებს მარცხნივ	
მოკლე პორიზონტალური მოძრაობა	ხელები შესაბამის მანძილს აჩვენებენ	

მნიშვნელობა	აღწერილობა	ილუსტრაცია
<b>დ. საფრთხე</b>		
საფრთხე. სასწრაფოდ გაჩერება	ორივე ხელი ზევით არის აღმართული, ხელისკულები წინ არის მიმართული	
სწრაფად	ყველა მოძრაობა უფრო სწრაფად უნდა განხორციელდეს	
ნელა	ყველა მოძრაობა უფრო ნელა უნდა განხორციელდეს	

# ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სამუშაოს დაწყებამდე უნდა მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს, შეფასდეს რისკი, განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები, სამუშაოს სახეობიდან გამომდინარე, დასაქმებულს უნდა მიენოლოს ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

დამსაქმებლის ვალდებულებაა, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, საჭიროების შემთხვევაში, დროულად უნდა შეცვალოს ისინი; კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მიზანშეწონილია, რომ დასაქმებულმა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე.

განვიხილოთ ევროკავშირის რეგულირება, რომლის შესაბამისი დირექტივის ტრანსპოზიციის ქართულ კანონმდებლობაში 2024 წლამდე უნდა მოხდეს, რის შემდეგაც მოთხოვნები ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც კოლექტიური დაცვის საშუალებებით ან დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომებით, მეთოდებითა და პროცედურებით შეუძლებელია რისკების თავიდან აცილება, ან ვერ ხერხდება მათი საკმარისად შემცირება.

კონკრეტული სამუშაო პროცესების რისკების შეფასების საფუძველზე დამსაქმებელმა დასაქმებულებს უნდა გამოუყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

1. რისკების შეფასების საფუძველზე დამსაქმებელმა წერილობითი ფორმით თითოეული პროფესიისთვის უნდა განსაზღვროს და დასაქმებულებს მიაწოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა და დაადგინოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ზოგადი წესი;
2. დამსაქმებელმა საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამართული სამუშაო მდგომარეობა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა სათანადო მომსახურების (მოვლა, შეკეთება, შეცვლა და სხვა) გზით;
3. დამსაქმებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
4. დამსაქმებელმა ასევე უნდა გამოყოს სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იმ დასაქმებულებისათვის, რომელთა სამუშაო ინვევს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხშირ დაბინძურებას და/ან სწრაფ ცვლას. დამსაქმებელმა უნდა გააკონტროლოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სათანადოდ გამოყენება;
5. დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ისეთ სამუშაო სივრცეში, სადაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება სავალდებულოა, არ დაუშვას არცერთი პირი შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე. ასეთ შემთხვევებში დამსაქმებელმა ვიზიტორები ან სხვა პირები შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უნდა აღჭურვოს.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს რეგლამენტის მოთხოვნებს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დიზაინსა და წარმოებასთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობას, სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და ასევე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

1. გამოყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იყოს სერტიფიცირებული და ჰქონდეს შესაბამისი CE ნიშანდება.
2. ინდივიდუალური დაცვის ყველა საშუალება:
  - ა) უნდა უზრუნველყოფდეს არსებული და/ან მოსალოდნელი საფრთხეებისგან ეფექტურ დაცვას და თავად არ უნდა ზრდიდეს რისკებს;
  - ბ) უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში არსებულ პირობებს (მათ შორის ამ პირობების მოსალოდნელ ცვლილებებს);
  - გ) უნდა ითვალისწინებდეს ერგონომიკის მოთხოვნებს და დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას;
  - დ) უნდა ერგებოდეს მომხმარებლის სხეულს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი ინდივიდუალურად მორგება.

3. ერთზე მეტი საფრთხის არსებობისას, თუ დასაქმებულები ერთდროულად რამდენიმე ინდივიდუალურ დაცვის საშუალებას იყენებენ, ეს საშუალებები უნდა იყოს ერთმანეთთან თავსებადი და ეფექტურად იცავდეს მომხმარებელს საფრთხეებისგან.
4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების პირობები და ხანგრძლივობა უნდა იქნეს განსაზღვრული რისკის სიდიდის, საფრთხის ქვეშ ყოფნის სიხშირისა და ხანგრძლივობის, თითოეული დასაქმებულის სამუშაო ადგილის მახასიათებლებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ეფექტურობის საფუძველზე.
5. როგორც წესი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები განკუთვნილია პერსონალური გამოყენებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური დაცვის საშუალება ერთზე მეტი დასაქმებულის მიერ გამოიყენება, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები ჰიგიენური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად.



## რისკების შეფასება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევისას

1. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევამდე დამსაქმებელმა უნდა შეაფასოს, აკმაყოფილებს თუ არა ეს საშუალებები წინამდებარე რეგლამენტის მე-5 მუხლის მოთხოვნებს.
 

აღნიშნულ შეფასებას უნდა დაექვემდებაროს:

  - ა) იმ საფრთხეების იდენტიფიცირება, რომელთა ქვეშაც შეიძლება მოექცნენ დასაქმებულები და/ან სხვა პირები;
  - ბ) იმ რისკების ანალიზი და შეფასება, რომელთა თავიდან აცილება სხვა მეთოდების გამოყენებით არის შესაძლებელი;
  - გ) იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც ინდივიდუალური დაცვის ნებისმიერ საშუალებას უნდა ჰქონდეს შესაბამის საფრთხეებთან ეფექტურად გამკლავებისთვის, ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ საშუალებების გამოყენებისგან წარმოქმნილი რისკებიც;
  - დ) არსებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მახასიათებლების ამ პუნქტის (გ) ქვეპუნქტში დასახელებულ მახასიათებლებთან შედარება;

- ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეფასებასთან დაკავშირებული საბოლოო დოკუმენტის შემუშავება და თითოეული პროფესიისა და საფრთხისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხის მომზადება.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მოთხოვნების შეფასება გადახედილი უნდა იქნეს სამუშაო პროცესებში, სამუშაო პირობებში, სამუშაო სივრცესა და წარმოება/დანესებულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების განხორციელებისას.



## **ინფორმირება, სწავლება, კონსულტაცია და ჩართულობა**

დამსაქმებელმა დასაქმებულებს უნდა მიაწოდოს ადეკვატური ინფორმაცია და ინსტრუქციები ინდივიდუალური დაცვის საშუალების თითოეული დეტალისა და მათი გამოყენების შესახებ.

დამსაქმებელმა დასაქმებულებს წინასწარ უნდა აცნობოს იმ რისკების შესახებ, რომელთაგან დასაცავად არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. შესაბამისი ინფორმაცია გასაგები უნდა იყოს დასაქმებულებისთვის.

დამსაქმებელმა უნდა ჩაატაროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული სწავლება და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების დემონსტრირება.


დასაქმებულებთან და/ან მათ წარმომადგენლებთან კონსულტაცია და მათი ჩართვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და აღჭურვილობის შერჩევის, მიწოდების, გამოყენებისა და მოვლის პროცესში უნდა განხორციელდეს „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

დასაქმებულები ვალდებული არიან, მათთვის გამოყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენონ ისე, როგორც ეს განსაზღვრულია დამსაქმებლის და მწარმოებლის ინსტრუქციებით.

## ► ფეხის დაცვა

შენობა-ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისას განსაკუთრებულად არსებობს ტერფში ლურსმნის შერჭობის, ნაბორძიკების, დაცემის, დანვისის, ასრიალების, ტერფზე მძიმე საგნების დაცემის ან ძალების ქუსლზე დაწოლის ზემოქმედების საფრთხეები. მუშაკს უნდა ეცვას სპეციალური ფეხსაცმელი, რომელიც დაიცავს ფეხს სხვადასხვა დაზიანებისგან.

1. ენა;
2. თასმის ნახვრეტები, კაუჭები;
3. თითების დამცავი;
4. ძირი პროფილით;
5. ხანძარსაწინააღმდეგო ძირი;
6. კოჭის დამცავი, აქ დაკავშირებული გადაკრულ საყელოსთან;
7. ენერჯის მშთანთქავი ტერფის ნაწილში (რეკომენდებული);
8. ჩანართი უსაფრთხო სიარულისთვის, საჭიროების შემთხვევაში;
9. ქუსლი.



### ეს მნიშვნელოვანია!



- განისაზღვროს მოთხოვნები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისადმი.
- +16°C-ზე დაბალი ჰაერის ტემპერატურისას აუცილებელია მომუშავეთა უზრუნველყოფა სითბო- და ტენდამცავი თვისებების მქონე სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის კომბლექტებით.
- ნამიანი სპეცფეხსაცმლის გაშრობა უნდა ხორციელდებოდეს ყოველი ცვლის შემდეგ. ტყავის ფეხსაცმელი გაშრობის შემდეგ უნდა დაიფაროს დამარბილებელი საცხით.
- ტერფების სოკოვანი დაავადებებისაგან პროფილაქტიკისათვის ფეხსაცმელი ყოველდღიურად უნდა დამუშავდეს „ბ“-ქლორამინის 5%-იანი ხსნარით ან სხვა სადებიზფექციო საშუალებებით.





სპეციალური ფეხსაცმელი გერმანული გამოცდილების მიხედვით:

- ფეხსაცმლის შერჩევასა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერგონომიკული ასპექტები, როგორებიცაა, მაგ., შესაბამისი ფორმა, შესაკრავი.
- გამოიყენეთ მხოლოდ CE-მარკირების მქონე მშენებლობებისთვის გათვალისწინებული პროდუქტები.
- ფეხის დამცავი გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. არასათანადო ფეხსაცმლის გამოყენება დაუშვებელია. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, შეატყობინეთ მომწოდებელს.
- ფეხსაცმელი გაასუფთავეთ მწარმოებლის ინსტრუქციების შესაბამისად.
- ფეხის გაძლიერებული ოფლიანობის დროს ფეხსაცმელი გამოცვალეთ ყოველდღიურად, რათა ფეხსაცმელი კარგად გამოშრეს. ალტერნატივაა მე-2 წყვილი ფეხსაცმლით უზრუნველყოფა.
- გამოიყენეთ სპეციალური 4 მმ სისქის ჩასაფენები, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ლურსმნების შესობის საფრთხე.

### დაიმახსოვრეთ!



**CE** (Conformité Européenne) ევროპულ შესაბამისობას ნიშნავს და დაიტანება პროდუქტზე, რომელიც ჰარმონიზებულია ევროპულ სტანდარტებთან. CE სერტიფიკატი ხარისხის ნიშანი არ არის.

ფეხსაცმლის ფორმები სხვადასხვაა:

- A** = ნახევარჩექმა;
- B** = დაბალყელიანი ჩექმა;
- C** = ნახევრად მაღალყელიანი ჩექმა;
- D** = მაღალყელიანი ჩექმა;
- E** = ჩექმა – ბარძაყამდე ყელით.

### ეს საინტერესოა!



ფეხსაცმლის კლასიფიცირება:

- I კლასის** ფეხსაცმელი შეიძლება იყოს ტყავის ან სხვა მასალის.
- II კლასის** ფეხსაცმელი მთლიანად ფორმირებული ან ვულკანიზებულია (მაგ., პოლიეთურანის PU ან პოლივინილქლორიდის PVC ჩექმები).

## ქმიკატებისგან ფეხის დაცვის შემთხვევაში:



- **I კლასის** ფეხსაცმელს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ქმიკატებისგან დაცვა. ასეთი ფეხსაცმლის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა, გარდა ნახევარჩექმისა (ფორმა A).
- **II კლასის** ფეხსაცმელი განსაკუთრებულად გამძლე უნდა იყოს გარკვეული ქმიკატების მიმართ. ასეთი ფეხსაცმლის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა, გარდა ნახევარჩექმისა და დაბალყელიანი ჩექმისა (ფორმა A ან B).



სპეციალური ფეხსაცმელი


ფეხსაცმელი, ძირზე თბოიზოლაციური ჩანართით, გამოიყენება ასფალტის დაგების დროს ცხელ ან ძალიან ცივ ზედაპირებზე მუშაობისას.

### ► თავის დაცვა

შენობა-ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისას, დემონტაჟისა და რეკონსტრუქცია-გაძლიერების სამუშაოების შესრულებისას მომუშავე პირებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით. ჩაფხუტები, სადემინფექციო საშუალებების გამოყენებით, სანიტარიულ დამუშავებას ექვემდებარება.

ჩაფხუტები თავს იცავს გადმოვარდნილი, გადმოკიდებული, გადაყირავებული ან ასხლეტილი საგნებისგან ან თავის სხვადასხვა საგანზე მირტყმისაგან. ისინი

შედგება ჩაფხუტის გარსისგან და შიდა მოწყობილობისგან. ჩაფხუტის გარსი თავის თავზე იღებს გარედან მოქმედ ძალებს და გადასცემს შიდა მოწყობილობას.



ჩაფხუტს უნდა ჰქონდეს – **CE-მარკირება**, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი, მწარმოებლის სახელი და ნიშანი, წარმოების წელი, ტიპის აღნიშვნა, თავის გარემონწერილობა სანტიმეტრებში და სხვ. ყველა ნიშანი უნდა იყოს ამოტვიფრული ან ჩამოსხმული.



**დაიმახსოვრეთ!**

თერმოპლასტმასისგან დამზადებული უსაფრთხოების ჩაფხუტები 4 წლის გამოყენების შემდეგ, ხოლო დუროპლასტმასის ინდუსტრიული უსაფრთხოების ჩაფხუტები 8 წლის გამოყენების შემდეგ შეცვალეთ.

**რესპირატორული დაცვა**

სამშენებლო პროცესების შესრულებისას სამუშაოთა აირების, ორთქლის, ნისლის ან მტვრის შემთხვევაში არსებობს სასუნთქი გზების დაზიანების საფრთხე. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მავნე ნივთიერებების ჩანაცვლება ნაკლებად მავნე ნივთიერებებით და სამშენებლო, ტექნიკური ან ორგანიზატორული უსაფ-

რთხობების ზომების მეშვეობით გაზების, ორთქლის, ნისლის ან მტვრის თავიდან აცილება, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს რესპირატორული მოწყობილობები, ხოლო დასაქმებულებმა უნდა გამოიყენონ ისინი.

1



2



1. ერთჯერადი დანიშნულების რესპირატორი;
2. მრავალჯერადი დანიშნულების რესპირატორი „ნახევრად ნილაბი“.

ფილტრიან მოწყობილობებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფილტრიანი ნახევრად ნილაბი, ან ფილტრიან მოწყობილობებზე დამაგრებული სახის ნილაბი, ან ნახევრად ნილაბი; სავენტილაციო მხარდაჭერის შემთხვევაში, ასევე, შესაძლებელია სახის ნაწილად ჩაფხუტებისა და კაპიუშონის გამოყენება.

ნახევრად ნილაბი/ფილტრიანი ნახევრად ნილაბი ფარავს მხოლოდ ცხვირსა და პირს და არ არის განკუთვნილი განსაკუთრებულად მომწამვლელი გაზებისა და მტვრისათვის.

### დაიმახსოვრეთ!

- ყურადღებით გაეცანით მწარმოებლის ინსტრუქციას.
- ფილტრი შეარჩიეთ მავნე ნივთიერების სახეობისა და კონცენტრაციის როლდენობის მიხედვით.
- ყურადღება მიაქციეთ გამოყენების შეზღუდვებს.
- ცუდად მორგებული რესპირატორის გამოყენება სახიფათოა.
- ფილტრებს აქვთ ვარგისიანობის ვადა. არ გამოიყენოთ ვადაგასული რესპირატორი.





მათ, ვინც ნიღაბს ატარებს, აუცილებელია, ჰქონდეთ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. მათ რეგულარულად უნდა ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი. რესპირატორული მოწყობილობები გამოიყენება მხოლოდ მოკლე დროით. გამოყენების ხანგრძლივობა და შესვენების დრო დამოკიდებულია ნიღბის სახეობაზე, გარემო კლიმატზე, სითბურ გამოსხივებაზე, ტანსაცმლის თვისებებზე.



მავნე ორთქლი და გამონაბოლქვი

### დაიმახსოვრეთ!

სამუშაო სივრცის მარკირების ნიშანი (ნიშანდება):



რესპირატორებს უნდა ჰქონდეთ მარკირების ნიშანი. მაგ., ნიშნები: „P1“, „P2“, „P3“ მიუთითებს, რომ ისინი გამოიყენებიან მტვრის, კვამლისა და ნისლის შემთხვევებში. ნიშანი „NR“ ნიშნავს, რომ რესპირატორი მრავალჯერადი გამოყენებისაა მხოლოდ ერთ ცვლაში. ნიშანი „R“ ნიშნავს, რომ რესპირატორის მრავალჯერადი გამოყენება დაშვებულია ერთზე მეტ ცვლაში. კომბინირებული ფილტრები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო გარემოში ერთდროულად არსებობს გაზები, ორთქლი, ნისლი და ნაწილაკები (აეროზოლი).

### ეს მნიშვნელოვანია!



- ყურადღება მიაქციეთ გაზის რესპირატორის ფილტრის შენახვის ვადებს.
- გახსნილი ფილტრების დასაწყობება მოახდინეთ დოკუმენტაციისა და მწარმოებლის მონაცემთა შესაბამისად.
- რესპირატორების (ნიღბების) ტექნიკური, ვიზუალური და ფუნქციური დათვალიერების ვადები დაიცავით მწარმოებლის მონაცემების შესაბამისად.

### ► ხელების დაცვა

სამშენებლო მასალებსა (საღებავები, გამხსნელები, ინერტული მასალები) და სანმენდ საშუალებებთან შეხებისას საფრთხე ექმნება კანს. თუ ტექნიკური და ორგანიზატორული ზომების გატარება საკმარისი არ არის კანისა და ხელის დაზიანებების თავიდან ასაცილებლად, დამსაქმებელთა ვალდებულებიდან გამომდინარე, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დამცავი ხელთათმანები. დასაქმებულებმა კი უნდა გამოიყენონ ისინი.

განასხვავებენ დამცავ ხელთათმანებს თერმული, ქიმიური, ბიოლოგიური, ვიბრაციული, ელექტრომაგნიტური და ულტრაიისფერი დასხივების მიხედვით.



ვიბრაციული სამუშაოებისთვის განკუთვნილი ხელთათმანი

შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი დამცავი ხელთათმანების ასარჩევად უნდა მოხდეს რისკების განსაზღვრა და შეფასება. გადამეტებული ოფლიანობის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია ბამბის სარჩულიანი დამცავი ხელთათმანები. ვიბროდანადგარებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს შერჩეული დამცავი ხელთათმანი. ხელთათმანზე მითითებული უნდა იყოს ნარწერა „VIBRATION“.

### **ყურადღება!**

**გაეცანით მწარმოებლის ინსტრუქციას.**

**მწარმოებლის ინსტრუქციაში მითითებულია, თუ რომელ შემთხვევაში გამოიყენება დამცავი ხელთათმანი.**

**სამუშაო სივრცის მარკირების ნიშანი (ნიშანდება):**



### **▶ კანის დაცვა**

კანის დაზიანება სამშენებლო სფეროში ძალზე გავრცელებული მოვლენაა. სამშენებლო მასალებთან, საღებავებთან, გამხსნელ საშუალებებთან, ასევე დაბინძურებულ სივრცეებში მუშაობისას არსებობს მავნე ნივთიერებებსა და ბიონივთიერებებთან კანის კონტაქტის საფრთხე. კანის დაზიანებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელმა დასაქმებულები უნდა უზრუნველყოს დამცავი ხელთათმანებით. ხელთათმანებთან ერთად უნდა გამოიყენებოდეს სპეციალური დამცავი საცხები. კანის დამცავი საშუალებები იცავს კანს გაღიზიანებისგან და ასევე აიოლებს კანის გასუფთავებას. მხოლოდ დამცავი საცხის გამოყენება ხელთათმანს ვერ ჩაანაცვლებს. სფეროში მომუშავე პირთათვის კანის ძირითადი დაავადებაა კონტაქტური დერმატიტი, რომელიც იწვევს კანის სინითლეს, წვას, შეშუპებას, გამონაყარს, სიმშრალესა და ქავილს.

### **ეს საყურადღებოა!**


კონტაქტური დერმატიტი არის დერმატიტის სახე, რომელიც ვითარდება კანსა და რაიმე უცხო ნივთიერებას შორის კონტაქტის შედეგად.



დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს, არის თუ არა შესაძლებელი სამუშაო ნივთიერების ჩანაცვლება სხვა ნაკლებად მავნე ან უვნებელი ნივთიერებით, არის თუ არა შესაძლებელი კანთან კონტაქტის თავიდან არიდება სამუშაოს მიმდინარეობის ან მეთოდის ცვლილებით. არ არსებობს უნივერსალური კანის დამცავი საშუალება, რომელიც ყველა ნივთიერებისგან დაცვას მიესადაგება.

### ► კანის დამცავი საცხი

კანის დამცავ საშუალებაზე დატანილ უნდა იქნეს ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად თუ რა შემთხვევაში გამოიყენება კანის დაცვის საშუალება.







დასაქმებულის დაზიანებული კანი

### ► კანის მოვლა

კანი კარგად გაასუფთავეთ. კანის დასასუფთავებელი საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს დაბინძურების ხარისხს. ხელების დასუფთავების დროს მოერიდეთ სახეხი საშუალებებისა (მაგ., ღრუბელი) და გამხსნელების გამოყენებას. დასუფთავების შემდეგ ხელები კარგად გაიმშრალეთ.



### დაიმახსოვრეთ!

სამუშაო სივრცის მარკირების ნიშანი (ნიშანდება):



### ► სპეც. ტანსაცმელი

შენიშნა-ნაგებობების მშენებლობისას შესაძლებელია, თავი იჩინოს მექანიკურმა, თერმულმა, ქიმიურმა, ელექტრო- და სხვა სახის საფრთხეებმა, რომელთა დროსაც შესაძლებელია, მოხდეს სხეულის დაზიანება.



ინდივიდუალური დამცავი ტანსაცმელი

დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებული სპეციალური ტანსაცმლით. სპეც. ტანსაცმელი უნდა შეირჩეს საფრთხის შესაბამისად, მწარმოებლის ინსტრუქციის გათვალისწინებით. იმავდროულად, ყურადღება უნდა მიექცეს: CE-მარკირებას, სწორ ზომას, ერგონომიკულ მოთხოვნებს.

### დაიმახსოვრეთ!

- დამცავი ტანსაცმლის ვარგისიანობა შეამოწმეთ ყოველი გამოყენების წინ.
- დამცავი ტანსაცმელი დაასუფთავეთ რეგულარულად.
- ქიმიკატებისგან დამცავი კოსტუმები გამოიყენეთ დანიშნულებისამებრ, მხოლოდ ერთხელ.
- ყურადღება მიაქციეთ გამოყენების დროის შეზღუდვას.


სამუშაო სივრცის მარკირების ნიშანი (ნიშანდება):



## ► თვალების დაცვა

შენობა-ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მშენებლობისას ხშირია თვალების დაზიანების შემთხვევები. თვალის დაზიანებას იწვევს შესასრულებელი სამუშაოების მრავალფეროვნება. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია სხვადასხვა მიმართულებით გასროლილი მტვრის ნაწილაკები, ნაპერწკლები, შხეფები. თვალი შეიძლება დააზიანოს თბურმა დასხივებამ.

თვალეების დამცავი მოწყობილობები შეარჩიეთ დაცვის ხარისხის, მდგრადობისა და გამოყენების არეალის შესაბამისად. მინაზე მითითებულია დაცვის ხარისხი. ის შედგება ციფრისა და ფილტრის დაცვის ხარისხის ნომრისგან. რაც უფრო მაღალია დაცვის ხარისხის ნომერი, მით უფრო ნაკლებია ოპტიკური დასხივების გამტარიანობა. ადამიანებმა, რომლებსაც მხედველობის პრობლემა აქვთ, უნდა ატარონ შესაბამისი ნომრიანი თვალეების დამცავი საშუალებები, ან საკუთარ სათვალეზე მორგებული სახის დამცავები.



ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულები ინფორმირებულინი არიან შესაძლო რისკებისა და დაზიანებების შესახებ, მაინც არ სარგებლობენ მხედველობის დაცვის საშუალებებით. ამის მიზეზი არის ის, რომ დამცავი სათვალის ტარება არაკომფორტულია და, იმავდროულად, ზღუდავს მხედველობას მუშაობის დროს.

### დაიმახსოვრეთ!


სამუშაო სივრცის მარკირება (ნიმანდება):



## ► სმენის ორგანოების დაცვა

შენობა-ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მშენებლობაზე ფიქსირდება ხმაურის მაღალი დონე, რომელიც გამონვეულია მრავალგვარი მანქანა-მექანიზმებით, დანადგარებით, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების გამოყენებით.

- სმენის ორგანოების არასაკმარისმა დაცვამ შესაძლებელია, გამოიწვიოს სმენის დაკარგვა.
- სმენის ორგანოების საცობების გამოყენებისას არსებობს სასმენი არხების ანთების საფრთხე.
- გარდა ამისა, შესაძლებელია, დაქვეითდეს მიმართულებების მინიშნებებისა და სიგნალების აღქმა.



### ეს მნიშვნელოვანია!



- გამოიყენეთ მხოლოდ CE მარკირების მქონე სმენის ორგანოების დამცავები.
- სმენის ორგანოს დამცავი განკუთვნილი უნდა იყოს მომხმარებლისთვის, საცობები უნდა შეირჩეს სმენის ორგანოს ზომის შესაბამისად, „S“ small (პატარა) ან „L“ large (დიდი).
- გრძელი თმა და წვერი ხელს უშლის ყურსასმენებს ხმის დახშობაში.
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს ექსპლუატაციის ინსტრუქცია.
- ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს საკუთარი, ინდივიდუალური სმენის ორგანოების დამცავი.

→ სმენის ორგანოების დამცავის გამოსაყენებლად უნდა შედგეს ექსპლუატაციის ინსტრუქცია და მათთან მოპყრობისა და გამოყენების შესახებ ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარდეთ დასაქმებულებს.

სმენის ორგანოების დამცავები გამოიყენება რისკების შეფასების შესაბამისად. ხმაურის ძალიან მაღალი ექსპოზიციის დროს, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სმენის ორგანოების დამცავების კომბინაცია.



### დაიმახსოვრეთ!

სამუშაო სივრცის მარკირების ნიშანი (ნიშანდება):



### ► პირადი ჰიგიენის წესები

#### რა არის პირადი ჰიგიენა?

პირადი ჰიგიენა მოიცავს ხელების, სხეულის, კვების, სამუშაო ადგილის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჰიგიენის დაცვას. მიკრობთა ძირითადი სამიზნე ხელებია. ხელები გამუდ-

**ჰიგიენა** (ბერძნული სიტყვაა და „ჯანმრთელობის მომტანს“ ნიშნავს).

ჰიგიენა პროფილაქტიკური მედიცინის ნაწილია, რომელიც სწავლობს გარემოპირობების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მებით ეხება უამრავ ნივთს, ბუნებრივია, ეს განაპირობებს მიკრობებით დაბინძურების მაღალ რისკს და ხელს უწყობს ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორებიცაა ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი დაავადებები.

საქართველოში მოქმედებს საქართველოს კანონი – „საქართველოს სანიტარიული კოდექსი“, რომელიც არეგულირებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე სანიტარიული ნორმებისა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსანიტარიალური ღონისძიებების შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესს. ამ კანონის მიხედვით, შრომის პირობები, სამუშაო ადგილი და შრომის პროცესი არ უნდა ახდენდეს მავნე ზეგავლენას მუშაკის ჯანმრთელობაზე. ასევე, ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია, შეასრულოს სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები საწარმოო პროცესისა და ტექნოლოგიური დანადგარის, სამუშაო ადგილის, მუშაკის კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, მუშაკის სამუშაო რეჟიმისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების თაობაზე.

### ეს მნიშვნელოვანია!



ყოველდღე დაიბანეთ ტანი თბილი წყლით. ყურადღება მიაქციეთ ხელებისა და ფრჩხილების სისუფთავს. კანის ღია უბნები განსაკუთრებით ექვემდებარება დაბინძურებას. ჭუჭყში არსებული მიკრობები შეიძლება საკვებთან ერთად ხელიდან პირში მოხვდეს, რაც გამოიწვევს დიზენტერიას.

ტერმინი დიზენტერია ძველმა ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ შემოიღო. ბერძნულად „დიზ“ დარღვევას, აშლილობას ნიშნავს, ხოლო „ენტერონ“ – ნაწლავს. დიზენტერია ინფექციური დაავადებაა, მისი დამახასიათებელია საერთო ინტოქსიკაცია (მოწამვლა), ტემპერატურის მომატებით, მსხვილი ნაწლავის დაზიანებით, სისხლიანი დიარეით. **მას ასევე ჭუჭყიანი ხელების დაავადებასაც უწოდებენ, რადგან დაავადების ალბათობა იმატებს პირადი ჰიგიენის დაუცველობის შემთხვევაში.**


კანი ორგანიზმს იცავს გარემოს შესაძლებელი ზემოქმედებისგან, ამიტომ სისუფთავის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დამცველობითის

გარდა, მას აქვს: თერმორეგულაციის, ცვლითი, იმუნური, სეკრეტორული, რეცეპტორული, სასუნთქი და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები. საავტომობილო გზის მშენებელმა უნდა შეასრულოს პირადი ჰიგიენის პროცედურები – დაიბანოს ხელები და სახე თბილი წყლითა და საპნით. ადამიანის კანიდან კვირის განმავლობაში გამოიყოფა 300 გრამამდე ცხიმი და 7 ლიტრამდე ოფლი. კანის დამცველობითი ფუნქცია რომ არ დაირღვეს, აუცილებელია ამ გამონაყოფის რეგულარული ჩამოხანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანზე იქმნება მიკრობების, სოკოებისა და სხვა მავნე მიკროორგანიზმების გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობები.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ დასაქმებულმა გაასუფთაოს შრომის იარაღები, მოწყობილობები და განათავსოს ისინი დანიშნულ ადგილას. მოიყვანოს წესრიგში სამუშაო ადგილი. დაფაროს თხრილები და ჭები ფარებით, შემოღობოს და მიიღოს ჩავარდნის საწინააღმდეგო ზომები იმ ადგილებში, სადაც ადამიანებისა და ცხოველების ჩავარდნაა შესაძლებელი. ხელსაწყოების ყველა სახის გაუმართაობა უნდა ეცნობოს სამუშაოს მწარმოებელს ან უსაფრთხოების სპეციალისტს.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მუშაკმა უნდა გაიხადოს დამცავი სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და უსაფრთხოების მოწყობილობები, განმინდოს ისინი მტვრისა და სხვა სახის ჭუჭყისგან. დამცავი ტანსაცმელი და სხვა პირადი დამცავი მოწყობილობა უნდა განთავსდეს მათი შენახვისთვის განკუთვნილ ადგილას.

სმენის ორგანოების დამცავი ყურსასმენები რეგულარულად უნდა გასუფთავდეს. სმენის ორგანოების დამცავი საცობები უნდა გამოიცვალოს შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით. ოტოპლასტმასები უნდა დასუფთავდეს მწარმოებლის მითითების შესაბამისად.





## კოლექტიური დაცვის საშუალებები


### ► დამცავი ბადეები

სამშენებლო ბადე გამოიყენება როგორც ფარდა სამშენებლო ობიექტის უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით, მაღალსართულიანი ობიექტებისთვის. სამშენებლო ბადეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს:

- **უსაფრთხოება** – მან უნდა შეაკავოს მშენებლობის პროცესში სამშენებლო ტერიტორიიდან და ხარაჩოებიდან სამშენებლო ნარჩენების, მასალისა თუ იარაღების გადმოცვენა და დაიცვას როგორც მუშები, ასევე მესამე პირ(ებ)ი ჩამოვარდნილი საგნებისაგან;
- სამშენებლო ობიექტის დაუსრულებელი ფასადის დაცვა ატმოსფერული ნალექისა და მზის სხივების უარყოფითი ზემოქმედებისგან;
- მშენებლობის პროცესში მიმდებარე მიწის ნაკვეთებისა და ქუჩების დაცვა დაბინძურებისგან, აგრეთვე ამ ქუჩების გზის საფარის დაცვა დაზიანებისგან.

### ► პოლიეთილენის ბადე და მისი მახასიათებლები

სამშენებლო ობიექტების „შესაფუთად“ დღეს ძალიან პოპულარულია პოლიეთილენის ბადე. პოლიეთილენის ბადე იქსოვება მაღალი სიმტკიცის მქონე პოლიეთილენის ძაფებისგან. მას განსაკუთრებული სპეციფიკური მახასიათებლები აქვს:




- ა) უძლებს ულტრაიისფერ სხივებს; ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგან ღია ცის ქვეშ მუშაობის პროცესში შეიძლება განსაკუთრებულ საფრთხეს იწვევდეს პირდაპირი მზის სხივები. დამცავ ბადეს კი მათი ზემოქმედების ნეიტრალიზება შეუძლია;



- ბ) კარგად ატარებს ჰაერსა და სინათლეს, რაც კომფორტულ გარემოს ქმნის სამუშაოების წარმოებისთვის;
- გ) მექანიკური დაზიანების გამო განყვეტის შემთხვევაში, კვანძოვანი ნაქსოვი უზრუნველყოფს, რომ ეს დაზიანება დანარჩენ ფართობზე არ გავრცელდეს;
- დ) არ არის ტოქსიკური;
- ე) გამოიყენება მრავალჯერადი მოხმარებისთვის;
- ვ) მსუბუქია, თუმცა უძლებს დიდ დატვირთვას;
- ზ) მჭიდროდ ნაქსოვია და მტვრის უწვრილეს ნაწილაკებსაც აკავებს;
- თ) გამორიცხულია კოროზიის განვითარება;
- ი) არ ქმნის საფრთხეს გარემოსთვის.

► **სამშენებლო ბადის მონტაჟი**

ფასადზე დამცავი ბადის „ჩამოფარება“ გაცილებით რთული პროცესია, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. თუკი მონტაჟი ხარისხიანად შესრულდება, სამშენებლო ბადემ შენობა შეიძლება რამდენიმე წელიც კი საგულდაგულოდ დაიცვას.



სწორი მონტაჟისთვის აუცილებელია, რომ:

- ა) ბადე ყველა მხრიდან საიმედოდ იყოს დამაგრებული, რათა ქარმა არ გაგლიჯოს;
- ბ) ბადის ყველაზე ფართო რულონი 4 მეტრია, ამიტომ მათი ერთმანეთზე გადაკერებაა საჭირო;
- გ) ერთმანეთზე უნდა გადაკერდეს მჭიდროდ, რათა ქარმა არ გახიოს, და ასევე ფრთხილად, რათა გადაკერებისას არ გაიხეს.

სამონტაჟო სამუშაოებს, უმეტეს შემთხვევაში, სამრეწველო ალპინისტები ასრულებენ.

## ► დამცავი მოაჯირი



სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის დადგენილება №477, 2017 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი) განსაზღვრავს დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებს. იხ. თავი – სიმაღლეზე მუშაობა.



## სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენება

ქართული კანონმდებლობა სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენების თაობაზე მწირ ინფორმაციას იძლევა და, როგორც წესი, დამსაქმებელს არ აქვს საშუალება, მიიღოს ზუსტი ინსტრუქციები აღჭურვილობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროდირექტივების ქართულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოიცავს ამ მიმართულებით დირექტივას, მისი ტრანსპოზიციის კი 2022 წლამდე უნდა მოხდეს. გავეცნოთ ძირითად მოთხოვნებს.

დამსაქმებელმა უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამუშაო აღჭურვილობა, რომლებსაც დასაქმებულები და სხვა მუშები იყე-

ნებენ სამუშაო ადგილზე, შეესაბამებოდეს შესასრულებელ სამუშაოს, ან შესაბამისად იყოს მორგებული ამ მიზანს და რომ ამ ალტერნატივის გამოყენება დასაქმებულებს მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე შეეძლოთ.

დამსაქმებელმა სამუშაო ალტერნატივის შერჩევას, რომლის გამოყენებასაც სამუშაოების შესასრულებლად იგი აპირებს, ყურადღება უნდა მიაქციოს სამუშაო ადგილზე არსებულ სპეციფიკურ სამუშაო პირობებს და მის მახასიათებლებს, ასევე არსებულ საფრთხეებს, რომლებიც სამუშაო ადგილზე მყოფი თანამშრომლებისა და სხვა პირების უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობას ემუქრება; მან ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს ნებისმიერ სხვა საფრთხეს, რომელიც ამ კონკრეტული სამუშაო ალტერნატივის გამოყენებით წარმოიშობა.

იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულების მიერ სამუშაო ალტერნატივის გამოყენებისას მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მთლიანად დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია, დამსაქმებელმა რისკების მინიმუმამდე დაყვანისთვის უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები.

### ► **სამუშაო ალტერნატივასთან დაკავშირებული ნესები**

დამსაქმებლის მიერ დასაქმებულებისა და სხვა მუშებისთვის სამუშაო ადგილზე გამოყოფილი ყველა სამუშაო ალტერნატივა უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ მოთხოვნებს, ასევე, მანქანა-დანადგარებისა და სხვა ტექნიკური მოწყობილობების შესაბამისობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, შესაბამის ტექნიკურ ნორმებსა და სტანდარტებს.

დამსაქმებელმა სამუშაო ალტერნატივას თან უნდა დაურთოს თანმდევი დოკუმენტაცია ქართულ და დასაქმებულებისთვის გასაგებ სხვა ენებზე, რომელშიც მოცემული იქნება ამ ალტერნატივის გამოყენებასთან, ექსპლუატაციასთან, მოვლასა და რემონტთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი მონაცემი და მოთხოვნა.

დამსაქმებლის მიერ გამოყოფილი ალტერნატივა, მათ შორის ხელსაწყოები, ძრავით ან ძრავის გარეშე:

- უნდა იყოს სწორად დამონტაჟებული და გამოყენებული;
- უნდა იმყოფებოდეს კარგ სამუშაო მდგომარეობაში;
- უნდა ემსახუროდეს შესაბამისად მომზადებული დასაქმებულები და სხვა პირები;

- უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ დანიშნულებისამებრ;
- უნდა იქნეს გამოყენებული მე-2 დანართში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.

### ► სამუშაო აღჭურვილობის შემოწმება

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოება მისი სწორად დამონტაჟების პირობებზეა დამოკიდებული, დამსაქმებელმა შესაბამისი კომპეტენტური პირების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს:

- ა) აღჭურვილობის მონტაჟის შემდეგ (ექსპლუატაციაში პირველად გაშვებამდე) მისი თავდაპირველი ინსპექტირება;
- ბ) სამუშაო აღჭურვილობის ინსპექტირება მას შემდეგ, რაც მისი სხვა სამუშაო ადგილას გადატანის ან ადგილმდებარეობის შეცვლის შედეგად განხორციელდა მისი ახალ ადგილზე მონტაჟი.

იმ შემთხვევაში, თუ აღჭურვილობა ისეთ გარემო პირობებშია, რომლებსაც მისი გამართული ექსპლუატაციის გაუარესება და, შესაბამისად, სახიფათო სიტუაციების გამონვევა შეუძლიათ, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) პერიოდული შემოწმება და ტესტირება კომპეტენტური პირების მიერ აღჭურვილობის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად მისი უსაფრთხო ოპერირების უზრუნველსაყოფად.
- ბ) აღჭურვილობის სპეციალური შემოწმება კომპეტენტური პირების მიერ, როდესაც იქმნება განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც საეჭვოს ხდის სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაციას, როგორებიცაა: რეკონსტრუქცია და წარმოების პროცესებში განხორციელებული სხვა ცვლილებები, აღჭურვილობის მოდიფიკაცია, ავარიები, ბუნებრივი მოვლენები ან უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდი და სხვ.

თუ კანონმდებლობით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული, ზემოთ მოცემულ პარაგრაფებში ნახსენები შემოწმება დამსაქმებლის მიერ დაქირავებულმა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებმა უნდა განახორციელონ. შემოწმების შედეგები აღრიცხული და შენახული უნდა იყოს, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდეს მათი კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდება. თუ არსებული კანონმდებლობის იურიდიული დებულებები სხვა რამეს არ ითვალისწინებს, აღნიშნული ჩანაწერები უნდა იქნეს შენახული:

- ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმებისათვის კონკრეტული აღჭურვილობის მთელი საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში;

ბ) მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შემონმებისათვის მინიმუმ 5 წლის განმავლობაში.

როდესაც სამუშაო აღჭურვილობის გამოყენება სანარმოს ფარგლებს გარეთ ხდება, მას თან უნდა ახლდეს მისი ბოლო შემონმების შედეგების ამსახველი ან ამ შემონმებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

### ▶ სპეციფიკური რისკების შემცველი სამუშაო აღჭურვილობა

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო აღჭურვილობა დასაქმებულების ან სხვა მუშების უსაფრთხოებასა თუ ჯანმრთელობას კონკრეტული რისკების ქვეშ აყენებს, დამსაქმებელმა აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

- ა) სამუშაო აღჭურვილობას მხოლოდ ის პირები იყენებდნენ, რომლებსაც მისი გამოყენება ევალებათ;
- ბ) გამოყენებული აღჭურვილობის მონტაჟის, დემონტაჟის, ცვლილების, რეგულირების, მოვლის, მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდნენ კვალიფიცირებული და კონკრეტულად ამ მოვალეობების შესრულებისთვის დანიშნული პირები.



## ერგონომიკა და შრომის პიგიენა

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით დამსაქმებელმა სრულად უნდა გაითვალისწინოს სამუშაო ადგილის ორგანიზებისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისას ერგონომიკული პრინციპების მოთხოვნები, მათ შორის, მუშაობის შესაფერისი პოზა. დამსაქმებელი უნდა დააკვირდეს მანქანა-დანადგარის უსაფრთხოების პასპორტში არსებულ ჩანაწერს ერგონომიკასთან დაკავშირებით.

### ▶ დასაქმებულებისა და სხვა მუშების ინფორმირება

1. დამსაქმებელმა დასაქმებულებისა და სხვა მუშების ინფორმირება უნდა მოახდინოს სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი წერილობითი ინსტრუქციების მიწოდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და წერილობითი ინსტრუქციები უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაციას:
  - ა. სამუშაო აღჭურვილობის გამოყენების პირობები;
  - ბ. გაუთვალისწინებელი სიტუაციები და მოსალოდნელი რისკები;
  - გ. სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისთვის დაწესებული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები;
  - დ. სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისას მიღებული გამოცდილების შედეგად გამოტანილი დასკვნები (სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს).
3. აღნიშნული ინფორმაცია და წერილობითი ინსტრუქციები ნათელი და ადვილად გასაგები უნდა იყოს შესაბამისი დასაქმებულებისა და სხვა მუშებისთვის.
4. დასაქმებულებსა და სხვა მუშებს უნდა ეცნობოთ მათ წინაშე მდგარი იმ რისკების შესახებ, რომლებიც სამუშაო ადგილზე არსებულ სამუშაო აღჭურვილობასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, მათ უნდა ეცნობოთ ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომლებიც მათზე ზეგავლენას ახდენს (თუ აღნიშნული ცვლილებები მათ ახლოს მდებარე სამუშაო აღჭურვილობას ეხება), მაშინაც კი, თუ ისინი აღნიშნულ აღჭურვილობას პირდაპირ არ იყენებენ.

### ► **თანამშრომლებისა და სხვა პირთა სწავლება**

დამსაქმებელმა დასაქმებულებსა და სხვა მუშებს, რომლებსაც სამუშაო აღჭურვილობის გამოყენება ევალებათ, უნდა ჩაუტაროს ადეკვატური სწავლება. სწავლება უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო რისკის ფაქტორს.

აუცილებელი სპეციფიკური სწავლება უნდა ჩაუტარდეთ ისეთ დასაქმებულებს და სხვა მუშებს, რომლებსაც სამუშაო აღჭურვილობის რემონტი, გამოცვლა, მოვლა და მომსახურება ევალებათ, რაც სპეციფიკურ რისკებთან არის დაკავშირებული.

### ► **დასაქმებულების კონსულტირება და დასაქმებულთა მონაწილეობა**

დასაქმებულების და/ან მათი წარმომადგენლების კონსულტირება და მათი ჩართულობა სამუშაო აღჭურვილობის შერჩევისა და გამოყენების პროცესში, ასევე ინფორმაციის მიწოდების, სწავლებისა და ამ რეგლამენტით დაფარულ სხვა საკითხების პროცესში უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

## ► მინიმალური მოთხოვნები სამუშაო აღჭურვილობისადმი

სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკონტროლო მონაცემები, უსაფრთხოების ნიშნების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, უნდა იყოს თვალსაჩინო, იდენტიფიცირებადი და, შესაბამისად, ნიშანდებული (მარკირებული).

თუ ეს აუცილებელი არ არის, მაშინ კონკრეტული და ზოგადი საკონტროლო მონაცემები სახიფათო ზონების გარეთ უნდა მდებარეობდეს და ისეთნაირად უნდა განლაგდეს, რომ მათი ოპერირებით არ წარმოიქმნას რაიმე დამატებითი საფრთხე. აუცილებლობის შემთხვევაში მთავარი საკონტროლო ადგილმდებარეობიდან ოპერატორს უნდა შეეძლოს იმის დანახვა და უზრუნველყოფა, რომ სახიფათო ზონებში არავინ არ იმყოფებოდეს. თუ ეს შეუძლებელია, მანქანადანადგარის ამუშავების წინ გამოყენებული უნდა იყოს ხმოვანი სიგნალი და/ან გამაფრთხილებელი ხილული სიგნალი. საფრთხის ქვეშ მყოფ დასაქმებულსა და სამუშაო ადგილზე მყოფ ნებისმიერ სხვა პირს უნდა ჰქონდეს დრო და საშუალება, სწრაფად აიცილოს სამუშაო აღჭურვილობის ამუშავებით ან შეჩერებით გამონვეული საფრთხე.

საკონტროლო სისტემები უნდა იყოს უსაფრთხო და უზრუნველყოფდეს ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი დეფექტებისას, შეფერხებებისა და შეზღუდვებისას ფუნქციონირებისთვის მზადყოფნას.

სამუშაო აღჭურვილობის ამუშავება მხოლოდ გამიზნული ქმედებებითა და უსაფრთხოების კონტროლის სისტემის გამოყენებით უნდა მოხდეს.

იგივე მოთხოვნები ეხება:

- ა) აღჭურვილობის თავიდან ამუშავებას/გადატვირთვას, მას შემდეგ, რაც იგი ნებისმიერი მიზეზით გაჩერდება;
- ბ) საექსპლუატაციო პირობების (სიჩქარე, წნევა და ა.შ.) მნიშვნელოვანი ცვლილების კონტროლისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გადატვირთვა ან ცვლილება დასაქმებულებსა და სხვა პირებს რაიმე სახის საფრთხის წინაშე არ აყენებს.

ეს მოთხოვნა არ ეხება დანადგარის ისეთ გადატვირთვას ან მისი საოპერაციო პირობების ცვლილებას, რომელიც ავტომატური დანადგარის ნორმალური ექსპლუატაციის ციკლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ყველა სამუშაო აღჭურვილობას ისეთი საკონტროლო მონაცემები უნდა ჰქონდეს, რომელსაც მისი სრულად და უსაფრთხოდ გაჩერება შეუძლია.

თითოეული სამუშაო ადგილი ისეთი საკონტროლო სისტემით უნდა იყოს აღჭურვილი, რომელსაც, საფრთხის სახეობიდან გამომდინარე, სამუშაო აღჭურვილობის ნაწილობრივ ან მთლიანად გათიშვა შეუძლია. აღჭურვილობის გამთიშავ საკონტროლო სისტემებს მისი გაშვების საკონტროლო სისტემების გაკონტროლების საშუალება უნდა ჰქონდეს. მას შემდეგ, რაც სამუშაო აღჭურვილობა ან მისი საფრთხის შემცველი ნაწილები გაითიშება, აღნიშნული მექანიზმების ელექტროენერგიით მომარაგება უნდა შეწყდეს.

აღჭურვილობის საფრთხეებიდან გამომდინარე და მისი ჩვეულებრივი გათიშვისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, სამუშაო აღჭურვილობას უნდა ჰქონდეს ავარიული გათიშვის მოწყობილობა.

დეტალების ჩამოვარდნისა და გამოტყორცნის საშიშროების მქონე სამუშაო აღჭურვილობას უნდა ჰქონდეს რისკის შესაბამისი უსაფრთხოების დამცავი მოწყობილობები. ისეთ სამუშაო აღჭურვილობას, რომელიც წარმოადგენს აირების, ორთქლის, სითხეების ან მტვრის გამოყოფის წყაროს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი შემაკავებელი და/ან გამწოვი მოწყობილობები – ეს მოწყობილობები უნდა მდებარეობდეს რისკების წყაროებთან ახლოს.



# ყველაზე გავრცელებული შრომის უსაფრთხოების შეუსაბამობები საშენობლო სექტორში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2015-2020 წლების ანგარიშის მიხედვით, სამშენობლო სექტორში ყველაზე ხშირად გავრცელებულია შემდეგი სახის შეუსაბამობები:

- **არ ხდება რისკების შეფასება**

რისკების შეფასება – ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას; არის გამოვლენა იმ ფაქტორებისა, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს თანამშრომელთა დაზიანება ან დასწეულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას; რისკების შეფასება მენეჯმენტის მართვის ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომელიც საშუალებას იძლევა, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ეფექტურად მართვის გზით შეამციროს პოტენციურ ჯარიმებსა და დაშავებული თანამშრომლების საჩივრებთან დაკავშირებული ასანაზღაურებელი ხარჯები, აამაღლოს დამსაქმებლის რეპუტაცია, იზრუნოს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, უფრო პროდუქტიული და ბედნიერი გახადოს მუშახელი. რისკების შეფასება არის საშუალება, დარწმუნდეს დამსაქმებელი, რომ სამუშაოსთან დაკავშირებული სერიოზული რისკების მართვა ხდება რენტაბელი კონტროლის მექანიზმების მეშვეობით.

- **შეუსაბამო მოაჯირები;**
- **არაქარხნული ხარაჩოები;**
- **უსაფრთხოების ბადეების გამოუყენებლობა;**
- **კუსტარული კიბეები;**

- დაუცველი ღიობები;
- საშიში ზონების იგნორირება;
- ამნის მოუწყობელი კაბინა;
- საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის უქონლობა;
- დაუცველი ელექტროუსაფრთხოება;
- მაფრთხილებელი ნიშნების უგულებელყოფა;
- დასაქმებულები სამუშაო პროცესისას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობენ.

ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელი აძლევს დასაქმებულს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, თუმცა დასაქმებულები არ იყენებენ. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მოუხერხებელია, ხელს უშლით გამოყენება, ასევე მათი დიდი ნაწილი არის შეუსაბამო შესასრულებელ სამუშაოსთან. ნაწილი ამბობს, რომ არ ხდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე კონტროლი და ამიტომ არ ატარებს;

- **სწავლება/ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩაუტარებლობა**  
ინსტრუქტაჟებსა და სწავლებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხო მუშაობის პროცედურებში, ის რისკის კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. უსაფრთხო მუშაობის სტანდარტები და წესები შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სამუშაო ისე, რომ რისკის დონე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. საწარმოთა დიდ ნაწილში დასაქმებულები ინსტრუქტაჟებს არ იცნობენ, ან ჟურნალებში უბრალოდ ხელმოწერები არსებობს, მაგრამ რა თემაზე და ვინ ჩაატარა სწავლება, უცნობია;
- **ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ თრობაზე უკონტროლობა**, რაც ხშირად საწარმოო ინციდენტის მიზეზი შეიძლება იყოს;
- **არ ხდება უბედური შემთხვევების აღრიცხვა, მოკვლევა და ანალიზი**, რაც შემდგომ საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევები;
- **პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების უგულებელყოფა;**
- **მანქანა-დანადგარების/ტექნიკური აღჭურვილობის უკონტროლობა.** საწარმოებში გვხვდება ისეთი მანქანა დანადგარები, მათ შორის ამავე მექანიზმები, რომელთაც არ აქვს მწარმოებლის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი, ან ტექნიკურად გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულები არ ჰყავთ დაზღვეული უბედური შემთხვევის დაზღვევით;
- ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების დაურეგისტრირებლობა.

# მოსამზადებელი, ძირითადი და დამხმარე სამშენებლო სამუშაოები

მშენებლობა დინამიკური პროცესია, რომელიც ათასობით რთული პროცესის შესრულებას მოითხოვს და ხასიათდება სპეციფიკურ თავისებურებათა მთელი რიგით. მშენებლობა იყოფა სამ ეტაპად: მოსამზადებელი სამუშაოები, ძირითადი სამუშაოები და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სამშენებლო პროცესების წარმოების სხვადასხვა ეტაპზე უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის №361 დადგენილებით „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. ეს დოკუმენტი ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ



სამშენებლო ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე: ორგანიზების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციის, ელექტრო- და აირსაშემდუღებლო, დატვირთვა-დაცლის, საიზოლაციო, მიწის, ბეტონისა და რკინაბეტონის, სამონტაჟო, სადემონტაჟო და სხვა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს.

## **ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.**

### **ტექნიკური რეგლამენტის 1-ლი მუხლის მიხედვით:**

- სამშენებლო ობიექტზე რამდენიმე ორგანიზაციის ერთდროულად მუშაობისას მშენებლობის უსაფრთხოების საკითხი განხილულ უნდა იქნეს ერთობლივად და შეთანხმდეს ძირითად კონტრაქტორ ფირმასთან, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – დამკვეთთან;
- მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხურეთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით;
- მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები;
- სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა;
- სათავსები, სადაც წარმოებს მტვრისებრ მასალებთან მუშაობა, ასევე, სამსხვრევ, საფეკავ და გასაცრელ მანქანებთან მუშაობის ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემებით ან განიავებით, ხოლო მუშები მუშაობისას უნდა იყენებდნენ რესპირატორებს;
- მტვრისებრი მასალები უნდა ინახებოდეს დახურულ საცავებში ან სათავსებში. დატვირთვა-დაცლის სამუშაოთა წარმოების დროს უნდა იქნეს მიღებული ზომები მათი გაფანტვისა და გამტვრვის თავიდან ასაცილებლად;
- მავნე ან აფეთქებასაშიში გამხსნელი მასალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ჰერმეტიკულად დახურულ ტარაში.

## დაიმახსოვრეთ!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიეწოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*



## სამშენებლო მოედნის ორგანიზება

მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს მოედნის მომზადებას: მოედნის შემოღობვას, კომუნიკაციების მიყვანას, დროებითი გზების მიყვანას, მოედნის გასუფთავებას ნარგავებისაგან, ჰუმუსის ფენის მოხსნას, გრუნტის წყლების არსებობის შემთხვევაში გრუნტის წყლის დონის დაწვეას, დამხმარე ნაგებობების აგებას და სხვ.



**„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N2361 დადგენილების მე-2 მუხლში განსაზღვრულია სამშენებლო მოედნის მომზადების უსაფრთხოების ნორმები:**

- სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება.
- სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი სანარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა

უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია.

- ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით, ან უნდა იყოს შემოღობილი. ლიფტების შახტები, კიბეების უჯრედები და სხვა ღიობები, სადაც მოსალოდნელია ადამიანთა მოხვედრა, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით, ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით, ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში.
- ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული.
- სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.
- მავნე აირების წარმოქმნისას სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ სამუშაო ადგილის განიავების ან მომუშავეთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.
- ჭებში, შურფებში ან დახურულ სათავსებში, სადაც არსებობს გაზების დაგროვების საშიშროება, სამუშაოები უნდა შესრულდეს აირწინაღების გამოყენებით.
- ერთ ვერტიკალზე სამუშაოთა შეთავსების შემთხვევაში, ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები დაცული უნდა იყოს სათანადო დამცავი საშუალებებით (ფენილი, ბადე, საფარი).
- მდინარეებზე, ტბებსა და წყალსაცავებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისას მოწყობილ უნდა იქნეს სამაშველო სადგური ან საგუშაგო. სამუშაოთა წარმოების ყველა უბანი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყალზე მაშველი საშუალებებით.
- მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჩამოცვენისა და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.





## დამხმარე სივრცეები მშენებლობებზე

შესვენების ოთახები (დამხმარე სივრცეები) შესაძლებელია იყოს ოთახები ან სივრცეები სამშენებლო ვაგონებში, კონტეინერებსა თუ არსებულ შენობებში. შესვენების ოთახები უნდა განთავსდეს უსაფრთხო ზონებში.



### **საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებაში – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ – განსაზღვრულია დროებითი შენობებისა და ნაგებობების შესახებ შემდეგი პირობები:**

- ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული დროებითი ნაგებობები უნდა განთავსდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით განსაზღვრული ვადით.
- საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.
- საზოგადოებრივ ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

- სამშენებლო მოედანზე მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შესაბამისად განსაზღვრული მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების ვადა განისაზღვრება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტით.



## სამოძრაო (დროებითი) გზები მშენებლობებზე

სატრანსპორტო პროცესები დაკავშირებულია სამშენებლო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობების მოპოვების (კარიერები) ან დამზადების ადგილიდან სამშენებლო მოედანამდე გადასაადგილებლად. ამისათვის იყენებენ არსებულ გზებს. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება დროებითი გზების მოწყობა. ცუდად დაგებულმა ან არასათანადოდ უზრუნველყოფილმა სამოძრაო გზებმა შესაძლებელია, შექმნას წაბორძიკების, ასრიალების, დაცემისა და გადმოვარდნის საშიშროება.



საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ – მიხედვით, სამშენებლო მოედნის ორგანიზებისას შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას.

## საქართველოს მთავრობის №450 დადგენილების – „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით:

- საავტომობილო გზების გეგმა და პროფილი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.
- გზებისათვის მიწის ვაკისი უნდა გაკეთდეს მტკიცე გრუნტისაგან. დაუშვებელია ნაყარისათვის ტორფის, კორდებისა და მცენარეული ნარჩენების გამოყენება.
- გზის სავალი ნაწილის სიგანე დადგენილ უნდა იქნეს პროექტით მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, ავტომობილებსა და ავტომატარებლების ზომებიდან გამომდინარე.
- ტრანშეაში დროებითი შესასვლელი ისე უნდა მოეწყოს, რომ მის გასწვრივ ტრანსპორტის მოძრაობისას თავისუფალი გასასვლელის სიგანე იყოს, სულ ცოტა, 1,5 მ.
- გზის გაჭიანურებული 0,06-ზე მეტი ქანობისას ყოველ 600 მ-ში მაინც უნდა მოეწყოს ჰორიზონტალური მოედნები 0,02 ქანობით და არანაკლებ 50 მ სიგრძით.
- დატვირთვის ადგილები, ვირაჟები, კაპიტალური ტრანშეები და მცოცავი ჩასასვლელები, აგრეთვე შიგასაკარიერო გზები (მოძრაობის ინტენსიურობის მიხედვით) სიბნელეში უნდა განათდეს.
- ზამთარში საავტომობილო გზები სისტემატურად უნდა გაინჰინდოს თოვლისა და ყინულისაგან, დაიყაროს ქვიშა, წიდა ან წვრილი ღორღი.
- საავტომობილო გზები უნდა გაინჰინდოს და შემოწმდეს ინსტრუმენტებით პროექტთან მისი შესაბამისობა. მათი განმენდის, შემოწმების, შენახვის წესსა და ვადას განსაზღვრავს სანარმოს ხელმძღვანელი.



## მიწის სამუშაოები

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას მიწის სამუშაოების მოცულობა, როგორც ღირებულებით, ასევე შრომატევადობით დიდია. გრუნტების დამუშავებისას სრულდება მოსამზადებელი და ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელი პროცესებია: გრუნტის წყლების დონის დაწვევა, გრუნტების გამაგრება, მიწის ნაგებობების დაკვალვა ადგილზე, ქვაბულებისა და ტრანშეების კედლების დროებითი გამაგრება, მისასვლელი გზების გაყვანა და სხვ.

ძირითადი პროცესებია: გრუნტების დამუშავება ქვაბულებსა და ტრანშეებში, ყრილებში გრუნტების ჩალაგება (ჩანყობა), გრუნტის ფენებად გაშლა და დატ-

კეპნა, გადაადგილება სამშენებლო მოედნის ფარგლებში, გრუნტის ტრანსპორტირება მოედნის გარეთ და სხვ.



„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-6 მუხლში განსაზღვრულია მიწის სამუშაოების უსაფრთხოების ნორმები:

მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები.



მიწის სამუშაოების წარმოება



აფეთქებით გრუნტის დამუშავება

მინისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მინის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით, ხოლო მოქმედი კაბელის ან გამსადენის განლაგების ზონაში მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, – ქსელების ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობით.

აფეთქებით გრუნტის დამუშავებისას დაცული უნდა იყოს საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

### დაიმახსოვრეთ!



#### **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:**

დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვროს ეს რისკი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე; თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;
- საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებსა და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს.

**სამშენებლო სამუშაოებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის მიხედვით:**

- მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მიწის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით, ხოლო მოქმედი კაბელის ან გაზსადენის განლაგების ზონაში მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში – ქსელების ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობით.
- აფეთქებით გრუნტის დამუშავებისას დაცული უნდა იყოს საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების სიახლოვეს, აგრეთვე, ფეთქებადი მასალების აღმოჩენის ან ნიადაგის პათოგენური მონამვლის ადგილებში, ბურღვისა და შენობა-ნაგებობების საძირკვლების (ფუძეების) სამუშაოთა შესრულება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.
- საბურღი კოშკისა და ურნალის კონსტრუქციების აწვევამდე ყველა მათი ელემენტი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.
- საბურღი კოშკისა და ურნალის ტექნიკური მდგომარეობა (კვანძების დამაგრების საიმედოობა, კავშირებისა და მუშა ფენილების გამართულობა) უნდა შემოწმდეს ყოველი ცვლის დაწყების წინ.
- საბურღი კოშკისა და ურნალის ამოქმედებამდე უნდა მოხდეს ობიექტზე მყოფთა გაფრთხილება.
- საბურღი ინსტრუმენტის გამოყენება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით.
- ურნალის გადაადგილება ძირს დაშვებული უროთი უნდა განხორციელდეს მოსწორებულ მოედანზე. ურნალის გადაადგილების ლიანდაგის გზის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ყველა ცვლის დაწყების წინ.
- გრუნტში ჩასობილი ხიმიწვის გადაჭრისას უნდა იქნეს მიღებული მოჭრილი ნაწილის უკონტროლო ვარდნის საწინააღმდეგო ზომები.
- მცურავი ურნალით ხიმიწვის ჩასობის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი დამაგრება ნაპირთან ან ფსკერზე ღუბით, აგრეთვე, კავშირი ნაპირთან მორიგე საცურაო საშუალებებით ან ფეხით სასიარულო ხიდით. დაუშვებელია ხიმიწვის ჩასობის სამუშაოთა შესრულება მდინარეებზე და წყალსატევებში 2 ბალზე მეტი ღელვის დროს. ვიბროჩამშვებით ხიმიწვის ჩასობის დროს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი როგორც ვიბროჩამშვებისა და ხიმიწვის თავსაცმის მჭიდრო და საიმედო შეერთება, ისე ვიბროჩამშვების ბაგირების თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა.

- მინისტრებმა სამუშაოთა წარმოების დროს ყველა უბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო ინსტრუმენტების, მასალების, ხანძრის ჩასაქრობი საშუალებების მარაგით.
- ჭაურის გაყვანისას სანგრევში მყოფი მუშები ზემოდან საგნის ვარდნისაგან დაცული უნდა იყვნენ სპეციალური დამცავი ფარით.
- მინისტრებმა სამუშაოთა წარმოებისას გამოყენებული ყველა ელექტრომონტობილობა, აფეთქებასაშიში პირობების არსებობისას, დამზადებული უნდა იყოს არაფეთქებადი მასალისაგან.
- შახტებისა და გვირაბების მუშა და ავარიული ელექტროგანათება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა დენის წყაროდან.
- შახტისა და გვირაბების გაყვანისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი ვენტილაცია შედუღებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისგან დასაცავად.
- დანების მეთოდით მილის ჰორიზონტალური გაყვანის დროს მილის შიგნით გრუნტის ხელით დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოირიცხულია სანგრევში გაზის ან წყლის მოდინება. მილში მყოფ მუშებთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორმხრივი კავშირი.

### **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მიხედვით:**

**დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიენოდოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:**

- პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, ასევე დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენაზე, და მათგან თავის დაცვის მექანიზმებზე;
- რისკებზე, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, ასევე რისკების შედეგების შეფასებაზე, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებზე;
- საგანგებო სიტუაციებზე, საევაკუაციო გეგმებსა და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებზე, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;
- აკრძალვებზე, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში შესვლასთან, იქ ყოფნასა და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

- გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებზე.
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმებისა და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
- სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ.

სწავლება-ტრენინგები ტარდება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ სამუშაო საათების პროპორციულად. მიწის ნაგებობები არის დროებითი და მუდმივი. დროებითი ნაგებობებია: ქვაბულები, ტრანშეები, თხრილები (საძირკვლების მოწყობისთვის). მუდმივი ნაგებობებია: დამბები, კაშხლები (მიწის), არხები, გზების ვაკისები და სხვ. ჭები, შურფები. ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით, ან უნდა იყოს შემოღობილი.



უსაფრთხოების ნორმების დარღვევა სამშენებლო მოედანზე

### **გერმანული გამოცდილების მიხედვით რეკომენდებულია!**

- ტრანშეების შემთხვევაში, რომელთა სიგანე აღემატება 0,80 მ-ს, აუცილებელია გადასასვლელები; გადასასვლელები მინიმუმ 0,50 მ სიგანის უნდა იყოს.
- 1,00 მეტრზე ღრმა ტრანშეების შემთხვევაში, გადასასვლელები უზრუნველყოფილ უნდა იყოს ორმხრივი სამხანაილიანი გვერდითი დაცვით.
- 1,25 მეტრზე ღრმა ტრანშეების მისადგომად გამოიყენეთ საფეხურები ან მისადგამი კიბეები.





ტრანშეა



ქვაბული

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №100 ბრძანების – „ენერგეტიკაში ენერგობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ – მიხედვით, მე-4 თავის 44-ე მუხლში განსაზღვრულია მიწის სამუშაოების უსაფრთხოების წესები, კერძოდ:**

1. კაბელის რემონტთან ან გაყვანასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები მიწის ქვეშა ნაგებობებისა და კომუნიკაციების განლაგების ზონაში უნდა წარმოებდეს სამუშაოს ხელმძღვანელის დანიშვნით და ამ კომუნიკაციებისა და ნაგებობების მფლობელის ან ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი სანარმოს ხელმძღვანელობის წერილობითი ნებართვით. ნებართვას უნდა დაერთოს გეგმა, რომელშიც აღნიშნული იქნება კომუნიკაციების განლაგების სიღრმე, გეგმასა და, აგრეთვე, სამუშაოების წარმოების ადგილებზე შესაბამისი ნიშნებით ან წარწერებით აღნიშნული უნდა იყოს მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობა.
2. გეგმებში არარსებული კაბელების, მილსადენების, მიწისქვეშა ნაგებობების, აგრეთვე საბრძოლო მასალების აღმოჩენისას მიწის სამუშაოები უნდა შეწყდეს, სანამ არ დადგინდება მათი მფლობელი და მათგან არ იქნება მიღებული მუშაობის გაგრძელების ნებართვა.
3. აკრძალულია დარტყმითი მოქმედების მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება კაბელების ტრასიდან 5 მ-ზე ახლოს, ხოლო მიწის სათხრელი მანქანებისა – 1 მეტრზე ახლოს.
4. საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის ფარგლებში მიწის სათხრელი მანქანების გამოყენება ნებადართულია მოცემული ხაზის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პერსონალისათვის. მიწის სათხრელი მანქანებისა და პნევმატური ინსტრუმენტების, აგრეთვე ძალაყინისა და წერაქვების გამოყენება უშუალოდ კაბელის ზემოთ დასაშვებია იმ სიღრმეზე, საიდანაც კაბელამდე ან მის

- დამცავ საფარველამდე რჩება არანაკლებ 0,3 მ სისქის გრუნტის ფენა. გრუნტის დარჩენილი ფენა ამოღებულ უნდა იქნეს ხელის ნიჩბებით.
5. ზამთარში ნიჩბებით გრუნტის ამოღება უნდა დაიწყოს მხოლოდ მიწის შეთბობის შემდეგ. ამასთან, დაუშვებელია სითბოს წყაროს კაბელებთან 15 სმ-ზე ახლოს მიახლოება.
  6. ქვაბულის, ტრანშეის ან ორმოს თხრისას სამუშაო ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით. შემოღობვებზე უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნები და წარწერები, ხოლო ღამის საათებში სასიგნალო განათება.
  7. ტრანშეის თხრისას სუსტ ან სველ გრუნტში, როდესაც არის ჩამოზვავების საფრთხე, კედლები საიმედოდ უნდა იქნეს გამაგრებული.
  8. ფხვიერ გრუნტში სამუშაოს წარმოება შეიძლება კედლების გაუმაგრებლად, მაგრამ გრუნტის ბუნებრივი ქანობის შესაბამისი დახრილობის კუთხით. ქვაბულიდან ან ტრანშეიდან ამოღებული გრუნტი უნდა მოთავსდეს კიდიდან არა უმცირეს 0,5 მ მანძილზე. გრუნტის დამუშავება და გამაგრება 2 მეტრზე ღრმა ნათხარში უნდა წარმოებდეს სამუშაოს წარმოების პროექტის მიხედვით.
  9. ბუნებრივი ტენიანობის გრუნტებში, თუ არ არის გრუნტის წყლები და ახლოს განლაგებული მიწისქვეშა ნაგებობანი, ვერტიკალურკედლიანი ქვაბულებისა და ტრანშეების თხრა გაუმაგრებლად ნებადართულია ნაყარ სილიან და მსხვილნატეხებიან გრუნტში, არა უმეტეს 1 მ სიღრმეზე, ქვიშარში – 1,25 მ სიღრმეზე, თიხნარსა და თიხაში – 1,5 მ სიღრმეზე. მჭიდროდ შეკრულ გრუნტში როტორული და ტრანშეის ექსკავატორების გამოყენებით ვერტიკალურკედლებიანი ტრანშეების გამაგრების გარეშე გათხრა დასაშვებია არა უმეტეს 3 მ სიღრმემდე. ამ შემთხვევაში ადამიანის ჩასვლა ტრანშეაში აკრძალულია. ტრანშეის იმ ადგილებში, სადაც აუცილებელია მომუშავეების ყოფნა, უნდა მოეწყოს გამაგრებები, ან გაკეთდეს ქანობები. გაყინული გრუნტის (გარდა ფხვიერისა) დამუშავება გამაგრების გარეშე დასაშვებია ჩაყინვის სიღრმემდე.
  10. წინამდებარე წესების ამ მუხლის მე-8 პუნქტში მოყვანილი პირობებისაგან განსხვავებულ შემთხვევებში, ქვაბულები და ტრანშეები უნდა დამუშავდეს გაუმაგრებელი ფერდობებით ან მთელ სიღრმეზე გამაგრებული ვერტიკალური კედლებით.
  11. 3 მ-ამდე სიღრმის ქვაბულებისა და ტრანშეების გამაგრება, როგორც წესი, უნდა იყოს ინვენტარული და სრულდებოდეს ტიპური პროექტებით.

**მიწის სამუშაოებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ“, რომლის მიხედვით:**

- მიწის ამოღება და შევსება. შენობებისა და ნაგებობებისთვის მიწის ამოღება და შევსება ისე უნდა განხორციელდეს, ან ისე უნდა იყოს დაცული, რომ ადამიანთა სიცოცხლესა და საკუთრებას საფრთხე არ შეექმნას. შენობის განსათავსებელი ზედაპირიდან, სულ მცირე, 30 სმ-ის სიღრმემდე მიწა კუნძებისა და ფესვებისგან უნდა გათავისუფლდეს. მიწაში ან საძირკველსა და მიწას შორის ბეტონის ჩასხმისას გამოყენებული ხის ქარგილები შენობის ჩაბარებამდე უნდა მოიხსნას. დროებითი ან მორყეული ფიცრები, რომლებიც პირდაპირ ეხება შენობის ქვეშ არსებულ მიწას, სამუშაოს დასრულებამდე უნდა მოიხსნას.
- ქანობის ზღვრები. მუდმივი შემვსებისთვის გაკეთებული ქანობი 50%-ზე (ერთი შვეული ერთეული ორ თარაზულ ერთეულზე) მეტად დახრილი არ უნდა იყოს. ქვაბულის ქანობი მუდმივი ამოღებისათვის (ექსკავაციებისთვის) 50%-ზე (ერთი შვეული ერთეული ორ თარაზულ ერთეულზე) მეტად დახრილი არ უნდა იყოს. ქვაბულის ქანობთან დაკავშირებული შემღვდვების გაუთვალისწინებლობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (ანგარიში), რომელიც მისაღებია მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსათვის.



ფერდობიანი თხრილი (ტრანშეა)

- o **გადატვირთვა.** შენობის ან ნაგებობის გვერდზე არანაირი შემვსები ან ჭარბი დატვირთვის გამომწვევი სხვა რამ არ უნდა განთავსდეს, თუ ამგვარ შემობას ან ნაგებობას არ აქვს უნარი, დაიჭიროს შემვსების ან ჭარბი დატვირ-

თვებისგან გამონვეული დამატებითი დატვირთვა. არსებული საძირკვლის ბალიშები ან საძირკვლები, რომლებზეც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მიწის ამოღებამ, სათანადოდ უნდა გამაგრდეს, ან სხვაგვარად იქნეს დაცული მიწის დაკდომისა და შემდგომი მოძრაობისგან.

- o საჭირო მოწყობილობები. სანიტარიის მოწყობილობები უნდა მოეწყოს მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დაშლის სამუშაოებისას.
- o აუცილებელი დამცავი საშუალებები. მშენებლობის, გადაკეთებისა და დაშლის სამუშაოების წარმოებისას ფეხით მოსიარულეები დაცული უნდა იყვნენ ქვემოთ მოტანილი ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად. ფეხით მოსიარულეთათვის ფეხით მოძრაობის ნიშნები უნდა განთავსდეს.

► **ფეხით მოსიარულეთა დაცვა**

მშენებარე კონსტრუქციის სიმაღლე	მანძილი მშენებარე კონსტრუქციიდან მიწის ნაკვეთის საზღვრამდე	აუცილებელი დამცავის ტიპი
2,5 მ ან ნაკლები	1,5 მ-ზე ნაკლები	სამშენებლო მოაჯირები
	1,5 მ ან მეტი	არცერთი
2,5 მ-ზე მეტი	1,5 მ-ზე ნაკლები	ზღუდე და გადახურული საფეხმავლო გზა
	1,5 მ ან მეტი, მაგრამ არა მშენებარე კონსტრუქციის სიმაღლის ერთ მეოთხედზე მეტი	ზღუდე და გადახურული საფეხმავლო გზა
	1,5 მ ან მეტი, მაგრამ მშენებარე კონსტრუქციის სიმაღლის ერთ მეოთხედსა და ნახევარს შორის	ზღუდე
	1,5 მ ან მეტი, მაგრამ მშენებარე კონსტრუქციის სიმაღლის ნახევარზე მეტი	არცერთი

- საფეხმავლო გზები. ყველა ადგილის წინ, სადაც სამშენებლო და დაშლილი სამუშაოები მიმდინარეობს, ფეხით მოსიარულეთათვის გზები უნდა მოეწყოს, თუ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანო ტროტუარის შემოღობვას ან გადახურვას არ გადანყვეტს. ფეხით მოსიარულეთა გზა საკმარისად განიერი უნდა იყოს, რომ ფეხით მოსიარულეებმა თავისუფლად იმოძრაონ.

ასეთი გზები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 1,2 მ-ზე ვიწრო. ფეხით მოსიარულეთა გზებს გამძლე სავალი ზედაპირი უნდა ჰქონდეს. ფეხით მოსიარულეთა გზების დაგეგმარება მედეგობას ყველანაირი დატვირთვისათვის უნდა უზრუნველყოფდეს, ხოლო დაგეგმარებისას გათვალისწინებული დროებითი დატვირთვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 7,2 კნ/მ<sup>2</sup>-ზე ნაკლები.

- მიმართულების მიმცემი ბარიკადები. თუ ფეხით მოსიარულეთა გზა ქუჩის ნაწილს იკავებს, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება მიმართულების მიმცემი ბარიკადებით უნდა იყოს დაცული. ასეთი ბარიკადების ზომა და კონსტრუქცია ავტომობილების სამოძრაო ზოლს ფეხით მოსიარულეთა გზისგან უნდა მიჯნავდეს.
- სამშენებლო მოაჯირები. საამშენებლო მოაჯირები, სულ მცირე, 1,1 მ სიმაღლისა და საკმარისი რაოდენობისა უნდა იყოს, რათა ფეხით მოსიარულეებმა საამშენებლო მოედნის გარშემო იმოძრაონ.
- ზღუდეები. მშენებლობის ახლოს, ფეხით მოსიარულეთა გზის გვერდით, სულ მცირე, 2,5 მ სიმაღლის ზღუდეები უნდა აიგოს. ისინი საამშენებლო მოედნის მთელ სიგრძეზე უნდა გაგრძელდეს. ამგვარ ზღუდეებში დატანებული ღიობები კარებით უნდა იყოს დაცული, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაკეტილია.
- ზღუდეების დაგეგმარება. ზღუდეების დაგეგმარება უნდა უზრუნველყოფდეს დატვირთვებისადმი მედეგობას, თუ აგებული არ არის შემდეგნაირად:
  - ▶ თავსა და ძირში ზღუდეებს 5 სმ × 12 სმ ზომის წოლანები აქვს;
  - ▶ ზღუდის მასალად, არანაკლებ, 1,9 სმ სისქის დაფები ან, არანაკლებ, 6,4 მმ სისქის ხის სტრუქტურული პანელებია გამოყენებული;
  - ▶ ხის სტრუქტურული პანელები გარეთ გამოყენებული ხის სტრუქტურული პანელების მსგავსადაა შენებებული;
  - ▶ 6,4 მმ ან 2,4 სმ სისქის ხის სტრუქტურულ პანელებს აქვს დგარები, რომლებიც ცენტრიდან, არაუმეტეს, 60 სმ-ითაა დაშორებული.
  - ▶ 9,5 მმ ან 1,25 სმ სისქის ხის სტრუქტურულ პანელებს აქვს დგარები, რომლებიც ცენტრიდან, არაუმეტეს, 1,2 მ-ითაა დაშორებული, თუ 5 სმ × 10 სმ ზომის სიხისტის ელემენტი თარაზულადაა მოთავსებული საშუალო სიმაღლეზე, სადაც დგარები ცენტრიდან 60 სმ-ზე მეტადაა დაშორებული.
  - ▶ 1,6 სმ ან უფრო სქელი ხის სტრუქტურული პანელების დაშორებები 2,5 მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- ფეხით სავალი გადახურული გზები. ფეხით სავალი გადახურული გზების მინიმალური თავისუფალი სიმაღლე 2,5 მ უნდა იყოს, რაც იზომება იატაკის ზედაპირიდან ჩარდახამდე. ფეხით სავალი გადახურული გზები ისე უნდა დაგეგმარდეს,

რომ ყველა მოქმედ დატვირთვას გაუძლოს. დაგეგმარებისას გათვალისწინებული დროებითი დატვირთვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 7,2 კნ/მ<sup>2</sup>-ზე ნაკლები მთელი ნაგებობისთვის.

„ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და ელექტრომონტაჟის ელექტროსამონტაჟო და განყოფილების სამუშაოების წარმოების დროს“ უსაფრთხოების წესების მიხედვით (ტექნიკური რეგლამენტი 347):

- აკრძალულია იმ უბნებზე მუშაობა, რომლებიც არ არის გასუფთავებული მსხვილი ძირკვების, ქვების, ლითონის ჯართისაგან.

ფერდობებიანი ქვაბულებისა და ტრანშეების თხრა არაკლდოვან გრუნტში, სამაგრების გარეშე, გრუნტის წყლების დონის ზევით (კაპილარული ანევის გათვალისწინებით) ან ხელოვნური წყალდამწვევის მეშვეობით ამოშრობილ გრუნტებში დაშვებულია თხრილის სიღრმეზე და ფერდობების დახრილობით შემდეგი ცხრილის შესაბამისად.

### ► ფერდობების დახრილობა სამაგრების გარეშე ქვაბულების გათხრის დროს

გრუნტის სახეობები	ფერდობების დახრილობა (მისი სიმაღლის შეფარდება ქვაბულთან) ამოღების სიღრმის შემთხვევაში, არა უმეტეს მ.		
	1.5	3.0	5.0
ნაყარი, გაუმკვრივებელი	1:0,67	1:1	1:1,25
ქვიშიანი და ხრეშიანი	1:0,5	1:1	1:1
ქვიშნარი	1:0,25	1:0,67	1:0,85
თიხნარი	1:0	1:0,5	1:0,75
თიხა	1:0	1:0,25	1:0,5
ლიოსები და ლიოსისებრი*	1:0	1:0,5	1:0,5

\* ლიოსი – თიხნარის ჯგუფის გრუნტი. მოყვითლო ფერის დანალექი ფოროვანი ქანი.

## შენიშვნა:



სხვადასხვა სახის გრუნტის დაფენების დროს ფერდობების დახრილობა ყველა შრისათვის უნდა განისაზღვროს ყველაზე სუსტი სახეების გრუნტის მიხედვით.

ფერდობის დახრილობა 5 მ-ზე მეტი სიღრმის თხრილის ყველა შემთხვევაში და 5 მ-ზე ნაკლები სიღრმის თხრილის, რომლის ჰიდროგეოლოგიური პირობები და გრუნტის სახეობები არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პუნქტით, უნდა დადგინდეს პროექტით.

სამაგრები 3 მ-ზე მეტი სიღრმის თხრილებისათვის, აგრეთვე 2 მ-ზე მეტი სიგანის თხრილებისათვის, მათი სიღრმის მიუხედავად, უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური პროექტებით.

დაუშვებელია გრუნტის „ძირის გამოთხრით“ დამუშავება.

ქვაბულში ჩასვლა-ამოსასვლელად გამოყენებულ უნდა იქნეს საინვენტარო კიბები.

ქვაბულების ზედაპირული წყლებით დატბორვის აცილების მიზნით საჭიროა გრუნტის ნაყარის ან წყალსარინი არხებისა და ლობეების მოწყობა. თუ გრუნტის წყლების დონე ქვაბულის ძირის ნიშნულზე მაღალია, სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად ტარდება წყალდანევის ღონისძიებები.




## ფერდობებზე სამუშაოების წარმოება

ფერდობებზე ფუნდამენტის დაყენების, ანძების აწყობისა და დადგმის სამუშაოთა წარმოების პროექტში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოედნის მომზადება და მისასვლელი გზების მოწყობა.

20<sup>0</sup>-ამდე დახრილობის ფერდობებზე მოწყობილი ყრილი არ უნდა იყოს გამოყენებული ტვირთამწეების დასაყენებლად და სამუშაოდ. 20<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის ფერდობების ყრილებზე აკრძალულია მანქანების მოძრაობა.

11<sup>0</sup>-ამდე დახრილობის ფერდობებზე ყრილების ძირამდე ჩამოცურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა, შერჩეული გრუნტი გადმოიყაროს კორდისაგან გასუფთავებულ ზედაპირზე. 11<sup>0</sup>-ზე მეტი დახრილობის ფერდობის შემთხვევაში გრუნტის გადმოყრამდე ფერდობი უნდა დაიკვალოს არანაკლებ 3 მ სიგანის

საფეხურებად. მოედნის კიდეზე უნდა დაიყაროს არანაკლებ 1 მ სიმაღლის და არანაკლებ 2 მ სიგანის დამცავი ზვინული.



## საძირკვლების მონყობა

### ეს მნიშვნელოვანია!



საძირკვლის მონყობისა და გამაგრებითი სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება.
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*



**„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-8 მუხლში განსაზღვრულია საძირკვლების მონყობის უსაფრთხოების ნორმები:**


- მინისქვეშა კომუნიკაციების სიახლოვეს, აგრეთვე ფეთქებადი მასალების აღმოჩენის ან ნიადაგის პათოგენური მოწამვლის ადგილებში ბურღვისა და შენობა-ნაგებობების საძირკვლების (ფუძეების) სამუშაოთა შესრულება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.
- გრუნტში ჩასობილი ხიმინჯის გადაჭრისას უნდა იქნეს მიღებული მოჭრილი ნაწილის უკონტროლო ვარდნის საწინააღმდეგო ზომები.
- მცურავი ურნალით ხიმინჯის ჩასობის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი დამაგრება ნაპირთან ან ფსკერზე ღუმით, აგრეთვე კავშირი ნაპირთან მორიგე საცურაო საშუალებებით ან ფეხით სასიარულო ხიდით. დაუშვებელია ხიმინჯის ჩასობის სამუშაოთა შესრულება მდინარეებზე და წყალსატევებში 2 ბალზე მეტი ღელვის დროს. ვიბროჩამშვებით ხიმინჯის ჩასობის დროს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როგორც ვიბროჩამშვებისა და ხიმინჯის თავსაცმის მჭიდრო და საიმედო შეერთება, ისე ვიბროჩამშვების ბაგირების თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა.



ბურღტენილი ხიმინჯოვანი საძირკვლის მონყობა, საბურღი მანქანა

### ურნალი

1. ურნალის ანძა
2. ურო
3. ლითონის თავი
4. ხიმინჯი



### „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-7 მუხლში განსაზღვრულია ბურღვის სამუშაოთა უსაფრთხოების წესები:

- საბურღი კომპისა და ურნალის კონსტრუქციების აწვევამდე ყველა მათი ელემენტი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.
- საბურღი კომპისა და ურნალის ტექნიკური მდგომარეობა (კვანძების დამაგრების საიმედოობა, კავშირებისა და მუშა ფენილების გამართულობა) უნდა შემოწმდეს ყოველი ცვლის დაწყების წინ. საბურღი კომპისა და ურნალის ამოქმედებამდე უნდა მოხდეს ობიექტზე მყოფთა გაფრთხილება. საბურღი ინსტრუმენტის გამოყენება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით.
- ურნალის გადაადგილება ძირს დაშვებული უროთი უნდა განხორციელდეს მონორეულ მოედანზე. ურნალის გადაადგილების ლიანდაგის გზის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ყველა ცვლის დაწყების წინ.



### ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები

### „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-9 მუხლში განსაზღვრულია ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:

- სამშენებლო მოედანზე ბეტონის მოსამზადებლად გამოყენებული ბეტონსარევისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მათი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესებით.
- სამშენებლო მოედანებზე ლენტური კონვეიერის გამოყენებისას, თუ ლენტი მთლიანად არაა დახურული, ლენტიდან მასალების გადმოვარდნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაიდგას ფარები.
- ყალიბების რამდენიმე იარუსად დაყენებისას ყოველი მომდევნო იარუსი დაყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წინა იარუსის დამაგრების შემდეგ.
- ყალიბებზე მასალების დანყოფა და ყალიბის საფეხებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში, დაუშვებელია.
- ბეტონის ნარევის ელექტროვიბრატორით შემკვრივების დროს უნდა გამოირიცხოს დენგამტარის იზოლაციის დაზიანება.



ბეტონსარევი

### რეკომენდაცია!



- ▶ ბეტონსარევი მანქანები მყარად დადგით სწორ ზედაპირზე.
- ▶ ბეტონსარევი მანქანებთან განლაგებული სამუშაო ადგილები დაიცავით ზემოდან გადმოცვენილი საგნებისგან. ტექნიკური სამუშაოების გატარებისას გათიშეთ ამძრავები და დაიცავით უნებლიე ჩართვისგან. ყურადღება მიაქციეთ მწარმოებლის ექსპლუატაციის ინსტრუქციას.
- ▶ ბეტონსარევი მანქანების ლიობში მბრუნავმა ღარებმა/ფრთებმა შესაძლებელია გამოიწვიოს უბედური შემთხვევები.

- ▶ შესაძლებელია ელექტროშოკი გამოიწვიოს ნარჩენი დენის დამცავი მოწყობილობის გარეშე წრედში ჩართულმა მანქანამ.
- ▶ მბრუნავ დოლში არ ჩაყოთ ხელი ან რაიმე ხელსაწყო.

BG BAU



წყარო: www.prof.osvita.org.ua

უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა ბეტონის სამუშაოების შესრულებისას

### საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების მიხედვით:

- მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.
- მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მანქანა-

მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. სამშენებლო მოედანზე მანქანა-მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით.

- ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად. ელექტროამძრავიანი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის თავიდან ასაცილებლად.

### ეს მნიშვნელოვანია!



სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება.
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*


## ► ბეტონის ნარევის ტორკრეტირების (გაშხეფვის) სამუშაოები

მშრალი გაფრქვევა

მშრალი გასხურებისას წარმოქმნილი დიდი რაოდენობით მტვერი დასაქმებულის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით დასაქმებულს უნდა მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

დასაქმებულმა, დამცავი ჩაფხუტისა და დამცავი ფეხსაცმელების გარდა, უნდა გამოიყენოს:

- სასუნთქი ორგანოს დამცავი რესპირატორი (1);
- სახის დამცავი (დამცავი სათვალე, დამცავი ფარი) (2) ასხვლელი შხეფების წინააღმდეგ;
- დამცავი ტანსაცმელი და სახის დამცავი ბეტონის შემხეფების შემთხვევაში;
- დამცავი ხელთათმანები (3);
- ყურების დამცავი საყურისები (4).



ბეტონის ტორკრეტირება



## სამონტაჟო სამუშაოები

სიმაღლეზე მიმდინარე სამონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს, უსაფრთხოების ზომების არარსებობის გამო, შესაძლებელია, მოხდეს სიმაღლიდან გადმოვარდნის უბედური შემთხვევები. კონსტრუქციებისა და მასალების არაჯეროვანი მონტაჟის ან დასაწყობების შემთხვევაში შესაძლებელია, ადამიანები დაზიანდნენ ნაწილების გადმოცვენით ან გადაყრევებით.



ანაკრები კონსტრუქციების მონტაჟი

სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების ნორმები რეგულირდება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №477.

**მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-10 მუხლში განსაზღვრულია სამონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დაწყებამდე საჭიროა მონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქანეს შორის პირობითი სიგნალის შეთანხმება.
- განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სრულდება რთული სამონტაჟო სამუშაოები (კონსტრუქციის ან დანადგარების აწევა ორი ამწეთი, ჰაერში შემობრუნებით და სხვ.), სიგნალს იძლევა მხოლოდ სამონტაჟო ჯგუფის უფროსი, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისათვის პასუხისმგებელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის თანდასწრებით.
- სამშენებლო კონსტრუქციის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარღვე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამნის მემანქანესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება.
- მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.
- შენობა-ნაგებობათა ყველა მომდევნო იარუსის (უბნის) კონსტრუქციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს წინა იარუსის (უბნის) პროექტით გათვალისწინებული მდგრადობის უზრუნველყოფელი ყველა ელემენტის დამაგრების შემდეგ.
- საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციებისა და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედოდ დამაგრების შემდეგ.
- მემონტაჟეების ერთი კონსტრუქციიდან მეორეზე გადასასვლელად გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალურად ამ მიზნებისათვის დამზადებული კიბეები, შემოღობვის (ზღუდარის) მქონე გადასასვლელი ბოგირები (ხიდები) და ტრაპები.
- **დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. პანელებისა და მათი მსგავსი კონსტრუქციების გადაადგილება და მონტაჟი 10 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარის დროს უნდა შეწყდეს.**
- სამუშაოთა შეწყვეტისას კონსტრუქციის ელემენტებისა და დანადგარების დატოვება დაკიდებულ მდგომარეობაში დაუშვებელია.
- თუ მომუშავეთა ყოფნა კონსტრუქციებისა და დანადგარების ქვეშ მათი დაყენების დროს აუცილებელია, მაშინ უნდა განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

- მოქმედი სანარმოს პირობებში, სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას, ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი და სამუშაო ზონაში განლაგებული სხვა მოქმედი საინჟინრო სისტემები, როგორც წესი, გამორთული უნდა იყოს.
- 5 მ-ზე მეტ სიმაღლეზე ასასვლელი, აგრეთვე ამნის კაბინაში ასასვლელი 5 მ-ზე მეტი სიმაღლის ლითონის კიბეები შემოფარგლული უნდა იყოს ვერტიკალური კავშირების მქონე ლითონის რკალით და საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული კონსტრუქციასთან ან ამნის ტანთან.
- შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების მონტაჟისას მემონტაჟეები უნდა იმყოფებოდნენ ამ სამუშაოს შესასრულებლად წინასწარ დაყენებულ და საიმედოდ დამაგრებულ კონსტრუქციებზე ან ხარაჩობებზე.
- დამონტაჟებულ კიბის მარშზე მაშინვე უნდა მოეწყოს შემოღობვა.
- რულონური ნამზადიდან ლითონკონსტრუქციების მონტაჟისას მიღებულ უნდა იქნეს რულონის თვითნებური უკუდახვევის საწინააღმდეგო ზომები.
- აფეთქებასაშიშ გარემოში დანადგარების დამონტაჟებისას გამოყენებული უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გამორიცხავს ნაპერწკლის წარმოქმნას.
- დანადგარების მონტაჟისას გამორიცხული უნდა იყოს მისი შემთხვევითი ან თვითნებური ჩართვა.
- კონსტრუქციების ან დანადგარების რამდენიმე ამნით ან გამწვევი მექანიზმით გადაადგილებისას გამორიცხული უნდა იყოს რომელიმე მათგანის გადამეტტვირთვა.
- დომკრატის გამოყენებით მონტაჟისას მიღებული უნდა იყოს დომკრატის გადახრისა და გადაყირავების გამომრიცხავი ზომები.
- კონსტრუქციის (მონწყობილობის) დაშვებისას დახრილ სიბრტყეზე საჭიროა გამოყენებული იყოს საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაშვების სიჩქარის რეგულირებას.
- მილსადენებისა და ჰაერსადენი მილების მონტაჟი ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს უნდა წარმოებდეს გამორთული ძაბვის დროს. თუ ძაბვის გამორთვის საშუალება არ არსებობს, სამუშაო უნდა შესრულდეს შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.
- დამონტაჟებული დანადგარების მიერთება მოქმედ სისტემებთან (ელექტრული, ორთქლის, ტექნოლოგიური და სხვა) უნდა განხორციელდეს სისტემების მფლობელი კომპანიის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად.
- სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს.





ხელსაწყოებისა და მანქანების გამოყენება

**რეკომენდებულია** (გერმანული გამოცდილების მიხედვით BG BAU): სიმაღლეზე მუშაობისას შექლებისდაგვარად გამოიყენეთ უსაფეხურო ხარაჩოები ორი სხვადასხვა დონით, რათა თავიდან აიცილოთ ზედმეტი შეხიდებები (1). ბლოკების ალების სიმაღლე დასაქმებულის დგომის სიმაღლიდან 40/50 სმ-ით მაღლა უნდა იყოს. ბლოკის გადასაადგილებელი ხელსაწყოებისა და მანქანების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ბლოკების გადასაადგილებლად (2). მონყობილობებისა და მანქანების დადგმის დროს აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება მონტაჟისა და ექსპლუატაციის ინსტრუქციას. არ გადატვირთოთ სართულშუა გადახურვები. რისკების შეფასებაში შეიტანეთ გადმოვარდნის საწინააღმდეგო დამცავი საშუალებები, მაგ., გვერდითი დაცვა. მისადგომებთან უზრუნველყავით უსაფრთხო შესვლა და გამოსვლა. გამორიცხეთ ერთმანეთის გვერდით ან თავზე განლაგებული ქვის სამუშაოების შემსრულებლის (კალატომი) სამუშაო პლატფორმების ჩაჭყლეთისა და დაცურების რისკები, შესაბამისად, უზრუნველყავით ბარიერები. დაიცავით გადასაადგილებელი ხელსაწყოების მზიდუნარიანობა, განსაკუთრებით დიდი ზომის ბლოკების დანყობის დროს. დაიცავით საკმარისი მანძილი კედლის ღიობებთან, ჭერის კიდეებსა და რღვევებთან. საჭიროების შემთხვევაში დაამაგრეთ მყარი ბარიერები ან მზიდუნარიანი საფარები.

ელექტროხელსაწყობები და მანქანები ჩართეთ ცალკე დენის წყაროში, მაგ., დენის გამანაწილებელი ნარჩენი დენის ამომრთველით. დაასაქმეთ მხოლოდ ინსტრუქტირებული ოპერატორები.



## გადახურვის სამუშაოები

სახურავი შენობის ზედა შემომზღუდი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მის დაცვას ატმოსფერული ნალექების, გარე ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის, ქარისა და თოვლის ზემოქმედებისაგან. ნებისმიერი სახურავი შედგება ბურულის (ზედა წყალშეუღწევადი ჰიდროსაიზოლაციო, თბოსაიზოლაციო და ორთქლსაიზოლაციო ფენების) და მზიდი კონსტრუქციებისაგან. ბურულების მონყობისათვის გამოიყენება როგორც რბილი, ასევე მაგარი მასალები.



გადახურვის სამუშაოების შესრულება უსაფრთხოების ნორმების დაცვით



გადახურვის სამუშაოების შესრულება უსაფრთხოების ნორმების დარღვევით

სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების ნორმები რეგულირდება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგულაციებით“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №477.

**მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-11 მუხლში განსაზღვრულია გადახურვის სამუშაოების უსაფრთხოების ნორმები:**


- გადახურვის სამუშაოებზე მუშების დაშვება შეიძლება მას შემდეგ, რაც შემონ-მდება სახურავის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა.
- მასალების დაწყობა სახურავზე დასაშვებია სამუშაოთა წარმოების პროექტით გათვალისწინებულ ადგილებში. ამასთანავე, მიღებულ უნდა იქნეს მათი გადმო-ვარდნის (მათ შორის, ქარის ზემოქმედებით) საინააღმდეგო ზომები.
- სამუშაოს შეწყვეტის ან/და შეჩერების დროს ტექნოლოგიური მოწყობილობა, ინ-სტრუმენტი და მასალები უნდა დამაგრდეს ან ალებულ იქნეს სახურავიდან.
- **სახურავის მოწყობის სამუშაოთა შესრულება დაუშვებელია მხედველობის შემზღუდავი ნივთისა და ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის დროს.**
- ცეცხლსაშიში მასალებით სახურავის მოწყობისას საჭიროა, დაცულ იქნეს უსაფ-რთხოების სათანადო მოთხოვნები.
- საიზოლაციო რულონური მასალის გამოყენებისას, თუ სამუშაო წარმოებს ღია ცეცხლის გამოყენებით, მუშებს უნდა ეცვათ სპეცტანსაცმელი და სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.
- მილსადენებისა და ჰაერსადენი მილების მონტაჟი ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს უნდა წარმოებდეს გამორთული ძაბვის დროს.
- სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს.
- ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს უნდა განხორ-ციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.
- ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას სა-ჭიროა დაცულ იქნეს შესაბამისი წესები.
- კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა დაცულ იქნეს კაბელების გაყვანის პრო-ექტით გათვალისწინებული წესები. ექსპლუატაციაში მყოფი კაბელის გაყვანა დასაშვებია მხოლოდ მისი გამორთვისა და დამინების შემდეგ.
- ელექტროგადამცემი საპაერო ხაზების მონტაჟისას სავალდებულოა ელექტრო-გადამცემი ხაზების დამონტაჟებული უბნების დამინება.

საპაერო ელექტროგაყვანილობების სიახლოვეს მუშაობისას მაღალი ძაბვის საპაერო ელექტროგაყვანილობებთან შეხება შესაძლებელია ფატალურად დას-

რულდეს. გერმანული გამოცდილების მიხედვით რეკომენდებულია, რომ, თუ უსაფრთხოების მანძილის დაცვა შეუძლებელია, მაშინ გაყვანილობებში უნდა გაითიშოს დენი და არ ჩაირთოს სამუშაოს დასრულებამდე, ან ძაბვის გამტარი ნაწილები უნდა დაიფაროს. სამშენებლო მანქანა-მექანიზმებით (ამწეებით, ექსკავატორებით, ბეტონის ტუმბოებით, პიონერებით, მექანიკური კიბეებით) სამონტაჟო ან დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების შესრულების დროს განსაკუთრებულად უნდა მიაქციოთ ყურადღება მაღალი ძაბვის საპაერო ელექტროგაყვანილობებთან მიახლოების რისკს.



უსაფრთხოების მანძილი საპაერო ელექტროგაყვანილობებთან



სახიფათო ზონები ელექტროგაყვანილობებთან



## საიზოლაციო სამუშაოები

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას მიმდინარეობს თბოსაიზოლაციო, ჰიდროსაიზოლაციო და ბგერასაიზოლაციო სამუშაოები. საიზოლაციო სამუშაოები სრულდება ისეთი მასალებით, რომლებმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას დასაქმებულს უსაფრთხოების დაუცველობის შემთხვევაში.



საიზოლაციო სამუშაოების შესრულება უსაფრთხოების ნორმების დაცვით (1) და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით (2)

## ეს მნიშვნელოვანია!



საიზოლაციო სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადანყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.



საიზოლაციო სამუშაოების შესრულება უსაფრთხოების ნორმების დარღვევით

**„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-12 მუხლში განსაზღვრულია საიზოლაციო სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- საიზოლაციო სამუშაოების შესრულებისას (ჰიდროიზოლაცია, თბოიზოლაცია, ანტიკოროზიული დაცვა) ცეცხლსაშიში და მავნე ნივთიერებების გამოყოფილი მასალებით მომუშავეები დაცული უნდა იყვნენ მავნე ნივთიერებების თერმული და ქიმიური ზემოქმედებისაგან.
- ბიტუმის მასტიკის მოხარშვა და გაცხელება უნდა წარმოებდეს ტექნოლოგიური პროცესისა და ექსპლუატაციის წესების დაცვით.
- მინაბამბა და წინაბამბა სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს მათი გაბნევის გამომრიცხავი პირობების დაცვით.
- ასაკრავი საიზოლაციო რულონური მასალების გამოყენებისას, თუ აკვრა წარმოებს ღია ცეცხლის გამოყენებით, სამუშაოს შემსრულებელი მუშები სხეულის დაზიანების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეცტან-საცმლით და სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებებით (ხელთათმანები, სათვალები და სხვ.).



## მოპირკეთების სამუშაოები

### **მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-13 მუხლში განსაზღვრულია მოპირკეთების სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- ლესვის ან სამღებრო სამუშაოების შესრულებისას მოხარაჩოების საშუალებები ისე უნდა მოეწყოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადამიანთა დაზიანება.
- დულაბტუმბოების გამოყენებით შესაღესი სამუშაოების წარმოებისას უნდა არსებობდეს ორმხრივი კავშირი ოპერატორსა და დანადგარის მემანქანეს შორის.
- სამშენებლო მოედანზე სამღებრო ნაზავის დამზადება უნდა წარმოებდეს ისეთი ვენტილაციის მქონე სათავსოში, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის გადაუჭარბებლობას.
- ნიტროსაღებავებისა და სხვა ფეთქებადი ორთქლის წარმომქმნელი ლაქსაღებავების გამოყენების ადგილებში აკრძალულია ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმომქმნელი მოქმედებების შესრულება.
- აფეთქებასაშიში მასალების (ლაქები, ნიტროსაღებავები და სხვა) ტარა სამუშაოს შეწყვეტის ან შეჩერების პერიოდში უნდა დაიკეტოს საცობით ან სახურავით.

- საზოგადოებრივი ადგილები, რომელთა ზევითაც სრულდება შემინვის სამუშაოები, უნდა იყოს შემოღობილი საფარი ფენილის მქონე ღობეებით.
- მინის გადატანა მისი დაყენების ადგილზე უნდა ხდებოდეს უსაფრთხოების დაცვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით.

### ეს მნიშვნელოვანია!



მოპირკეთებითი სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება.
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიეწოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.



## ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

**მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N361 დადგენილების მე-14 მუხლში განსაზღვრულია ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.
- ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას საჭიროა დაცულ იქნეს შესაბამისი წესები.



- კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა დაცულ იქნეს კაბელების გაყვანის პროექტი გათვალისწინებული წესები. ექსპლუატაციაში მყოფი კაბელის გაყვანა დასაშვებია მხოლოდ მისი გამორთვისა და დამინების შემდეგ.
- ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების მონტაჟისას სავალდებულოა ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟებული უბნების დამინება.



## ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოთა უსაფრთხოება

### **„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N2361 დადგენილების მე-15 მუხლში განსაზღვრულია ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- სამშენებლო მოედნებზე ელექტროტექნიკური მოწყობილობების გამოყენებამდე საჭიროა იზოლაციის შემოწმება, ხოლო გამოყენებისას – ექსპლუატაციის წესების დაცვა. მუშებს უნდა ჰქონდეთ სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.
- ელექტროშესადუღებელ აპარატებსა და მათ მკვებავ წყაროებში გათვალისწინებული და დაყენებული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფი ელემენტების საიმედო შემოღობვა.
- წვიმისა და თოვლის დროს ელექტროშემდუღების სამუშაოთა შესრულება გადახურვის გარეშე დაუშვებელია.
- კონსტრუქციის ელემენტების ჭრისას მიღებულ უნდა იქნეს მათი ჩამოვარდნის საწინააღმდეგო ზომები.
- დახურულ სათავსში ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოების შესრულების დროს სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით ან განიავებით.
- ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო წვადი სითხეები ან მჟავები, შედუღებამდე (ჭრამდე) უნდა გაიწმინდოს, გამოირეცხოს, გაშრეს და შემოწმდეს, რომ არ შეიცავდეს მავნე ნივთიერებების საშიშ კონსისტენციას.
- ჩაკეტილი დახურული ტევადობის შიგნით ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოს ერთდროულად შესრულება დაუშვებელია.
- გამის ბალონების გადაზიდვა, შენახვა, მიღება და გადაცემა უნდა განხორციელდეს საექსპლუატაციო წესების დაცვით.

- გამის ბალონები დაცული უნდა იყოს დარტყმითი და მზის სხივების პირდაპირი მოქმედებისაგან, გამთბობი ხელსაწყოდან დაშორებული უნდა იყოს 1 მ-ზე მეტი მანძილით.
- გამის ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურ მშრალ და განიავებად სათავსებში. ცარიელი და გამით სავსე ბალონები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაზიანი ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სადაც უცხო პირთა შესვლა გამორიცხულია. გადასატანი გენერატორი უნდა გათავისუფლდეს კალციუმის კარბიდისაგან და გადატანილ უნდა იქნეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.
- ჟანგბადის ბალონების ექსპლუატაციის, შენახვისა და გადაადგილების დროს უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ბალონის შეხება საცხებ მასალებთან ან ზეთის ლაქის მქონე ტანსაცმელსა და ჩგრებთან.
- დაუშვებელია აცეტილენის გენერატორების მოთავსება ხალხის მასობრივად ყოფნის ან გასასვლელ ადგილებში, აგრეთვე, კომპრესორებით ან ვენტილატორებით ჰაერის ალების ადგილებში.
- დაუშვებელია წნევის ქვეშ მყოფი დანადგარების სანჯავითა და მავნე ნივთიერებებით შევსებული მილსადენების შედუღება, ჭრა და გაცხელება.

**სამშენებლო სამუშაოებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის მიხედვით:**

- მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.
- ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.

აირით შედუღების პროცესში არსებობს აფეთქებისა და ხანძრის რისკი, რის შედეგადაც დასაქმებულმა შეიძლება მიიღოს კანის დამწვრობა, თვალების დაზიანება და მავნე ნივთიერებებისგან მონამვლა. გერმანული გამოცდილების მიხედვით რეკომენდებულია, რომ ყველა აალებადი ნაწილი მოაშორეთ სამიშ სივრცეს. შედუღების ტექნიკური სამუშაოების დროს უზრუნველყავით ზედამხედველობა და ხანძრის სანინააღმდეგო შესაბამისი ცეცხლმაქრები, მაგ., ფხვნილის ცეცხლმაქრი. მშენებლობებსა და სამონტაჟო ადგილებზე ტრანსპორტირების-

ვის შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ ბალონების ურიკები. დაიცავით ბალონები ნაქცევისგან და არ განათავსოთ ისინი გასასვლელელებში, კორიდორებში, სითბოს წყაროსთან. გამოიყენეთ მხოლოდ შემონმებული და დაშვებული წნევის რედექტორები და ისე მიუერთეთ ისინი გაზის ბალონებს, რომ უსაფრთხოების სარქველების მოქმედებაში მოყვანისას საფრთხე არ შეექმნას ადამიანებს.



**აირით შედუღება**

მშენებლობებსა და სამონტაჟო ადგილებზე ტრანსპორტირებისთვის გამოიყენეთ

- 1. ბალონების ურიკები, 2. დამცავი სათვალე, 3. ფხვნილის ცეცხლმაქრი.



**ელექტროშედუღება**

- 1. შედუღების კვების წყარო უსაფრთხოდ ღია სივრცეში, 2. შედუღების კვების წყაროს გაყვანილობა, 3. შემდუღებლის სამუშაო ადგილი სხვა სამუშაო ადგილებსგან გამოყავით ტიხრებით ან ფარდებით, 4. გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი ფარები ან დამცავი ეკრანები დამცავი ფილტრით.

# მინისქვეშა სამუშაოები

მინისქვეშა სამუშაოებს განეკუთვნება გვირაბების, შახტებისა და ჭაურის გაყვანის სამუშაოები. მნიშვნელოვანია უსაფრთხოების პირობების სრული სიზუსტით გათვალისწინება. დაუცველ სივრცეებში შესაძლებელია, ჩამოტეხილმა კლდეებმა მძიმე დაზიანებები გამოიწვიოს. არასაკმარისი ვენტილაციის გამო შესაძლებელია, მტვერმა (კვარცი), ძრავის გამონაბოლქვმა და აფეთქებებმა ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს. მანქანების სამოძრაო სივრცეში ყოფნისას შესაძლებელია ადამიანების დაშავება. ელექტრომონყობილობების განლაგებისას გვირაბების მშენებლობის დროს გასათვალისწინებელია განსაკუთრებული მოთხოვნები წყლის, მტვრისა და ძლიერი მექანიკური დატვირთვის მიმართ. ელექტრომონყობილობების განლაგებისას გვირაბების მშენებლობის დროს გასათვალისწინებელია განსაკუთრებული მოთხოვნები წყლის, მტვრისა და ძლიერი მექანიკური დატვირთვის მიმართ.



გვირაბის მშენებლობა



გვირაბის კედლების დაბეტონება  
ტორკრეტირების მეთოდით

**მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-16 მუხლში განსაზღვრულია მინისქვეშა სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:**

- მინისტრსა და სამუშაოთა წარმომადგენლების დროს ყველა უბანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო ინსტრუმენტების, მასალების, ხანძრის ჩასაქრობი საშუალებების მარაგით.
- ჭაურის გაყვანისას სანგრევში მყოფი მუშები ზემოდან საგნის ვარდენისაგან დაცული უნდა იყვნენ სპეციალური დამცავი ფარით.
- მინისტრსა და სამუშაოთა წარმომადგენლების გამოყენებული ყველა ელექტრომოწყობილობა, აფეთქებასაშიში პირობების არსებობისას, დამზადებული უნდა იყოს არაფეთქებადი მასალისაგან.
- შახტებისა და გვირაბების მუშა და ავარიული ელექტროგანათება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა დენის წყაროდან.
- შახტისა და გვირაბების გაყვანისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი ვენტილაცია შედუღებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისგან დასაცავად.
- დანების მეთოდით მილის ჰორიზონტალური გაყვანის დროს მილის შიგნით გრუნტის ხელით დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხულია სანგრევში გაზის ან წყლის მოდინება. მილში მყოფ მუშებთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორმხრივი კავშირი.

**საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის №100 ბრძანების – „ენერჯეტიკაში ენერგობეზრების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მონტაჟის და მათით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“ – მე-4 თავის 49-ე მუხლში განსაზღვრულია მინისტრსა და სამუშაოებში განლაგებულ საკაბელო ხაზებზე მუშაობის წესები, კერძოდ:**

- მუშაობა საკაბელო მინისტრსა და სამუშაოებში ნაგებობებში, აგრეთვე ჩასვლით დათვალიერება, უნდა ანარმოს, განაწესით, არანაკლებ სამმა პირმა, რომელთაგან ორი დამზღვევია. სამუშაოს შემსრულებელსა და დამზღვევებს შორის დამყარებული უნდა იყოს კავშირი.
- ყველა საამქროში (რაიონებში, უბნებში) აუცილებელია იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული აირსაშიში მინისტრსა და სამუშაოებში ნაგებობების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა იცნობდეს მომსახურე პერსონალი. გეგმაზე დატანილი უნდა იყოს ყველა აირსაშიში მინისტრსა და სამუშაოებში ნაგებობა. აირსაშიში ნაგებობების ლუკები, კარები უნდა იკეტებოდეს და ჰქონდეს შესაბამისი ნიშანი.
- მუშაობის დაწყებისას და მიმდინარეობისას მინისტრსა და სამუშაოებში ნაგებობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან იძულებითი ვენტილაცია და უნდა გაკეთდეს ჰაერში ჟანგბადის შემცველობის ანალიზი. ჟანგბადის შემცველობა არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები. ბუნებრივი ვენტილაცია იქმნება არანაკლებ ორი ლუკის

გაღებით და მათთან ახლოს სპეციალური ჰაერის ნაკადის მიმმართველის დაყენებით. ბუნებრივი ვენტილაცია უნდა განხორციელდეს მუშაობის დაწყებამდე არანაკლებ 20 წუთით ადრე. იძულებითი ვენტილაცია მინისქვეშა ნაგებობებში ჰაერის მთლიანად შეცვლის მიზნით უნდა განხორციელდეს 10-15 წუთის განმავლობაში ვენტილატორით ან კომპრესორით. ამ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ფსკერიდან არაუმეტეს 0,25 მ სიმაღლეზე ჩაშვებული სახელო. დაუშვებელია ვენტილაციისათვის შეკუმშულიაირიანი ბალონების გამოყენება. თუ ბუნებრივი ან იძულებითი ვენტილაცია ვერ უზრუნველყოფს მავნე ნივთიერებების მთლიანად გამოდევნას, მინისქვეშა ნაგებობებში ჩასვლა დასაშვებია მხოლოდ სასუნთქი ორგანოების მაიზოლირებული საშუალებებით, მათ შორის, შლანგური აირჩინალის გამოყენებით.

- დაუშვებელია მინისქვეშა ნაგებობებში მუშაობის დაწყება დაგაზიანების შემომნმებლად. შემონმება უნდა განახორციელონ შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენების მცოდნე პირებმა, რომელთა სია მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.
- აირების არსებობის შემონმება ღია ცეცხლით აკრძალულია.
- მუშაობის დაწყებამდე კოლექტორებსა და გვირაბებში, რომლებშიც მონყობლია მომდენ-გამწოვი ვენტილაცია, ეს უკანასკნელი უნდა ჩაირთოს ადგილობრივი პირობების მიხედვით განსაზღვრული ვადით. ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის აირის არსებობის შემონმება.
- კოლექტორებსა და გვირაბებში მუშაობისას გაღებული უნდა იყოს ორი ლუკი ან ორი კარი, რათა მომუშავეები იმყოფებოდნენ მათ შორის. ღია ლუკებთან უნდა დადგეს გამაფრთხილებელი ნიშანი ან გაკეთდეს შემოღობვა. მუშაობის დაწყებამდე ბრიგადის წევრები უნდა გაეცნონ მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში მინისქვეშა ნაგებობებიდან ევაკუაციის გეგმას.
- ჭების გახსნის დროს აუცილებელია ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც არ წარმოქმნიან ნაპერწკალს, აგრეთვე უნდა გამოირიცხოს სახურავის დაცემა ლუკის ყელზე. ჭის ღია ლუკთან უნდა იყოს დაყენებული გამაფრთხილებელი ნიშანი, ან უნდა გაკეთდეს შემოღობვა.
- ჭაში დასაშვებია III ჯგუფის ერთი მომუშავის ყოფნა და მუშაობა დამზღვევი ბაგირიანი დამცავი ქამრის გამოყენებით. დამცავ ქამარს ზურგის მხარეს უნდა ჰქონდეს გამჭოლი საზურგე ღვედები, ხოლო გადაკვეთაზე ბაგირის ჩასაბმელი რგოლი. ბაგირის მეორე მხარე უნდა ეჭიროს დამზღვევი პირებიდან ერთერთს.
- ჭებში მუშაობისას დაუშვებელია მათში სარჩილავი ლამპების ანთება, პროპანბუტანის ბალონების დადგმა, ქუროში ჩასასხმელი შემადგენლობის და კალის გაცხელება. გამდნარი კალისა და ქუროში ჩასასხმელი გაცხელებული მასის ჩაშვება ჭაში უნდა ხდებოდეს სპეციალური დახურული ჭურჭლით, რომელიც მეტალის გვარზე დამაგრებული უნდა იყოს კარაბინის საშუალებით.

- ცეცხლით შესასრულებელი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობისას ალის გავრცელების შესაზღვრად გამოიყენება ცეცხლგამძლე მასალის ფარები და ტარდება ხანძრის აღმკვეთი ზომები.
- კოლექტორებში, გვირაბებში, საკაბელო ნახევარსართულებზე და სხვა ნაგებობებში, რომლებშიც ჩანყობილია კაბელები, პროპან-ბუტანის გამოყენებით მუშაობისას ნაგებობებში არსებული ბალონების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ლიტრს. სამუშაოების დამთავრების შემდეგ აირიანი ბალონები გადატანილ უნდა იქნეს, ხოლო ნაგებობა განიავდეს.
- კაბელების განვის დროს დაუშვებელია ჭებში ყოფნა, ხოლო გვირაბებსა და კოლექტორებში დასაშვებია ყოფნა მხოლოდ ორ ღია შესასვლელს შორის უბანზე. აკრძალულია კაბელებზე მუშაობა მათი განვის დროს. განვის შემდეგ ხანძრის აცილების მიზნით აუცილებელია კაბელის დათვალიერება.
- გვირაბში სამუშაოზე დაშვებამდე და დათვალიერების დაწყებამდე ხანძრის დამცავი მოწყობილობა ავტომატური მოქმედებიდან გადაყვანილ უნდა იქნეს დისტანციურ მართვაზე და მართვის გასაღებზე უნდა გამოიკიდოს პლაკატი: „არ ჩართოთ! მუშაობს ხალხი“.
- ჭებში, კოლექტორებსა და გვირაბებში, აგრეთვე ღია ლუკებთან 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე დაუშვებელია მოწვევა.
- ხანგრძლივი სამუშაოების ჩატარებისას ჭებში, კოლექტორებსა და გვირაბებში ყოფნის დრო განისაზღვრება განანესის გამცემის მიერ სამუშაო პირობების მიხედვით.
- აირის გაჩენის შემთხვევაში ჭებში, კოლექტორებსა და გვირაბებში მუშაობა უნდა შეწყდეს, ხოლო მომუშავეები დაგაზიანების წყაროს გამოვლენამდე და მის აღმოფხვრამდე გაყვანილ უნდა იყვნენ საშიში ზონიდან. აირის გამოსადეგნად აუცილებელია იძულებითი ვენტილაციის გამოყენება.
- ჭებსა და გვირაბებში სამუშაო ადგილის გასანათებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ფეთქებადდამცავი შესრულების 12-ვოლტიანი ძაბვის სანათები ან აკუმულატორიანი ფანრები. ტრანსფორმატორები 12-ვოლტიანი სანათებისათვის უნდა დადგეს ჭის ან გვირაბის გარეთ.

# შენობა-ნაგებობების დემონტაჟი

## მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მე-17 მუხლში განსაზღვრულია მინისქვეშა სამუშაოთა უსაფრთხოების ნორმები:

- შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე გამორთული უნდა იყოს ქსელიდან წყლით, სითბოთი, გაზით და ელექტროენერგიით მომარაგება, კანალიზაცია და ტექნოლოგიური მილსადენები.
- დაუშვებელია შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების ან დანადგარების დემონტაჟი ერთდროულად ერთი ვერტიკალის რამდენიმე იარუსზე, რათა არ მოხდეს ქვედა იარუსზე მომუშავეთა დაზიანება.
- დაუშვებელია ისეთი კონსტრუქციების ან მათი ნაწილების გადახურვაზე ჩამოყრა/მოხვედრა, რომელთა ზემოქმედებამ შესაძლოა, გადააჭარბოს გადახურვის კონსტრუქციის მზიდუნარიანობას.
- შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის გამოყენებული მანქანები და მექანიზმები უნდა განლაგდეს კონსტრუქციის ჩამონგრევის ზონის გარეთ, პროექტის შესაბამისად.
- სფერული უროთი ან სოლურითი შენობა-ნაგებობების დანგრევისას მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უნდა იყოს დაშორებული დასანგრევ ობიექტს შენობა-ნაგებობის სიმაღლეზე მეტი მანძილით.







## შენობების დემონტაჟი


### ► მზიდი კედლები, საყრდენი კედლები

#### ეს მნიშვნელოვანია!

სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება.
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენიღოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*



**სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოებას არეგულირებს საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის მიხედვითაც:**

- სამშენებლო მოედანზე უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით (**„ფრთხილად“**, **„ვარდნის საფრთხეა“**, **„არ გადაკვეთო“**);
- სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო მოდულებს.

**სიმაღლეზე მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამისად გამოყენებაზე:**

- უნდა ჩაუტარდეთ სწავლება მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესახებ;
- უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**განმეორებითი სწავლება საჭიროა:**

- როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დასაქმებული არ არის ადეკვატურად გადამზადებული;
- თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ იყენებს ან/და არასწორად იყენებს დამცავ საშუალებებს;
- აღმოჩენილია ახალი საფრთხე;
- მასიური უბედური შემთხვევის დროს;
- პერიოდულად, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე.

**ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს:**

- განხილულ მოდულებსა და საკითხებს;
- სწავლების ადგილს;
- ტრენერის სახელს/გვარს;
- სწავლების თარიღს;
- სწავლების მონაწილეთა მონაცემებს;
- დასაქმებულის ხელმოწერას.

## ► დატვირთვა-დაცლის სამუშაოები



**სამშენებლო სამუშაოებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის მიხედვით განსაზღვრულია დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების უსაფრთხოების ნორმები:**

- ტვირთის ჩაბმა ასანვეად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს აშენი მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას.
- სატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთის დადგმა (დანყობა) უნდა უზრუნველყოფდეს მათ მდგრად მდგომარეობას ტრანსპორტის მოძრაობის დროს და კონტროლირებად გადაადგილებას დაცლის დროს.
- პანელების, ბლოკებისა და რკინა-ბეტონის სხვა კონსტრუქციების სამონტაჟო მარყუჟი დატვირთვა-დაცლის სამუშაოთა დაწყებამდე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს ისე, რომ არ დაზიანდეს კონსტრუქცია.
- ავტომანქანის ამწევი მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს, ისე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა, თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.

# სიმაღლეზე მუშაობა

საქართველოში ბოლო წლებში სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს მაღლივი შენობების მშენებლობა, რაც გამოწვეულია ურბანული მიწის შეზღუდული რაოდენობით, მიწის ფასის მაღალი ღირებულებით, საცხოვრისებისა და საოფისე ფართების მოთხოვნადობით. მაღლივი შენობა-ნაგებობების მშენებლობა სპეციალური ღონისძიებების მთელი რიგის გატარებას საჭიროებს, მათ შორის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებისას. სამუშაო გარემოში სიმაღლიდან ჩამოვარდნა უბედური შემთხვევების დიდ ნაწილს შეადგენს. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ან მძიმე ტრავმით ან ფატალური შედეგით მთავრდება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დასაქმებულმა და მათმა ზედამხედველმა უნდა გაიაროს ტრენინგი და მიიღოს საჭირო ინფორმაცია სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ.



**საქართველოში „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №477 დადგენილებით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა:**

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებები, მოთხოვნები დამცავი მოაჯირების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ, ზოგადი მოთხოვნები ხარაჩოების მოწყობისა და ექსპლუატაციის მიმართ, მოთხოვნები დაკიდული ხარაჩოების მიმართ, მოთხოვნები გადასატანი ხარაჩოების მიმართ, მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობისა და შემოწმების მიმართ, უსაფრთხოების ბადეები, სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მოთხოვნები დამჭერი მოწყობილობების მიმართ, მოთხოვნები მაფრთხილებელი ბარიერების მიმართ, მოთხოვნები გადასატანი კიბეების მიმართ, მოთხოვნები ღიობების მიმართ. განსაზღვრულია ინფორმაცია დასაქმებულთა სწავლებასთან დაკავშირებით.



**დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ვალდებულებები**

**ეს მნიშვნელოვანია!**



- **დამსაქმებელი ვალდებულია**, სამუშაოს დაწყებამდე ან/და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე მოახდინოს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და მიიღოს შესაბამისი პრევენციული ზომები.
- **დამსაქმებელი ვალდებულია**, შეიმუშაოს სამაშველო გეგმა.
- **დამსაქმებელი ვალდებულია**, გამოყოს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას დაიცავს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

**შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თავის მხრივ, ვალდებულია:**

- **შეაფასოს** სამუშაო ადგილი და განსაზღვროს ვარდნის საშიშროება;
- **შეაფასოს**, რა სახის კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული;

- **შეაფასოს** უშუალოდ სამუშაო პროცესი, რამდენად დაცულია დასაქმებულის სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული საფრთხისგან;
- **უზრუნველყოს** დასაქმებულთა შესაბამისი სწავლება, საჭიროებიდან გამომდინარე;
- **დარწმუნდეს** იმაში, რომ დასაქმებულები სამუშაოს შესრულებისას მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად;
- **უზრუნველყოს** კონტროლი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებაზე;
- **შეიმუშაოს** შრომის უსაფრთხოების გეგმა.

**დასაქმებული ვალდებულია:**

- **გაეცნოს და იხელმძღვანელოს** შრომის უსაფრთხოების გეგმით განერილი ნორმებით;
- **შეამონშოს** დამცავი საშუალებების ყველა ნაწილი (ღვედი, ჩამკეტი, ქამარი და ა.შ.);
- **შეატყობინოს** ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საფრთხის შესახებ;
- **მიმართოს** ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- **შეატყობინოს** დამსაქმებელს/შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ;
- **განკარგოს/გამოიყენოს** ყველა ის აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სიმაღლიდან ვარდნის თავიდან ასაცილებლად.

*საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება*



## სწავლება

### ეს მნიშვნელოვანია!



- სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სასწავლო მოდულებს.
- სიმაღლეზე მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული დასაქმებულისათვის ვარდნის საფრთხის გამოცნობის შესაძლებლობას და უნდა მოიცავდეს ამ საფრთხის მინიმუმამდე შემცირების მიზნით აუცილებელ პროცედურებს.
- დასაქმებულებს უნდა ჩაუტარდეთ სწავლება მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესახებ.
- დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.
- **განმეორებითი სწავლება საჭიროა:**
  - როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დასაქმებული არ არის ადეკვატურად გადამზადებული;
  - თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ იყენებს ან/და არასწორად იყენებს დამცავ საშუალებებს;
  - აღმოჩენილია ახალი საფრთხე;
  - მასიური უბედური შემთხვევის დროს;
  - პერიოდულად, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე.
- **სწავლება/ტრენინგი/ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.**
- **ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს:**
  - განხილულ მოდულებსა და საკითხებს;
  - სწავლების ადგილს;
  - ტრენინგის სახელს/გვარს;
  - სწავლების თარიღს;
  - სწავლების მონაწილეთა მონაცემებს;
  - დასაქმებულის ხელმოწერას.

→ დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ტრენინგების პროგრამის შემუშავება და განხორციელება თითოეული დასაქმებულისათვის, რომელსაც შესაძლოა დაემუქროს ვარდნის საფრთხე.

*საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება*



## სიმაღლიდან ვარდნის სანინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

სიმაღლიდან ვარდნის სანინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია სიმაღლეზე მომუშავე ადამიანის ვარდნისაგან დაცვისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დამაკავშირებელი მონყობილობა უნდა იყოს დამზადებული დაპრესილი ან ფორმირებული ფოლადისგან;
- დამაკავშირებელ მონყობილობას უნდა ჰქონდეს კოროზიისაგან დამცავი დაბოლოებები და მისი ზედაპირი უნდა იყოს გლუვი;
- კარაბინებისა და ჩამკეტიანი კაუჭების გამძლეობაზე სიმტკიცე უნდა ჰქონდეს მინიმუმ **2250 კგ-ის დატვირთვისას**;
- კარაბინები და ჩამკეტიანი კაუჭები უნდა გამოიცადოს მინიმუმ 1600 კგ-ის გამძლეობაზე;
- ჩამკეტიანი კაუჭი უნდა გაიზომოს, რომ თავსებადი იყოს მიერთებულ ნაწილებთან, რათა არ მოხდეს მისი შემთხვევითი ამოვარდნა საჭერი მონყობილობიდან. კაუჭი ასევე უნდა იკეტებოდეს, რათა გამოირიცხოს საჭერიდან და მიმაგრებული ნაწილებიდან გამოვარდნა;
- თუ ჩამკეტიანი კაუჭს არ აქვს სამაგრი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს: თასმებზე, ბაგირებზე, ლითონის ბაგირებზე, კარაბინებზე, ჰორიზონტალურ ტროსებზე ან ნებისმიერ ნივთზე, რომლის ფორმა ან ზომა იმდენად შეუთავსებელია კაუჭთან, რომ შესაძლოა, მოხდეს შემთხვევითი ამოვარდნა საჭერებიდან, შეერთებული ნაწილების დაწევა ან განცალკევება;
- ჰორიზონტალური ტროსების მქონე დაკიდულ ხარაჩოებზე ან მსგავს სამუშაო პლატფორმებზე, სადაც ჰორიზონტალური ტროსი შესაძლოა ვერტიკალურ ტროსებად იქნეს გამოყენებული, ჰორიზონტალურ ტროსთან დამაკავშირებე-




ლი მოწყობილობა უნდა უზრუნველყოფდეს ტროსის ორივე მხრიდან გამაგრებას;

- ჰორიზონტალური ტროსები, როგორც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, დაპროექტებულ, დაყენებულ და გამოყენებულ უნდა იქნეს კვალიფიციური პირის მიერ;
- ღვედები და ვერტიკალური ბაგირები უნდა უძლებდეს არანაკლებ 2250 კგ-ის სიმძიმით/მასით დატვირთვას;
- ლიფტის შახტის მშენებლობისას ორი დასაქმებული შეიძლება მიმაგრებული იყოს ერთსა და იმავე ბაგირზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე პირი ერთი კაბინის ზევით მუშაობს და კაბინა შემოსაზღვრულია მოაჯირებით, ხოლო ბაგირის სიმტკიცე უნდა უძლებდეს თითო კაცზე 4450 კგ-ის დატვირთვას;
- ადამიანის დამცავი ბაგირები დაცული უნდა იყოს გადაჭრისა თუ გაცვეთისაგან;
- გამოსანევი ტიპის ბაგირები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს და მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს გამძლეობის სიმტკიცეს, მინიმუმ, 3350 კგ-ის დატვირთვით;
- გამოსანევი ტიპის ტროსები და ღვედები, რომლებიც ავტომატურად 60 სმ-ით ან ნაკლებით არ ამცირებენ თავისუფალი ვარდნის მანძილს, ასევე გაცვეთილი და დეფორმირებული ღვედები, რომლებიც მიმაგრებულია მოწყობილობაზე მთლიანად გაშლილ მდგომარეობაში, უნდა უძლებდეს, არანაკლებ, 2250 კგ-ის დატვირთვას;
- ანკერული გამაგრებები, რომლებიც სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ამაგრებს, უნდა იყოს განცალკევებული იმ ანკერული გამაგრებებისგან, რომლებიც პლატფორმების საყრდენებად ან საკიდად გამოიყენება და თითოეულ დასაქმებულზე უნდა უძლებდეს მინიმუმ



2250 კგ-ის დატვირთვას და უნდა დამონტაჟდეს და გამოყენებულ იქნეს კვალიფიციური პირის ზედამხედველობის ქვეშ.


- სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა ვარდნის შეჩერებისას უნდა უზრუნველყონ ვარდნის დროს დასაქმებულის შეჩერება მიწის ზედაპირიდან 1,8 მეტრის სიმაღლეზე და არ უნდა მოახდინონ მისი შეხება მიწის ზედაპირთან.



- სხეულის სალტეების გამოყენება დაუშვებელია სხვა მასალების ასაწევად/გადასატანად.
- სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და კომპონენტები გაუმართაობის დროს ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებული და არ იქნეს გამოყენებული იქამდე, ვიდრე არ შემოწმდება კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ.
- დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა სწრაფი ევაკუაცია ვარდნის შემთხვევაში ან/და დარწმუნდეს, რომ დასაქმებულებს თავად აქვთ საკუთარი თავის გადარჩენის შესაძლებლობა.
- სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შემოწმდეს ყოველი გამოყენების წინ ცვეთაზე, დაზიანებაზე და სხვა ხარვეზებზე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დაცვის საშუალება ან/და დეფექტური ნაწილები დაუყოვნებლივ უნდა ჩანაცვლდეს ან მოხდეს მათი ხმარებიდან ამოღება.
- სხეულის სალტეები უნდა იყოს არანაკლებ 4 სმ სიგანისა.
- სიმალიდან ვარდნის დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალება დამაგრებული არ უნდა იყოს მოაჯირის სისტემაზე და არც ამწევ მექანიზმებზე.
- თუ სიმალიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოიყენება ამწევი მექანიზმების გამოყენების ადგილებზე, იგი უნდა უზ-

რუნველყოფდეს დასაქმებულების მოძრაობას მხოლოდ სამუშაო ზედაპირის კიდემდე.

### ► მოთხოვნები დამჭერი მონყობილობების მიმართ



- დამჭერი მონყობილობები იმგვარად უნდა იქნეს დამაგრებული, რომ **არ დაუშვას მომუშავის თავისუფალი ვარდნა 0,6 მეტრზე მეტად.**
- ანკერები, რომელზეც დამაგრებულია დამჭერი მონყობილობები, უნდა უძლებდეს **1360 კგ-ის დატვირთვას.**
- ჩამჭიდები დამზადებული უნდა იყოს ნანრთობი, ჩამოსხმული, ფორმირებული ფოლადის ან სხვა ეკვივალენტური მასალისგან.
- დამაკავშირებელი მონყობილობები უნდა უძლებდეს **2268 კგ-ის (22,2 კილონიუტონი)** დაჭიმულობის ძალას.
- კაუჭებსა და ჩამკეტიან კაუჭებს ჩატარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა სიმტკიცეზე და ჰქონდეთ მინიმალური დაჭიმულობის ძალა **1633 კგ-ის დატვირთვისთვის.**
- ჩამკეტიანი კაუჭის ზომა უნდა შეესაბამებოდეს/მორგებული უნდა იყოს იმ ნაწილების ზომას, რომლებთანაც არის დაკავშირებული, რათა გამოირიცხოს დაჭიმულობით გამონვეული შემთხვევითი განცალკევება. დასაშვებია მხოლოდ ჩამკეტი ტიპის სამაგრი კავების გამოყენება.
- ყოველი გამოყენების წინ დამჭერი მონყობილობის სისტემა უნდა შემოწმდეს ცვეთის, დაზიანებებისა და სხვა ნაკლოვანებების არსებობაზე. დეფექტური ნაწილები არ უნდა იქნეს გამოყენებული.
- ტანის საღებავი, ქაშარი და ვარდნისგან დამცავი სხვა აღჭურვილობები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მომუშავე პერსონალის დაცვის მიზნით და იკრძალება მათი მასალის აწვევის/გადაზიდვის მიზნით გამოყენება.

- დამცავ მექანიზმზე აღნიშნული უნდა იყოს: დამამზადებლის სასაქონლო ნიშანი, ტიპი, ზომა, დამზადების თარიღი, ტექნიკური პირობები. დაუშვებელია მათი გამოყენება, თუ არ ხდება პერიოდული გამოცდა დატვირთვაზე. ასეთი ტიპის გამოცდა უნდა ხორციელდებოდეს ყოველ ექვს თვეში ერთხელ, **1470 6 სტატიკურ დატვირთვაზე 5 წუთის განმავლობაში**. გამოცდის შემდეგ არ უნდა დაირღვეს შემადგენელი ნაწილების ბოჭკოებისა და ნაკერების მთლიანობა.



## დამცავი მოაჯირების მონყობა და ექსპლუატაცია

### დაიმახსოვრეთ!




#### **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:**

დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვროს ეს რისკი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე; თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;
- საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც

უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, განმახორციელებლებს და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს.


გადმოვარდნის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბარიერების ან/და დამცავი მოაჯირების მონყობა სამუშაო ადგილებსა და სამოდრო გზებზე, წყალთან და წყალზე, სხვა მყარ ან თხევად ნივთიერებებთან, რომლებშიც შესაძლებელია მოხდეს ჩაძირვა გადმოვარდნის სიმაღლის მიუხედავად (1), ღია ცის ქვეშ განთავსებულ კიბეებსა და პლატფორმებზე, ამოუშენებელ კედლებსა და მუდმივად განსაზღვრულ საგზაო მარშრუტებზე, სადაც გადმოვარდნის სიმაღლე 1 მ-ს შეადგენს (2); ასევე, სხვა სამუშაო ადგილებზე, სადაც გადმოვარდნის სიმაღლე 2 მეტრზე მეტია.



**საქართველოს მთავრობის №477 დადგენილების მიხედვით დამცავი მოაჯირების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/ სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველაგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე;
- მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან.
- მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი სხვადასხვა საგნის ან ხელსაწყოს ვარდნის თავიდან ასაცილებლად.

- შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს **სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ** სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს **სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ**;
- შუაძელები და ბადეები უნდა დამონტაჟდეს ზედა ძელსა და სამუშაო ზედაპირს შორის:
  - შუაძელის არარსებობის შემთხვევაში, არსებული მოაჯირის მთლიანი პერიმეტრი შემოსაზღვრული უნდა იყოს სამშენებლო საცერი ბადეებით;



- ერთმანეთის გადამკვეთი ძელები შესაძლოა გამოყენებული იყოს შუალედური ძელის ნაცვლად იმ შემთხვევაში, თუ გადამკვეთი ძელების გადაკვეთის წერტილი არის სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ სიმაღლეზე;
- მოაჯირების ჰორიზონტალური ძელები დამაგრებული უნდა იყოს საყრდენი ბოძების შიდა მხარეს;
- ვერტიკალური საყრდენი ძელების გამოყენებისას მათ შორის მანძილი **არ უნდა აღემატებოდეს 50 სმ-ს**;
- მოაჯირი უნდა უძლებდეს 5 სმ დისტანციიდან არანაკლებ **90 კგ ტვირთის მიწოდით დატვირთვას**, რა დროსაც **მოაჯირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10 სმ-ს**;
- მოაჯირზე ბადეები და სხვა დამცავი საშუალებები ისე უნდა იყოს დამონტაჟებული, რომ არ გამოიწვიოს დასაქმებულთა დაზიანება (დასერვა, თითების მოყოლა) და ტანისამოსზე გამოდება;
- მოაჯირების დაბოლოებები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება;

- დაუშვებელია პორიზონტალური და ვერტიკალური ძელების ერთმანეთზე დამაგრება ფოლადის ან პლასტმასის არტახებით;
- მოაჯირის ზედა და შუა ძელები უნდა იყოს ძლიერი და გამძლე მასალისგან დამზადებული, **მინიმუმ 60 მმ დიამეტრის ან სისქის**, რათა გამოირიცხოს მათი გაჭრა ან/და გაგლეჯა. თუ გამოყენებულია ლითონის ბაგირი, ყოველ 180 სმ-ში უნდა დამონტაჟდეს თვალისთვის ადვილად აღსაქმელი ყვითელი ფერის მაფრთხილებელი ალმები;
- თუ მოაჯირის სისტემები გამოიყენება ხვრელების გარშემო, რომლებიც განკუთვნილია მისასვლელი ადგილებისთვის (კიბით ჩასასვლელი), ასეთი ხვრელები აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური საფარით ან იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ მოხდეს ადამიანის მარტივად შეღწევა;



წყარო: [www.caisafety.com](http://www.caisafety.com)

- როდესაც დამცავი მოაჯირი გამოიყენება ლიობებთან, ლიობების ყველა მხარე უნდა იყოს დაფარული;
- როდესაც ლიობები გამოიყენება ტვირთის სამოძრაო ადგილად, გამოყენებული უნდა იქნეს მობილური მოაჯირები. იმ შემთხვევაში, თუ ლიობი არის გამოყენებელი, იგი უნდა იყოს აუცილებლად დაფარული მთლიანი ფენილით;
- ნებისმიერ ლიობთან ახლოს მდებარე პანდუსი ან დაქანებული ადგილი, რომელიც გამოიყენება ადამიანის სავალ ბილიკებად, უნდა იყოს მოაჯირებით შემოსაზღვრული;
- თუ მოაჯირის ზედა ნაწილი შედგება მანძილის, პლასტმასის ან სინთეტიკური ბაგირისგან, აუცილებელია მისი შემონახვა საჭირო პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ, რათა დადასტურდეს, **რომ ის უძლებს 5 სმ დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მიწოლით დატვირთვას**;
- მოაჯირი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმის **კიდიდან არანაკლებ 10 სმ მანძილისა**.



## დამცავი ხარაჩოები

შენობა-ნაგებობების აგებისას არასწორად შერჩეულმა ან არასრულყოფილად მონყობილმა დამცავმა ხარაჩოებმა შესაძლებელია გამოიწვიოს უბედური შემთხვევა – სიმაღლიდან გადმოვარდნა.

**საქართველოს მთავრობის №477 დადგენილების მიხედვით ხარაჩოების მონყობა და ექსპლუატაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

ხარაჩოები უნდა იყოს სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება. **ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს 90–120 სმ სიმაღლისა. მოაჯირის ზედა ძელი უნდა უძლებდეს 5 სმ დისტანციიდან არანაკლებ 90 კგ-ის მინოლით დატვირთვას.** დაუშვებელია ხარაჩოს აღმართვა, შეცვლა ან მოხსნა პასუხისმგებელი პირის ან მის მიერ დანიშნული პირის ზედამხედველობის გარეშე. ზედამხედველ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია. ხარაჩოს გამოყენებული მასალები გამოყენებამდე ყოველ ჯერზე უნდა მონმდებოდეს. **ნებისმიერი სახის ხარაჩო და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი უნდა იყოს დამზადებული მყარი და სათანადო მასალებისგან.** ხარაჩოში გამოყენებული ლითონის დეტალები და აღჭურვილობა უნდა იყოს დამზადებული შესაბამისი მასალისგან. არ უნდა იყოს გაცვეთილი და არ უნდა ჰქონდეს აშკარა დეფექტები. **ხარაჩოებში, მისადგამ და დასაკეც კიბეებში გამოყენებული ხის მასალა არ უნდა იყოს შეღებილი ან დაფარული სხვა მასალით.**

- სამუშაო პლატფორმები, წანწალები და ხარაჩოების კიბეები უნდა იყოს ისეთი ზომისა და კონსტრუქციისა, რომ დასაქმებულები დაცულნი იყვნენ ჩამოვარდნისა და ჩამოცვენილი საგნებისგან. **აკრძალულია უხარისხო/დეფექტური ბაგირების გამოყენება.**
- ხარაჩოების საყრდენები/ბოძები უნდა იყოს:
  - პერპენდიკულარული;
  - რაც შეიძლება ახლოს განლაგებული ერთმანეთთან, ხარაჩოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. **ბოძებს შორის დაშორება 3 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.**
- დაუშვებელია ბოძების დაცურება, ნიადაგში ჩაფლობა ან ნებისმიერი სახის მოძრაობა.
- შემაკავშირებელი კოჭები უნდა იყოს ჰორიზონტალურად განლაგებული და ბოძებზე მყარად დამაგრებული. პლატფორმის ასაგებად გამოყენებული ფიცრები მყარად უნდა იყოს დამაგრებული შემაკავშირებელ კოჭებზე ან ბოძებზე.



როდესაც ფიცრების ან შემაკავშირებელი კოჭების ერთი მხარე კედელს ეყრდნობა, ბოლოები კედელზე მყარად და შესაბამისი წესით უნდა იყოს მიმაგრებული.

- ნებისმიერი სახის ხარაჩო უნდა იყოს გამყარებული საკმარისი რაოდენობისა და შესაბამისი სახის საბჯენი ან ჯვარედინი ბოძების მეშვეობით. ის აღჭურვილობა, რომელსაც ხარაჩო დაეყრდნობა, უნდა იყოს საკმარისად მყარი, სათანადო და უსაფრთხო.
- აკრძალულია ხარაჩოების ასაგებად ან საყრდენად აგურების, კანალიზაციის მილების, ხის გალიების, ყუთების ან სხვა არასათანადო და არამყარი მასალების გამოყენება.
- იმ შემთხვევაში, თუ შენობის ნაწილი ან სხვა ნაგებობა ხარაჩოს ან დასაკეცი კიბის საყრდენად გამოიყენება, ეს შენობა/ნაგებობა საკმარისად მყარი და გამძლე უნდა იყოს.
- **ხარაჩოს სამუშაო პლატფორმა უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ფიცრებისგან ან ლითონის ფურცლებისგან დამზადებული და გამყარებული ისე, რომ გამოირიცხოს მათი გამოძრავება.**
- ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს.



წყარო: [www.gocontractor.com](http://www.gocontractor.com)

უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მოწყობილი ხარაჩო

- სამუშაო პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს 80 სმ-ზე ნაკლები, მისი სიგანე უნდა ფარავდეს საყრდენ ბოძებს შორის მანძილს.
- სამუშაოების კედლის კიდეზე შესრულებისას სამუშაო პლატფორმა კედლის კიდიდან მინიმუმ 60 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული.
- სამუშაო პლატფორმის გვერდებსა და ნაგებობას შორის დაშორება 25 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- ხარაჩოს ნაწილობრივ მოხსნა ან დაუსრულებელი სახით დატოვება (როდესაც ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ხარაჩოს გამოყენების შესაძლებლობა არსებობს) დაუშვებელია.
- ნაწილობრივ მოხსნილი ან დაუსრულებელი სახით ხარაჩოების დატოვების შემთხვევაში (როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს), შემდეგი სახის ზომები უნდა იქნეს მიღებული: ნაწილობრივ მოხსნილი ან დაუსრულებელ ხარაჩოებთან თვალსაჩინო ადგილებზე უნდა იყოს განთავსებული ამკრძალავი/ მაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მოწყობილი ხარაჩო



უსაფრთხოების ნორმების დარღვევით მოწყობილი ხარაჩო



უსაფრთხოების ნორმების დაცვით მოწყობილი ხარაჩო

რთხობისა და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს; ამ ხარაჩოებთან მიმავალი გზები უნდა იყოს გადაკეტილი შესაბამისი სახის მოაჯირებით.

- **ხარაჩოების სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოები უნდა ტარდებოდეს კომპეტენტური პერსონალის მიერ, სტანდარტების შესაბამისად.**

### **მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობის მიმართ:**

- არ მოხდეს ხარაჩოს გადატვირთვა.
- ხარაჩოზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი.
- ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.

### **მოთხოვნები ხარაჩოს შემონმების მიმართ:**

- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციაში შესვლამდე.
- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციის შემდეგ, პერიოდულად – არანაკლებ 7 დღეში ერთხელ.
- შემონმების ანგარიში უნდა მომზადდეს წერილობით.
- ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს კომპეტენტური პირი.
- ანგარიში უნდა ინახებოდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.




## **დაკიდული ხარაჩოები**

- დაკიდული ხარაჩოების ასაწევად ან დასაწევად ამწევი მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:
  - ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე და მისი მოვლა/ექსპლუატაცია ხორციელდებოდეს უსაფრთხოდ;
  - ხარაჩო უსაფრთხოდ და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული დამაგრების ადგილზე;
  - ამწევი მოწყობილობის დეტალები უნდა იყოს განლაგებული ხარაჩოს კიდებზე (შეძლებისდაგვარად). ბაგირები უნდა იყოს მაქსიმალურად დაჭიმული;
  - ამწევი მოწყობილობა უნდა იყოს აღჭურვილი მუხრუჭებით ან შესაბამისი შემაჩერებელი მექანიზმით;

- ამწეზე ხარაჩოს დაკიდების შემთხვევაში, ხარაჩოს ქვედა ნაწილზე მიმაგრებული თითოეულ შკივზე თოკი მინიმუმ ორჯერ უნდა იყოს შემოხვეული, ხოლო თითოეულ შკივზე დახვეული თოკის ბოლო ნაწილის სიგრძე უნდა იყოს თვალთ ალქმადი.
- საბჭენ ბოძებთან ერთად მაბალანსებელი ტვირთის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ტვირთი ბოძებზე მყარად უნდა იყოს მიმაგრებული.
- **დაკიდულ ხარაჩოზე ასვლისას და ჩამოსვლისას არავითარი დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. მათი დიზაინი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის ჩამოვარდნას უნდა გამოერიცხავდეს. ხარაჩოს ორივე მხარეს უნდა არსებობდეს მათი გამოდრავების აღმკვეთი მექანიზმები.**
- დაკიდული ხარაჩოს ამწევი საშუალებები: ბაგირები, ჯაჭვები და ა.შ. უსაფრთხოდ უნდა იყოს დამაგრებული პლატფორმის ჩარჩოზე ან ნებისმიერ ამწევ მოწყობილობაზე, დაჭიმულ მდგომარეობაში.
- დაკიდული ხარაჩოს დახრის, რხევის ან ჩამოვარდნის აღსაკვეთად უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.
- **დაკიდულ ხარაჩოებზე, ტვირთის აწევის მიზნით, მხოლოდ შესაბამისი გამძლეობის გვარლისა და სტანდარტული ბაგირების გამოყენება არის შესაძლებელი.**
- როდესაც დაკიდულ ხარაჩოზე, შკივის ან მსგავსი აღჭურვილობის მეშვეობით, გალიების, კალათების და ა.შ. ტვირთის აწევა ხორციელდება:
  - აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს საკმარისად გამძლე, მყარი მასალისგან დაშბადებული და გამართულ მდგომარეობაში;
  - საჭიროების შემთხვევაში, ეს აღჭურვილობა უნდა იყოს სხვა დანადგართან მყარად მიმაგრებული ან მასზე დაყრდნობილი.
- გალიების, კალათების ან მსგავსი მოწყობილობების გადმოყირავების და დასაქმებულების გადმოვარდნის პრევენციის მიზნით, უნდა იქნეს მიღებული უსაფრთხოების ზომები.
- გალიების, კალათებისა და მსგავსი კონსტრუქციების, მათი მონტაჟისა და გამოყენების პროცესს უნდა ზედამხედველობდეს პასუხისმგებელი ან მის მიერ დანიშნული პირი.
- როდესაც ვერტიკალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს შეკრული და დამაგრებული საყრდენ ნაწილზე, არ უნდა იყოს დამაგრებული ხარაჩოზე და უნდა იყოს დაცული დაზიანებებისაგან. საყრდენი ნაწილები მოიცავს შენობის სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილებს და არ მოიცავს მილებს, სავენ-

ტილაციო ხვრელებს, სხვა მილგაყვანილობის სისტემებს, ელექტროსადენებსა და მსგავს ელემენტებს.

- როდესაც ჰორიზონტალური დამცავი ბაგირები გამოიყენება, ისინი უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოს ორ ან მეტ სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილზე ან შესაძლოა იყოს დამაგრებული საკიდარ და დამოუკიდებელ საკიდარ ხაზებზე (ამგვარად აღჭურვილ ხარაჩოებზე), რომლებიც დამაგრებულია ამწევ და სამუხრუჭე მექანიზმებზე. ჰორიზონტალური დამცავი ბაგირი უნდა იყოს დამაგრებული მხოლოდ საკიდარ თოკებზე.
- როდესაც ღვედი არის დაკავშირებული ჰორიზონტალურ დამცავ ბაგირთან ან რეგულირებადი მოძრავი ხარაჩოს სტრუქტურულ შემადგენელ ნაწილთან, ხარაჩო აღჭურვილი უნდა იყოს დამოუკიდებელი დამატებითი დამჭერი ტროსით ან ავტომატური ჩამკეტი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარაჩოს ვარდნის შეჩერებას ერთი ან ორივე საკიდი ბაგირის დაზიანების შემთხვევაში. დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი უნდა იყოს ისეთივე გამძლე და იმ რაოდენობის, როგორც საკიდი თოკებია.
- ვერტიკალური დამცავი ბაგირი, დამოუკიდებელი დამჭერი ტროსი და საკიდი ბაგირები არ უნდა იყოს ერთმანეთზე მიმაგრებული, ასევე ისინი არ უნდა იყოს მიმაგრებული ერთ საყრდენ ნაწილზე, ასევე არ უნდა იყოს მიმაგრებული ხარაჩოზე ან ინდივიდუალური დაცვის საშუალების ერთსა და იმავე წერტილზე.



### **მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობის მიმართ:**

- არ მოხდეს ხარაჩოს გადატვირთვა.
- ხარაჩოზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი.

- ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.

**მოთხოვნები ხარაჩოს შემონმების მიმართ:**

- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციაში შესვლამდე.
- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციის შემდეგ, პერიოდულად – არანაკლებ 7 დღეში ერთხელ.
- შემონმების ანგარიში უნდა მომზადდეს წერილობით.
- ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს კომპეტენტური პირი.
- ანგარიში უნდა ინახებოდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.



**გადასატანი ხარაჩოები**

მობილური გადასატანი ხარაჩოების დამონტაჟებისას გაუთვალისწინებელმა უსაფრთხოების ზომებმა, არასრულყოფილად აწყობამ ან არასათანადო გამოყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს უბედური შემთხვევა – სიმაღლიდან გადმოვარდნა. გადასატანი ხარაჩოები ააგეთ მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად – გამოიყენეთ მხოლოდ ერთი და იმავე მწარმოებლის ნაწილები, პლატფორმის გამაფრთხილებელი ჩანართები სიმაღლის შესაბამისად დაამონტაჟეთ **მწარმოებლის ინსტრუქციის თანახმად.**

- გადასატანი ხარაჩოს დამზადებისას გამოყენებული ყველა საბჭენი უნდა იყოს მყარი და სათანადო, გამძლე მასალისგან დამზადებული.
- **დაუშვებელია გადასატანი ხარაჩოს სტაციონარულ ხარაჩოზე განლაგება,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სივრცე საკმარისად ფართოა, ხოლო საყრდენი ბოძები პლატფორმაზე მყარად არის დამაგრებული.



- ბორბლებზე ან რელსებზე მოძრავი ხარაჩო:
  - აგებული უნდა იყოს სწორ, მყარ და გლუვ ზედაპირზე;
  - ისე უნდა იყოს დაფიქსირებული, რომ გამოირიცხოს მისი გამოძრავება მასზე დასაქმებულის მუშაობის პროცესში;
  - გადასატან ხარაჩოს უნდა ჰქონდეს მასზე მყარად დამაგრებული შესაბამისი კიბე.
- **ხარაჩოს დატვირთვა არ უნდა აჭარბებდეს პასპორტით გათვალისწინებულ ნორმას.**

**მოთხოვნები ხარაჩოს ტვირთამწეობის მიმართ:**

- არ მოხდეს ხარაჩოს გადატვირთვა.
- ხარაჩოზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი.
- ხარაჩოზე მასალის გადაადგილება ან განლაგება მისი რყევის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს.

**მოთხოვნები ხარაჩოს შემონმების მიმართ:**


- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციაში შესვლამდე.
- ხარაჩო უნდა შემონმდეს ექსპლუატაციის შემდეგ, პერიოდულად – არანაკლებ 7 დღეში ერთხელ.
- შემონმების ანგარიში უნდა მომზადდეს წერილობით.
- ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს კომპეტენტური პირი.
- ანგარიში უნდა ინახებოდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.




**უსაფრთხოების ბადეები**

- უსაფრთხოების ბადე უნდა განთავსდეს სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოების ქვემოთ, სადაც ვერ ხერხდება სხვა სახის დამცავი საშუალების ეფექტური გამოყენება.
- უსაფრთხოების ბადეები გარე მიმართულებით, სამუშაო ზედაპირის ყველაზე დამორებული წერტილიდან უნდა იყოს განთავსებული შემდეგნაირად:

ვერტიკალური მანიძილი სამუშაო პლატფორმიდან ბადის ჰორიზონტალურ ზედაპირამდე	ბადის გარე კიდის მინიმალური ჰორიზონტალური მანიძილი სამუშაო ზედაპირის კიდიდან
1,5 მეტრამდე	2,5 მეტრი
1,5 მეტრიდან 3 მეტრამდე	3 მეტრი
3 მეტრზე მეტი	4 მეტრი.



- თითოეული უსაფრთხოების ბადის ღია უჯრედის გვერდის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს. ყველა უჯრედის კვეთა დაცული უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს ღია უჯრედის გაფართოება.



### უსაფრთხოების ბადე უნდა განთავსდეს:

- სადაც ვერ ხერხდება სხვა სახის დამცავი საშუალების ეფექტური გამოყენება.
- პლატფორმის ქვემოთ მაქსიმალურად ახლოს, მაგრამ არაუმეტეს 9 მეტრი სი-




მაღლისა. უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს ქვედა სამუშაო სივრცეებისა და მიმდინარე პროცესების ხილვადობას.

- ბადის ღია უჯრედის გვერდის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს.

**უსაფრთხოების ბადის შემონმება:**

- დამონტაჟების შემდეგ.
- მუშაობის დაწყებამდე.
- განმეორებითი შემონმება უნდა განხორციელდეს **არა უგვიანეს 6 თვისა**.
- ბადის გამოცდისას უნდა გამოიყენონ 180 კგ სიმძიმის ტვირთი, არანაკლებ 1 მეტრის სიმაღლიდან.
- ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ.



**უსაფრთხოების ბადეები გარე მიმართულებით უნდა განთავსდეს:**

ვერტიკალური მანძილი სამუშაო პლატფორმიდან ბადის პორიზონტალურ ზედაპირამდე	ბადის გარე კიდის მინიმალური პორიზონტალური მანძილი სამუშაო ზედაპირის კიდიდან
1,5 მეტრამდე	2,5 მეტრი
1,5 მეტრიდან 3 მეტრამდე	3 მეტრი
3 მეტრზე მეტი	4 მეტრი

## დაიმახსოვრეთ!



### უსაფრთხოების ბაღე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა განთავსდეს პლატფორმის ქვემოთ მაქსიმალურად ახლოს, უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს ქვედა სამუშაო სივრცეებისა და მიმდინარე პროცესების ხილვადობას, რათა არ მოხდეს მყარი საგნების გადაგდება და არასასურველი კონტაქტი მიწის ზედაპირთან;
- დამონტაჟების შემდეგ უნდა მოხდეს მისი შემოწმება;
- დამცავი ბადის შემოწმება უნდა განხორციელდეს მუშაობის დაწყებამდე, ხოლო თუ აღნიშნული ბაღე არ იქნა მოხსნილი ან გადატანილი, მისი განმეორებითი შემოწმება უნდა განხორციელდეს **არა უგვიანეს 6 თვისა**;
- ბადის გამოცდისას უნდა **გამოიყენონ 180 კგ სიმძიმის ტვირთი, არანაკლებ 1 მეტრის სიმაღლიდან**. გამოცდის შედეგები უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად, კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ;
- დაუშვებელია დეფექტის მქონე ბადის გამოყენება დამცავ საშუალებად;
- თუ დამცავ ბაღეში მოხვდება რაიმე რკინის ნაჭერი, იარაღი ან სხვა სახის საგანი, მისი ამოღება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ასევე უნდა განხორციელდეს ბადის შემოწმება ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ;
- ყოველ დამცავ ბაღეს კიდებე უნდა ჰქონდეს ბაგირი, რომელიც უნდა უძლებდეს **2250 კგ მასის დატვირთვას**.



## მაფრთხილებელი ბარიერები

1. სამშენებლო მოედანზე უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი ნარჩენებით (**„ფრთხილად“**, **„ვარდნის საფრთხეა“**, **„არ გადაკვეთო“**).



2. აღნიშნულ ბარიერამდე დასაქმებულებს ეძლევათ უფლება, იმუშაონ სიმაღლიდან ვარდნის სხვა დამცავი საშუალებების გარეშე, თუმცა მათ აკრძალული აქვთ ამ მაფრთხილებელი ბარიერის მიღმა დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობა. მაფრთხილებელი ბარიერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:




- უნდა განთავსდეს სამუშაო ზედაპირის კიდიდან **არანაკლებ 180 სმ მანძილისა;**
- თუ საფრთხისშემცველ ადგილამდე მისასვლელი გზა არ გამოიყენება, ის უნდა შემოსიზაფხროს თოკით, ბაგირით, ჯაჭვით, ბარიკადით ან სხვა შესაბამისი გამძლეობისა და სიმაღლის დამცავი ბარიერებით, რათა არ მოხდეს გარეშე პირთა შეღწევა;
- უნდა შედგებოდეს ბაგირისგან, მავთულისგან, ბიგისგან ან ჯაჭვისგან და შესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ბაგირზე, მავთულზე ან ჯაჭვზე განთავსებული უნდა იყოს თვალისთვის კარგად აღქმადი შეფერილობის მასალით დამზადებული აღმები, არაუმეტეს **180 სმ ინტერვალით;**
  - ბაგირი, მავთული ან ჯაჭვი სამუშაო ზედაპირიდან დაფიქსირებული უნდა იყოს **არანაკლებ 85 სმ-ისა და არაუმეტეს 100 სმ-ის სიმაღლეზე;**
  - ბაგირის/თოკის, მავთულის, ჯაჭვის დამონტაჟების შემდეგ ბიგი ისე მყარად უნდა დაფიქსირდეს, რომ მისი ნაქცევა/ამოცირავება გამოირიცხოს. ბიგმა უნდა **გაუძლოს ჰორიზონტალურად 7 კგ-ის ზენოლას;**
- ბაგირები ისე უნდა იყოს განთავსებული თითოეულ ბიგზე, რომ ბიგებს შორის ბაგირის გაბმამ არ გამოიწვიოს სხვა ბოძების სიმყარის შესუსტება და ნაქცევა;
- არცერთ დასაქმებულს არ აქვს უფლება, იმყოფებოდეს კიდეში და მაფრთხილებელ ბარიერს შორის იმ დასაქმებულის გარდა, რომელიც ამ ზონაში ახორციელებს სამუშაოს;
- სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა დამატებითი მაფრთხილებელი ბარიერები.



## გადასატანი კიბეები

კიბეზე მომუშავე პირის არასწორად დგომას, კიბის არასწორად დგომას, მომუშავე პირის არასათანადო ქცევას, სამოძრაო ნაწილში არასაკმარის უსაფრთხოებას ან დაზიანებული კიბეების გამოყენებას, შედეგად მოსდევს უბედური შემთხვევა – სიმალლიდან გადმოვარდნა.

მანამ, სანამ გადასატანი კიბეს სამუშაოდ ან სამუშაოსთან მისადგომად გამოიყენებდეთ, რისკების შეფასების ფარგლებში უნდა განისაზღვროს, აუცილებელი არის თუ არა გადასატანი კიბის გამოყენება, ან იქნებ შესაძლებელია მისი სხვა, უფრო უსაფრთხო საშუალებით ჩანაცვლება. გადასატანი კიბეები გამოყენებულ უნდა იქნეს ნაკლები რისკების, ნაკლებად რთული სამუშაოსა და შესრულების ვადების სიმცირის დროს. გადასატანი კიბეების გამოყენება ხდება, ძირითადად, იმ შემთხვევაში, როცა სხვა სახის საშუალების გამოყენება ტექნიკურად შეუძლებელია.



**გადასატანი კიბეები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

**აკრძალულია:**

- არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენება.
- კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა.

**გადასატანი კიბის საფეხურები:**

- ხის საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის განკუთვნილ) ღრმელებში.
- ხის საფეხურები უნდა იყოს კარგად დამაგრებული.
- საფეხურებს შორის დაშორება **არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს.**
- თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური **მინიმუმ ერთი მეტრით** უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან.

### მნიშვნელოვანი მოთხოვნები:

- ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დი-ელექტრიკული კიბეები.
- ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მასალისგან.
- კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმალლის შესაბამისად.
- კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამონე-ული უნდა იყოს **კიბის სიმალლის ¼-ის მანძილით**.
- მისასვლელ არეს კიბე უნდა ასცდეს არანაკლებ ორი საფეხურით.
- დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს **სამწერტილოვანი კონტაქტი**.



თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/ იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას.

**კიბეების შემოწმება** უნდა ხორციელდებოდეს პერიოდულად, კომპეტენტური პირის/ სამსახურის მიერ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დოკუმენტურად და შემოწმების აქტით.



### ღიობები

3. ღიობები (ჭები, შურფები, ლიფტის შახტები, კიბის უკრედები, ნებისმიერი ად-გილი, სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა) **დაფარული უნდა იყოს სპე-ციალური ხუფებით ან/და ფენილებით**.

#### დაიმახსოვრეთ!

**ხუფები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ყველა ხუფი უნდა უძლებდეს **მასზე მდგარი დასაქმებულის და განთავ-სებული ხელსაწყოთა და ნივთის გაორმაგებულ წონას;**



- ხუფები უნდა დამონტაჟდეს ისე მყარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შემთხვევითი გადაადგილება;
- ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი ნარჩენი – „ორმო“ („HOLE“) და „ხუფი“ („COVER“).

## ► ყალიბის მონყოლა

### საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით:

**სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს** პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის.

**მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს** სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.

**სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს** სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.

- **ყალიბების რამდენიმე იარუსად დაყენებისას** ყოველი მომდევნო იარუსი დაყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წინა იარუსის დამაგრების შემდეგ.
- **დაუშვებელია** ყალიბებზე მასალების დაწყობა და ყალიბის საფენებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში.
- სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დაწყებამდე საჭიროა მონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქანეს შორის პირობითი სიგნალის შეთანხმება.
- სამშენებლო კონსტრუქციის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით.
- საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციებისა და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედოდ დამაგრების შემდეგ.
- დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმძლავრეზე ღია ადგილებში **ქარის 15 მ/წმ** და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია.

### ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია:

- ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;

- მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში;
- ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.

**სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი** ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.



## გადასაადგილებელი და მცოცავი ყალიბები

საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება, „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით, სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის.

- **ყალიბების რამდენიმე იარუსად დაყენებისას** ყოველი მომდევნო იარუსი დაყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წინა იარუსის დამაგრების შემდეგ.
- **დაუშვებელია** ყალიბებზე მასალების დანყოფა და ყალიბის საფენებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში.
- საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციებისა და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედოდ დამაგრების შემდეგ.
- დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია.
- **დომკრატის გამოყენებით მონტაჟისას** მიღებული უნდა იყოს დომკრატის გადახრისა და გადაყირავების გამომრიცხავი ზომები.



### **ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია:**

- მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში;
- ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.

**სამშენებლო სამუშაოთა ნარმოების უბანი და ადგილი** ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.

### **▶ ხარაჩოების მოაჯირები**

- ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს **90-120 სმ სიმაღლის**.
- მოაჯირის ზედა ძელი უნდა უძლებდეს **5 სმ-ის** დისტანციიდან არანაკლებ **90 კგ-ის** მინოლით დატვირთვას.

### **ხარაჩოში გამოყენებული მასალები, დეტალები:**

- უნდა იყოს დამზადებული მყარი და სათანადო მასალებისგან.
- არ უნდა იყოს გაცვეთილი და არ უნდა ჰქონდეს აშკარა დეფექტები.
- ხარაჩოებში, მისადგამ და დასაკვეც კიბეებში გამოყენებული ხის მასალა არ უნდა იყოს შეღებილი ან დაფარული სხვა მასალით.

### **სამუშაო პლატფორმა:**

- ხარაჩოს სამუშაო პლატფორმა უნდა იყოს ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმული ფიცრებისგან ან ლითონის ფურცლებისგან დამზადებული და გამყარებული ისე, რომ გამოირიცხოს მათი გამოძრავება.
  - ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს.
  - სამუშაო პლატფორმის სიგანე **არ უნდა იყოს 80 სმ-ზე ნაკლები**.
  - სამუშაო პლატფორმის გვერდებსა და ნაგებობას შორის დაშორება **25 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს**.
- დაუშვებელია ხარაჩოს ნაწილობრივ მოხსნა ან დაუსრულებელი სახით დატოვება.



## ► სახურავების შეფიცვრა / მზიდი კონსტრუქციები

**საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით:**

### **სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:**

- სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა ვარდნის შეჩერებისას უნდა უზრუნველყონ ვარდნის დროს დასაქმებულის შეჩერება მიწის ზედაპირიდან 1.8 მეტრის სიმაღლეზე და არ უნდა მოახდინონ მისი შეხება მიწის ზედაპირთან.

### **სხეულის საღტეები, სხვა აღჭურვილობები და კომპონენტები:**

- უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ დასაქმებულთა დასაცავად.
- დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა მასალების ასანვეად/გადასატანად.
- გაუმართაობის დროს ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებული და არ იქნეს გამოყენებული იქამდე, ვიდრე არ შემოწმდება კომპეტენტური პირის/სამსახურის მიერ.
- უნდა შემოწმდეს ყოველი გამოყენების წინ ცვეთაზე, დაზიანებაზე და სხვა ხარვეზებზე.
- ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, დაცვის საშუალება ან/და დეფექტური ნაწილები დაუყოვნებლივ უნდა ჩანაცვლდეს ან მოხდეს მათი ხმარებიდან ამოღება.



## დაუშვებელია!



- o ყალიბებზე მასალების დანყოფილება და ყალიბის საფენებზე მომუშავეთა ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამუშაოთა წარმოებაში.
- o სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია.
- o გადახურვის სამუშაოებზე მუშების დაშვება შეიძლება მას შემდეგ, რაც **შემონდება სახურავის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა**.
- o სამუშაოს შეწყვეტის ან/და შეჩერების დროს ტექნოლოგიური მოწყობილობა, ინსტრუმენტი და მასალები უნდა დამაგრდეს ან აღებულ იქნეს სახურავიდან.
- o საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციებისა და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედო დამაგრების შემდეგ.
- o შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების მონტაჟისას შემონტაჟები უნდა იმყოფებოდნენ ამ სამუშაოს შესასრულებლად წინასწარ დაყენებულ და საიმედოდ დამაგრებულ კონსტრუქციებზე ან ხარაჩოებზე.

# სამშენებლო მანქანა-დანადგარების უსაფრთხოება

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ უდიდესი ძალისხმევა გასწია, რათა ჩამოეყალიბებინა მინიმალური საერთაშორისო სტანდარტები დასაქმებულთა ფატალური შემთხვევებისა და სანარმოო ტრავმებისაგან დასაცავად. დღეისათვის სამშენებლო დარგი განიცდის ტექნიკისა და ტექნოლოგიების მზარდ ცვლილებებს. სოციალური და ეკონომიკური განვითარება ასევე განაპირობებს ცხოვრების დონის ცვლილებას. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, მაინც გადასაწყვეტი რჩება უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და სამუშაო პირობები, რომლებიც ამ ცვლილებების შედეგადაა გამომწვეული.

კვლევები გვიჩვენებს, რომ უბედური შემთხვევის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია მანქანა-დანადგარების გაუმართაობა და უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა. მშენებლობისას იყენებენ ისეთ ურთულეს მანქანა-მექანიზმებს, როგორებიცაა: მინისმთხრელი მანქანები, ამწეები, გრუნტის მათხვიერებლები, გრუნტის სატკეპნი, ასფალტის დამგები მანქანები, ასფალტის მჭრელი მანქანები, ტვირთმზიდები, მძიმეწონიანი ტვირთის (სტაციონარული ამწე და სხვ.) გადასატანი მანქანები და სხვ.



ტვირთმზიდი მანქანები (უბორტო, ბორტიანი)



მინისმთხრელი – მატრანსპორტირებელი მანქანები (სკრეპერი, ბულდოზერი)



მინისმთხრელი მანქანები – ექსკავატორები  
(პირდაპირჩამჩიანი, შებრუნებულჩამჩიანი)



გრეიდერი

გრუნტის მათხვიერებელი



ცემენტმზიდი



ბეტონმზიდი (მიქსერი)



საავტომობილო ამწე



კოშკურა ამწე



საბურღი დანადგარი



გრუნტის სატკეპნი



ასფალტის დამგები



ასფალტის მჭრელი (ფრეზი)

საქართველოში, სამუშაო გარემოში, შრომის უსაფრთხოება რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტებით. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა ნარმოების დროს.



## სატვირთო მანქანების ექსპლუატაცია



შენობა-ნაგებობების ასაგებად მიწოდებულ ელემენტებს (სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები, ნახევარფაბრიკატები) **სამშენებლო ტვირთები** ეწოდება,

რომლებიც ფიზიკური და გეომეტრიული მახასიათებლების მიხედვით 9 სახეობად იყოფა:

- **ფხვიერი** – ქვიშა, ღორღი, ხრეში, გრუნტი და სხვ.
- **ფხვნილისებრი** – ცემენტი, გაჯი, კირი, ცარცი და სხვ.
- **ცომისებრი** – ბეტონის ნარევი, დულაბი და სხვ.
- **წვრილცალობითი** – აგური, წვრილი ბლოკი, ასფალტის ფილები და სხვ.
- **ცალობითი** – კარ-ფანჯრების ბლოკები, ფილები და სხვ.
- **ზომაგრძელი** – ფერმები, მილები, ხის მასალა, არმატურა და სხვ.
- **მსხვილმოცულობითი** – მსხვილგაბარითიანი კონტეინერები, ლიფტის შახტის ბლოკები და სხვ.
- **თხევადი** – ბენზინი, საპოხი მასალები და სხვ.
- **მძიმეწონიანი** – მნიშვნელოვანი წონის რკინაბეტონის ელემენტები, სამშენებლო მანქანები და სხვ.

სამშენებლო ტვირთების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა გადასაზიდი და დატვირთვა-დაცლისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები.

### დაიმახსოვრეთ!



#### სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოღოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

**საქართველოს მთავრობის №361 დადგენილებაში – „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ – განსაზღვრულია „სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციის“ ნორმები:**

- მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა **განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.**
- მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა **განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.**
- სამშენებლო მოედანზე მანქანა-მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით. ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად.
- ელექტროამძრავიანი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის თავიდან ასაცილებლად.
- მანქანის რთულ პირობებში გადაადგილებისას (დამრეცი გზები, დიდი ქანობები, ნისლი, მოყინული გზები, დიდთოვლობა, რკინიგზის გადასასვლელები და სხვა) წინასწარ უნდა განისაზღვროს შესაძლო შედეგები და მიღებულ იქნეს სათანადო პრევენციული ზომები.



მძიმეწონიანი ტვირთის არასწორად დატვირთვის შემთხვევაში, სამშენებლო მანქანები შესაძლებელია დატვირთვისა და ტრანსპორტირების დროს გამოვარდეს ან დაცურდეს სატვირთო სივრციდან, რაც გამოიწვევს სხვადასხვა



სახის ზიანს. წინასწარ განსაზღვრეთ სატრანსპორტო გზები. უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ტვირთის წონა. ტრანსპორტირებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ სპეციალურად განკუთვნილი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებები.

**საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ – მიხედვით განსაზღვრულია ტვირთის დატვირთვა-დაცლის სამუშაოები:**

- სატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთის დადგმა (დანყობა) უნდა უზრუნველყოფდეს მათ მდგრად მდგომარეობას ტრანსპორტის მოძრაობის დროს და კონტროლირებად გადაადგილებას დაცლის დროს.
- პანელების, ბლოკებისა და რკინა-ბეტონის სხვა კონსტრუქციების სამონტაჟო მარყუჟი დატვირთვა-დაცლის სამუშაოთა დაწყებამდე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს ისე, რომ არ დაზიანდეს კონსტრუქცია.
- **ავტომანქანის ამწევი მექანიზმებით დატვირთვისას როგორც მძღოლს, ისე სხვა პირებს ეკრძალებათ მანქანის კაბინაში ყოფნა, თუ ამ უკანასკნელს არა აქვს დამცავი საფარი.**
- ტვირთის ჩაბმა ასანვეად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. **ჩაბმის ხერხი უნდა გამოირიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას.**



დამცავი ქიმიტ გადახურული მემანქანის კაბინა



მემანქანის კაბინა დამცავი ქიმიტის გარეშე

იმ შემთხვევაში, თუ ტვირთმზიდის კაბინა გადახურულია დამცავი ქიმიტ, მძღოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ძარის დატვირთვის სამუშაოების შესრულებისას. თუ კაბინას არ აქვს დამცავი ქიმი, **ავტომობილის მძღოლი ვალ-**

დებულება, დატვირთვისას გამოვიდეს კაბინიდან და იმყოფებოდეს ექსკავატორის ჩამჩის მოქმედების რადიუსის გარეთ.

### დაიმახსოვრეთ!



**ტვირთმზიდების დატვირთვისას უნდა შესრულდეს უსაფრთხოების შემდეგი პირობები:**

- ავტომობილი, რომელიც იტვირთება, უნდა იყოს დამუხრუჭებული;
- ავტომობილის ძარაში ჩატვირთვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გვერდიდან ან უკანა მხრიდან, და აუცილებლად უნდა იყოს მემანქანის მხედველობის არეში.



გრუნტის ავტომობილის ძარაში ჩატვირთვის სწორი პოზიცია

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1562 ბრძანების – „ტექნიკური რეგლამენტი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ – მიხედვით, განსაზღვრულია „მძღოლის, გადამზიდველის, ტვირთგამგზავნისა და ტვირთმზიდების ვალდებულებები“ და „ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის“ პირობები:**

გადამზიდველი, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მზიდეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ტექნიკისა და ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში.

### **გადამზიდველი ვალდებულია:**

- მიანოდოს დასატვირთად გადაზიდვის შესრულებისათვის შესაბამისი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება;
- შეამოწმოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარაში ტვირთის დატვირთვისა და განლაგების სისწორე და მოითხოვოს ტვირთის გამგზავნისაგან შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოფხვრა;
- უზრუნველყოს ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვა;
- უარი განაცხადოს გადაზიდვაზე, თუ განსხვავებული თვისებების მქონე ტვირთების ერთობლივმა გადაზიდვამ შეიძლება გამოიწვიოს ტვირთის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საფრთხის შექმნა;
- უარი განაცხადოს გადასაზიდი ტვირთის მიღებაზე, თუ ტვირთის გადაზიდვა შეუძლებელია საგზაო და/ან კლიმატური პირობების გამო;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკონტროლოს ტვირთის გამგზავნის მიერ ტვირთის დატვირთვის, ძარაზე მისი დამაგრებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტების (ცისტერნის ლუკების) დახურვის პროცესი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დარღვევების აღმოჩენისას გადამზიდველმა უნდა აცნობოს ტვირთის გამგზავნს აღნიშნულის შესახებ და შეწყვიტოს დატვირთვის პროცესი ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე.

### **ტვირთის გამგზავნი ვალდებულია:**

გადამზიდველის ან მძღოლის მოთხოვნით აღმოფხვრას ტვირთის განლაგება-დამაგრებასა და შეფუთვაში აღმოჩენილი უნესივრობები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ტვირთს ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებას; დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების დროს ტვირთის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით მოახდინოს სპეციალური მარკირება, რომელიც მიუთითებს ტვირთის თვისებებზე, მისდამი დამოკიდებულებაზე (მოპყრობაზე) დატვირთვა-გადმოტვირთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესში (მაგალითად: „ზევით“, „არ აბრუნოთ“, „მსხვრევადი“ და სხვ.).

**სახიფათო ტვირთი** – ნივთიერებები ან/და ნაკეთობები, რომლებიც საერთაშორისო ნორმებით, საშიშროების ტიპის მიხედვით 9 კლასადაა კლასიფიცირებული და რომელთა საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპული შეთანხმების (ADR) შესაბამისად აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვით.

ტვირთის გამგზავნი (ტვირთის მიმღები) ვალდებულია, უზრუნველყოს ტვირთის დატვირთვის (გადმოტვირთვის) ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობისა და მანევრირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ტვირთი უნდა განთავსდეს და დამაგრდეს ისე, რომ გადაზიდვისას უზრუნველყოფილ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მოძრაობის უსაფრთხოება დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში და საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემო პირობებს. მავნე ნივთიერები ტრანსპორტირებისას წარმოადგენს **სახიფათო ტვირთს**. სახიფათო ტვირთის არასათანადო ტრანსპორტირებისას წარმოიქმნება საშიშროება მავნე ნივთიერებების დაღვრასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლებელია გამოიწვიოს ხანძარი, დეფლაგრაცია და აფეთქება.

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1562 ბრძანების მიხედვით განსაზღვრულია სახიფათო ტვირთის მცირე რაოდენობებით ტრანსპორტირების პირობები:**

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან (უნწყებისაგან) ნებართვის, დაშვების, თანხმობის მიღების შემდეგ ან ამ ორგანოსთან (უნწყებასთან) შეთანხმებითაა დასაშვები სახიფათო ტვირთის გადაზიდვა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა;
- სახიფათო ტვირთის გადაზიდვის დროს ნარინჯისფერი ტაბლოებით მარკირებამ უნდა უზრუნველყოს ტვირთის იდენტიფიკაციის ჩატარების საშუალება.
- ნიშანი „სახიფათო ტვირთი“ (400X300 მმ ზომის, სწორკუთხედი, ნარინჯისფერი ფირფიტა გარშემო 15 მმ სიგანის შავი არშიით) – ასეთი ტვირთის გადაზიდვა სატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს, ხოლო ცისტერნის შემთხვევაში – გვერდებზეც უნდა იყოს მიმაგრებული (ფირფიტის ქვედა ნაწილში უნდა აღინიშნოს ტვირთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნომერი, ხოლო ზედა ნაწილში – საშიშროების საიდენტიფიკაციო ნომერი. ისინი უნდა გაიყოს 15 მმ სისქის შავი ჰორიზონტალური ხაზით, რომელიც ფირფიტას ნახევარ სიმაღლეზე გადაკვეთს);
- აკრძალულია ბუქსირება სახიფათო ტვირთის გადაზიდვა სატრანსპორტო საშუალებით, აგრეთვე ასეთი სატრანსპორტო საშუალების ბუქსირება.

## ეს უნდა იცოდეთ!



**საშიშროების ტიპის მიხედვით სახიფათო ტვირთები იყოფა 9 ძირითად კლასად:**

**პირველი კლასი** – ფეთქებადი ნივთიერებები;

**მეორე კლასი** – აირები;

**მესამე კლასი** – ადვილად აალებადი სითხეები;

**მეოთხე კლასი** – აალებადი მყარი ნივთიერებები;

**მეხუთე კლასი** – მჟანგავი ნივთიერებები და ორგანული პეროქსიდები;

**მეექვსე კლასი** – ტოქსიკური და ინფექციური ნივთიერებები;

**მეშვიდე კლასი** – რადიოაქტიური ნივთიერებები;

**მერვე კლასი** – კოროზიული ნივთიერებები;

**მეცხრე კლასი** – სახიფათო ნივთიერებები და ნაკეთობები.

*„სავტომობილო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესი“  
ბრძანება №45/268*

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის №49 ბრძანების – „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ – მიხედვით,** ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, ავტოსატრანსპორტო საშუალების წინა და უკანა მხარეს ნარინჯისფერი ტაბლოთი უნდა იყოს აღჭურვილი.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №215/ნ ბრძანების – „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევების ჩამონათვალის“ მიხედვით,** საავიაციო, მცურავ, სარკინიგზო და მეტროპოლიტენის ან სხვა ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ტრანსპორტის მართვასა და მოძრაობის უსაფრთხოებასთან, საჭიროებს პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას.

**კარიერზე ავტომობილის მუშაობისას აკრძალულია:**

- ავტომობილის მოძრაობა **ანეული ძარით;**
- დატვირთვის ადგილისაკენ **30 მ-ზე მეტ მანძილზე უკუსვლით გადაადგილება** (ტრანშეის გაყვანის შემთხვევის გარდა);

- გარეშე ადამიანების კაბინით გადაყვანა. ნებადართულია ტექნოლოგიური ავტომობილების კაბინებით, ტექნიკური ზედამხედველი პირებისა და ცალკეული მომსახურე პერსონალის გადაადგილება, თუ მათ აქვთ წერილობითი ნებართვა და კაბინაში ადგილი;
- ავტომობილის **დატოვება დაღმართსა და აღმართზე.**
- დაღმართსა და აღმართზე ტექნიკური უწესივრობის გამო ავტომობილის გაჩერებისას მძღოლმა უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომობილის თვითნებურ მოძრაობას – **გამორთოს ძრავა, დაამუხრუჭოს მანქანა, თვლების ქვეშ დადოს საბჯენები (ბუნიკები);**
- ძრავის ამუშავება ავტომობილის დაღმართზე დაგორებით.

ყველა შემთხვევაში ავტომობილის უკუსვლით მოძრაობისას საჭიროა უწყვეტი ხმოვანი სიგნალის მიცემა, ხოლო 10 ტ და მეტი ტვირთამწეობის ავტომობილის უკუსვლით გადაადგილებისას ხმოვანი სიგნალი ავტომატურად უნდა ჩაირთოს.

მემანქანე ვალდებულია – იმუშაოს მხოლოდ მასზე გაპიროვნებულ თვითმცლელზე, დაიცვას თვითმცლელის მწარმოებელი ქარხნის ინსტრუქციები და ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმები; დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები; გაიაროს სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდების შესახებ; აკრძალულია მუშაობა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის დროს; სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მემანქანე ვალდებულია იცოდეს ხანძარქრობის საშუალებების გამოყენება; არ მონიოს თამბაქო თვითმცლელის კაბინაში; თამბაქოს მოწევა დაშვებულია მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში. დაუშვებელია მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება იმ ადგილებში, სადაც ხორციელდება მანქანების სანვავით გამართვა;

### **მემანქანე ვალდებულია!**

- არ ამუშაოს თვითმცლელი, მისი ავზებიდან სანვავის/ზეთის დენის შემთხვევაში;
- არ დაანთოს ცეცხლი თვითმცლელთან ახლოს;
- არ შეინახოს კაბინაში ფეთქებადსაშიში და ადვილად აალებადი ნივთიერებები;
- გასაწმენდი საშუალებები შეინახოს მეტალის დახურულ ყუთებში;
- დაიცვას პირადი ჰიგიენის მოთხოვნები.

სამუშაოების დასრულების შემდეგ მძღოლმა უნდა განახორციელოს შემდეგი აქტივობები: მიიყვანოს თვითმცლელი ავტოფარეხის ტერიტორიაზე, გამორთოს ძრავი, ამონიოს ხელის მუხრუჭი, გადაცემათა კოლოფი გადაიყვანოს ნეიტრალურ მდგომარეობაში, ჩაკეტოს კაბინა; შეიტანოს ჩანანერი ჟურნალში მუშაობის დროს აღმოჩენილი ყველა ხარვეზისა და მათ აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ. აცნობოს სამუშაოთა მწარმოებელს აღნიშნულის შესახებ; შეინახოს სამუშაო ტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.



## მინისმთხრელი მანქანები

მინისმთხრელი მანქანების მემანქანე ვალდებულია – იმუშაოს მხოლოდ მასზე გაპროექტებულ მანქანაზე, დაიცვას მწარმოებელი ქარხნის ინსტრუქციები და ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმები; დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები; გაიაროს სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდების შესახებ; აკრძალულია მუშაობა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის დროს; სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მემანქანე ვალდებულია:

- იცოდეს ხანძარქრობის საშუალებების გამოყენება;
- არ მონიოს თამბაქო თვითმცლელის კაბინაში;
- თამბაქოს მოწევა დაშვებულია მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში. დაუშვებელია მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება იმ ადგილებში, სადაც ხორციელდება მანქანების სანვავით გამართვა;
- არ შეინახოს კაბინაში ფეთქებადსაშიში და ადვილად აალებადი ნივთიერებები;
- გასაწმენდი საშუალებები შეინახოს მეტალის დახურულ ყუთებში;
- დაიცვას პირადი ჰიგიენის მოთხოვნები.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მემანქანე ვალდებულია, მიიყვანოს მანქანა ავტოფარეხის ტერიტორიაზე, გამორთოს ძრავი, ამონიოს ხელის მუხრუჭი, გადაცემათა კოლოფი გადაიყვანოს ნეიტრალურ მდგომარეობაში, ჩაკეტოს კაბინა; შეიტანოს ჩანანერი ჟურნალში მუშაობის დროს აღმოჩენილი ყველა ხარვეზისა და მათ აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ. აცნობოს სამუშაოთა მწარმოებელს აღნიშნულის შესახებ; შეინახოს სამუშაო ტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

**№450 დადგენილების – „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ – მიხედვით, XV თავის 43-ე და 44-ე მუხლებში განსაზღვრულია სკრეპერებისა და ბულდოზერების უსაფრთხოების საკითხები:**

► **სკრეპერები**



სკრეპერი წარმოადგენს მინისმთხრელ მატრანსპორტირებელ მანქანას. ის ციკლური ქმედების მანქანაა, რომელიც ჭრის, გადააქვს, ყრის და ნაწილობრივ ტკეპნის გრუნტს. გვხვდება სამი სახის – მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი და თვითმავალი. სკრეპერით გრუნტების ჭრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

- ბაგირიანი სასკრეპერო დანადგარის გამოყენებისას საფეხურის დაფერდების კუთხე 35°-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- დაუშვებელია ბაგირიანი სასკრეპერო დანადგარის ჩართვა მაფრთხილებელი სიგნალის გარეშე, რაიმე სარემონტო სამუშაოს შესრულება, ბაგირის მოქმედების ზონაში ყოფნა და ბაგირის ხელით მიმართვა დანადგარის მუშაობის დროს.
- მოძრაობისას თვითმავალი და მისაბმელი სკრეპერები უნდა იყოს, სულ მცირე, 2 მ-ის დაშორებით საფეხურის კიდიდან. განტვირთვისას სკრეპერი არ უნდა გადაადგილდეს ფერდობზე უკუსვლით.



- ტრაქტორული წვეის თვლიანი სკრეპერის გამოყენებისას ჩასასვლელების ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 15°-ს სატვირთო მიმართულებით და 25°-ს – საცარიელო მიმართულებით.

## ▶ ბულდოზერები

ბულდოზერი წარმოადგენს მიწისმთხრელ მატრანსპორტირებელ მანქანას. ის ციკლური ქმედების მანქანაა, რომელიც ჭრის, გადააქვს, ყრის და ნაწილობრივ ტკეპნის გრუნტს. ბულდოზერით გრუნტების დამუშავებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:



- დაუშვებელია ბულდოზერის (ტრაქტორის) უმეთვალყურედ დატოვება ჩართული ძრავითა და აწეული დანით, ხოლო მუშაობისას – გვარლის მიმართვა, კიდულ ჩარჩოსა და დანაზე დგომა.
- აკრძალულია ბულდოზერით (ტრაქტორით) მუშაობა ბლოკირების გარეშე, რომელიც გამორიცხავს ძრავის ამუშავებას, თუ გადაცემათა კოლოფი ჩართულია ან ძრავას არა აქვს კაბინიდან ამუშავების მონწყობილობა.
- აკრძალულია ბულდოზერით (ტრაქტორით) მუშაობა ციცაბო ქანობის განივად.
- რემონტის, შეზეთვისა და რეგულირების დროს ბულდოზერი უნდა იდგეს ჰორიზონტალურ ბაქანზე, ძრავა უნდა იყოს გამორთული, ხოლო დანა – მიწაზე დაშვებული.

- დახრილ სიბრტყეზე ბულდოზერის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომლებიც გამორიცხავენ ქანობზე მის თვითნებურ მოძრაობას.
- დანის ქვემოდან დათვალიერებისათვის იგი დაშვებული უნდა იქნეს საიმედო ქვესადებზე, ხოლო ძრავა გამოირთოს. აკრძალულია ანეული დანის ქვეშ ყოფნა.
- მანძილი ბულდოზერის სავალი ნაწილის კიდიდან ფერდოს კიდემდე განისაზღვრება სამთო გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით და შეიტანება სანგრევში (ნაყარზე) სამუშაოთა წარმოების პასპორტში.
- ბულდოზერის მუშაობისას სანგრევის დაფერდების მაქსიმალური კუთხე არ უნდა აღემატებოდეს  $25^{\circ}$ -ს აღმართზე და  $30^{\circ}$ -ს – ქანობზე (ტვირთით დაშვებისას).



მიწის სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების ნორმების დარღვევით

ნაყარის ბულდოზერით მოსწორებისას ფერდოს კიდესთან ბულდოზერის მისვლა ნებადართულია მხოლოდ დანით წინ გადაადგილებისას. ფერდოს კიდისკენ ბულდოზერების უკუსვლით გადაადგილება აკრძალულია.

### აკრძალულია!

მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე 18 წლამდე პირის დასაქმება აკრძალულია:

- ტრანსპორტის მძღოლად;
- ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მომსახურებაზე, მემანქანედ, მემანქანედ, ტრაქტორისტად, ჩამბმელად;
- მიწისა და მიწისქვეშა ნაგებობების სამუშაოებზე.

## საქართველოს მთავრობის №340 დადგენილების – „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ – მიხედვით:

- მინის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მინისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები.
- მინისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მინის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით.

ფხვიერ გრუნტში სამუშაოს წარმოება შეიძლება კედლების გაუმაგრებლად, მაგრამ გრუნტის ბუნებრივი ქანობის შესაბამისი დახრილობის კუთხით. გრუნტის დამუშავება და გამაგრება 2 მეტრზე ღრმა ნათხარში უნდა წარმოებდეს სამუშაოს წარმოების პროექტის მიხედვით. გაყინული გრუნტის (გარდა ფხვიერისა) დამუშავება გამაგრების გარეშე დასაშვებია ჩაყინვის სიღრმემდე.

### ► ექსკავატორი



ექსკავატორი წარმოადგენს მინისმთხრელ მანქანას. გრუნტების დამუშავებისას ექსკავატორი უნდა განთავსდეს კარიერის ან ნაყარის საფეხურზე მყარ და მონორებულ ფუძეზე, რომლის ქანობი არ აღემატება ექსკავატორის ტექნიკური პასპორტით გათვალისწინებულ დასაშვებ ქანობს. ექსკავატორის კაბინა მუშაობისას

უნდა იყოს სანგრევის სანინაალმდეგო მხარეს. აღმართსა და დაღმართზე ექსკავატორის მოძრაობისას აუცილებელია თვითნებური დასრიალების გამომრიცხავი ღონისძიებების გათვალისწინება. ექსკავატორის გადაადგილება უნდა განხორციელდეს მემანქანის თანაშემწის სიგნალების მიხედვით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ექსკავატორის მემანქანესა და მის თანაშემწეს შორის მუდმივი ხილვადობა. ჰორიზონტალურ გზაზე ან აღმართზე ექსკავატორის გადაადგილებისას მისი წამყვანი ღერძი უნდა იყოს უკან, ხოლო ზემოდან ქვემოთ დაშვებისას – წინ. ჩამჩა უნდა დაიცალოს და აიწიოს ძირიდან, სულ ბევრი, 1 მ სიმაღლეზე, ხოლო ისარი დაყენებულ უნდა იქნეს ექსკავატორის მოძრაობის მიმართულებით.

**„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N361 დადგენილების მიხედვით, მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, კერძოდ:**

- მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.
- საშენებლო მოედანზე მანქანა-მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით.

**საქართველოს მთავრობის N340 დადგენილების – „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ – მიხედვით, განსაზღვრულია შემდეგი უსაფრთხოების ნორმები:**

- მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მიწის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით.
- სუსტ ან სველ გრუნტში ტრანშეის თხრისას, როდესაც არსებობს ჩამოზვავების საფრთხე, კედლები საიმედოდ უნდა იქნეს გამაგრებული.

ფხვიერ გრუნტში სამუშაოს წარმოება შეიძლება კედლების გაუმაგრებლად, მაგრამ გრუნტის ბუნებრივი ქანობის შესაბამისი დახრილობის კუთხით. ქვაბულიდან ან ტრანშივიდან ამოღებული გრუნტი უნდა მოთავსდეს კიდიდან არაუმცირეს 0,5 მ მანძილზე. გრუნტის დამუშავება და გამაგრება 2 მეტრზე ღრმა ნათხარში უნდა წარმოებდეს სამუშაოს წარმოების პროექტის მიხედვით.

## დაიმახსოვრეთ!



ბუნებრივი ტენიანობის გრუნტებში, თუ არ არის გრუნტის წყლები და ახლოს განლაგებული მიწისქვეშა ნაგებობანი, ვერტიკალურკედლიანი ქვაბულებისა და ტრანშეების თხრა გაუმაგრებლად ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში:

- ნაყარ სილიან და მსხვილნატეხებიან გრუნტში არაუმეტეს 1 მ სიღრმეზე,
- ქვიშნარში – 1,25 მ სიღრმეზე,
- თიხნარსა და თიხაში – 1,5 მ სიღრმეზე.

მჭიდროდ შეკრულ გრუნტში როტორული და ტრანშეის ექსკავატორების გამოყენებით.

ვერტიკალურკედლებიანი ტრანშეების გამაგრების გარეშე გათხრა დასაშვებია არაუმეტეს 3 მ სიღრმემდე. ამ შემთხვევაში ადამიანის ჩასვლა ტრანშეაში აკრძალულია. ტრანშეის იმ ადგილებში, სადაც აუცილებელია მომუშავეების ყოფნა, უნდა მოეწყოს გამაგრებები ან გაკეთდეს ქანობები. გა-



სამუშაოების წარმოება  
უსაფრთხოების ნორმების დარღვევით

ყინული მკვრივი გრუნტის დამუშავება გამაგრების გარეშე დასაშვებია ჩაყინვის სიღრმემდე. ქვაბულები და ტრანშეები შესაძლებელია დამუშავდეს გაუმაგრებელი ფერდობებით ან მთელ სიღრმეზე გამაგრებული ვერტიკალური კედლებით. 3 მ-მდე სიღრმის ქვაბულებისა და ტრანშეების გამაგრება, როგორც წესი, უნდა იყოს ინვენტარული და სრულდებოდეს ტიპური პროექტებით.

### ექსკავატორის ბაგირების მიმართ ნაყენებული მოთხოვნები:

- ერთნაირი ექსკავატორზე გამოყენებული ბაგირები უნდა შეესაბამებოდეს პასპორტს.
- ისრის ბაგირები უბნის მექანიკოსმა უნდა დაათვალიეროს კვირაში, მინიმუმ, ერთხელ.

- განყვეტილი მავთულების რაოდენობა შებენის ბიჯის სიგრძეზე არ უნდა აღემატებოდეს ბაგირში მისი საერთო რაოდენობის 15 %-ს.
- განყვეტილი მავთულების გამოშვებული ბოლოები უნდა მოიჭრას.
- ბაგირების დათვალელების შედეგები და ჩანაწერები მათი შეცვლის შესახებ გამოცვლის თარიღის და ახალი ბაგირის ტიპის ჩვენებით, შეიტანება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც უნდა ინახებოდეს ექსკავატორზე.
- ამწევი და წვეის ბაგირები უნდა დაათვალელოს სანარმოს მთავარმა მექანიკოსმა დადგენილ ვადებში.

### **ექსკავატორის მუშაობა**

- ერთნაშენიანი ექსკავატორით რკინიგზის ვაგონების დატვირთვისა და განტვირთვისას საექსკავატორო სანაყაროზე მატარებლის ბრიგადა უნდა დაემორჩილოს ექსკავატორის მემანქანის სიგნალებს.
- ერთნაშენიანი ექსკავატორით საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებების დატვირთვისას ექსკავატორის მემანქანემ უნდა მისცეს შემდეგი სახის სიგნალები:
  - ა) ბრძანებაზე: „დადექ“ – ერთი მოკლე;
  - ბ) სატრანსპორტო საშუალების დასატვირთად მიწოდების ნებართვაზე – ორი მოკლე;
  - გ) დატვირთვის დაწყებაზე – სამი მოკლე;
  - დ) დატვირთვის დამთავრებასა და სატრანსპორტო საშუალების გასვლის ნებართვაზე – ერთი გრძელი.
- სიგნალების ცხრილი უნდა გაიკრას ერთნაშენიანი ექსკავატორის ძარაზე თვალსაჩინო ადგილას და მას უნდა გაეცნონ ლოკომოტივების მემანქანეები და სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები.
- დრაგლაინით რკინიგზის დუმპკარების ან სხვა მოცულობების დატვირთვა დასაშვებია სანარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული მუშაობის უსაფრთხო მეთოდების ღონისძიებების განხორციელებით.
- ერთნაშენიანი ექსკავატორის მუშაობისას აკრძალულია ჩამჩის მოქმედების ზონაში ადამიანების ყოფნა (კერძოდ, მომსახურე პერსონალისა).
- ერთნაშენიანი ექსკავატორის მუშაობისას საფეხურის ჩამონგრევის ან ჩამომენყვრების საფრთხის შემთხვევაში, ან ფეთქებადი მასალების მტყუნებული მუხტის აღმოჩენისას ექსკავატორის მუშაობა უნდა შეწყდეს და ექსკავატორი გაყვანილ იქნეს უსაფრთხო ადგილას. ექსკავატორის სანგრევიდან გამოსაყვანად ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი გასასვლელი.

- ერთნაირი ექსკავატორის ისეთ გრუნტზე მუშაობისას, რომელიც ვერ უძლებს მუხლებების წნევას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ექსკავატორის მდგრადი მდგომარეობის უზრუნველყოფი სპეციალური ღონისძიებები.
- უტრანსპორტო სისტემისას, როდესაც დრაგლაინი გადახსნაზე მუშაობს შეწყვილებულად სხვა ექსკავატორთან ან სხვა ტიპის მინასათხრელ მანქანასთან კომპლექსში, მათ შორის უმოკლესი მანძილი არ უნდა იყოს მათი მოქმედების უდიდესი რადიუსების ჯამზე ნაკლები დრაგლაინის ჩამჩის გადასროლის სიდიდის გათვალისწინებით. უფრო ახლო მანძილზე მუშაობის აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შედგეს სამუშაოს უსაფრთხო წარმოების სპეციალური პასპორტი და დამტკიცდეს სანარმოს ხელმძღვანელის მიერ.

### დაიმახსოვრეთ!



მრავალნაირი (ჭაჭვიანი და როტორული) ექსკავატორების კაბინებში დაყენებული უნდა იყოს საავარიო სიგნალიზაციის ფარი, აგრეთვე ხელსაწყოები შემდეგი სიდიდეების საკონტროლოდ:

- როტორის ისრის სიჩქარე და მობრუნების კუთხე;
- ექსკავატორის გადაადგილების სიჩქარე;
- ძაბვა და დატვირთვა შესავალზე.

- მრავალნაირი ექსკავატორის მუშაობის დროს ადამიანები არ უნდა იმყოფებოდნენ დატვირთულ ვაგონებთან და მათ შუა, ჩამტვირთავი და განმტვირთავი ლიუკების, კონვეიერების, გადამტვირთავი მოწყობილობისა და ექსკავატორის სავალი მოწყობილობის ჩარჩოს ქვეშ.
- მრავალნაირი ექსკავატორის კაბინა აღჭურვილი უნდა იყოს მოწყობილობით, რომელიც საშუალებას აძლევს მემანქანეს, მხედველობის არეში იქონიოს ექსკავატორის მიმდებარე უბანი სანგრევში.
- მრავალნაირი ექსკავატორის მუშაობის ადგილებზე უნდა არსებობდეს ექსკავატორის მემანქანის გამოძახების საშუალებები.
- მრავალნაირი ექსკავატორს უნდა ჰქონდეს სამარჯვები, რომლებიც გამოირიცხავენ ჩამჩის ჩარჩოს, როტორის ისრისა და კონვეიერის აწევას, დაშვებას ან მობრუნებას მეტი კუთხით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ექსკავატორის კონსტრუქციით.
- მრავალნაირი ექსკავატორით ახალი სპირაჯოს დამუშავების დაწყების წინ ცვლის უფროსმა ან მისმა შემცვლელმა პირმა უნდა დაათვალიეროს სანგრევი

და მიიღოს ზომები გარეშე საგნების (მსხვილი ფესვები, ხე-ტყე, ლითონის საგნები და სხვ.) მოსაცილებლად ექსკავატორის მთელი სამუშაო ფრონტის გასწვრივ სპირაჯოს სიგანეზე ჩამოქცევის პრიზმის გათვალისწინებით.

- თუ როტორული ექსკავატორი მუშაობს კონვეიერსა და ნაყარწარმოქმნელთან კომპლექსში ან ჯაჭვიანი ექსკავატორი კონვეიერზე დატვირთვით, მართვა უნდა იყოს ბლოკირებული. სარემონტო და გასამართი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული მექანიზმის ხელით მართვა ცალ-ცალკე.
- არაგამოსანვეისრიანი როტორული ექსკავატორი აღჭურვილი უნდა იყოს ავტომატური მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობის სიჩქარისა და როტორის ისრის მობრუნების კუთხის დავალებულ მნიშვნელობებს.

### ეს მნიშვნელოვანია!



ერთნაშინიანი ექსკავატორის მუშაობისას აკრძალულია ჩამჩის მოქმედების ზონაში ადამიანების ყოფნა.

### დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციები:

ავტომობილების (ავტომატარებლების) ექსკავატორით დატვირთვისას უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

- ავტომობილი (ავტომატარებელი), რომელიც ელოდება დატვირთვას, უნდა იმყოფებოდეს ექსკავატორის ჩამჩის მოქმედების რადიუსის გარეთ და უნდა დადგეს დატვირთვის ადგილზე მხოლოდ ექსკავატორის მემანქანის ნებართვის სიგნალის შემდეგ;
- ავტომობილი (ავტომატარებელი), რომელიც იტვირთება, უნდა იყოს დამუხრუჭებული;
- ავტომობილის (ავტომატარებლის) ძარაში ჩატვირთვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გვერდიდან ან უკანა მხრიდან;
- **აკრძალულია** ექსკავატორის ჩამჩის გადატარება ავტომობილის ან ტრაქტორის კაბინაზე;



უსაფრთხოების დაუცველობით მიღებული შედეგი



- დატვირთული ავტომობილი (ავტომატარებელი) უნდა გადაადგილდეს განტვირთვის ბუნქტისკენ მხოლოდ ექსკავატორის მემანქანის ნებართვის სიგნალის შემდეგ;
- ავტომობილი, რომელიც იტვირთება, უნდა იყოს მემანქანის მხედველობის არეში.

თვითსაცლელი ავტომობილის კაბინა გადახურული უნდა იყოს სპეციალური დამცავი ქიმიით, რომელიც უზრუნველყოფს მძღოლის უსაფრთხოებას დატვირთვისას. თუ კაბინას არ აქვს დამცავი ქიმი, ავტომობილის მძღოლი ვალდებულია, დატვირთვისას გამოვიდეს კაბინიდან და იმყოფებოდეს **ექსკავატორის ჩამჩის მოქმედების რადიუსის გარეთ.**

### ► ურნალი

ურნალები გამოიყენება ანაკრები კონსტრუქციების (მაგ.: ფოლადის პროფილები, ბეტონისა და რკინაბეტონის ანაკრები კონსტრუქციები) დართვით, ჩაყურსვით, ჩანწეხვით, ჩახრახვით ან ვიბრირებით გრუნტში ჩასაყვანად ან ამოქაჩვით გრუნტიდან ამოსაღებად. ურნალით სამუშაოების განხორციელება უნდა წარიმართოს ზედამხედველის მიერ, რომელიც სამუშაოების წარმოებისას იქნება მშენებლობაზე. ურნალები და ამნე მონწყობილობები ამუშავეთ მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მწარმოებლის ექსპლუატაციის ინსტრუქციის მონაცემების შესაბამისად. ყურადღება მიაქციეთ ექსპლუატაციის ინსტრუქციაში მითითებულ დასაშვებ დატვირთვას.



### **საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით:**

- ბურღვის სამუშაოებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:
- საბურღი კოშკისა და ურნალის კონსტრუქციების აწევამდე ყველა მათი ელემენტი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.

- საბურღი კოშკისა და ურნალის ტექნიკური მდგომარეობა (კვანძების დამაგრების საიმედოობა, კავშირებისა და მუშა ფენილების გამართულობა) უნდა შემოწმდეს ყოველი ცვლის დაწყების წინ.
- საბურღი კოშკისა და ურნალის ამოქმედებამდე უნდა მოხდეს ობიექტზე მყოფთა გაფრთხილება.
- საბურღი ინსტრუმენტის გამოყენება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით.
- ურნალის გადაადგილება ძირს დაშვებული უროთი უნდა განხორციელდეს მოსწორებულ მოედანზე.
- ურნალის გადაადგილების ლიანდაგის გზის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ყველა ცვლის დაწყების წინ.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების სიახლოვეს, ბურღვისა და შენობა-ნაგებობების საძირკვლების (ფუძეების) სამუშაოთა შესრულება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.
- მცურავი ურნალით ხიმინჯის ჩასობის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი დამაგრება ნაპირთან ან ფსკერზე ლუბით, აგრეთვე, კავშირი ნაპირთან მორიგე საცურაო საშუალებებით ან ფეხით სასიარულო ხიდით.

### დაიმახსოვრეთ!




სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დანესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*


შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმება აკრძალულია:

- ტრანსპორტის მძღოლად;
- ტვირთამწე მანქანების და მექანიზმების მომსახურებაზე, მემანქანედ, მემანქანედ, ტრაქტორისტად, ჩამბმელად;
- მინის და მინისქვეშა ნაგებობების სამუშაოებზე.



### ▶ საბურღი მანქანები

შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე საბურღი მანქანები ყველაზე ხშირად გამოყენებადი მანქანებია. ისინი გამოიყენება: ხიმინჯების მოსაწყობად, სამშენებლო



ნიადაგის ინჟექციებისთვის, საძირკვლის გამაგრებისას, გრუნტის გამოსაკვლევად, ჭაბურღილების მშენებლობისას. სამუშაო მოედანზე საბურღი სამუშაოების წარმართვისას უნდა გამოყოფილ იქნეს ხელმძღვანელი, რომელიც მუდმივად იქნება ადგილზე და ზედამხედველობას გაუწევს სამუშაოების შესრულებას. **საბურღი მანქანების გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ მომატებული ხმაური, მტვერი. უზრუნველყავით რეგულარული პროფესიული სამედიცინო ზრუნვა.**

### საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის №01 ბრძანების მე-13 მუხლის მიხედვით:

- საბურღი მანქანის დასაყენებელი მოედანი უნდა იყოს სწორი, საკმაოდ მყარი ზედაპირით. მოედნის ზედაპირის დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს საბურღი დანადგარის პასპორტში მითითებულ სიდიდეებს.
- ავტომანქანის ძარაზე მოწყობილი საბურღი მანქანები, თვითნებური გადაადგილების თავიდან აცილების მიზნით, მაგრდება საინვენტარო საბჯენებით.
- ჭაბურღილების ბურღვა უნდა წარმოებდეს შემოღობვის დაყენებით.

- სამუშაოს დაწყების წინ მემანქანე უნდა დარწმუნდეს ხალხის და გარეშე საგნების არარსებობაში, მექანიზმების მოქმედების რადიუსში და მისცეს გამაფრთხილებელი სიგნალი.
- საბურღი სამუშაოების ჩატარების დროს გარეშე პირები უნდა იმყოფებოდნენ მუშა ნაწილებიდან არანაკლებ 5 მ-ის მოშორებით.
- საბურღი კოშკურის (მანქანების) აწყობა, რემონტი, დაშლა და გადაადგილება ხდება საბურღი სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობით.
- აკრძალულია საბურღი სამუშაოების ჩატარება ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ასევე კოკისპირული წვიმის და ჭექა-ქუხილის დროს.
- საბურღი კოშკურების გადაადგილება წარმოებს წინასწარ დაგეგმილ უბანზე.
- დაუშვებელია საბურღი კოშკურების გადაადგილება სამუშაო მდგომარეობაში მყოფი საბურღი ნაწილებით.
- გაბურღული ჭაბურღილების პირები უნდა იქნეს საიმედოდ დახურული ფარებით და ღობურებით.
- სამაგრი მილების დაგების და ამოღების დროს პერსონალი, ჭაბურღილზე უშუალოდ დაკავებული პირების გარდა, უნდა იქნეს გაყვანილი უსაფრთხო ადგილებზე.

**საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით, ბურღვის სამუშაოების წარმოებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:**

- საბურღი კოშკისა და ურნალის კონსტრუქციების აწევამდე ყველა მათი ელემენტი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული.
- საბურღი კოშკისა და ურნალის ტექნიკური მდგომარეობა (კვანძების დამაგრების საიმედოობა, კავშირების და მუშა ფენილების გამართულობა) უნდა შემოწმდეს ყოველი ცვლის დაწყების წინ.
- საბურღი კოშკისა და ურნალის ამოქმედებამდე უნდა მოხდეს ობიექტზე მყოფთა გაფრთხილება.
- საბურღი ინსტრუმენტის გამოყენება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით.
- მიწისქვეშა კომუნიკაციების სიახლოვეს, ბურღვისა და შენობა-ნაგებობების საძირკვლების (ფუძეების) სამუშაოთა შესრულება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

## ► გზის სატკეპნი

### საქართველოს მთავრობის №340 დადგენილების მე-3 დანართის მიხედვით:

შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმება აკრძალულია:

- ტრანსპორტის მძღოლად;
- ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მომსახურებაზე, მეამწედ, მემანქანედ,
- ტრაქტორისტად, ჩამბმელად;
- მიწის და მიწისქვეშა ნაგებობების სამუშაოებზე.



### ეს მნიშვნელოვანია!

- სარემონტო და ტექნიკური სამუშაოები განახორციელებთ მხოლოდ მაშინ, როცა სატკეპნი გაჩერებულია და დაცულია დაგორებისგან. სატკეპნი უნდა იმართებოდეს მხოლოდ მემანქანის ადგილიდან.
- უნებლიე დაძვრის თავიდან ასაცილებლად ძრავის გაშვებისას მოძრაობის ბერკეტი დააყენეთ ნულოვან პოზიციაზე.
- მტკეპნავის ექსპლუატაციისას გაიკეთეთ მძღოლის უსაფრთხოების ღვედი და დახურეთ კაბინის კარი.

BG BAU მასალები

## ► გზებისა და ავტობანების მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები

გზებისა და ავტობანების მშენებლობისას ასფალტის მაღალმა ტემპერატურამ შესაძლებელია, გამოინვიოს დასაქმებულთა დამწვრობა. დახურულ სივრცეებში დაგროვილი ორთქლი ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი პირობაა. მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელმა უსაფრთხო სამუშაო გარემო შეუქმნას დასაქმებულს. მან მემანქანისგან უნდა მოითხოვოს მანქანის მართვისა და რემონტის უფლების დამადასტურებელი მოწმობა (სამშენებლო ინდუსტრიაში აღიარებული კვალიფიკაცია). უნდა ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი მემანქანეს დამგების გამოყენებისას არსებული რისკებისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ და აუხსნას მას დამგების გამოყენებისთვის საჭირო რეგულაციები და წესები (ექსპლუატაციის ინსტრუქცია, მწარმოებლის ექსპლუატაციის ინსტრუქცია).

### **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს მიხედვით,**

სამუშაოს დაწყებამდე უნდა განისაზღვროს სამუშაო პროცედურებთან, ტექნიკურ აღჭურვილობასა და გარემო პირობებთან დაკავშირებული რისკები. მოხდეს ამ რისკების კონტროლი (მართვა), რაც გულისხმობს რისკის შემცირების მიზნით არსებულ პროცედურებში ცვლილებების შეტანას.



რისკის საკონტროლო შესაბამისი ზომების შერჩევაში გადაწყვეტილება დამსაქმებელმა უნდა მიიღოს. გვახსოვდეს, რისკის კონტროლის იერარქიის სათავეში მყოფი კონტროლის მეთოდები უფრო უპირატესია და მძლავრია, რადგან არ არის დამოკიდებული ადამიანის ქცევასა და ქმედებაზე და რაოდენობრივად მეტი ადამიანის დაცვა შეუძლია.

დამსაქმებელმა უნდა შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი (პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის დოკუმენტი), რომელშიც განერილი იქნება რისკების შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებები, ღონისძიებების განხორციელების ვადები, განმახორციელებლები და ხარჯები.

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს ჩაუტაროს სწავლება (ტრენინგი) მათთვის გასაგებ ენაზე:**

- დასაქმებულების დაქირავებისას მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
- ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით;
- სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ;
- უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ.

სწავლება-ტრენინგები ტარდება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ სამუშაო საათების პროპორციულად. დამსაქმებელს ევალება, შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (გზის დამკვები მანქანის) უსაფრთხოების მდგომარეობა, მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტის მიხედვით პერიოდულად ჩაუტაროს ტექნიკური დათვალიერება;

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის №215/ნ ბრძანების – „დამსაქმებლის**

**ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“ – მიხედვით დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს ჩაუტაროს წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;**

**გერმანული გამოცდილების (BG BAU) მიხედვით, ასფალტის საფარის დაგებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი უსაფრთხოების ზომები:**

- მძღოლის ადგილი ასასვლელად და ჩამოსასვლელად უნდა იყოს იოლი და უსაფრთხო.
- მემანქანის ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადმოვარდნისგან დამცავებით – მოაჯირებით.
- ცხელ საფარზე გადავლისას გამოყენებულ უნდა იქნეს დამგებ მანქანაზე დამაგრებული ხიდი. მანქანის დეტალები და მექანიზმები დაცული უნდა იქნეს მექანიკური და თერმული დაზიანებებისგან. უზრუნველყოფილ იქნეს დამგები მანქანა უნებლიე დაძვრისგან.
- დაღმართზე არ დაეშვათ გათიშული ძრავით.
- მომსახურე პერსონალი აღიჭურვოს სპეციალური მაღალი ხილვადობის ტანსაცმლით.
- გვირაბებში და ხმაურის დამხშობ კედლებს შორის გამოყენებულ უნდა იქნეს ტემპერატურაშემცირებელი ასფალტი და უზრუნველყოფილ იქნეს ხელოვნური განიავება.
- დაუშვებელია დიზელის სანვავის გამოყენება მაცალკეებელ საშუალებად.
- გამოყენებულ იქნეს სმენის ორგანოების დამცავები და ფეხსაცმელი თბოიზოლირებული ძირით.

**► ასფალტის საჭრელი (ფრეზი)**

ასფალტის ჭრისას შესაძლებელია, ადამიანები ჩაითროს მბრუნავმა ფრეზის როტორმა; ასევე შესაძლებელია, დაზიანება გამოიწვიოს ისეთმა მავნე ნივთიერებებმა, როგორებიცაა მტვერი და ხმაური. მემანქანემ მუშაობის დაწყებამდე უნდა შეამოწმოს, არის თუ არა დამცავი მოწყობილობები მუშა მდგომარეობაში. მანქანის არამუშა მდგომარეობაში გადაყვანა შესაძლებელი უნდა იყოს ავარი-



ული გათიშვით; ფრები უნდა იმართოს მხოლოდ მემანქანისათვის განკუთვნილი ადგილიდან; ასფალტის ჭრის დროს დაუშვებელია, ვინმე იმყოფებოდეს მანქანის უკან; შებენი ხელვალობისას გამოყენებულ უნდა იქნეს **მარშალინგი** (მოძრაობის რეგულირება სტანდარტული სიგნალების საშუალებით); სამუშაოს დასრულებისას და შესვენების დროს ასფალტის საჭრელი (ფრები) დაცული უნდა იქნეს უნებლიე გაშვებისგან.



**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვროს ეს რისკი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:**

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოსაფხვრაზე;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სანარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;

- საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და სანარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებსა და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს;

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებულებისთვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:**

- შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
- სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების, სავაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ;
- დამსაქმებელმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უნდა უზრუნველყოს:
- დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
- ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და სანარმოს პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

სწავლება/ტრენინგები ტარდება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ სამუშაო საათების პროპორციულად.

## ► სამონტაჟო ამწეები

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას ძირითადი სამუშაოები სრულდება სამონტაჟო მანქანა-მექანიზმებით. სამონტაჟო ამწეები მრავალგვარია, კერძოდ: კოშკურა ამწე, ისრიანი ტიპის ამწე, ხიდურა ამწე, ჯოჯგინა ამწე, პორტალური ამწე, სარკინიგზო ამწე, კონსოლური ამწე, გრეიფერული ამწე, სტაციონარული ამწე და სხვ.



### დაიმახსოვრეთ!

სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალებს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დანესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

### **საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით:**

- დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება **სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს**, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. პანელებისა და მათი მსგავსი კონსტრუქციების გადაადგილება და **მონტაჟი 10 მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარის დროს უნდა შეწყდეს**.
- სამუშაოთა შეწყვეტისას კონსტრუქციის ელემენტებისა და დანადგარების დატოვება დაკიდებულ მდგომარეობაში დაუშვებელია.
- თუ მომუშავეთა ყოფნა კონსტრუქციებისა და დანადგარების ქვეშ მათი დაყენების დროს აუცილებელია, მაშინ უნდა განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

### **საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების – „ამწე მონყობილობების მონყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით:**

ამწის დაყენება უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:


- შენობებში, ღია მოედნებზე და სამუშაოს წარმოების სხვა უბნებზე, ამწეების დაყენება უნდა წარმოებდეს პროექტების, რეგლამენტის და სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ხიდური ტიპის, კოშკურა და პორტალური ამწეების სავალი ლიანდაგების მონყობა უნდა წარმოებდეს რეგლამენტისა და სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული პროექტის მიხედვით.
- იატაკიდან ან კავშირის საშუალებით მართვადი ამწეების დაყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფალი გასასვლელი იმ პირთათვის, რომლებიც მართავენ ამწეს.

- დაუშვებელია სამრეწველო ან სხვა შენობების თავზე იმ ამწეების დაყენება, რომელთა ტვირთსატაცი ორგანოა სატვირთო ელექტრომაგნიტი.
- მინისზედა ლიანდაგზე მოძრავი ამწეების დაყენება უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. მე-6 ამწის მოძრაობის მთელ მანძილზე გამორიცხული უნდა იყოს ხალხის ყოფნა. ხალხისათვის განკუთვნილი გასასვლელებისა და სავალი ნაწილების თავზე დაყენებული უნდა იყოს ჩამოვარდნილი ტვირთის შეკავების უნარის მქონე დამცავი გადახურვები (ბადეები და სხვ.).
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის ამწის დაყენება უნდა ხდებოდეს ამწეების სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად.
- ლიანდაგზე მოძრავი ამწის დაყენება ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზის ზონაში შეთანხმებული უნდა იყოს ხაზის მფლობელთან.
- ისრიანი ამწის დაყენება უნდა წარმოებდეს დაგეგმარებულ და მომზადებულ მოედანზე გრუნტის კატეგორიისა და მახასიათებლის გათვალისწინებით. არ შეიძლება ამწის დაყენება ახალ ნაყარ და დაუტკეპნავ გრუნტზე, აგრეთვე იმ მოედანზე, რომლის დახრა აღემატება ამწის ტექნიკურ დოკუმენტაციაში აღნიშნულს.
- ისრიანი ამწის დაყენება უნდა წარმოებდეს ისე, რომ მუშაობისას ამწის ნებისმიერი მდგომარეობის დროს მანძილი მის საბრუნ ნაწილსა და ნაგებობებს, ტვირთის შტაბელებსა და სხვა საგნებს შორის შეადგენდეს არანაკლებ 1000 მმ-ს.
- ისრიანი ან სარკინიგზო ამწეების გამოსატან საყრდენებზე დაყენების აუცილებლობის დროს ისინი უნდა დაყენდეს ყველა არსებულ გამოსატან საყრდენზე. საყრდენების ქვეშ დაგებული უნდა იყოს მტკიცე და მდგრადი ქვესაფუძვლები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ ამწის საინვენტარო აღჭურვილობას.
- ქვაბულის (თხრილის) ფერდის კიდებზე ისრიანი ამწეები უნდა დაყენდეს უსაფრთხო მანძილზე სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

### **ტვირთსატაცი სამარჯვების მიმართ ნაყენებულია შემდეგი მოთხოვნები:**

ტვირთსატაცი სამარჯვების (ჯამბარები, სატაცი ტრავერსები და სხვ.) პროექტირება უნდა განხორციელდეს რეგლამენტისა და სტანდარტის შესაბამისად. ჯამბარებისა და ფოლადის ბაგირების გაანგარიშება უნდა შესრულდეს ბაგირის შტოების რიცხვისა და მათი ვერტიკალთან დახრის კუთხის გათვალისწინებით. მრავალშტოვანი ჯამბარების ცალკეული შტოს საანგარიშო დატვირთვას ითვალისწინებენ თითოეული შტოს თანაბარი დაჭიმულობისა და მათ შორის საანგარიშო 90°-ის ტოლი კუთხის დაცვის პირობიდან გამომდინარე. ჯამბარებისათვის მისაღებ საანგარიშო დატვირთვას ითვალისწინებენ არა უმეტესი სამი წვერის ანგარიშით. წინა ჯამბარების შტოებს შორის საანგარიშო კუთხე-

ებად შეიძლება მიღებულ იქნეს ფაქტობრივი კუთხეები. ტვირთის განკუთვნილი ჯამბარების გაანგარიშების დროს ჯამბარის ბაგირების, ლენტებისა და ჯაჭვების კონსტრუქცია და სიმტკიცის მარაგი უნდა უზრუნველყოფდნენ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებას და შეესაბამებოდნენ სტანდარტის მოთხოვნებს. ხიდური ტიპის ამწეებისათვის ძრავიანი გრეიფერების ან სხვა ტვირთსატაცი მონაცობილობების პროექტირების დროს, რომელთა შემობრუნება ვერტიკალურ სიბრტყეში ექსპლუატაციის პროცესში დაუშვებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტვირთსატაცი ორგანოს ფიქსაცია კავური საკიდრის კორპუსთან მიმართებით.



**დაიმახსოვრეთ!**



- ყველა ამწეს თან უნდა ახლდეს:
- ა) ტექნიკური დოკუმენტაცია (პასპორტი);
  - ბ) ექსპლუატაციის სახელმძღვანელო;
  - გ) მონტაჟის ინსტრუქცია (თუ საჭირო გახდება მონტაჟი).

ამწებზე, გამოსაჩენ ადგილას, დამამზადებლის მიერ უნდა დამაგრდეს ფირფიტა დამამზადებელი სანარმოს დასახელების ან მისი სასაქონლო ნიშნის, ამწის მაქსიმალური ტვირთამწეობის, გამოშვების თარიღის, ტიპის, სერიული ნომრის მონაცემების აღნიშვნით. ფირფიტა შენარჩუნებული უნდა იყოს ამწის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. ტვირთსატაცი სამარჯვები (ჯამბარები, ჯაჭვები, ტრავერსები, სატაცები და სხვ.) დამამზადების შემდეგ ექვემდებარებიან გამოცდას დამამზადებელ სანარმოში, ხოლო რემონტის შემდეგ (გარდა ჯამბარებისა) – სანარმოში, სადაც ისინი გარემონტდნენ. ჯამბარები რემონტს არ ექვემდებარებიან. ტვირთსატაცი სამარჯვები უნდა აღიჭურვონ დალით ან მყარად მიმაგრებული ფოლადის საჭდეი სერიული ნომრის, ტვირთამწეობისა და გამოცდის თარიღის მითითებით. ტვირთსატაც სამარჯვებს, გარდა დალისა (საჭდისა), თან უნდა ახლდეს ტექნიკური დოკუმენტაცია.

*ტექნიკური რეგლამენტი 429*

### **საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების მიხედვით განსაზღვრულია სალიანდაგო ხაზის საერთო მოთხოვნები, ექსპლუატაცია, ტექნიკური შემოწმება და რემონტი, სამუშაოთა წარმოების საკითხები:**

#### **საერთო მოთხოვნები:**

- ამწის სალიანდაგო ხაზის (სარკინიგზო ამწეების ლიანდაგის გარდა) მოწყობა უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული ორგანიზაციის ან ამწის დამამზადებელი სანარმოს მიერ შემუშავებული პროექტით. ექსპლუატაციაში მყოფ სალიანდაგო ხაზზე ამწის დადგმის დროს ხაზი უნდა შემოწმდეს ასეთი დატვირთვის დაშვებაზე გაანგარიშებით.
- სარკინიგზო ამწის სალიანდაგო ხაზი მოწყობილი უნდა იყოს სათანადო ნორმების შესაბამისად.
- სალიანდაგო ხაზის პროექტი უნდა შედგეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ამწეებისა და სატვირთო ურიკების რელსები უნდა მაგრდებოდეს ისე, რომ გამოირიცხოს რელსების გრძივი და განივი გადანაცვლება ამწის მუშაობის და მოძრაობის დროს. რელსების შედუღებით დამაგრების შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს მათი თბური დეფორმაცია.
- ამწის ლიანდაგის გადახრების ზღვრული სიდიდეები და რელსებისა და შპალეების დეფექტები არ უნდა აღემატებოდეს სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს და უნდა უზრუნველყოფდეს ამწის უსაფრთხო გადაადგილებას.

- საექსპლუატაციოდ სალიანდაგო ხაზის მზადყოფნა დადასტურებული უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტით.
- სალიანდაგო ხაზის დამინების წინააღობის გაზომვა უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

### **ექსპლუატაცია:**

ამწეები ექსპლუატაციაში გაშვებამდე უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

### **ტექნიკური შემოწმება და რემონტი:**

ამწეებს ექსპლუატაციაში გაშვებამდე უნდა ჩაუტარდეთ სრული ტექნიკური შემოწმება. ტექნიკური შემოწმება ტარდება ამწის ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად. ექსპლუატაციის ინსტრუქციაში შესაბამისი მითითების არარსებობის შემთხვევაში ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს რეგლამენტის თანახმად.

**ექსპლუატაციაში მყოფ ამწეებს უნდა ჩაუტარდეთ ტექნიკური შემოწმება პერიოდულად:**

- ნაწილობრივი – წელიწადში ერთხელ;
- სრული – სამ წელიწადში ერთხელ, იშვიათად გამოყენებული ამწეების გარდა.

იშვიათად გამოყენებული ამწეები (სამანქანო დარბაზების, ელექტრო- და სატუმბი სადგურების, საკომპრესორო დანადგარების მომსახურე ამწეები, აგრეთვე მხოლოდ მონყობილობის რემონტის დროს სხვა ამწეები) სრულ ტექნიკურ შემოწმებას ექვემდებარებიან ხუთ წელიწადში ერთხელ.

**ამწეების სრული, რიგგარეშე ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს:**

- ამწის ახალ ადგილზე მონტაჟის შემდეგ (ისრიანი და სწრაფად დასამონტაჟებელი კომპურა ამწეების გარდა);
- ამწის რეკონსტრუქციის შემდეგ;
- ამწის მზიდი ლითონკონსტრუქციის რემონტის შემდეგ, შედუღების გამოყენებით მისი ელემენტების ან კვანძების შეცვლისას;
- ამწის ისრის შეცვლის ან საცვლელი საისრე მონყობილობის დაყენების შემდეგ;
- სატვირთო ან საისრე ჯალამბარის კაპიტალური რემონტის ან შეცვლის შემდეგ;



- კავის ან კავური საკიდის შეცვლის შემდეგ (ტარდება მხოლოდ სტატიკური გამოცდა).

გაცვეთილი სატვირთო, საისრე ან სხვა ბაგირების შეცვლის შემდეგ უნდა შემოწმდეს ბაგირების განწყობის სისწორე და ბოლოების ჩამაგრების საიმედოობა, რის შესახებაც ამწეებზე პასუხისმგებელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის მიერ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

ამწის ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს ამწეების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე და გამართულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ.

ტექნიკური შემოწმების მიზანია, დაადგინოს, რომ:

- ამწე შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს და ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მონაცემებს;
- ამწე იმყოფება მისი უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფ მდგომარეობაში.

**სრული ტექნიკური შემოწმების დროს ამწეს უნდა ჩაუტარდეს:**

- დათვალიერება;
- სტატიკური გამოცდა;
- დინამიკური გამოცდა.

ნაწილობრივი ტექნიკური შემოწმების დროს ამწეს სტატიკური და დინამიკური გამოცდები არ უტარდება.

**ამწის სტატიკური გამოცდა ტარდება მის ნომინალურ ტვირთამწეობაზე 25%-ით მეტი დატვირთვით.**

პერიოდული ან რიგგარეშე ტექნიკური შემოწმების დროს ერთი ან რამდენიმე სატვირთო მახასიათებლის მქონე ისრიანი ამწეების სტატიკური გამოცდა ტარდება ამწის მაქსიმალური ტვირთამწეობის და/ან მაქსიმალური სატვირთო მომენტის შესაბამის მდგომარეობაში.

**ამწეების სტატიკური და დინამიკური გამოცდები უნდა უზრუნველყოფდეს ამწეების შემდგომი ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის დადგენას და ჩატარდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.**

**ამწეების დინამიკური გამოცდა წარმოებს ტვირთით, რომლის მასაც 10%-ით აღემატება მის საპასპორტო ტვირთამწეობას.**

ორი ან მეტი ამნევი მექანიზმით აღჭურვილი ამნევებისათვის უნდა გამოიყენოს თითოეული მექანიზმი. თუ ამნე გამოიყენება მხოლოდ ტვირთის ასაწვეად და დასაშვებად (ჰიდროელექტროსადგურების საკეტების ასაწვეად), მაშინ დინამიკური გამოცდები შეიძლება ჩატარდეს თვით ამნის ან მისი ურიკის გადაადგილების გარეშე. **სტატიკური და დინამიკური გამოცდებისათვის** ამნის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს საგამოცდო (საკონტროლო) ტვირთების კომპლექტის არსებობა მათი ფაქტობრივი მასის აღნიშვნით. ამნის ტექნიკური შემონმების შედეგები პასუხისმგებელი პირის მიერ შეიტანება მის ტექნიკურ დოკუმენტაციაში. საცვლელი ტვირთსატაცი სამარჯვებისა და ტარის ექსპლუატაციის პროცესში ამნის მფლობელმა წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ვადებში პერიოდულად უნდა აწარმოოს მათი დათვალიერება. რემონტის შემდეგ ამნის სამუშაოდ დაშვება უნდა განხორციელდეს ამნეების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ექსპლუატაციაში მყოფი ამნეების ტექნიკური შემონმება და მისი ელემენტების წუნდება უნდა ჩატარდეს ამნის ექსპლუატაციის ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო თუ ინსტრუქციაში შესაბამისი მონაცემები არ არის, მაშინ ელემენტების წუნდება უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. ექსპლუატაციაში მყოფი ტვირთსატაცი მონყობილობების წუნდება უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. დაუშვებელია წუნდებული ტვირთსატაცი მონყობილობებისა და საშუალებების ექსპლუატაციაში გამოყენება.

ამნეებს, რომელთაც ამოწურა სამუშაო რესურსი, უნდა გაიარონ ტექნიკური დიაგნოსტიკა აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ, მათი ტექნიკური მდგომარეობისა და შემდგომი ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის ვადის დასადგენად.

### **ზედამხედველობა და მომსახურება:**

ამნეების უსაფრთხო ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამნეების, ტვირთსატაცი სამარჯვებისა და სალიანდაგო ხაზების მფლობელები, აგრეთვე ამნეების ექსპლუატაციის გამწევი იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მათი გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და მუშაობის უსაფრთხო პირობები, შესაბამისი შემონმების, დათვალიერების, რემონტის, ზედამხედველობისა და მომსახურების ორგანიზაციის გზით.

ამ მიზნებისათვის საჭიროა:

- დანიშნონ პასუხისმგებელი (ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები) პირები ამწეების ტექნიკური გამართულობის, უსაფრთხო ექსპლუატაციისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.
- უზრუნველყონ რეგლამენტის მოთხოვნათა მიხედვით ამწის მომსახურე პერსონალის სწავლება და ცოდნის პერიოდული შემოწმება.
- შემუშავდეს თანამდებობრივი ინსტრუქციები პასუხისმგებელი პერსონალისათვის, ხოლო საწარმოო ინსტრუქციები მომსახურე პერსონალისათვის, სამუშაოს წარმოების პროექტები, ტექნოლოგიური რუკები, დატვირთვა-გადმოტვირთვისას დაჯამბარების სქემები.
- ამწე მონყობილობის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

### **სამუშაოების წარმოება:**

**ამწეებით დაუშვებელია ისეთი ტვირთების გადატანა, რომელთა მასაც აღემატება ამწის ნომინალურ ტვირთამწეობას. ამწეების ექსპლუატაციის დროს დაცული უნდა იქნეს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და ექსპლუატაციის ინსტრუქციაში მითითებული მოთხოვნები.**

- აკრძალულია ტვირთების გადაადგილება იმ შენობა-ნაგებობების თავზე, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ ადამიანები. ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებია ტვირთების გადაადგილება აღნიშნული შენობა-ნაგებობების თავზე, სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოების უზრუნველყოფი ღონისძიებების შემუშავების შემდეგ.
- რამდენიმე ამწით ტვირთის აწევა და გადაადგილება დასაშვებია ცალკეულ შემთხვევებში. ასეთი სამუშაო უნდა შესრულდეს პროექტის ან ტექნოლოგიური რუკის შესაბამისად, სადაც მოყვანილი უნდა იყოს დაჯამბარებისა და ტვირთის გადაადგილების სქემები, ოპერაციის შესრულების თანმიმდევრობის აღნიშვნით.
- რამდენიმე ამწით ტვირთის აწევისა და გადაადგილების დროს თითოეულ მათგანზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს ამწის ტვირთამწეობას. რამდენიმე ამწეთი ტვირთის გადაადგილება უნდა წარმოებდეს ამწეებით უსაფრთხო მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის უშუალო ხელმძღვანელობით.

**ამნის მფლობელის ან საექსპლუატაციო ორგანიზაციის მიერ უნდა შემუშავდეს ტვირთების სწორად დაჯამბარებისა და ჩაბმის ხერხები (დაჯამბარების სქემები, დაჯამბარებისა და ტვირთების ჩაბმის გრაფიკული გამოსახულებები), რომლებიც შესასწავლი უნდა იყოს მეჯამბარეების მიერ.**

ამნის მფლობელმა ან საექსპლუატაციო ორგანიზაციამ უნდა: – შეიმუშაოს და სამუშაოს ჩატარების ადგილებზე გასცეს ამწეებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პროექტები, ტვირთების დასაწყობების სატრანსპორტო საშუალებებისა და მოძრავი შემადგენლობის დატვირთვისა და განტვირთვის ტექნოლოგიური რუკები; უზრუნველყოს მეჯამბარეები გადასადგილებელი ტვირთების მასის და ფორმის შესაბამისი, გამოცდილი და მარკირებული ტვირთსატაცი სამარჯვებით და ტარით; უზრუნველყოს ტვირთამწეობის შემზღუდველის გამოცდა ტვირთით ამნის ექსპლუატაციის ინსტრუქციაში და ტვირთამწეობის შემზღუდველის ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ ვადებში; განსაზღვროს ტვირთების დასაწყობების მოედნები და ადგილები, აღჭურვოს ისინი აუცილებელი ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და სამარჯვებით (კასეტებით, პირამიდებით, სტელაჟებით, კიბეებით, ქვესადგამებით, ქვესადებებით, შუასადებებით და სხვ.) და ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს მეამწეებსა და მეჯამბარეებს უშუალოდ დასაწყობების წესის და გაბარიტების შესახებ; უზრუნველყოს ამწეებით მუშაობის ჩატარების დროს სამუშაოების წარმოების პროექტებისა და სხვა ტექნოლოგიური ინსტრუქციების შესრულება; უზრუნველყოს სამშენებლო მოედნებზე არამუშა მდგომარეობაში მყოფი კოშკურა ამწეების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა. დამკვეთისაგან სამუშაოების დამთავრების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ გამორთოს ამწე კვების წყაროდან და მიიღოს ზომები ქარისაგან დასაცავად; უნდა დააწესონ მეამწესა და მეჯამბარეს შორის სიგნალების გაცვლის წესი. შენობებისა და ნაგებობების 36 მ-ზე მეტ სიმაღლეზე აგებისას უნდა გამოიყენებოდეს ორმხრივი რადიოკავშირი. სიგნალის ნიშნები და სიგნალებით მიმოცვლის სისტემა რადიოკავშირის დროს შეტანილი უნდა იყოს მეამწეებისა და მეჯამბარეების სანარმოო ინსტრუქციებში.

### **დაიმახსოვრეთ!**

- ამწეებით ტვირთების გადაადგილებისათვის სამუშაოს წარმოების ადგილი განათებული უნდა იყოს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

➤ ამწის მუშაობა უნდა შეწყდეს მოცემული ამწისათვის დასაშვებზე გადამეტებული ქარის სიჩქარის დროს, თოვლის, წვიმის ან ნისლის, პასპორტში აღნიშნულზე ნაკლები ტემპერატურისა და სხვა შემთხვევების დროს, როდესაც მეამწეს უძნელდება მეჯამბარის სიგნალების ან ტვირთის გადაადგილების გარჩევა.

**ჭექა-ქუხილის დროს დაუშვებელია ღია ცის ქვეშ დამონტაჟებული ამწეების ექსპლუატაცია.**

- ისრიანი ამწეებით მუშაობის წარმოება 30 მ-ზე ნაკლებ მანძილზე ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ამწის ამწევი გამოსანევი ნაწილიდან, აგრეთვე ტვირთიდან 42 ვ და მეტი ძაბვის ქვეშ მყოფი უახლოესი ელექტროგადაცემის საპაერო ხაზის პროექციით მიწაზე შექმნილ ვერტიკალურ სიბრტყემდე უნდა წარმოებდეს, სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ამწეებით ტვირთების გადაადგილებისას სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების მიზნით, ამწის მფლობელი და სამუშაოს მწარმოებელი ვალდებული არიან, **უზრუნველყონ სამუშაოთა შესრულება სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.**

### **ამწის მუშაობის დროს დაუშვებელია!**


- ა) ამწის კაბინაში შესვლა/გამოსვლა მისი მოძრაობის დროს;
- ბ) მომუშავე ისრიანი ამწის გვერდით ადამიანების ყოფნა, მათი მდებარეობა ამწის უძრავ და მოძრავ ნაწილებს შორის, ტრავმირების თავიდან აცილების მიზნით;
- გ) არამდგრად მდგომარეობაში მყოფი ან ორრქიანი კავის ერთ რქაზე დაკიდებული ტვირთის გადაადგილება;
- დ) ადამიანების, ან ტვირთზე ადამიანების ყოფნისას გადაადგილება. ხიდური ტიპის ამწეებით ადამიანების გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს ამწის ექსპლუატაციის ინსტრუქციით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში და მხოლოდ სპეციალურად დაპროექტებული და დამზადებული კაბინით/კალათით;
- ე) მიწადაყრილი ან მიწაზე მიყინული, სხვა ტვირთების ქვეშ მოქცეული, ჭანჭიკებით დამაგრებული ან დაბეტონებული ტვირთის, აგრეთვე ლუმელში გამყარებული ან ჩამოსხმის დროს მიდუღებული ლითონისა და წიღის აწევა;
- ვ) ამწის კავით ტვირთის მიწაზე, იატაკზე ან რელსებზე ამწის კავით გათრევა სატვირთო ბაგირების დახრილი მდგომარეობის დროს, სატვირთო ბაგირების ვერტიკალური მდგომარეობის უზრუნველმყოფი მიმმართველი ბლოკების გამოყენების გარეშე;

- ბ) ტვირთის განზიდვა მისი აწვევის, გადაადგილებისა და დაშვების დროს;
- თ) გადასაადგილებელი ტვირთის ხელით გათანაბრება, აგრეთვე ჯამბარების გასწორება;
- ი) ტვირთის ფანჯრის ღიობებში და აივნებზე მიწოდება, სპეციალური მიმღები ბაქნების ან სამარჯვების გარეშე;
- კ) მუშაობა გამორთული ან გაუმართავი უსაფრთხოების ხელსაწყოებისა და მუხრუჭების დროს;
- ლ) ამწე მექანიზმების ჩართვა მისი კაბინის გარეთ ამწეზე ადამიანების ყოფნის დროს (გალერეაზე, სამანქანო სათავსში, ისარზე, კოშკზე, საპირწონეზე და სხვ.). გამონაკლისი დაიშვება იმ პირებისათვის, რომლებიც ასრულებენ მექანიზმების, ელექტრომონტაჟის და უსაფრთხოების ხელსაწყოების დათვალიერებას და რეგულირებას. ამ შემთხვევებში მექანიზმები უნდა ჩაირთოს დათვალიერების ჩამტარებელი პირის მიერ სიგნალის მიცემის შემდეგ;
- მ) ამწეთი აწვეულ ტარაში (ბადია, ბაიოკი და სხვ.) ჩაჯდომა ან მასში ადამიანების ყოფნა;
- ნ) ისრის აწვევისა და დაშვების დროს მის ქვეშ ადამიანების ყოფნა.

### **ბაგირების მიმართ წაყენებული მოთხოვნები:**

- სატვირთო, საისრე, მზიდი, სანევი და სამონტაჟოდ გამოყენებული ლითონის ბაგირების მარკა, ტიპი და კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს დატვირთვისადმი შედეგობას სათანადო მარაგის კოეფიციენტის გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, ჰქონდეთ ბაგირების დამამზადებელი საწარმოს სერტიფიკატი (მოწმობა) ან მისი ასლი მათი გამოცდის შესახებ.
- ამწეებზე ბაგირების დამაგრება და განლაგება უნდა გამორიცხავდეს მათი დოლებიდან ან ბლოკებიდან გადმოვარდნას, ლითონკონსტრუქციების ელემენტებთან ან სხვა პოლისპასტის ბაგირებთან შეხებას და მათი ცვეთის შესაძლებლობას.
- ბაგირის ბოლოს მარყუჟი ამწეზე დამაგრების დროს, აგრეთვე რგოლებთან, კავებთან ან სხვა დეტალებთან შეუღლებული ჯამბარის მარყუჟი შესრულებული უნდა იყოს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.
- მომჭერების კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს. მომჭერების რიცხვი განისაზღვრება დაპროექტების დროს ბაგირის დიამეტრის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. მომჭერების განლაგების ბიჯი და ბოლო მომჭერის შემდეგ ბაგირის თავისუფალი ბოლოს სიგრძე უნდა შეადგენდეს არანაკლებ ექვსი ბაგირის დიამეტრის სიგრძეს.

- დოღზე ბაგირის დამაგრება უნდა იყოს საიმედო და უზრუნველყოფდეს ბაგირის შეცვლის შესაძლებლობას. მიმჭერი თამასების გამოყენების შემთხვევაში მათი რიცხვი არ უნდა იყოს ორზე ნაკლები. ბაგირის თავისუფალი ბოლოს სიგრძე დოღზე მიმჭერი თამასიდან უნდა შეადგენდეს არანაკლებ ორი ბაგირის დიამეტრის სიგრძეს.
- ლითონის ბაგირების სახით გამოყენებული სატვირთო, საისრე, მზიდი, საწვეი და სხვა სახის ფოლადის ბაგირების შერჩევა უნდა ხდებოდეს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად. დაპროექტებისას, აგრეთვე ამწეზე დაყენებამდე, ბაგირები უნდა შემოწმდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად გაანგარიშებით.
- ექსპლუატაციაში მყოფი ამწეების ბაგირების წუნდება უნდა ჩატარდეს ამწის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს მიხედვით. სახელმძღვანელოში შესაბამისი განყოფილების არარსებობის დროს ბაგირების წუნდება უნდა განხორციელდეს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.



**დოღები და ბლოკები:**

მნიშვნელოვანია, რომ დოღზე ბაგირის მრავალფენად დახვევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბაგირის თითოეული ფენის სწორი დახვევა. ორმაგი პოლისპასტის გამოყენების შემთხვევაში უნდა დაყენდეს გამაწონასწორებელი ბლოკი ან ბალანსირი. ბლოკებს უნდა ჰქონდეთ მისი ღარიდან ბაგირის აცდენის (ამოვარდნის) გამომრიცხავი მოწყობილობა. ამ მოწყობილობისა და ბლოკის ქიშხ შორის ღრეჩო უნდა შეადგენდეს ბაგირის დიამეტრის არაუმეტეს 20%-ს.



## საქართველოს №429 მთავრობის დადგენილებაში განსაზღვრული მართვის კაბინების მიმართ წაყენებული პირობები:


- ამნეთა მართვის კაბინები უნდა შეესაბამებოდეს რეგლამენტისა და სტანდარტების მოთხოვნებს.
- მართვის კაბინა და მართვის პულტი უნდა განლაგდეს ისეთ ადგილას, რომ ამნის მემანქანეს ჰქონდეს ტვირთსატაცი ორგანოსა და ტვირთის გადაადგილებაზე დაკვირვების საშუალება, ამნის მუშაობის მთლიანი ციკლის განმავლობაში.
- ისრიანი ტიპის ამნის მართვის კაბინა უნდა მოთავსდეს ისე, რომ ისრის მინიმალური შვერის შემთხვევაში გამორიცხული იყოს ტვირთსატაცი ორგანოს ან ტვირთის კაბინაზე დაჯახების შესაძლებლობა. უშუალოდ კაბინის თავზე ამნის მექანიზმების განლაგება დაუშვებელია.
- ხიდური ამნისა და გადასადგილებელი კონსოლური ამნის კაბინა მოთავსებული უნდა იყოს ხიდის (კონსოლის) გალერეის ქვეშ და უკავშირდებოდეს მას კიბით. ხიდური ტიპის ამნეებისათვის დასაშვებია კაბინის დაკიდება სატვირთო ურიკის ჩარჩოზე. ამ შემთხვევაში კაბინიდან ხიდის გალერეაზე გამოსვლა უნდა ხდებოდეს ურიკის ფენილის გავლით ან გარედან შემოღობილი კიბით.
- ხიდური ტიპის ამნის კაბინა დაკიდული უნდა იყოს მთავარი ტროლეის განლაგების საწინააღმდეგო მხარეს. გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც ტროლეი მიუწვდომელია კაბინიდან, დასაჯდომი ბაქნიდან ან კიბიდან მათთან შემთხვევითი შეხებისაგან.
- კაბინის შიდა ზომები, გადახურვა, შემინვა, შემოღობვა უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების შესაძლებლობას და შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს.
- კაბინაში შესასვლელი კარი აღჭურვილი უნდა იყოს საკეტით. კარი უნდა იღებოდეს კაბინის შიგნით. გამონაკლისია ისრიანი ამნეები, აგრეთვე კაბინის შესასვლელის წინ შესაბამისი შემოღობვის მქონე ტამბურის ან ბაქნის არსებობა. ამ შემთხვევებში კაბინის კარი შეიძლება გაიღოს გარეთ. ღია ცის ქვეშ მომუშავე ამნეები უნდა აღიჭურვოს გარედან კარების ჩამკეტი მოწყობილობით.
- ლიულკიდან კაბინაში შესვლა დაუშვებელია.
- ელექტროამძრავიანი ამნის კაბინის იატაკს უნდა ჰქონდეს რეზინის დიელექტრიკული ნოხით დაფარული არალითონური მასალებისაგან დამზადებული საფარი, რომელიც გამორიცხავს სრიალს.
- ამნის კაბინა აღჭურვილი უნდა უნდა იყოს ამნის მემანქანისათვის განკუთვნილი სტაციონარული (რეგულირებადი) სკამით ისე, რომ ამნის მემანქანემ დამჯდარმა შეძლოს აპარატების მართვა და ტვირთის გადაადგილებაზე დაკვირვება.
- ამნის კაბინა შესრულებული და აღჭურვილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მასში სათანადო ტემპერატურული რეჟიმი და ჰაერის მომოქცევა სტანდარტების შესაბამისად.



### **საპირწონე და ბალასტი:**

საპირწონისა და ბალასტის შემადგენელი ნაწილები უნდა დამაგრდნენ ან მოთავსდნენ გარსაცმში, ვარდნისაგან მათი დაცვისა და დადგენილი მასის ცვლილების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით. საპირწონის ან ბალასტის სახით წვრილმანი ცალობრივი ტვირთის გამოყენების შემთხვევაში, ის უნდა მოთავსდეს ლითონის ყუთში. ყუთის შესრულებამ უნდა გამორიცხოს მასში ატმოსფერული ნალექების მოხვედრა და ტვირთის გადმოვარდნა. საპირწონის ან ბალასტის სახით ქვიშის, ხრეშისა და ღორღის გამოყენება დაუშვებელია.

მოდრავი საპირწონეები უნდა გადაადგილდებოდეს ავტომატურად, შვერის ცვალებასთან ერთად, ან ჰქონდეთ საპირწონის მდებარეობის კარგად დაკვირვების მანევრებელი.



### **მთავრობის №429 დადგენილების – „ამნე მონყობილობების მონყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ – მიხედვით:**

- ტვირთამწეების მექანიზმები, რომლებიც აღჭურვილია მათი ჩართვის ან მუშა მოძრაობის სინქარეების გადატვირთვისათვის მუშა, რიქციული თუ სხვა მექანიკური მონყობილობებით, უნდა დაპროექტდეს ისე, რომ გამორიცხული იყოს მექანიზმის თვითნებური ჩართვა ან ჩახსნა. ტვირთისა და ისრის ასანევი ჯალამბრისათვის, გარდა ამისა, უნდა გამოირიცხოს ამძრავის გამორთვის შესაძლებლობა მუხრუჭის ზედდების გარეშე.
- ამწეების ელემენტების შეერთებების კონსტრუქციებში (ჭანჭიკებით, სოგმანებით, კბილანებით და სხვა) გამორიცხული უნდა იყოს თვითნებური განხრახვნა ან გათიშვა.

## ▶ საავტომობილო ამწე

ამწე დააყენეთ მზიდუნარიან ნიადაგზე, ჰორიზონტალურად. გამოიყენეთ ტვირთის გადამანაწილებელი ქვეშსაგები (1). დაიცავით უსაფრთხოების მანძილი ორმოებსა და ორმოების კიდეებთან (2).



## ▶ გრეიფერული ამწე

გრეიფერი დააყენეთ დაგეგმარებულ და მომზადებულ მოედანზე გრუნტის კატეგორიისა და მახასიათებლის გათვალისწინებით. გამოიყენეთ ტვირთის გადამანაწილებელი ქვეშსაგებები (1). დაიცავით უსაფრთხოების მანძილი ქვაბულებსა და ქვაბულების კიდეებთან (2). დაიცავით უსაფრთხოების მანძილი საპაერო ელექტროგაყვანილობებთან. საჭიროების შემთხვევაში დაეკონტაქტეთ ელექტროენერჯის მომწოდებელ კომპანიას.



## ► სამშენებლო ნარჩენების გასატანი ღარი

სამშენებლო ნარჩენების გასატანი ღარის მონტაჟისა და გამოყენების დროს უსაფრთხოების ზომების დაუცველობამ შესაძლებელია გამოიწვიოს უბედური შემთხვევა – სიმალიდან გადმოვარდნა. ზემოდან გადმოცვნილმა ნაწილებმა შესაძლოა დააზიანოს ადამიანები. დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის საფრთხეს ქმნის მტვერი, რომელიც სასუნთქი გზების, კანისა და თვალების გაღიზიანების ან დაავადების გამომწვევი პირობაა. სამშენებლო ნარჩენების გასატანი ღარის მონტაჟი უნდა განხორციელდეს ინსტრუქციის შესაბამისად.



### ეს მნიშვნელოვანია!



გერმანული გამოცდილების მიხედვით, სამშენებლო ნარჩენების გასატანი ღარის მონტაჟი და დემონტაჟი უნდა განახორციელონ მხოლოდ იმ პირებმა, რომელთაც ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი. გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის მიერ გათვალისწინებული დაკიდებისა და დანადგრების კონსტრუქციები. კონსტრუქციის 2 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მოწყობისას ან დემონტაჟისას უზრუნველყავით სიმალიდან გადმოვარდნის საფრთხის პრევენცია. განსაზღვრეთ საშიში ზონები და შემოღობეთ ისინი.

## ► დენის მობილური გენერატორი

### დაიმახსოვრეთ!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.



- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დანესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

**საქართველოს მთავრობის №347 დადგენილების – „ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ელექტრომონწყობილობების ელექტროსამონტაჟო და განყოფილების სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების“ 31-ე და 32-ე მუხლების მიხედვით:**

გენერატორის გამოცდისას გამოსაცდელი დანადგარის მაღალი ძაბვის გამოყვანაზე დამამინებელი შტანგით დამინების დადგმა და მოხსნა, ამ დანადგარის გამოსაცდელ მონწყობილობაზე სადენების მიერთება და მოხსნა უნდა წარმოებდეს ერთი და იმავე პირის მიერ და შესრულდეს დიელექტრიკული ხელთათმანებით, სამუშაოთა წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის განკარგულებით. გამოცდელი დანადგარის გამოსაცდელ მონწყობილობასთან შემაერთებული სადენები უნდა იქნეს საიმედოდ დამაგრებული იზოლატორებით ან საიზოლაციო საკიდრებით. გამოცდის ადგილი, ასევე შემაერთებული სადენები უნდა შემოიღობოს, ან გამოცდის ადგილზე უნდა იქნეს დაყენებული მეთვალყურე. შემოღობვა უნდა იყოს სასიგნალო ინვენტარული, გამოკიდული პლაკატებით: „სდექ – ძაბვაა!“, ან შუქტაბლო ისეთივე წარწერით.



<b>Mustermann</b>				
Stromerzeuger Typ: P 290				
230 V 1~	11,7 A	2,7 kW	P <sub>max</sub> 2,8 kW	cosφ 1,0
3000 1/min. 50 Hz	Isolationsklasse H	VDE 0530	DIN 6280	
max. Aufstellhöhe 1000 m	max. Umgebungstemperatur 40 °C			
Gewicht 50 kg	Generator IP 54	Bj. 2000	Nr.: 1009	
				<b>68</b> dB(A) 10 m
Made in Germany				

### **აუცილებელია დამცავი საშუალებების გამოყენება:**

კაბელის გამოცდის წინ, თუ მისი ბოლო მოთავსებულია გამანაწილებელი მონწყობილობის ჩაკეტილ უჯრედში, უჯრედის კარზე ან ღობეზე უნდა იქნეს დაკიდებული **პლაკატი „სდექ – ძაბვა!“**, ხოლო გათიშული გამთიშველების ამძრავებზე – **„არ ჩართოთ – მუშაობს ხალხი!“**. თუ აღნიშნული გამანაწილებელი მონწყობილობის უჯრედის კარი არ არის ჩაკეტილი, ან გამოცდა უტარდება კაბელს დაცალკევებული ბოლოებით (ტრასაზე), **„სდექ – ძაბვა!“** წარწერიანი პლაკატების დაკიდების გარდა უჯრედის კართან ან ადგილთან, სადაც მდებარეობს კაბელის ბოლოები, უნდა იქნეს დაყენებული მეთვალყურე.

გამოსაცდელი ძაბვის მიწოდების დროს განწყობის სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია:

- **შეამონშოს** ბრიგადის ყველა წევრის დასწრება, გაყვანილია თუ არა უცხო პირები და შეიძლება თუ არა მონწყობილობაზე გამოსაცდელი ძაბვის მიწოდება;
- ბრიგადის წევრები **გააფრთხილოს** სიტყვებით: „ვანვდი ძაბვას“, რის შემდეგაც გამომცდელი დანადგარის გამომყვანიდან მოხსნას დამიწება და საკომუტაციო აპარატის ჩართვით მიაწოდოს ძაბვა. დამამიწებელი შტანგის მოხსნის მომენტიდან მთელი გამომცდელი დანადგარი, გამომცდელ მონწყობილობასა და შემერთებელ სადენებთან ერთად, ჩაითვლება ძაბვის ქვეშ მყოფად და ამ დროს გამოსაცდელ სქემაში და გამოსაცდელ მონწყობილობაზე რაიმე სახის მიერთებების წარმოება აკრძალულია.

გამოცდების ჩატარების დასრულების შემდეგ განწყობის სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია:

- **დაიყვანოს** ნულამდე გამომცდელი დანადგარის ძაბვა;
- **გამორთოს** ქსელიდან გამომცდელი დანადგარი;
- **განტვირტოს და დაამიწოს** გამომცდელი დანადგარის მაღლი ძაბვის გამომყვანი;
- **დარწმუნდეს** დანადგარზე მუხტის არარსებობაში და გამწყობი ბრიგადის წევრებს აცნობოს, რომ დანადგარიდან მოხსნილია ძაბვა;
- **მოხსნას** სადენები და შემოღობვები.

### **მუშაობაში მყოფი გენერატორის შემთხვევაში:**

- დაცულ უნდა იქნეს უსაფრთხოების შემდეგი ზომები:

- აუცილებელია **ჩაჩქნის, სახისა და თვალების დამცავი** საშუალებების და **შეკრული სპეცტანსაცმლის** გამოყენება, რათა არ მოხდეს მისი წატაცება მბრუნავი ნაწილების მიერ;
- გამოყენებულ უნდა იქნეს **დიელექტრიკული კალთები ან რემინის დიელექტრიკული საფენები**;
- არ შეიძლება ხელებით ორი პოლუსის დენგამტარ ნაწილებთან ან დენგამტარ და დამინებულ ნაწილებთან ერთდროულად შეხება.

**გაჩერებული ბლოკური გენერატორის სქემაში მუშაობისას** საჭირო არ არის მისი გამოყვანების დამინება, თუ ბლოკის ამამაღლეული ტრანსფორმატორი დამინებულია მაღალი ძაბვის მხრიდან, ხოლო საკუთარი მოხმარების განშტოებაზე ტრანსფორმატორი დამინებულია დაბალ მხარეს და გამორიცხულია ძაბვის მიწოდება ძაბვის ტრანსფორმატორის მეშვეობით. საკონტაქტო რგოლების გაჩარხვა და ხეხვა, ამგზნების კოლექტორის ხეხვა შეიძლება განკარგულებით განახორციელოს არაელექტროტექნიკურმა პერსონალმა ერთპიროვნულად. მუშაობის დროს საჭიროა სახისა და თვალების დამცავი საშუალებების გამოყენება. გაჩერებული გენერატორის აირზეთოვან სისტემაზე სარემონტო სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს განკარგულებით.

**აკრძალულია!**




ცეცხლით მუშაობა უშუალოდ გენერატორის კორპუსზე, მილსადენებსა და აირზეთოვანი სისტემის აპარატებზე, რომლებიც შევსებულია წყალბადით. გენერატორებსა და აირზეთოვანი სისტემის მოწყობილობებთან უნდა გამოიკიდოს პლაკატი: „წყალბადია – ცეცხლსაშიშია!“.

**პერფორატორები, სამტვრევი ხელსაწყოები და სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტი:**

პერფორატორებითა და სამტვრევი ხელსაწყოებით მუშაობისას ხელსაწყოს დაუცველმა ნაწილებმა და ასხლეტილმა ნატეხებმა შესაძლებელია, დაზიანებები გამოიწვიოს. ბურღვისას ჯანმრთელობისთვის საზიანო მტვრის წარმოშობამ შესაძლებელია, გამოიწვიოს სასუნთქი გზების დაავადებები. დასაქმებული აღნიშნულ მექანიზმებთან შეხებისას განიცდის ვიბრაციის ზემოქმედებას. **სამშე-**

**ნებლო-სამონტაჟო პისტოლეტი** არის ჭანჭიკის ჩასატყერი და დასატყერი ხელსაწყო. მუშაობის პროცესში წარმოიშობა იმპულსური ხმაურის ზენოლა. არსებობს დამიანების საფრთხე, გამონჭვეული არაკონტროლირებადი ასხლეტილი ნაწილებით, მუშაობის პროცესში ხელსაწყო დაშლით და შიდა დგუშის ნაწილების მოწყვეტით. მუშაობის პროცესში დასაქმებული უნდა აღიჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.



**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:**

დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვროს ეს რისკი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოსაფხვრაზე;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;
- საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და

სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და სანარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებსა და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს.

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულებისთვის უზრუნველყოს და განახორციელოს სწავლება (ტრენინგები) და მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:**

- საგანგებო სიტუაციების, სავაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ;
- დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
- ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და სანარმოს პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით;
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმებისა და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
- სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;
- სწავლება-ტრენინგები ტარდება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ სამუშაო საათების პროპორციულად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების მიხედვით: მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. **ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.**



**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის №216/ნ ბრძანების მიხედვით, ფიზიკური ფაქტორებით გამონწვეული პროფესიული დაავადებები მოცემულია ცხრილში:**

<p><b>1</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ვიბრაციის ეფექტი</li> <li>- ვიბრაციული დაავადება, გამონწვეული, უპირატესად, ლოკალური ვიბრაციით</li> </ul>	<p>ვიბრაციის ლოკალური მოქმედება</p>	<p>ვიბრაციის წარმომქმნელ პნევმატურ და სხვა იარაღებთან მუშაობა. საქმიანობა, რომელსაც აწარმოებენ მომქლონავები, შემმოჭრელები, ზეინკალ-მეთუნეუქეები, მხერხავები, მბურღავები, საბურღი დაზგის მემანქანეები, ამწმენდი სანგრევის სამთო მუშები, დახრილ ქანობზე მომუშავე მესანგრეები, ტყის მჭრელები და სხვ.</p>
<p><b>2</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ვიბრაციული დაავადება, გამონწვეული, უპირატესად, ზოგადი ვიბრაციით</li> <li>- ვიბრაციული დაავადება, გამონწვეული ლოკალური და ზოგადი ვიბრაციის ერთდროული მოქმედებით (შერეული)</li> </ul>	<p>ზოგადი ვიბრაციის მოქმედება</p>	<p>საქმიანობა, რომელსაც აწარმოებენ მეტეონეები, ხიდურა ამწის მემანქანეები, ტრაქტორისტები, ბულდოზერისტები, მძიმეწონიან სატვირთო მანქანებზე მომუშავენი, ლოკომოტივის ბრიგადის წევრები.</p>

**► მობილური კომპრესორები**

მობილური კომპრესორები შენობის შიგნით მოხმარებისას ინვევენ ხმაურს. შესაძლებელია, განხორციელდეს წნევის კონტეინერის დაზიანება კოროზიით ან წნევის სარქველის მანიპულირებით. არსებობს უსაფრთხოების ხუფის დემონტაჟის დროს ჩაჭყლეტის საფრთხე, კონტაქტი ცხელ ნაწილებთან. მაღალია მონამვლის საფრთხე შენობის შიგნით შიდა წვის ძრავიანი კომპრესორების მოხმარებისას.



„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში განერილია, რომ დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისთვის

ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვროს ეს რისკი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე: იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; იზრუნოს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე; თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სანარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს; საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და სანარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს.

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით: დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულებისთვის უზრუნველყოს და განახორციელოს სწავლება-ტრენინგები და მათთვის გასაგებ ენაზე მიანოდოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:**

- საგანგებო სიტუაციების, სავაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ;
- დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
- ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და სანარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით;
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
- სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

- სწავლება-ტრენინგები ტარდება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ სამუშაო საათების პროპორციულად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილების მიხედვით: მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №81 დადგენილება „ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსები საკომპრესორო სადგურებისათვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა იმ სანარმოსათვის, რომლებიც აპროექტებენ, აშენებენ და ექსპლუატაციას უწევენ ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსავსებ საკომპრესორო სადგურებს (შემდგომ – გაზსავსები საკომპრესორო სადგურები).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 79 დადგენილება „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს იმ მოქმედ, დასაპროექტებელ, მშენებარე და რეკონსტრუირებად სანარმოზე, რომელიც აწარმოებს, მოიხმარს და ინახავს ჰაერის დაყოფის პროდუქტებს (ჟანგბადს, აზოტს, არგონს, კრიპტონს, ქსენონს, ნეონ-ჰილიუმის ნარევის და ა.შ.) ან მათ ნარევეს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №203 დადგენილება „ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს ტექნიკური უსაფრთხოების, მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი მოთხოვნებს ისეთი სტაციონარული, სამენარმეო დანიშნულების სამაცივრო დანადგარების მიმართ, რომლებიც მუშაობენ ჩაკეტილი ციკლით, სადაც მაცივებელ აგენტად გამოყენებულია ამიაკი, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ამიაკის წონა არის არანაკლებ 100 კილოგრამისა, და/ან რომლის სისტემაში ამიაკის დასაჭირხნად გამოიყენება კომპრესორი.



## ხელის პორტატიული ჯაჭვიანი ხერხი და სამშენებლო ცირკულარული ხერხები/ხელის პორტატიული ცირკულარული ხერხები

### ► ხელის პორტატიული ჯაჭვიანი ხერხი. მაგიდის ცირკულარული ხერხი



ხელის პორტატიული ჯაჭვიანი და სამშენებლო ცირკულარული ხერხების/ხელის პორტატიული ცირკულარული ხერხების გამოყენებისას შესაძლებელია ტრილობებისა და დაზიანებების მიღება, ასევე ამ ინსტრუმენტების მუშაობისას გამოწვეულმა ხმაურმა შესაძლებელია, დასაქმებულში გამოიწვიოს სმენის დაქვეითება. მანქანა-დანადგარი ისე უნდა იყოს დაპროექტებული და დამზადებული, რომ ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებისა და ხმაურის შემცირების ხელმისაწვდომი საშუალებების გათვალისწინებით, მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ჰერის გზით გავრცელებული ხმაურისგან გამოწვეული რისკები, მათ შორის ხმაურის წყაროსთან. გამოყოფილი ხმაურის დონე შეიძლება შეფასდეს მსგავსი მანქანა-დანადგარის მიერ გამოყოფილი ხმაურის მონაცემებთან შედარების გზით.

#### ეს მნიშვნელოვანია!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.

- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დანესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.


*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

### **„მანქანა-დანადგარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №85 დადგენილების მიხედვით:**

- ნიშანდება მანქანა-დანადგარზე დატანილ უნდა იქნეს ცხადად, მკაფიოდ და ნაუშლელად. აკრძალულია მანქანა-დანადგარზე ნებისმიერი ნიშანდების, ნიშნის ან წარწერის დატანა, რომელსაც შეუძლია, შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, ნიშანდების ფორმასა ან/და მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მანქანა-დანადგარზე სხვა ნებისმიერი ნიშანი დატანილი უნდა იყოს იმგვარად, რომ იგი არ იწვევდეს შესაბამისობის ნიშანდების მკაფიოობის, სიცხადისა და მნიშვნელობის შელახვას;
- მნიშვნელოვანია, რომ ყველა მანქანა-დანადგარს ახლდეს ქართულ ენაზე შედგენილი ინსტრუქციები. მანქანა-დანადგარზე თანდართული ინსტრუქცია უნდა იყოს „ორიგინალი ინსტრუქცია“ ან „ორიგინალი ინსტრუქციის თარგმანი“. თარგმანის შემთხვევაში მას თან უნდა ახლდეს ორიგინალი ინსტრუქციაც. გამონაკლისის სახით შესაძლებელია, მანქანა-დანადგარის მოვლისა და შეკეთების ინსტრუქციები წარდგენილ იქნეს მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ არჩეული სპეციალიზებული პერსონალისთვის გასაგებ ენაზე. ინსტრუქციები შედგენილ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული პრინციპების დაცვით.
- მწარმოებლის მიერ შედგენილ ინსტრუქციაზე დატანილ უნდა იქნეს წარწერა – „ორიგინალი ინსტრუქცია“;
- იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ქართულ ენაზე შედგენილი ორიგინალი ინსტრუქცია, მწარმოებელი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ან ის პირი, რომელიც ათავსებს საქართველოს ბაზარზე მანქანა-დანადგარს, ვალდებულია,

უზრუნველყოს ქართულ ენაზე თარგმნილი ინსტრუქციის წარდგენა. თარგმნილი ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს სიტყვებს: „ორიგინალი ინსტრუქციის თარგმანი“;

- ინსტრუქციის შინაარსი უნდა მოიცავდეს მანქანა-დანადგარის არა მარტო დანიშნულებისამებრ გამოყენებას, არამედ უნდა ითვალისწინებდეს გონივრულად წინასწარ განჭვრეტად არადანიშნულებით გამოყენებასაც;
- იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-დანადგარი გამოიზღვია არაპროფესიონალი ოპერატორის მიერ გამოყენებისთვის, გამოყენების ინსტრუქციის ფორმა და შინაარსი უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი ოპერატორების ზოგადი განათლების დონესა და მათი გონიერების მოსალოდნელ უნარს.



გერმანული გამოცდილების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ სამუშაოს დაწყებამდე შემომწმდეს ფუნქციონირებისთვის ჯაჭვის მუხრუჭი. სასურველია, გამოყენებულ იქნეს მინიმალური უკუდარტყმის ჯაჭვიანი ხერხები. ყოველთვის დადებით მყარად და უსაფრთხოდ. ჯაჭვიანი ხერხები არ გამოიყენოთ მხარზე მაღლა ხერხისთვის. ძრავიანი

ხერხი ყოველთვის ორივე ხელით დაიჭირეთ. არ ამუშაოთ შიდა წვის ძრავიანი ჯაჭვის ხერხები დახურულ სივრცეებში, მიწათხრილებსა და შახტებში. ძრავიანი ხერხი ხეზე ყოველთვის მოძრავი ჯაჭვით გადაატარეთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ადამიანები არ იმყოფებოდნენ სახიფათო ზონაში. უკუდარტყმის საფრთხის არსებობის გამო, არ ხერხით წვერით. ძრავი გამორთეთ ხერხის დადგამამდე. ჯაჭვიანი ხერხის ტრანსპორტირებისას ჯაჭვზე წამოაყვით დამცავი. ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების დროს ძრავი გათიშეთ, შესაბამისად, გამოაძვრეთ ჩამრთველი.

სამშენებლო ცირკულარული ხერხების/ხელის პორტატიული ცირკულარული ხერხების გამოყენებისას ყურადღება მიაქციეთ მწარმოებლის ექსპლუატაციის ინსტრუქციას. ჩაატარეთ ინსტრუქტაჟი ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად. გამოიყენეთ სმენის დამცავები და უსაფრთხოების ფეხსაცმელები. გააკეთეთ ხმაურიანი სივრცეების მარკირება. ჩაიცვით ტანზე მკვირივად მომჭდარი ტანსაცმელი. ყურადღება მიაქციეთ სახიფათო ზონას ხერხის პირის ირგვლივ. დისკები შეარჩიეთ ხერხის პირის ზომისა და სისქის მიხედვით. გათიშეთ ხელსაწყო დენის წყაროდან ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების დროს. ხერხის დახურულ სივრცეებში გამოყენებისას წარმოქმნილი ხის მტვერი მტვერსასრუტით აიღეთ. ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექს-

პლუტაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან სათადარიგო ნაწილის გამოყენება.



## საკონვეიერო დანადგარი

№450 დადგენილები – „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ – მიხედვით, განსაზღვრულია საკონვეიერო დანადგარების მოწყობისა და მუშაობის უსაფრთხოების საკითხები.

### საკონვეიერო დანადგარის მოწყობა:

- საკონვეიერო დანადგარს უნდა ჰქონდეს:
  - ა) მოწყობილობა მთელ სიგრძეზე ნებისმიერი წერტილიდან კონვეიერის ავარიული გაჩერებისათვის;
  - ბ) სიგნალიზაცია ამუშავების დაწყებისათვის;
  - გ) მაბლოკირებელი მოწყობილობა, რომელიც კონვეიერის დაცვის ამოქმედების შემდეგ გამორიცხავს დისტანციური ამუშავების შესაძლებლობას;
  - დ) მოწყობილობა, რომელიც ჩართული ამძრავისას ლენტის გაჩერების შემთხვევაში გამორთავს კონვეიერს;
  - ე) მოაზრით შემოღობილი გადასასვლელი ბოგები;
  - ვ) დამცავი მოწყობილობა კონვეიერის ქვეშ გასასვლელ ადგილებში გადასადგილებელი მასალის ვარდნილი ნაჭრებისაგან ადამიანების დასაცავად.
- სიბნელეში ყველა სამუშაო ადგილი და გასასვლელი უნდა იყოს განათებული.

3. საკონვეიერო გალერეაში კონვეიერსა და კედელს, აგრეთვე ორ კონვეიერს შორის ადამიანებისათვის გასასვლელის ზომები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს.
4. ლენტური კონვეიერის ამძრავ, დამჭიმ, გადამხრელ და ბოლო სადგურებს უნდა ჰქონდეს შემოღობვა, რომელიც კონვეიერების მუშაობის დროს გამორიცხავს დოლებთან დაბნეული მასალის ხელით აწმენდას. კონვეიერის ამძრავ ძრავასთან შემოღობვა ისე უნდა იყოს ბლოკირებული, რომ გამოირიცხოს ძრავის ამუშავება მოხსნილი შემოღობვის შემთხვევაში.
5. კონვეიერზე უნდა დაიდგას ლენტის გამწმენდი მოწყობილობა, რომლის ნე-სივრულობა ყოველ ცვლაში უნდა შეამოწმოს ცვლის ტექნიკურმა ზედამხედველმა პირმა. ჩახერგილ კონვეიერზე მუშაობა აკრძალულია.
6. სარემონტო სამუშაოები, ხელით შეზეთვა და კონვეიერის გაწმენდა უნდა შესრულდეს მხოლოდ გაჩერებულ კონვეიერსა და ბლოკირებულ ასამუშავებელ მოწყობილობაზე.
7. 80-ზე მეტი დახრით დაყენებული ლენტური კონვეიერი აღჭურვილი უნდა იყოს საიმედო ავტომატური სამუხრუჭო მოწყობილობით, რომელიც უნდა ამუშავდეს ძრავის გამორთვისას.

### **საკონვეიერო დანადგარის მუშაობა:**

1. საკონვეიერო დანადგარის მუშაობისას აკრძალულია:
  - ა) ადამიანების გადაყვანა ამ მიზნისათვის მოუწყობელი კონვეიერებით;
  - ბ) ლენტით მოწყობილობის ტრანსპორტირება;
  - გ) ამძრავ დოლზე კოლოფონის ან სხვა მასალების დაყრა ლენტის წაბუქსავების აღმოფხვრის მიზნით;
  - დ) მოძრავი ლენტის ხელით მიმართვა.
2. ბუნკერებში ადამიანების ჩასვლა ნებადართულია მხოლოდ ჩამტვირთავი კონვეიერების გაჩერების შემდეგ და უნდა ხდებოდეს ბუნკერის კედელზე დამაგრებული კიბეებით. ბუნკერში ჩასვლა და იქ მუშაობა უნდა წარმოედგეს სანარმოს ხელმძღვანელობის ნებართვითა და ტექნიკური ზედამხედველი პირის მეთვალყურეობით. ჩამტვირთავი კონვეიერის ასამუშავებელი აპარატურის გამორთულ სახელურებზე უნდა გამოიკრას პლაკატები: **„არ ჩართოთ – მუშაობენ ადამიანები“**.
3. **ბუნკერში ჩამსვლელ ადამიანებს უნდა ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი და ჰქონდეთ ბუნკერის ზედა ნაწილში დამაგრებული მცველი სარტყლები და ბაგირები.**



4. „საცობების“ ლიკვიდაციისათვის ბუნკერი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური მოწყობილობით. ბუნკერის განათებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საშახტო შესრულების სანათები.
5. ადამიანების ისეთ ბუნკერში ჩასვლის წინ, რომელშიც სამთო მასა გამოყოფს აირად ნივთიერებებს, საჭიროა, ჩატარდეს ჰაერის სინჯების ანალიზი.
6. **კონვეიერის ლენტის მოძრაობის სინქარე ქანის ხელით გამორჩევისას არ უნდა აღემატებოდეს 0,5 მ/წმ-ს. ქანის გამორჩევის ადგილას ლენტი უნდა იყოს შემოღობილი.**

### **სახელოსნო / სატრანსპორტო საშუალების პროფილაქტიკა:**

#### **საქართველოს მთავრობის №450 დადგენილების – „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით:**

- ყველა სახის რემონტთან დაკავშირებით შედგენილი უნდა იყოს ინსტრუქციები (ტექნოლოგიური რუკები, სახელმძღვანელოები, სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტები), რომლებიც ადგენენ სამუშაოების წესსა და თანამიმდევრობას, საჭირო სამარჯვებსა და ინსტრუმენტებს სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- სარემონტო სამუშაოების დაწყების წინ ინიშნება სამუშაოების წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირი.
- რემონტის სამუშაოებით დასაქმებული მომსახურე პერსონალი უნდა გაეცნოს რემონტთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს და ეს დაადასტუროს ხელმოწერით.
- სამთო, სატრანსპორტო, სამშენებლო საგზაო მანქანებისა და სხვა მოწყობილობის რემონტი წარმოებს დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების გეგმის გრაფიკის მიხედვით.
- აკრძალულია სარემონტო სამონტაჟო სამუშაოების წარმოება მექანიკური დანადგარების ღია მოძრავი ნაწილების უშუალო სიახლოვეს, აგრეთვე ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრული სადენებისა და მოწყობილობის მახლობლად, თუ ეს მოძრავი ნაწილები, სადენები და მოწყობილობა სათანადოდ არაა შემოღობილი.
- პირებს, რომლებიც დაიშვებიან ელექტრომოწყობილობის რემონტზე, უნდა ჰქონდეთ საკვალიფიკაციო ჯგუფი ელექტროუსაფრთხოებაში.

მექანიზმების ნაწილების რემონტი და შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მანქანის სრული გაჩერებისა და იმ ამამუშავებელი აპარატების ბლოკირების შემდეგ, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ეს მექანიზმები.

- თუ სარემონტო სამუშაოებისათვის აუცილებელია ელექტროენერჯის მიწოდება, დამუშავებულ უნდა იქნეს სამუშაოთა ორგანიზაციის სპეციალური პროექტი.
- ცეცხლოვანი სამუშაოები (აირსაშემდუღებლო, აირსაჭრელი და ელექტროსაშემდუღებლო) უნდა წარმოებდეს უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისად.
- კომპლექსის ლითონკონსტრუქციების რღვევასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოები წარმოებს სანარმოს ხელმძღვანელის ნებართვითა და ტექნიკური ზედამხედველის თანდასწრებით.
- ექსკავატორებისა და საბურღი დაზგების რემონტი დასაშვებია საფეხურის სამუშაო ბაქანზე, ამასთან, ეს მექანიზმები განლაგებული უნდა იყოს შესაძლო ჩამოქცევის ზონის იქით. ბაქანი უნდა იყოს მოსწორებული და ჰქონდეს მანქანების მისასვლელი გზა.
- სატრანსპორტო და სამშენებლო საგზაო მანქანები უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში და აღჭურვილი იყოს სასიგნალო მოწყობილობით, მუხრუჭებით, მისაწვდომი მოძრავი ნაწილებისა (ქუროების, გადაცემების, შკივების და სხვ.) და სამუშაო ბაქნების შემოღობვებით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, ჰქონდეს განათება.
- მანქანების გამართულობა მოწმდება მემანქანის მიერ ყოველ ცვლაში, უბნის მექანიკოსის მიერ – ყოველ კვირაში და კარიერის მთავარი მექანიკოსის (მისი მოადგილის) ან სხვა დანიშნული პირის მიერ – ყოველ თვეში. შემონგების შედეგები ფიქსირდება ჟურნალში. აკრძალულია გაუმართავი მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაცია.
- მანქანებისა და მექანიზმების შეზეთვა სვლის დროს დასაშვებია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამუშაოების უსაფრთხოებას.

**კატეგორიულად აკრძალულია** ღია ცეცხლისა და სარჩილი ლამპის გამოყენება ზეთისა და წყლის გასათბობად.

სატრანსპორტო სანაყარო ხიდების, ნაყარწარმომქმნელებისა და ექსკავატორების კონსტრუქციული ელემენტები, აგრეთვე მათი ტრაპები და ბაქნები ყოველთვიურად უნდა ინმინდებოდეს სამთო მასისა და ტალახისაგან (ჭუჭყისაგან).

საპოხი და საწმენდი მასალები სამთო და სატრანსპორტო მანქანებზე ინახება ლითონის დახურულ ყუთებში.

# ფიზიკური, ბიოლოგიური და ქიმიური საფრთხეები სამუშაო გარემოში

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობა სამუშაო ადგილზე იწვევს სხვადასხვა სახის საფრთხის შემცველ ფაქტორს. ეს შეიძლება იყოს **ფიზიკური, ქიმიური, და ბიოლოგიური ფაქტორები**, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.

## დაიმახსოვრეთ!



**პროფესიული დაავადება** – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება სანარმოლო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით. იწვევს მისი ჯანმრთელობის გაუარესებას ან შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად.

**ფიზიკური ფაქტორი** – სანარმოლო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ფიზიკური შეხებით ან მის გარეშე ფიზიკური ზიანი მიაყენოს დასაქმებულს. ეს შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი.

**ქიმიური ფაქტორი** – სანარმოლო გარემოსა და სამუშაო სივრცეში არსებული სუბსტანციები და ქიმიური ნივთიერებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა.

**ბიოლოგიური ფაქტორი** – სანარმოლო გარემოსა და სამუშაო სივრცეში არსებული პათოგენური და არაპათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა.

სანიტარიული ნორმები – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტები, რომლებითაც განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ შესასრულებლად სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

**„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის მეექვსე მუხლის მიხედვით, დასაქმებელი ვალდებულია, მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად წინასწარ შეაფასოს სამუშაო გარემო, კერძოდ: მოახდინოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეების იდენტიფიცირება და შეაფასოს რისკები. მან უნდა შეადგინოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შემდეგი ზომები:**

- იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე.
- იზრუნოს საფრთხის შემცირებასა და მისი წყაროს აღმოფხვრაზე.
- ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით.
- შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა.
- კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით.
- დასაქმებულებს ჩუტაროს შესაბამისი სწავლება, ტრენინგები და ინსტრუქტაჟი.

**ფიზიკური ფაქტორები**, რომლებიც შესაძლოა, სამშენებლო გარემოში დასაქმებულისთვის საფრთხის შემცველი პირობა აღმოჩნდეს, არის: ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონებელი და მაიონებელი გამოსხივება, სანარმოო ხმაური, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები – მტვერი, განათება, ელექტროძაბვა და სხვ.



ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ

**ქიმიური ფაქტორები**, რომლებიც შესაძლოა, სამშენებლო გარემოში დასაქმებულისთვის საფრთხის შემცველი პირობა აღმოჩნდეს, არის: საიზოლაციო მასალები, საღებავები, გამხსნელები, ნივთიერებები და მათი ნაერთები ბუნებრივი სახით, ნივთიერებები და მათი ნაერთები, მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად და სხვ.

**ბიოლოგიური ფაქტორები**, რომლებიც შესაძლოა, სამშენებლო გარემოში დასაქმებულისთვის საფრთხის შემცველი პირობა აღმოჩნდეს, არის: სოკო, ობი, ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები და სხვ.

**სამშენებლო გარემოსა და სამუშაო ადგილზე არსებული მავნე ფიზიკური ფაქტორები:**

## მტვერი

**მტვერი** – უწვრილესი მყარი, მშრალი ნაწილაკებია, რომლებიც ერევა სასუნთქ ჰაერს და დიდი ხანი რჩება მასში. მტვრის დამაზიანებელი ზეგავლენა დამოკიდებულია მის სახეობაზე, ნაწილაკების სიდიდეზე, ჰაერში დაყოვნების ხანგრძლივობასა და სიმაღლეზე, სასუნთქ გზებში დაღეჭვის ადგილზე.

მტვრის სახეობებია:

- მინერალური შერეული მტვერი,
- ხის მტვერი,
- აზბესტის მტვერი,
- კერამიკული ბოჭკოს მტვერი,
- მიკრობიოლოგიური წარმოშობის მტვერი.

მტვერი იწვევს ფილტვების მძიმე დაავადებებს. ფილტვებში დაღეჭილი მტვრის ნაწილაკები იწვევს ისეთ დაავადებას, როგორიცაა **პნევმოკონიოზი**. პნევმოკონიოზის სხვადასხვა სახე არსებობს: სილიკოზი, აზბესტოზი, ბისინოზი, ანდეზიტოზი, კაოლინოზი და სხვ.


კვარცის მტვერი იწვევს სილიკოზს, აზბესტის მტვერი – აზბესტოზსა და ბისინოზს, სილიკატების შემცველი მტვერი – ანდეზიტოზს და კაოლინოზს. მტვრით გამონწვეული დაავადებებიდან ყველაზე მძიმეა სილიკოზი. მტვრის 3 მიკრონზე მცირე ზომის ნაწილაკები შედის სისხლში, იხსნება და წარმოქმნის მეტად

შხამიან სილიციუმის მჟავას. ეს ნივთიერება იწვევს ლეიკოციტების დაზიანებას. პნევმოკონიოზი შეუქცევადი პროცესია და განკურნებას არ ექვემდებარება. დაავადება სწორი მკურნალობით შესაძლებელია შეჩერდეს არსებულ სტადიაზე. დაბინძურებული ჰაერი დამატებითი რისკფაქტორია გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი გზების დაავადებებისთვის.

### ეს საინტერესოა!



**ლეიკოციტის (ბერძნ. leukos თეთრი, kytos უჯრედი) უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ორგანიზმის დაცვა სისხლსა და ქსოვილებში შეჭრილი მიკრო ორგანიზმებისაგან.** სისხლში უცხო სხეულების შეჭრისას ლეიკოციტები წარმოქმნიან ანთისხეულებს, რომლებიც ებრძვიან უცხო სხეულებს და მათ უვნებელს ხდიან. ლეიკოციტებმა შესაძლოა, სხვა მეთოდითაც დაიცვას ორგანიზმი. ბაქტერიებთან მებრძოლი ლეიკოციტები სხეულში შემოჭრილ უცხო სხეულებს შემოეხვევიან და მოინელებენ (შთანთქავენ). ზოგჯერ ლეიკოციტები თვითონაც ზიანდებიან და იღუპებიან. დაღუპული ლეიკოციტების, განადგურებული ბაქტერიებისა და დაზიანებული ქსოვილის ნარჩენების ნარევი მოყვითალო-მოთეთრო ფერის მასას ქმნის. ეს ჩირქია.



სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი მტვერი

თუ ჰაერის მტვრიანობის შემცირება სანიტარიულ ნორმამდე შეუძლებელია, აუცილებელია დასაქმებულთა დაცვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით – რესპირატორებით უზრუნველყოფა. დასაქმებულმა გამოყენების წინ უნდა შეამოწმოს რესპირატორის ფილტრების ვარგისიანობის ვადა. ვადაგასული და შესაბამო რესპირატორის გამოყენება სახიფათოა.

მაღალი მტვრიანობით გამოირჩევა ბეტონის ნარევის დამზადებისთვის საჭირო შემავსები (ქვიშა, ხრეში, ღორღი) და შემკვრელი (თაბაშირი, კირი, პორტლანდ-ცემენტი) მასალების წარმოების საამქროები. მტვერში, რომელიც წარმოიქმნება ცემენტის დაფქვისა და შეფუთვის საამქროებში, მაღალია სილიციუმის დიოქსიდის შემცველობა, რაც დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხეს ქმნის.

**2004 წლის 14 აპრილის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №78/ნ ბრძანების (მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ) მე-4 მუხლში – „მოთხოვნები საწარმოო პროცესების, მოწყობილობების და ნედლეულისადმი“ – განსაზღვრულია შემდეგი პირობები:**

- მტვერწარმოქმნელი ტვირთის (ცემენტი, თაბაშირი, კირი, ღორღი, ქვიშა და სხვ.) ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა ჩატარდეს პნევმოტრანსპორტით, რომელიც გამორიცხავს სამუშაო ზონისა და გარემოს ჰაერის დაბინძურებას.

შესაფუთი განყოფილებები და მზა პროდუქციის საწყობები აღჭურვილი უნდა იყოს ტვირთაძნე და სატრანსპორტო მანქანებით და მექანიზმებით (ტელეფერები, ელექტროსატვირთავები, კონვეიერები, ტალეები და სხვ.), რომლებიც გამორიცხავენ ხელით შრომას.

- ფხვიერი მასალების ტრანსპორტირებისას აუცილებელია ისეთი მექანიზმების (პნევმატური ხრახნული ელევატორი, კამერული ტუმბო, აეროლარი, დახურული ლენტური კონვეიერი) გამოყენება, რომლებიც გამორიცხავს საწარმოო სათავსებში მტვრის გამოყოფას.
- კონვეიერები ისეთი მასალების ტრანსპორტირებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ გარემოში მავნე ქიმიური ნივთიერებების გამოყოფა, უნდა იყოს დახურული და ორგანიზებული ჰქონდეს ჰაერის ასპირაცია. ასპირირებული ჰაერი ატმოსფეროში გაფრქვევამდე უნდა ექვემდებარებოდეს განმენდას.
- მტვერწარმოქმნელი მასალების გადატვირთვის ადგილებზე არსებულ კონვეიერებზე გათვალისწინებული უნდა იყოს გამწოვები და მორწყვა. ასპირირებული ჰაერი ატმოსფეროში გაფრქვევამდე უნდა ექვემდებარებოდეს მტვრისაგან განმენდას.
- საკონვეიერო გალერეებში მტვრის აღება უნდა ჩატარდეს პნევმატური მეთოდით, ტრანსპორტირებული მასალის გათვალისწინებით:
  - ა) არადაქუცმაცებული მასალების ტრანსპორტირებისას, რომლებიც არ არის მტვერწარმოქმნის მნიშვნელოვანი წყარო, გამოიყენება საწარმოო მტვერსასრუტები;

- ბ) მტვერწარმოქმნელი მასალების გადმოყრის ადგილებში (სადაც ტექნოლოგია საშუალებას იძლევა) აუცილებელია პნევმო- ან ჰიდროგაუმტვერების გათვალისწინება;
- გ) აკრძალულია სათავსებში შეკუმშული ჰაერით დასუფთავების ჩატარება.
- სილოსებისა და ბუნკერების ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს უნდა გამოირიცხოს სამუშაო ზონაში მტვრის მოხვედრა.
- მზა პროდუქციის (ცემენტი, კირი, აფუებული პერლიტი, ვერმიკულიტი და სხვ.) ტემპერატურა ტომრებსა და სხვა წვრილ ტარაში შეფუთვისას არ უნდა აღემატებოდეს 40°C-ს.

აღნიშნული დოკუმენტის მე-4 დანართში წარმოდგენილია „საშენ მასალათა მრეწველობის სანარმოების ძირითადი მავნე სანარმოო ფაქტორების ჩამონათვალი“, სადაც განერილია შემცვეები (გრანიტი, ბაზალტი, ტუფი, პემზა, პერლიტი) და შემკვრელი (ცემენტი, კირი, თაბაშირი, გაჯი, ალუბასტრი) მასალების ნარმოებისას ნარმოქმნილი მავნე ფაქტორები. ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია მტვერი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №216/ნ ბრძანებაში – „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“ – განსაზღვრულია პროფესიულ დაავადებათა ნუსხა:

ჯანმო-ს კოდი	1. სანარმოო აეროზოლებით გამოწვეული სუნთქვის ორგანოების პათოლოგია
J 62	პნევმოკონიოზი, გამოწვეული სილიკატების შემცველი მტვრით
J 61	პნევმოკონიოზი, გამოწვეული აზბესტითა და სხვა მინერალური ბოჭკოებით
J 63	პნევმოკონიოზი, გამოწვეული სხვა არაორგანული მტვრით
J 63.8	პნევმოკონიოზი, გამოწვეული სხვა დაზუსტებული არაორგანული მტვრით
J 68.0	ბრონქიტი და პნევმონიტი, გამოწვეული ქიმიური ნივთიერებებით, გაზებით, კვამლით და ორთქლით (მწვავე ქიმიური ბრონქიტი)





## აზბესტი და აზბესტცემენტის მასალები

აზბესტშემცველი მასალები, გარდა კარცნოგენული თვისებისა, ხასიათდებიან ალერგენული და ფიბროგენული ზემოქმედებით. მშენებლობაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი აზბესტშემცველი ქანები. გასულ წლებში, მშენებლობისას გამოიყენებოდა აზბესტშემცველი მასალის ფხვნილი, რომელმაც შესაძლოა, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან აღდგენის დროს გამოიწვიოს თავისი სახიფათო თვისებების გამოვლინება (ინვევს სასუნთქი გზების სწრაფად განვითარებად სიმსივნეს). ადამიანზე აზბესტის ზემოქმედების სახიფათოობის შეფასება უფრო რთულია, ვიდრე სხვა ნივთიერებების ზემოქმედების შეფასება. **ჯანმრთელობისთვის აზბესტი სახიფათოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი ჰაერში გაბნევა.** მასალის მთლიანობის რღვევის შედეგად ამ ნივთიერების შემცველი მასალების ბოჭკოები ჰაერში ხვდება. ადამიანი, რომელიც ჩაისუნთქავს აზბესტის ბოჭკოებს, ის თავიდანვე ვერ ამჩნევს ჯანმრთელობის ცვლილებას. მნიშვნელოვანია, რომ აზბესტთან მომუშავე ყველა მუშაკს გავლილი ჰქონდეს შესაბამისი სწავლება.



აზბესტი

### დაიმახსოვრეთ!

**აზბესტშემცველი მტვერი** – ჰაერში შენონილი ან დაღეჭილი მტვერი, რომელშიც აზბესტის ბოჭკოები იმყოფება თავისუფალ ან შეკავშირებულ მდგომარეობაში.

**აზბესტის ზემოქმედება** – ჰაერში მყოფი აზბესტის ბოჭკოების ან აზბესტშემცველი მტვრის ზემოქმედება.



„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით: დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებულისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა:

- მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება;
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს;
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით;
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №78/ნ ბრძანების – „მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მონყოლის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების“ – მიხედვით, განისაზღვრა ძირითადი მავნე საწარმოო ფაქტორები:**

აზბესტცემენტის ნაკეთობათა წარმოება	
წარმოება, საამქრო, უბანი	მავნე ფაქტორი
1. ტომრების გახსნისა და დაცლის განყოფილება	ხმაური, მტვერი, ფიზიკური დატვირთვა
2. საგოლენდერე განყოფილება	მტვერი, მომატებული ტენიანობა, ხმაური, ტუტისა და ქრომის შემცველი პულპა
3. საყალიბე განყოფილება	კონვექციური სითბო, მომატებული ტენიანობა, ხმაური, ფიზიკური დატვირთვა
4. სახარატო განყოფილება	მტვერი, ხმაური, ვიბრაცია, მიკროტრავმების საშიშროება
5. საფაბრიკაციო და სარეკუპერაციო განყოფილება	კონვექციური სითბო, ჰაერის მომატებული ტენიანობა
6. საორთქლავი განყოფილება	კონვექციური სითბო, ჰაერის მომატებული ტენიანობა
7.წუნდებული ნაკეთობების გადამუშავების განყოფილება	ხმაური, მტვერი

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №76/ნ ბრძანების – „სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების გამოსხივების წყაროებთან, სამრეწველო მასალებთან და ინსტრუმენტებთან მუშაობისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების“** მიხედვით, მენარმე ვალდებულია, მუდმივად შეინარჩუნოს ისეთი შრომის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვას. მან უნდა უზრუნველყოს წესების მოთხოვნების დაცვა წარმოების პროცესში. ასევე, უზრუნველყოს შრომის პირობების მდგომარეობაზე კონტროლის ორგანიზაცია საწარმოო გარემოს ფაქტორების მავნეობის და საშიშროების მიხედვით. შეიმუშაოს და ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები საწარმოო ლაბორატორიული კონტროლის უზრუნველყოფით. უზრუნველყოს შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი. უზრუნველყოს მომუშავეთა სასუნთქ ორგანოებზე მტვრით დატვირთვის (ექსპოზიციის) საკონტროლო დონის დაცვა. ცალკეულ სამუშაო ადგილებზე ჰაერში ამბესტმემცველი მტვრის საშუალო ცვლური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაცვის შეუძლებლობისას მენარმემ უნდა იხელმძღვანელოს „დროით დაცვის“ პრინციპით. მოახდინოს ყველა მომუშავის ინფორმირება ჯანმრთელობისათვის ამბესტის საშიში თვისებების (მავნეობის) შესახებ.

### ► **ჰიგიენური მოთხოვნები:**

ჰაერში ამბესტმემცველი მტვრის საშუალო ცვლური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დაცვის შეუძლებლობისას მენარმემ უნდა იხელმძღვანელოს „დროით დაცვის“ პრინციპით.

ყველა მომუშავე ამბესტის წარმოება-გამოყენებისას ინფორმირებული უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის ამბესტის საშიში თვისებების (მავნეობის) შესახებ. დაუშვებელია წარმოებაში ამბესტის შემცველელებისა და მათ საფუძველზე შექმნილი მასალების გამოყენება სანიტარიულ-ტოქსიკოლოგიური შეფასებისა და უსაფრთხოების (ან უვნებლობის) კრიტერიუმების, ასევე გარემოს ობიექტებში მათი კონტროლის მეთოდის შემუშავების გარეშე. ამბესტის შემცველელებზე გადასვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯანმრთელობისათვის ყველა საშიშროება, რომლებიც დაკავშირებულია მონოდებელი მასალების დამზადებასთან, გამოყენებასთან, ტრანსპორტირება-შენახვასა და მოცილებასთან. ტექნოლოგიური უბნების (საამქროების) განთავსება შენობების შიგნით უნდა ხორციელდებოდეს ამბესტმემცველი მტვრის და სხვა მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გავრცელების თავიდან აცილების აუცილებლობის გათვალისწინებით სხვა უბნებზე, რომელთაც არ აქვთ მათი გამოყოფის წყაროები. საწარმოო და

დამხმარე სათავსები უზრუნველყოფილი უნდა იყოს დალექილი მტვრის ამწმენ-  
დი მოწყობილობებით. დაფარვის, მოცილების და რემონტის ადგილებში უნდა  
განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. განმენდა აბბესტუმცველი მტვრისა-  
გან უნდა წარმოებდეს სპეციალური მეთოდებით (პნევმონმენდა, სველი წმენ-  
და და სხვ.). სველი განმენდა აბბესტუმცველი მტვრისაგან უნდა ხორციელდე-  
ბოდეს სასმელი ხარისხის წყლით. არ დაიშვება ჩამდინარე წყლების ჩაშვება  
წყალსატევებში.

### ► შეფუთვა, დასაწყობება, გადატვირთვა:

აბბესტი შეფუთული და ნიშანდებული უნდა იყოს მტკიცე, ჰერმეტიულ, მტვერგაუმ-  
ტარ ტომრებში, ანოტაციის თანხლებით, რომელიც შეიცავს შემდეგ ცნობებს:

- პროდუქციის დასახელებას;
- პროდუქციის დამამზადებელი საწარმოს მისამართს;
- ქიმიურ აღნიშვნას ან აბბესტუმცველი პროდუქციის ყველა შემადგენელი კომ-  
პონენტის საერთოდ მიღებულ დასახელებას;
- აბბესტის პროცენტულ შემცველობას ნარევში;
- მონაცემებს ჯანმრთელობისათვის აბბესტის საშიში თვისებების შესახებ;
- მითითებებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების (რესპირატო-  
რები, სპეცტანსაცმელი და ა.შ.) შესახებ;
- ტომრების პირი ჰერმეტიულად უნდა იხურებოდეს თერმოშედულებითი ნაკერის  
ან ძაფით დაგვირისტების საშუალებით;
- ტომრების დაზიანებისას დაზიანების ადგილები უნდა დაირჩილოს მწებვარე ლენ-  
ტით, მოთავსდეს შეუღწევად ტომრებში, დაილუქოს და გაუკეთდეს ნიშანდება;
- აბბესტიანი ტომრების შენახვა აუცილებელია დახურულ, მშრალ საწყობებში,  
ქვეშებზე. შენობის გარეთ არსებული შეუფუთავი აბბესტის ნაყარი უნდა დაიხუ-  
როს ბრეზენტით, რეზინის ან პლასტიკური ფურცლებით;
- გადატვირთვის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ მექანიზებული ხერხით,  
ამწვე-სატრანსპორტო მოწყობილობებისა და მცირე მექანიზაციის საშუალებე-  
ბის გამოყენებით;
- გადატვირთვის სამუშაოებისას დაუშვებელია კაკვების და სხვა მახვილი ნაწვე-  
ტებული სამარჯვების გამოყენება;
- საქვეშეებზე განლაგებული ტომრების სტანდარტული პარტიების გადატვირთვის  
სამუშაოები უნდა ტარდებოდეს კონტეინერმზიდების, ავტოსატვირთველების,  
ამწეების ან სხვა ანალოგიური მოწყობილობების დახმარებით;

- ყველა ამწე-სატრანსპორტო საშუალება დაცლის შემდეგ გულდასმით უნდა გაინმინდოს მტვერდამჭერებით. დასაშვებია სველი ხერხით განმენდა.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №76/ნ ბრძანების (სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების გამოსხივების წყაროებთან, სამრეწველო მასალებსა და ინსტრუმენტებთან მუშაობისადმი ნაყენებელი ჰიგიენური მოთხოვნები) მე-15 მუხლში – „მშენებლობა, გაფართოება, რეკონსტრუქცია, ტექნიკური გადაიარაღება, რემონტი, კონსერვაცია და ნგრევა ამბესტემცველი თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენებით“ – განსაზღვრულია შემდეგი პირობები:**

- ამბესტის ტორკრეტირება, გარდა სპეციალურად შეთანხმებული შემთხვევებისა, აკრძალულია.
- ამბესტემცველ ფილებსა და ტიხრებს, რომლებიც გამოიყენება შიდა სათავსების მოსაპირკეთებლად, უნდა ჰქონდეთ ორმაგი ან სამმაგი საფარი, რაც გამორიცხავს ამბესტემცველი მტვრის წარმოქმნას და გავრცელებას.
- ამბესტემცველი მასალებით დიდი მოცულობის დაგეგმილი სამუშაოებისას მათ შესანახად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე სათავსი.
- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი სამუშაო ზონა იკავებს მთელ შენობას, ან შენობის ნაწილს, მაშინ ის იზოლირებული უნდა იქნეს სხვა შენობებისაგან, ან სათავსებისაგან დროებითი ტიხრებით ამბესტემცველი მტვრის გავრცელების აღსაკვეთად.
- სამუშაოების ჩატარების ზონაში აკრძალულია იმ პირების ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებასთან.
- სათავსი უნდა იყოს აღჭურვილი გამწოვი ვენტილაციით, რომელიც ქმნის უარყოფით საპაერო ბალანსს სამუშაო ზონაში, ამბესტემცველი მტვრისაგან ჰაერის გასუფთავებით, ატმოსფეროში მისი გამონაფრქვევის წინ. გამწოვი სავენტილაციო დანადგარები უნდა გამოირთოს სამუშაოს დამთავრებიდან 20 წთ.-ის შემდეგ.
- მშენებლობის ორგანიზაციისა და სამუშაოთა წარმოების პროექტებში გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ა) სანარმოო პროცესებისა და დეტალების და კონსტრუქციების დამზადების მაქსიმალური გადატანა ქარხნულ პირობებში;
  - ბ) სამშენებლო მოედანზე დეტალებისა და კონსტრუქციების კომპლექსურად მიწოდება;
  - გ) სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების მონტაჟის ოპერაციათა შესრულების მაქსიმალური გადატანა სიმალიდან მიწისზედა პირობებში.

- მტვრიანი ზედაპირების დამუშავება წლის თბილ პერიოდში, დაბალი ტენიანობისას, მიზანშეწონილია, ჩატარდეს ტენის შემაკავებელი დანამატების: ქლორიანი კალციუმის, სულფონატის, ლიგნინის გამოყენებით.
- აზბესტმემცველი ხსნარებისა და მასტიკების მოშობა საშუალების ჩატარების ადგილებში დაუშვებელია.
- მოქმედი საწარმოების ტერიტორიებზე განთავსებულ მშენებლობის ობიექტებზე უნდა შემუშავდეს სპეციალური ინსტრუქციები ჰაერის დაბინძურების საშიში დონის წარმოქმნისას ყველა კატეგორიის მომუშავეთა უსაფრთხოების ზომების თაობაზე და დაინერგოს სასწრაფო შეტყობინების სისტემა. სადემონტაჟო სამუშაოები შენობა-ნაგებობების დასანგრევად უნდა ჩატარდეს წყნარ (უქარო) ამინდში, ან ქარის მიმართულებისას დაუსახლებელ მხარეს.
- მოქმედ საწარმოებში სამუშაოების შესრულებისას მავნე და საშიში შრომის პირობებში სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემა, შენახვა და გამოყენება უნდა წარმოებდეს ობიექტის საწარმოო მავნე ფაქტორების თავისებურების გათვალისწინებით.
- თბობგერაიზოლაციის რემონტის, ან შეცვლის სამუშაოების დაწყების წინ ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული მასში აზბესტის არსებობა (შემცველობა).
- სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების წინ აუცილებელია, ჩატარდეს სადერატიზაციო სამუშაოები.
- სამშენებლო ნაგავი სამუშაო ადგილიდან, რომელიც განლაგებულია სიმაღლეებზე, დაშვებული უნდა იქნეს დახურულ კონტეინერებში, ან დახურული ღარებით. ღარის ქვედა ბოლო უნდა იმყოფებოდეს არა უმაღლეს 1 მეტრისა მიწიდან, ან უნდა შედიოდეს ბუნკერში.
- სარემონტო-სამშენებლო ტერიტორიებზე გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე მოედნები ნაგვის შესაგროვებლად სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას. ეს მოედნები აუცილებლად უნდა იყოს ასფალტით დაფარული, გადაღობილი, მოწყობილი მისასვლელი გზებით.
- დაშლის პროცესში აუცილებლად უნდა წარმოებდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების მორწყვა. მტვრისებრი ნარჩენები უნდა მოთავსდეს ტენიან ჰერმეტიკულ კონტეინერებში.
- სანგრევი ჩაქუჩებით და კონტეინერში ნაგვის დატვირთვაზე მუშაობისას აუცილებელია ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის მოწყობა პორტატიული გამწოვების სახით.
- საფასადო სილაჭავლური სამუშაოების შესრულებისას, ასევე ძველი ბათქაშის ჩამოღებისას აკრძალულია ერთდროულად ჩატარდეს სხვა სახის სამშენებლო სამუშაოები.
- ძველი ბათქაშის ჩამოღება უნდა ჩატარდეს მექანიზებული ხერხით მისი წყლით დასველებით და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების დამატებით.

- ძველი იზოლაციის მშრალად მოცილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც წყლის გამოყენება შეიძლება აღმოჩნდეს საშიში, კერძოდ, როცა შეუძლებელია მაღალვოლტიანი ელექტრომონწყობილობების საიმედო დაფარვის უზრუნველყოფა.
- სველი ხერხით იზოლაციის მოცილების დაწყებამდე მიღებულ უნდა იქნეს ზომები აზბესტშემცველი მასალის წყლით გაჯერების შესახებ.
- იმ შემთხვევაში, თუ აზბესტშემცველ მასალამდე მისაღწევად საჭიროა დაფარვის მოცილება, აუცილებელია დასაწყისში დაფარვის გახვრეტა, აზბესტშემცველი მასალის დანამკა და მხოლოდ ამის შემდეგ დაფარვის მოცილება და მთელი ზედაპირის წყლით მორწყვა. ამის შემდგომ წყალგაჯერებული მასალა ნაწილებად უნდა ჩაიყაროს (ჩაიცილოს) ჰერმეტიკულ, შესაბამისად ნიშანდებულ ტევადობებში ან კონტეინერებში.

### დაიმახსოვრეთ!



**დასაქმებული ვალდებულია,** გამოიყენოს მავნე ფაქტორების ზემოქმედებისაგან დაცვის წესები, გამაფრთხილებელი მეთოდები და კონტროლის საშუალებები.

**დასაქმებული ვალდებულია,** გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მოთხოვნების შესაბამისად.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №76/ნ ბრძანების მე-9 მუხლში განსაზღვრული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების მოთხოვნების“ მიხედვით,** მუშაკები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით – სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და სხვა საშუალებებით. დასაქმებულები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან აუცილებელი იდს-ით, არ დაიშვებიან სამუშაოზე. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

- იდს გამოყენებული უნდა იყოს პროფესიული თავისებურების გათვალისწინებით, სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების მოდელების კატალოგის შესაბამისად.
- აზბესტსა და აზბესტშემცველ მასალებთან ყველა მომუშავე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რესპირატორებით.
- სამუშაო სათავსებში, ზონებში ან სამუშაო უბნებში შესვლისას, სადაც ჰაერში შენონილი აზბესტშემცველი მტვრის კონცენტრაციები აჭარბებს, ან შეიძლება

აჭარბებდეს ზდკ-ით დადგენილს, მონყობილი უნდა იყოს უსაფრთხოების ნიშნები წარწერით: „მუშაობა სუნთქვის ორგანოების დამცავი საშუალებების გამოყენებით“.

- დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული უნდა იყოს რესპირატორების ტიპები მტვრის იმ მაღალი კონცენტრაციების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია კონკრეტულ სამუშაო ადგილზე.
- სამუშაო ადგილზე ყოველთვის უნდა იყოს შესაბამისი იდს საკმარისი რაოდენობით.
- მუშაკებს, რომლებიც ვალდებული არიან, გამოიყენონ რესპირატორები, შესწავლილი უნდა ჰქონდეთ მათი გამოყენების წესი. სწავლების პროგრამები და იმ მომუშავეთა შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი, რომლებიც აზბესტის გამოყენებით არიან დაკავებული, უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  - ა) გარემოებები, რომელთა დროს აუცილებელია რესპირატორის გამოყენება და ამ გარემოებათა განსაზღვრის ხერხი.
  - ბ) გამოყენებისა და სახესთან მჭიდროდ მიკვრის შემონმების ხერხები.
  - გ) რესპირატორის სწორი ფუნქციონირების, შემონმებისა და მისი გამართულად შენახვის ხერხები.
- დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს იდს-ის სწორი და აუცილებელი გამოყენების კონტროლი, მისი განმენდა და მოვლა. გამოუყენებელი რესპირატორები შენახული უნდა იყოს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში.
- რესპირატორების წმენდა უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ, ან უფრო ხშირად. მფილტრავი რესპირატორების ფილტრის წინსადები უნდა გამოიცვალოს, ფილტრები უნდა შემონმდეს ყველა შემთხვევაში.
- ზღვრულად დასაშვები დონეების ზევით ხმაურისა და ვიბრაციის პირობებში მომუშავეები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იდს-ით.
- მუშაკები თვალის და სახის დასაცავად უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ინდივიდუალური დაცვის სამარჯვებით (სათვალეები, ფარები, ნიღბები), რომელთა შერჩევა დამოკიდებულია სანარმოო პროცესის კონკრეტულ პირობებზე.
- ყველგან, სადაც აუცილებელია რესპირატორის გამოყენება, მომუშავეები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ასევე დამცავი ტანსაცმლით. დამცავმა ტანსაცმელმა მთლიანად უნდა დახუროს პირადი ტანსაცმელი და არ გაატაროს მტვერი. აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს თავსაბურავი.
- დაბინძურებული სპეცტანსაცმელი უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ მტვრის გაცლას და რეცხვას (არანაკლებ 2-ჯერ თვეში). სპეციალური ტანსაცმლის განმენდა შეკუმშული ჰაერით კატეგორიულად აკრძალულია.



- ნედლ აზბესტცემენტთან კონტაქტის შესაძლებლობისას მომუშავეთა სხეულის ღია ნაწილების კანი დაცული უნდა იყოს საცხებით, პასტებით, სილიკონის კრემით ან ვაზელინით. საპირფარეშოებში ხელების დასაბანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემუშავებული წყლის (მარილმჟავას 0,1%-იანი ხსნარი) მიწოდება. ცვლის დამთავრების შემდეგ ხელები უნდა დამუშავდეს ცხიმოვანი საცხებით.
- ინდივიდუალური დაცვის ყველა საშუალება უნდა გაიცეს მომუშავეებზე უფასოდ და უნდა შეინახოს გამართულ მდგომარეობაში დამსაქმებლის ხარჯზე. იდს-ის გაუმართავი დეტალები აღმოჩენისთანავე იცვლება ახლებზე.

**დაუშვებელია** წარმოებაში აზბესტის შემცველების და მათ საფუძველზე შექმნილი მასალების გამოყენება სანიტარიულ-ტოქსიკოლოგიური შეფასებისა და უსაფრთხოების (ან უვნებლობის) კრიტერიუმების, ასევე გარემოს ობიექტებში მათი კონტროლის მეთოდის შემუშავების გარეშე.

**აკრძალულია** არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ და მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესრულებისთვის.

### ▶ **სამუშაოები დაბინძურებულ (კონტამინირებულ) სივრცეებში**

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებმა კონტამინირებულ სივრცეებში, რომლებიც დაბინძურებულია მავნე ან ბიოლოგიური ნივთიერებებით, შესაძლოა, გამოიწვიოს დასაქმებულთა ჯანმრთელობის პრობლემები.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებულისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №216/ნ ბრძანების (პროფესიული დაავადების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი) მიხედვით, განსაზღვრულია პროფესიული დაავადებების ნუსხა, პროფესიული საქმიანობისა და მავნე ფაქტორების ჩამონათვალი, რომელსაც თან ახლავს პროფესიული**

დაავადების განვითარების რისკი. დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდულ შემოწმებას აწარმოებენ ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულების ექიმ-სპეციალისტები, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სპეციალისტების მოწვევით.

**„სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის №346/ნ დადგენილების მიხედვით**, სამუშაო ზონის ჰაერში ქიმიური ნივთიერებების ჰიგიენური ნორმატივები გამოიყენება შრომის პირობების ჰიგიენური შეფასებისათვის. ჰიგიენური ნორმატივები შედგენილია აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რეგლამენტირების სპეციფიკურობის პრინციპით. სავალდებულოა ჰიგიენური ნორმატივების დაცვა ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საწარმოსათვის, საკუთრების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

**ადამიანისათვის საშიში კანცეროგენული ნივთიერებების, პროდუქტებისა და საწარმოო პროცესების ჩამონათვალი:**

№	ნივთიერების, პროდუქტის დასახელება	ზღვ მგ/მ <sup>3</sup>		მოქმედების თავისებურებანი
		მაქსიმალური	საშუალო ცვლური	
1	2	3	4	5
	<p>აზბესტები: აზბესტის მტვერი; ბუნებრივი მინერალური ნივთიერებების მტვერი მასაში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 20%-ზე მეტი აზბესტის შემცველობით</li> <li>• 10-იდან 20%-ამდე აზბესტის შემცველობით</li> <li>• აზბესტის 10%-ზე ნაკლები შემცველობით</li> <li>• აზბესტცემენტი</li> </ul>	2 2 4 6	0,5 1 2 4	ფიბროგენული ფიბროგენული ფიბროგენული
	სამრეწველო შავი ჭვარტლი არაუმეტეს 35 მგ/კგ ბენზ(ა)პირენის შემცველობით	4		ფიბროგენული

## ეს საინტერესოა!



თუ სამშენებლო სამუშაოებისას აღმოაჩინეთ გარემოს დაბინძურება, გერმანული გამოცდილების მიხედვით (BG BAU), რეკომენდებულია, დასაქმებულთა მხრიდან გატარდეს შემდეგი ზომები:

- სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა;
- საშიში სივრცის დატოვება და შემოსაზღვრა;
- საჭიროების შემთხვევაში კონტამინირებული სივრცეების დაფარვა;
- ხელმძღვანელის შეტყობინება;
- დამსაქმებლისა და პასუხისმგებელი პროფესიული კავშირისათვის შეტყობინება;
- სამუშაოები გაგრძელდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა სიტუაცია გაირკვევა და შედგება სამუშაოსა და უსაფრთხოების გეგმა.

მთავრობის №67 დადგენილებების – „სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის“ – მიხედვით, მავნე ნივთიერებების, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლების შემცველობის, კონტროლი სამუშაო ზონის ჰაერში უნდა განხორციელდეს №4436-87 მეთოდური მითითებების – „უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლების კონცენტრაციების გაზომვის“ მოთხოვნების შესაბამისად. მავნე ნივთიერებების – ფიბროგენული აეროზოლების შემცველობა სამუშაო ზონის ჰაერში არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ). უნდა ხორციელდებოდეს მათი შემცველობის სისტემატური კონტროლი. სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) – სახელმწიფო ჰიგიენური ნორმატივი გამოიყენება საწარმოო შენობების, ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობების, ვენტილაციის დაპროექტებისას, საწარმოო გარემოს ხარისხის კონტროლისა და მომუშავეთა ჯანმრთელობაზე არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკისათვის. ფიბროგენული აეროზოლების ხანგრძლივი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მაღალი კონცენტრაციებით (ზდკ-ზე მეტი) იწვევს ადამიანის სასუნთქი ორგანოების მძიმე პროფესიული დაავადებების – პნევმოკონიოზებისა და მტვრისმიერი ბრონქიტის განვითარებას.

ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით, მავნე ნივთიერებები (აეროზოლები) იყოფა საშიშროების 4 კლასად:

- განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები,
- ძლიერ საშიში ნივთიერებები,
- ზომიერად საშიში ნივთიერებები,
- მცირედ საშიში ნივთიერებები.

### ეს უნდა იცოდეთ!



ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) – ესაა კონცენტრაცია, რომელმაც ყოველდღიური, სამუშაოზე 8 საათის და კვირაში არა უმეტეს 40 საათისა,



მთელი სამუშაო სტაჟის განმავლობაში არ უნდა გამოიწვიოს დაავადება ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გადახრა.

მაგნე ნივთიერებების ზემოქმედება ზდკ-ის დონეზე არ გამოიწვევს ზემოქმედებულ პირებში ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლას.

### დაიმახსოვრეთ!



სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს:

- დამცავი ღობით,
- უსაფრთხოების ნიშნებით,
- სათანადო ნარჩენებით.

სამშენებლო კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით, სამშენებლო ან სხვა ინდუსტრიული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში, **განისაზღვრება ადმინისტრაციული სახედლები.**



## მინაბოჭკოვანი საიზოლაციო მასალები

შენობა-ნაგებობებში განსაზღვრული ტემპერატურული რეჟიმის შესანარჩუნებლად შემომფარგლავ კონსტრუქციებს იცავენ თბოიზოლაციით. სამუშაოებს ასრულებენ მაღალფოროვანი მასალებით, რომელთაც აქვთ დაბალი მოცულობითი მასა. თბოსაიზოლაციო მასალები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად მახასიათებლებს: ცეცხლმედეგობისა და ტემპერატურის მიმართ მაღალ მედეგობას, დაბალი თბოგამტარობის კოეფიციენტს, დაბალ წყალშთანთქმას, ანტიკოროზიულობას. თანამედროვე მშენებლობაში თბოსაიზოლაციო მასალად, ძირითადად, გამოიყენება მინერალური ბამბისა და მინაბოჭკოვანი მასალები-საგან დამზადებული ნაკეთობები, პოლიმერული მასალები და სხვ. მინერალური ბამბისა და მინაბოჭკოვანი მასალების უხეშმა ბოჭკოებმა (ბოჭკოს ნამსხვრევებმა) შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, დანგრევის, ტექნიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს შესაძლოა, გამოიწვიოს კანის, თვალებისა და სასუნთქი გზების დაზიანება.



კედლის თბოიზოლაციის მოწყობა მინერალური ბამბის მასალით

## „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა:

- საფრთხეების იდენტიფიცირება.
- განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადანყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

2004 წლის 14 აპრილის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №78/ნ ბრძანების (მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ) მიხედვით, მინაბოტკოვანი საიზოლაციო მასალა გადის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების ძირითადი მავნე საწარმოო ფაქტორების ჩამონათვალში.



თბოიზოლაციის მოწყობა მინერალური ბამბის მასალით

### ეს საინტერესოა!



გერმანული (BG BAU) გამოცდილების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ თბოიზოლაციო მასალების შერჩევას უპირატესობა მიანიჭოთ ნახევარფაბრიკატ და ლამინირებულ მინერალურ ბამბის საიზოლაციო მასალებს.

- შეფუთული საიზოლაციო მასალები გახსენით მხოლოდ სამუშაო ადგილზე.
- მასალა არ მოისროლოთ.


- სამუშაო ადგილზე უზრუნველყავით კარგი ვენტილაცია.
- მოერიდეთ მტვრის გაფრქვევას.
- დაჭერით სპეციალურ ქვეშსაგებზე დანით და მაკრატლით.
- არ გამოიყენოთ ძრავიანი ჩქარი ხერხები, რომლებსაც არ აქვს მტვრის შესრუტვის ფუნქცია.
- სამუშაო ადგილზე დაიცავით სისუფთავე, დაასუფთავეთ რეგულარულად. მტვერი აიღეთ მტვერსასრუტით, არ გამოიყენოთ ცოცხი.



- ჩამონატრები და ნარჩენები მოათავსეთ სათანადო კონტეინერებში, მაგ., ცელოფნის პარკებში. პარკის დახურვისას არ გამოდევნოთ ჰაერი.
- მოახდინეთ დამონტაჟებული საიზოლაციო მასალების დემონტაჟი ისე, რომ არ დაამსხვრიოთ ისინი.



## ხმაური



ხმაური არის საერთო – ბიოლოგიური – გამაღიზიანებელი, რომელიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას სამუშაო გარემოში ყოველთვის არის ხმაური. ძლიერი ხმაურის გადაჭარბებული ზემოქმედება ინვესს სმენის დაზიანებას. ეს პროცესი შეუქცევადია. ხმაურმა შესაძლებელია, გამოიწვიოს ისეთი დაავადებები, როგორებიცაა: უძილობა, სტრესი, სტრესულ სიგნალებზე ფიზიოლოგიური რეაქციები, ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის დარღვევა, სმენის

ფუნქციის დაზიანება, ყურადღების ფუნქციის დაქვეითება, სმენის დროებითი დაკარგვა, ინფარქტის პროვოცირება, არტერიული წნევის მომატება. ხმაურის დონე შეიძლება იმდენად მაღალი იყოს, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე ადამიანი რამდენიმე წამში მიიღებს დღიური დოზის მაქსიმალურად დასაშვებ ზემოქმედებას. მშენებლობაზე ხმაურის მრავალი გამომწვევი პირობა არსებობს. რთული მანქანა-მექანიზმები, ელექტრო- და პნევმატიკური ხელსაწყო-დანადგარები, ხელის იარაღები ხმაურის გამომწვევი უმთავრესი მიზეზებია. სამუშაო პროცედურები, რომლებიც მოითხოვს: პრესვას, ჭრას, ხეხვას, ტეხას, ბურღვას, ხრახნას, სროლას, კონდენსირებას, დარტყმას, ხერხვას ან დასხივებას, კლასიფიცირებულია, როგორც ხმაურის გამომწვევი სამუშაოები. იმავდროულად, ხმაურის სიძლიერე დამოკიდებულია დასამუშავებელ მასალებსა და სამუშაო პროცედურებზე. აღნიშნული დანადგარებისა და მანქანა-მექანიზმების მიერ გამომწვეული ხმაურის ზემოქმედების ქვეშ მუშაობის დროს რამდენიმე წუთში შეიძლება განვითარდეს სმენის დროებითი ნაწილობრივი დაკარგვა. მის აღსადგენად საჭიროა 15 წუთიდან რამდენიმე დღემდე. მოკლე, მაგრამ ინტენსიურმა ხმოვანმა იმპულსმაც კი შესაძლებელია, დაუყოვნებლივ გამოიწვიოს სმენის დაკარგვა.

მაღალი ხმაურის მიერ დაზიანებული აუდიტორული ნერვების აღდგენა მკურნალობას არ ექვემდებარება. ადამიანი შეიგრძნობს ბგერებს 16 ჰერციდან 20000 ჰერცამდე სიხშირით. ხმაური შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი. **სამუშაო ადგილზე მუდმივი ხმაურის მახასიათებელია ბგერითი წნევის დონეები დეციბელებში (დბ).**

### ეს საინტერესოა!



ხმა იზომება ხმოვანი ტალღის ამპლიტუდისა და სიხშირის საფუძველზე. ამპლიტუდა ზომავს, თუ რამდენად ძლიერია ტალღა.

ენერგია ხმოვან ტალღაში იზომება ხმის სიმაღლის ან ინტენსივობის საზომი ერთეულით, დეციბელებით (დბ); ეს საზომი ერთეული აღწერს ხმოვანი ტალღის ამპლიტუდას.


პრაქტიკაში გამოიყენება დეციბელი.

1 დეციბელი არის ბელის მეთათედი.

ნორმალური სალაპარაკო ხმა დაახლოებით 65 დბ-ს უდრის. როკ კონცერტი შეიძლება იყოს დაახლოებით 120 დბ.



### ხმის სიმძლავრის დონე-ზღვარი



სურათზე მოცემულია ხმის სიმძლავრის დონე (BG BAU)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები“ ახდენს ხმაურის კლასიფიკაციას, ადგენს ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებსა და ზღვრულად დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე.

განასხვავებენ ბგერის დასაშვებ დონეებს, ბგერითი წნევის დონეებს, ბგერის ეკვივალენტურ და მაქსიმალურ დონეებს.

სახალხო მოხმარების საგნების ჯგუფები	ბგერთი წნევის დონეები, და უქტაგურ შოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით, ჰჰ										ბგერის დონეები და ეკვივალენტური დონეები, დბ	ბგერის მაქსიმალური დონეები, დბ
	31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000			
	1. საყოფაცხოვრებო ელექტრული ხელსაწყოები											
ა) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სადღეღამისო ექსპლუატაციისთვის საცხოვრებელი ბინების ოთახებში, მაგალითად: ვენტილატორები, პაერმომცველები, კონდიციონერები.	72	55	44	35	29	25	23	20	18		30	40
ბ) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სადღეღამისო ექსპლუატაციისთვის დამხმარე არასაცხოვრებელ ბინებში მაგალითად: მაცივრები, საყინულები.	83	67	57	49	44	40	37	35	33		45	55
გ) ხანგრძლივი გამოყენების (დღეში 1-იდან 6 საათამდე) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სამეურნეო და საშხარეულო სამუშაოების შექონისთვის, მაგალითად: სარეცხი და საკერავი მანქანები, საშხარეულოს პაერგამწმენდები.	100	87	79	72	68	65	63	61	59		70	75
დ) ხანმოკლე ექსპლუატაციისთვის ნაკეთობები, (დღეში 1 საათი), რომლებიც განკუთვნილია სამეურნეო და საშხარეულო სამუშაოების შექონისთვის, მაგალითად: მწვერსასრუტები, სამზარეულო კომბაინები, ყავის საფეხავები, მიქსერები.	107	95	87	82	78	75	73	71	69		80	85
ე) სამრეწველო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები მაგალითად: ელექტრობურები, ელექტროშალაშინები.	107	95	87	82	78	75	73	71	69		80	90

აკრძალულია მოკლე დროით ყოფნაც კი ზონებში, სადაც ბგერითი წნევის დონე 1.35 დბ-ზე მაღალია ნებისმიერ ოქტავურ ზოლში.

ბგერის ზღვრულად დასაშვები და ბგერის ეკვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობის სიმძიმისა და დაძაბულობის სხვადასხვა კატეგორიებისათვის, დბ A					
შრომითი პროცესის დაძაბულობის კატეგორია	შრომითი პროცესის სიმძიმის კატეგორია				
	მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა	საშუალო ფიზიკური დატვირთვა	მძიმე შრომა I ხარისხის	მძიმე შრომა II ხარისხის	მძიმე შრომა III ხარისხის
მსუბუქი ხარისხის დაძაბულობა	80	80	75	75	75
საშუალო ხარისხის დაძაბულობა	70	70	65	65	65
დაძაბული შრომა I ხარისხის	60	60			
დაძაბული შრომა II ხარისხის	50	50			

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანების – „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესი“** – მიხედვით, პროფესიული დაავადების პრევენციის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ღონისძიებების გატარება (მუდმივ რეჟიმში) და მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი ზომები, საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირების მიზნით.

პროფესიული დაავადების აღრიცხვის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია დროულად მოიკვლიოს პროფესიული დაავადება და წარუდგინოს ზედამხედველ ორგანოს პროფესიული დაავადების დადგენიდან **5 სამუშაო დღის ვადაში**.

**საქართველოს მთავრობის №398 დადგენილების – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“** – მიხედვით, ხმაურის ძირითადი წყაროებია:

- **ხმაურის გარე წყაროები:** ტრანსპორტი, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოს წარმოება (სამშენებლო, სარემონტო და სხვ.), თავისი ფუნქციონირების დროს ხმაურის მაგნეტირებელი ობიექტები, სამრეწველო საწარმოები;
- **ხმაურის შიდა წყაროები:** საინჟინრო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა (ლიფტების, სავენტილაციო და ჰაერის კონდიციონერების სისტემების აღჭურვილობა და სხვა სისტემები).

### დაიმახსოვრეთ!



ხმაურის გაზომვის დროს ხმაურმზომის მიკროფონი მიმართული უნდა იყოს ხმაურის ძირითადი წყაროს მიმართულებით და დაცილებული უნდა იყოს გაზომვის ჩამტარებელი პირისაგან არანაკლებ 0,5 მ-ით. თუ სათავსში შეუძლებელია ხმაურის ძირითადი წყაროს განსაზღვრა, მიკროფონი მიმართული უნდა იყოს ვერტიკალურად ზემოთ.

ხმაურის დონის გაზომვის დროს სასურველია სათავსში მხოლოდ გაზომვის ჩამტარებელი პერსონალის ყოფნა.

გაზომვის ხანგრძლივობა თითოეულ წერტილში განისაზღვრება ხმაურის ხასიათით:

თუ ხმაური არ არის მუდმივი, ხმაურის დონის გაზომვის პროცესი გრძელდება მანამ, სანამ LAeq-ის ცვლილება 30 წმ-ის განმავლობაში არ იქნება 0,5 დბ A-ზე ნაკლები;

მუდმივი ხმაურის შემთხვევაში გაზომვის პროცესი გრძელდება არანაკლებ 15 წმ-ის განმავლობაში. მხედველობაში მიიღება საკონტროლო წერტილში მიღებული ხმაურის მაქსიმალური მნიშვნელობა. ხმაურის გაზომვის შედეგები ფორმდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ხმაურის დონის მნიშვნელობა აითვლება 1 დბ A სიზუსტით, სიდიდის საერთოდ მიღებული წესით დამრგვალების გათვალისწინებით.

*საქართველოს მთავრობის №398 დადგენილება*

► **ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკის ღონისძიებები:**

**ხმაურის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებებია:**

- ხმაურის წყაროში – საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებები.
- ხმაურის გავრცელების გზაზე (ხმაურის წყაროდან ობიექტამდე) – ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო-აკუსტიკური მეთოდები.
- ხმაურისაგან დასაცავ ობიექტზე – შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო და ხმაურმშთანთქმელი თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და არქიტექტურულ-გეგმარებითი მეთოდები.

**ხმაურის საწინააღმდეგო საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებებია:** ბგერის იზოლაცია, შენობების აკუსტიკურად რაციონალური მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა, ჰაერის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემებში ჩამხშობების გამოყენება, ხმაურის შემცირება ობიექტებზე სპეციალური ეკრანებითა და მწვანე ნარგავებით და სხვ.

**ხმაურის საწინააღმდეგო არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებებია:** საცხოვრებელი განაშენიანებისაგან ხმაურის წყაროს დაცილება, ხმაურის წყაროსა და საცხოვრებელ განაშენიანებას შორის ხმაურდამცავი ეკრანების განთავსება, საცხოვრებელი სახლების დაჯგუფების რაციონალური სქემის გამოყენება (ხმაურის წყაროსაგან დახურული ან ნახევრად დახურული შიდა სივრცის შექმნა) და სხვ.



ხმაურმზომები (დბ)

- ხმაურთან ბრძოლის შემდეგი ღონისძიებებია განსაზღვრული:
- **ტექნოლოგიური ღონისძიებები**, რომლებიც გულისხმობს ისეთი ტექნოლოგიის არჩევას, რომელშიც გამოყენებული მანქანები გამოიწვევს მინიმალურ ხმაურს.
  - **სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები**, რომლებიც გულისხმობს დასაქმებულების მომარაგებას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

სამუშაო ადგილზე ხმაურის დონის დადგენა შესაძლებელია სპეციალური ხელსაწყოთი – ხმაურმზომით.

### **რეკომენდებულია!**

დაინტერესდით, სამუშაო გარემოში განისაზღვრა თუ არა ხმაურის დონე და როგორია ამ გაზომვის შედეგები.

- აუცილებელია, სამუშაო ობიექტზე გამოგიყონ ხმაურდამცავი საყურისები ან ხმაურის საწინააღმდეგო ყურის საცობები.
- გამოიყენეთ მხოლოდ CE მარკირების მქონე სმენის ორგანოების დამცავები.
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხმაურდამცავების ექსპლუატაციის ინსტრუქცია.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები შეინახეთ სუფთა და უსაფრთხო ადგილას. დაზიანების შემთხვევაში კი შეცვალეთ ახლით.



## **ვიბრაცია**

ვიბრაცია დრეკადი ფიზიკური სხეულების მექანიკური რხევებია, რომლებიც გადაეცემა ადამიანს სხეულზე და შესაძლებელია, გამოიწვიოს პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხე, ჯანმრთელობის დაზიანება. დასაქმებული, რომელიც სამუშაოს ასრულებს ხელის პნევმატური ელექტრული ხელსაწყოებით, იმყოფება ვიბროდაავადების აშკარა საფრთხის წინაშე. ვიბრაციის გაცემით დასაქმებულს შესაძლოა, დაუზიანდეს სხეულის ისეთი ნაწილები, როგორებიცაა: კუნთები და სახსრები. ვიბრაცია მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე. დასაქმებულის დასაცავად საჭიროა სპეციალური ღონისძიებების გატარება.

**ვიბრაცია** – დრეკადი რხევები და ტალღები მყარ სხეულში.

**ზოგადი (სამუშაო ადგილის) ვიბრაცია** – ფეხზე მდგომი ან მჯდომი ადამიანის სხეულის საყრდენი ზედაპირით გადაცემული ვიბრაცია.

**ლოკალური ვიბრაცია** – ადამიანის ხელების მეშვეობით, მჯდომი ადამიანის ფეხებზე ან წინა მხრებზე ზემოქმედებით, მოვიბორიერ ზედაპირთან კონტაქტისას გადაცემული ვიბრაცია.

**ვიბრაციით გამოწვეული დაავადების კლასიფიკაციაში გამოყოფენ სანყის (მსუბუქი გამოვლინება) – I ხარისხი; ზომიერად გამოხატულს – II ხარისხი და გამოხატულს – III ხარისხის ფორმებს.**

**I ხარისხის** ვიბრაციული დაავადების ქვეშ იგულისხმება დაავადების სანყისი – მსუბუქი გამოვლინება, რომლის დროსაც ორგანიზმის მამოძრავებელი ფუნქცია არ არის დარღვეული. მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და შრომისუნარიანობა შენარჩუნებულია;

**II ხარისხის** ვიბრაციული დაავადება ზომიერად გამოხატული პათოლოგიური პროცესია. ქვეითდება დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ფუნქციური მაჩვენებლები, ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობები, სოციალური აქტივობა და პროფესიული თვალსაზრისით შრომისუნარიანობა;

**III ხარისხის** ვიბრაციული დაავადება გამოხატული პათოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც ხდება დაავადებულის როგორც პროფესიული, ისე საერთო შრომისუნარიანობის დაქვეითება. III ხარისხის ვიბრაციული დაავადება ძალიან იშვიათი ფორმაა.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები“ ადგენს სანარმოო ვიბრაციის კლასიფიკაციას, ნორმირებულ პარამეტრებს, მათ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებსა და, აგრეთვე, საზოგადოებრივ შენობებში ვიბრაციის დასაშვებ დონეებს.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №76/ნ ბრძანების – „სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების გამოსხივების წყაროებთან, სამრეწველო მასალებსა და ინსტრუმენტებთან მუშაობისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნები“ – მე-3 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია „ჰიგიენური მოთხოვნები ვიბრაციის პარამეტრისადმი“, კერძოდ:**

- ხელის იარაღები მიეკუთვნება მოვიბრირე იარაღებს, თუ ისინი წარმოქმნიან ვიბრაციას, რომლის დონე შეადგენს დადგენილი ზღვრულად დასაშვები დონეების არანაკლებ 25%-ს.
- ხელის იარაღები მიეკუთვნება ვიბროსაშიშ კატეგორიას, თუ ისინი წარმოქმნიან ვიბრაციას, რომლის დონეები აღემატება ზდდ-ს კორექტირებული დონით ან აბსოლუტური მნიშვნელობებით შეფასებისას.
- ხელის იარაღების ვიბრაციის ნორმირებადი პარამეტრებია ვიბროსინქარის (მ/წმ), ან ვიბროსინქარის (მ/წმ<sup>2</sup>) აბსოლუტური მნიშვნელობები, ასევე მათი ლოგარითმული დონეები (დბ). იარაღის ვიბრაციული მახასიათებლებია ვიბრაციის კორექტირებული დონეები და ნორმირებადი პარამეტრების დონეები სიხშირეების ოქტავურ ზოლებში. ოპერატორზე ვიბრაციული ზემოქმედების მახასიათებელია ვიბრაციის ეკვივალენტური კორექტირებული დონე. ხელის იარაღების ვიბრაციის ზღვრული დასაშვები მნიშვნელობები განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტით.
- აკრძალულია იმ ხელის იარაღების გამოყენება, რომელთა მიერ წარმოქმნილი ვიბრაციის დონე 4-ჯერ (ან 12 დბ-ით) აღემატება ზდდ-ს.
- ხელის იარაღების ვიბრაციული პარამეტრების შეფასება ხორციელდება მაქსიმალური მნიშვნელობებით, რომლებიც დგინდება ვიბრაციის დონის სამ ორთოგონალურ ღერძში გაზომვით, მოცემული მაჩვენებლები შეაქვთ ხელის იარაღების ტექნიკურ დოკუმენტაციაში.
- იმ ხელის იარაღებით სამუშაოების ჩატარების დროს, რომლებსაც თან ახლავს სამუშაო ადგილის ვიბრაციის ერთდროული ზემოქმედება (მიეკუთვნებიან სატრანსპორტო, სატრანსპორტო-ტექნოლოგიურ, ან ტექნოლოგიურ კატეგორიას), ვიბრაციის ზდდ სამუშაო ადგილებზე მიღებული უნდა იყოს მოქმედი სანიტარული ნორმების შესაბამისად.



## დაიმახსოვრეთ!



ყოველ ხელსაწყოს მოჰყვება ინსტრუქცია. ვიბრაციული ხელსაწყოს გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. მნიშვნელოვანია, რომ:

- სამუშაოების შესრულებისას ჰაერის დაბალი ტემპერატურა ხელს უწყობს ვიბრაციის მაგნე მოქმედებას;
- მომუშავენი უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ თბილი და რბილი ხელთათმანებით;
- შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ მხოლოდ ნაკლები უკუდარტყმის მქონე და ხმადახშული ხელსაწყოები;
- დაბლაგვებული ღოჯები ან ჩამოტეხილი ხელსაწყოები გამოცვალეთ;
- ხელსაწყო დადეთ მხოლოდ სრულად გათიშვის შემდეგ;
- გამოიყენეთ სმენის დამცავი აღჭურვილობა;
- დაიცავით თვალები ასხლეთილი ნაწილებისგან;
- მტვრის წარმომქმნელი სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელსაწყოები, მტვრის შესრუტვის ფუნქციით;
- თუ მტვრის გაფრქვევა მაინც მოხდება, ასეთი შემთხვევისთვის აუცილებლად უნდა გამოიყენოთ შესაბამისი რესპირატორი, მაგალითად, ნახევრად ნიღაბი.
- არ დაეყრდნოთ მკერდით პნევმატურ ხელსაწყოს მუშაობის პროცესში.

სამუშაო ადგილზე ვიბრაციის დონის დადგენა შესაძლებელია სპეციალური ხელსაწყოთი – ვიბრაციის მზომით.



ვიბრაციის მზომი ხელსაწყო



## რადიაციის, სიციხისა და სიცივისგან გამონჯვეული საფრთხე

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №216/ნ ბრძანების – „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თანახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“ – მიხედვით:**

**სისტემატიურად მოქმედი მაიონებელი გამოსხივება, რომელიც აღემატება ზღვრულად დასაშვებ სიდიდეს, იწვევს:**

- სხივურ ავადმყოფობას (ქრონიკ.).
- დამწვრობებსა და კოროზიებს (რადიაციული დამწვრობა).
- კანისა და კანქვეშა ქსოვილების რადიაციით გამონჯვეულ სხვა დაზიანებებს.
- რადიაციულ დერმატიტს.
- რადიაციულ წყლულებს.

**სიცივის პირობებში ხანგრძლივი სამუშაოები იწვევს:**

- მოყინვას.
- ჰიპოთერმიას.
- დაბალი ტემპერატურის სხვა ეფექტებს.
- მახლობლირებელ ენდარტერიტს (თრომბანგიიტი)

**სამუშაო ზონაში მაღალი ტემპერატურა და ინტენსიური სითბური გამოსხივება იწვევს:**

- სითბოს დაკვრას და მზის დაკვრას.
- სითბურ სინკოპეს, კოლაფსს.
- სითბურ სპაზმს (კრუნჩხვითი დაავადება).

თუ ცვლის განმავლობაში დასაქმებულის საწარმოო მოღვაწეობა ხორციელდება სხვადასხვა მიკროკლიმატში (გამაცხელებელი და გამაცივებელი), ისინი ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს, შემდეგ კი გაანგარიშდეს დროში საშუალო შეწონილი სიდიდე.

საქართველოს მთავრობის №69 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი – „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნები“ – ადგენს სამუშაო კატეგორიებს და მომუშავეთა სითბური დასხივების არსებობისას სამუშაო ადგილებზე ჰაერის ტემპერატურის დასაშვებ სიდიდეებს:

**Iა კატეგორიას** მიეკუთვნება სამუშაოები, რომლებიც ხასიათდება ენერგოდანახარჯების ინტენსივობით 120 კკალ/სთ-ამდე (139 ვტ-ამდე), წარმოებს ჯდომით მდგომარეობაში და თან ახლავს უმნიშვნელო ფიზიკური დაძაბვა (რიგი პროფესიებისა ზუსტი ხელსაწყოების და მანქანათმშენებლობის წარმოებაში, საათების, სამკერვალო წარმოებასა და მმართველობის სფეროში)

**Iბ კატეგორიას** მიეკუთვნება სამუშაოები ენერგოდანახარჯების ინტენსივობით 121-150 კკალ/სთ (140-174 ვტ), რომელიც წარმოებს ჯდომით, დგომით ან დაკავშირებულია სიარულთან, თან ახლავს მცირე ფიზიკური დაძაბვა (რიგი პროფესიებისა მრეწველობაში, პოლიგრაფიულ და კავშირგაბმულობის საწარმოებში, კონტროლიორები, სხვადასხვა სახის საწარმოს ოსტატები და სხვ.).

**IIა კატეგორიას** მიეკუთვნება სამუშაოები ენერგოდანახარჯების ინტენსივობით 151-200 კკალ/სთ (175-232 ვტ-ამდე), და დაკავშირებულია ან მუდმივ სიარულთან, ან მცირე (1კგ-ამდე) ნაკეთობებისა და საგნების გადაადგილებასთან მდგომარე ან მჯდომარე მდგომარეობაში, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ფიზიკურ დაძაბვას (მანქანათმშენებლობის წარმოებაში მექანიზმების აწყობის საამქროში, სართავ-სატრიკოტაჟო საწარმოებში).

**IIბ კატეგორიას** მიეკუთვნება სამუშაოები ენერგოდანახარჯების ინტენსივობით 201-250 კკალ/სთ. (232-290 ვტ), დაკავშირებულია სიარულთან 10 კგ სიმძიმის გადატანით და გადაადგილებით, რომელსაც თან ახლავს ზომიერი ფიზიკური დაძაბვა (საჩამოსხმელო, სამჭედლო, თერმული, შემდუღებელი საამქროები, საგლინავი, მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიული წარმოებები).

**III კატეგორიის** სამუშაოებს მიეკუთვნება სამუშაოები ენერგოდანახარჯების ინტენსივობით 250 კკალ/სთ-ზე მეტი (232-290 ვტ-ზე მეტი), დაკავშირებულია მუდმივ გადაადგილებასთან 10 კგ-ზე მეტი სიმძიმის გადატანა-გადაადგილებით, რომელიც მოითხოვს დიდ ფიზიკურ დაძაბვას (მთელი რიგი პროცესებისა სამჭედლო საამქროებში – ხელით ჭედვის პროცესი; საჩამოსხმელო საამქროებში – ხელით დატენვა და ჩასხმა; მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიულ წარმოებაში – ხელით ჩამოსხმა და ა.შ.).

**მომუშავეთა სითბური დასხივების არსებობისას ჰაერის ტემპერატურა სამუშაო ადგილებზე სამუშაოთა კატეგორიების შესაბამისად არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ სიდიდეებს:**

- 25 °C – Iა კატეგორიის სამუშაოების დროს;
- 24 °C – Iბ კატეგორიის სამუშაოების დროს;
- 22 °C – IIბ კატეგორიის სამუშაოების დროს;

- 21 °C – II კატეგორიის სამუშაოების დროს;
- 20 °C – III კატეგორიის სამუშაოების დროს.

მოცემული დოკუმენტის მე-5 თავის მიხედვით, მიკროკლიმატის დასაშვები პირობები დადგენილია ადამიანის დასაშვები სითბური და ფუნქციური მდგომარეობის კრიტერიუმების მიხედვით 8-საათიანი სამუშაო ცვლის პერიოდისათვის. ისინი არ იწვევენ დაზიანებას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევას, მაგრამ ძალუძთ სითბური დისკომფორტის ზოგადი ან ლოკალური შეგრძნებების აღძვრა, თერმორეგულაციის მექანიზმების დაძაბვა, თვითშეგრძნების გაუარესება და შრომისუნარიანობის დაქვეითება.

სამუშაო ადგილებზე მიკროკლიმატის დასაშვები სიდიდეების უზრუნველყოფისას:

- ა) ჰაერის ტემპერატურის ვარდნა ვერტიკალურ სიბრტყეებში არ უნდა აღემატებოდეს 3 °C-ს;
- ბ) ჰაერის ტემპერატურის ვარდნა ჰორიზონტალურ სიბრტყეში, აგრეთვე ცვლილება ცვლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს:
  - ბ.ა) Ia და Ib კატეგორიების სამუშაოებისას – 4 °C-ს;
  - ბ.ბ) IIa და IIb კატეგორიების სამუშაოებისას – 5 °C-ს;
  - ბ.გ) III კატეგორიის სამუშაოებისას – 6 °C-ს.

როდესაც სამუშაო ადგილზე ჰაერის ტემპერატურა 25 °C და მეტია, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდეები არ უნდა აღემატებოდეს:

- 70 % ჰაერის 25 °C ტემპერატურის დროს;
- 65 % ჰაერის 26 °C ტემპერატურის დროს;
- 60 % ჰაერის 28 °C ტემპერატურის დროს;
- 55 % ჰაერის 28 °C ტემპერატურის დროს.

## ► სამშენებლო მასალების რადიაციული უსაფრთხოება

დედამიწაზე არსებული რადიაციის ბუნებრივი წყაროები შეიცავს რადიოიზოტოპებს. მათი უდიდესი ნაწილი თავმოყრილია სხვადასხვა ბუნებრივ

**რადიაცია** – მაიონიზებული გამოსხივება, რომელსაც ელექტრონის ამოგდება შეუძლია ატომიდან.

ქვასა თუ გრუნტში. ბუნებრივ საშენ მასალებში შეიძლება იყოს ისეთი რადიაციული ნივთიერებები, როგორებიცაა: ურანი 238, კალიუმი 40 და სხვ. ამ ნივთიერებათა დაშლის პროდუქტია რადონი 222. შენობა-ნაგებობების მშენებლობაში გამოყენებული სამშენებლო მასალები შესაძლოა, ხასიათდებოდეს რადიაციული გამოსხივებით. ასეთ მასალებს მიეკუთვნება: თიხამინა, აგური, თაბაშირი, მინაბოჭკო და ბუნებრივი ქვები (გრანიტი). ბუნებრივი წარმოშობის გამოსხივების წყაროა კოსმოსური გამოსხივება, მიწიერი გამოსხივების წყაროებია: ნიადაგი, ატმოსფერო, წყალი, ცხოველები, მცენარეები და სხვ. რადიაციული საფრთხის აღმოსაჩენად მიზანშეწონილია, სამშენებლო მასალები გამოყენების წინ შემოწმდეს რადიექტიურობაზე სპეციალური ხელსაწყო – პორტატიული დოზიმეტრის – გამოყენებით.



არსებობს რადიაციის ორი ტიპი – მაიონიზებული და არამაიონიზებული.

**მაიონიზებული რადიაცია** არის ელექტრომაგნიტური სხივები (გამა-გამოსხივება, რენტგენის სხივი) ან ნაწილაკები (ალფა და ბეტა). მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედება იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა: დერმატიტი, დამწვრობა, სიმსივნე, მნიშვნელოვანი ცვლილებები სისხლში.

**არამაიონიზებული რადიაცია** წარმოიქმნება ელექტრომაგნიტური სპექტრის ნაწილებისაგან (ობტიკური რადიაცია, ელექტრომაგნიტური ველები). არამაიონიზებული რადიაციის ზემოქმედება იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა: კანის დამწვრობა, სიმსივნე, თვალის კატარაქტა და კონიუნქტივითი და სხვ. რადიაციის ეკვივალენტური დოზის განზომილებაა ზივერტი (ზვ).



რადიაციის გამაფრთხილებელი ნიშნები



## მუშაობა ცხელი და ცივი კლიმატის პირობებში

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას დასაქმებულებს, ძირითადად, მუშაობა უწევთ ღია გარემოში მაღალი და დაბალი ატმოსფერული ტემპერატურის დროს.



მუშაობა ცივი და ცხელი კლიმატური პირობების დროს

**მაღალი ტემპერატურა** დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ახდენს, მაღალია მათი მზისგან გადახურების ალბათობა. ცხელი კლიმატის პირობებში, დასაქმებულების დაცვისთვის აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა – დასასვენებელი ადგილის მოწყობა, შესვენების დროის გაზრდა, ცივი სასმელი წყლის მარაგის მომზადება.

მნიშვნელოვანია ასევე დროის სწორი ორგანიზება – დასაქმებულები თავდა-  
უხურავ მდგომარეობაში არ უნდა გაჩერდნენ შმის პირდაპირი სხივების ქვეშ.

**დაბალი ტემპერატურა** არა მარტო დისკომფორტს უქმნის დასაქმებუ-  
ლებს, არამედ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

ცივი ამინდის დროს იზრდება უბე-  
დური შემთხვევების ალბათობა. დასაქმებულებს, რომლებიც მუშა-  
ობენ ვიბროხელსაწყობებზე, შესაძ-  
ლოა, განუვითარდეთ „თეთრი თი-  
თების სინდრომი“.



თბოიზოლაციის მოწყობა მინერალური ბამბის მასალით

### ეს საინტერესოა!



**თეთრი თითების სინდრომი** – იგი ხასიათდება თითების გათეთრების შეტევებით, რომელიც ვლინდება ორგანიზმის ადგილობრივი ან ზოგადი გადაცივებისას. შეტევები განსაკუთრებით აწუხებთ წელიწადის ცივ პერიოდში. გათეთრება თავდაპირველად იწყება იმ თითების ბოლო ფალანგებიდან, რომლებიც უშუალოდ განიცდის ვიბრაციის მოქმედებას. პროცესის პროგრესირებასთან ერთად (II ხარისხი), გათეთრება ვრცელდება ორივე ხელის თითებზე.

დასაქმებულებმა დაბალი ტემპერატურის დროს თავის დასაცავად უნდა გაით-  
ვალისწინონ შემდეგი:

არ შეარჩიონ და არ შეიმოსონ სქელი ტანსაცმლით, ვინაიდან ეს ხელს უშლის მოძრაობას. შეიმოსონ თხელი, თბილი ტანსაცმლით. დამხმარე ნაგებობები უნდა იყოს თბილი, რათა მათ შეძლონ დღის განმავლობაში თანდათანობით გათბობა. სწრაფმა გათბობამ შეიძლება გამოიწვიოს მდგომარეობის გაუარე-  
სება. ვიბროდანადგარებთან მომუშავე პირმა უნდა გამოიყენოს სპეციალური ვიბრაციის ხელთათმანი.



ვიბრაციის ხელთათმანი



ტემპერატურისა და ტენიანობის საზომი



## ხელოვნური განათება მშენებლობაზე

შენობა-ნაგებობების მშენებლობისას სამშენებლო მოედანზე სამუშაო ადგილები და სავალი გზები დღის არასაკმარისი შუქის შემთხვევაში გაანათეთ ხელოვნურად. განათება მიუსადაგეთ განსაკუთრებულ პირობებსა და სხვადასხვა სახის სამუშაო პროცესებს. იმ შემთხვევისთვის, თუ საერთო განათების გათიშვას უბედური შემთხვევების განსაკუთრებული საშიშროება შეიძლება მოჰყვეს, უნდა არსებობდეს ავარიული განათება.

**საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების – „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ – მიხედვით, სამშენებლო მოედნის ორგანიზებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:**

- სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უბრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება.
- ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული.
- სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.



- სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია.

### **საქართველოს მთავრობის №41 დადგენილების – „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ – მიხედვით:**

- ხელოვნური განათება უნდა უზრუნველყოფდეს საშუალო განათებულობას, რაც ოთახში იატაკის დონიდან 75 სმ სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს 107 ლუქსს.
- გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

### **საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №01 ბრძანების მიხედვით:**

- სადენების, კაბელების, სალტეების, იზოლაციების, მეტალოკონსტრუქციებისა და სხვა დეტალების სიმაღლეზე აწევის დროს მიღებულ უნდა იქნეს ასანევი მასალა-ნაკეთობების ვარდნისა და ჰაერში ქანაობის თავიდან აცილების ზომები.

აგურსა და ბეტონში ხვრელების გაკეთება დაშვებულია დამცავი სათვალეებით ან უმტვრევი გამჭვირვალე მასალისაგან დამზადებულ დამცავი ფარის გამოყენებით.

სიმაღლეზე მონტაჟისათვის აწეული მასალა-ნაკეთობები დაუყოვნებლივ უნდა დამაგრდეს ან დალაგდეს ისეთი სახით, რომ გამოირიცხოს მათი ჩამოვარდნის შესაძლებლობა.

სადენების, მავთულებისა და ლითონის ლენტების ჯალამბარებით და სხვა სამარჯვებით გასწორება უნდა წარმოებდეს არაიზოლირებული დენგამტარი ნაწილების, ქსელებისა და ხაზებისაგან შორს მდებარე შემოღობილ მოედნებზე. ამ მოედნებზე უცხო პირების ყოფნა აკრძალულია.

სადენების გასატარებლად გამოყენებული მილების ბოლოები უნდა იქნეს განმენდილი ხინჯებისაგან.

სადენებისა და კაბელების გაყვანა უნდა წარმოებდეს მხოლოდ პროექტის შესაბამისად დამაგრებულ მილებში, ღარებსა და ხოკერებში.

მეგომეტრის საშუალებით იზოლაციის წინააღმდეგობის შემოწმება უნდა განხორციელდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ III ჯგუფის მქონე პერსონალის მიერ.

სადენების ბოლოები, რომლებიც შესაძლოა, აღმოჩნდნენ ძაბვის ქვეშ, უნდა შემოიღობოს ან იმყოფებოდეს მეთვალყურეობის ქვეშ. ღობეებზე უნდა გამოიკიდოს პლაკატი – „სდექ! – ძაბვა!“.



სანათების მონტაჟის წინ მათი დასამაგრებელი სამარჯვები უნდა გამოიცადოს მუშა ნახაზებისა და სამუშაოთა წარმოების პროექტის მოთხოვნების შესაბამისად.

სანათების არმატურაში სადენები იმგვარად უნდა იქნეს შეყვანილი, რომ შეყვანის ადგილზე მექანიკურად არ დაზიანდეს, ხოლო ვაზნების კონტაქტები განიტვირთოს მექანიკური ძალვისაგან.

კედლებში და სართულებს შორის გადახურვებში გამჭოლი ხვრელების გაბურღვა, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით არაუმეტეს 4 მმ<sup>2</sup> კვეთის სადენების დაჭიმვა უნდა განხორციელდეს ხარაჩოებისა და გადასათანი კოშკურების გამოყენებით. აკრძალულია ამ სამუშაოების წარმოება მისადგმელი კიბეებიდან და პწკალადან.

### დაიმახსოვრეთ!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალებული იყოს.

- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დანესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*



## საჰაერო ელექტროგაყვანილობების სიახლოვეს მუშაობა



შენობა-ნაგებობების მშენებლობის წარმოებისას ელექტროობამ სხვადასხვა სიტუაციის დროს შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევები, რაც გამოწვეულია, ძირითადად, უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით და უსაფრთხო-

ების სისტემის გაუმართაობით. მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგაყვანილობებთან შეხება შესაძლებელია, ფატალურად დასრულდეს. საჰაერო ელექტროგაყვანილობებთან, რომლებიც მაღალი ძაბვის გამტარია, მუშაობა დაშვებულია მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია უსაფრთხოების მანძილი.

გერმანული გამოცდილების მიხედვით (BG BAU), ცხრილში მოცემულია სარეკომენდაციო განათების სიდიდის მაჩვენებლები.

განათების სიდიდე საერთო განათებისთვის	
საერთო განათება მშენებლობებზე	განათების საშუალო სიდიდე E
მაღლივი მშენებლობა	20 ლუქსი
მინისქვეშა ნაგებობების (ნულოვანი ციკლი) მშენებლობა	20 ლუქსი
ფოლადისა და ლითონის კონსტრუქციებით მშენებლობა	20 ლუქსი
ლიანდაგების მშენებლობა	50 ლუქსი
გვირაბების მშენებლობა	60 ლუქსი
საპირფარეშო და სოციალური სივრცეები	200 ლუქსი
ოფისები	500 ლუქსი

განათების სიდიდე საერთო განათებისთვის	
საერთო განათება მშენებლობებზე	განათების საშუალო სიდიდე E
მაღლივი მშენებლობა	20 ლუქსი
მინისქვეშა ნაგებობების (ნულოვანი ციკლი) მშენებლობა	20 ლუქსი
ფოლადისა და ლითონის კონსტრუქციებით მშენებლობა	20 ლუქსი
ლიანდაგების მშენებლობა	50 ლუქსი
გვირაბების მშენებლობა	60 ლუქსი
საპირფარეშო და სოციალური სივრცეები	200 ლუქსი
ოფისები	500 ლუქსი

**„მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №361 დადგენილების მიხედვით, მშენებლობაზე მუშაობა დაუშვებელია ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. დოკუმენტის მე-14 მუხლში განსაზღვრულია შემდეგი უსაფრთხოების პირობები:**

- ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის (წრედის დამცველები უნდა მოიხსნას) ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები.
- ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას საჭიროა, დაცულ იქნეს შესაბამისი წესები.
- კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა, დაცულ იქნეს კაბელების გაყვანის პროექტით გათვალისწინებული წესები.
- ელექტროგადამცემი საპაერო ხაზების მონტაჟისას სავალდებულოა ელექტროგადამცემი ხაზების დამონტაჟებული უბნების დამინება.

**საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის №100 ბრძანების – „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ – მიხედვით, განსაზღვრულია დასაშვები მანძილები ძაბვის ქვეშე მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე.**

საპაერო ხაზის ძაბვა, კვ	მანძილი, მ	
	მინიმალური	მინიმალური, გაზომილი ტექნიკური საშუალებებით
1-ამდე	•	1,5
1-იდან – 20-ამდე	2,0	2,0
20-იდან – 35-ამდე	2,0	2,0
35-იდან – 110-ამდე	3,0	4,0
110-იდან – 220-ამდე	4,0	5,0
220-იდან – 400-ამდე	5,0	7,0
400-იდან – 750-ამდე	9,0	10,0

უსაფრთხოების მანძილის დაუცველობის შემთხვევაში, გაყვანილობებში უნდა გაითიშოს დენი და არ ჩაერთოს სამუშაოს დასრულებამდე. საჭიროების შემთხვევაში, დაიფაროს ძაბვის გამტარი ნაწილები.

უსაფრთხოების ზომები გატარდეს ელექტროენერჯის მწარმოებელ და გადამცემ კომპანიასთან შეთანხმებით, როცა მუშაობთ მანქანებით სხვადასხვა სამშენებლო მანქანით: ამწეებით, ექსკავატორებით, ბეტონის ტუმბოებით. განსაკუთრებულად ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ძაბვის საპაერო ელექტროგაყვანილობებთან მიახლოების რისკს. სამუშაოს დაწყებამდე უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი დასაქმებულებს და მიენოდოთ მათ ინფორმაცია რისკების შესახებ.

### დაიმახსოვრეთ!



**მაღალი ძაბვის დენით** გამონვეული ელექტროტრავმის დროს განვითარებული დაზიანება, უმრავლეს შემთხვევაში, ფატალური შედეგით სრულდება.

**დაბალი ძაბვის დენით** განპირობებული ელექტროტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა და ფატალური შედეგის მიზეზიც კი.

ძირითადად, ამ ტიპის ელექტროტრავმა განპირობებულია დაზიანებული ჩამრთველებით.

ელექტროდენთან მუშაობისას გაზრდილი საფრთხის ნიშნებია:

- ნესტი,
- დენგამტარი იატაკი,
- ჰაერის მაღალი ტემპერატურა,
- ადამიანის შეხების შესაძლებლობა ძაბვის ქვეშ მყოფ ელექტროდანადგარების ნაწილებთან.

ელექტროდენთან მუშაობისას დაცვითი ღონისძიებებია:

- მცირე ძაბვების გამოყენება,
- იზოლაციის დაზიანების კონტროლი,
- დენგამტარ ნაწილებთან მიუწვდომლობის უზრუნველყოფა,
- დამცავი ჩამინება,
- დამცავი ამორთვა.

## დაიმასსოვრეთ!



**დამცავი ჩამინება** არის ელექტროდანადგარების არადენგამტარი ნაწილების მიწასთან წინასწარ განზრახვით შეერთება.

**დამცავი დანულება** უზრუნველყოფს დაზიანებული ელ. დანადგარების სწრაფ და საიმედო ავტომატურ გამორთვას.

სამუშაო ადგილებზე ელექტრორესურსებზე მითითებული უნდა იყოს შემდეგი სიმბოლოები:

	საშიში ელექტროძაბვა
	დამცავი იზოლაცია
	უსაფრთხო, ძალიან დაბალი ძაბვა
	აფეთქებისგან დაცული, გამოცდილი რესურსი
	უხეში სამუშაოსთვის
	მტვრისგან დაცული
	წვიმისგან დაცული (წყლის შეფეებისგან დაცული)

ელექტრორესურსებზე მითითებული სიმბოლოები

**„ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის №100 ბრძანების მიხედვით, განსაზღვრულია სამუშაოთა და პროფესიათა ჩამონათვალი, რომლებზეც შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმება.**

### **ეს მნიშვნელოვანია!**



**აკრძალულია 18 წლის ასაკამდე პირთა ქვემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებზე დასაქმება:**

- ელექტროდანადგარების შეკეთებაზე;
- ძაბვის ქვეშ დენგამტარ ნაწილებზე;
- 1000 ვოლტზე მეტი ძაბვის ელექტროძრავებისა და საკომპრესორო დანადგარების მომსახურებაზე;
- მაღლივ სამუშაოებზე;
- ტრანსპორტის მძღოლად;
- ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მომსახურებაზე, მეამწედ, მემანქანედ, ტრაქტორისტად, ჩამბმელად;
- აირელექტროშედულება და თერმულშედულებაზე;
- პნევმატური ინსტრუმენტებისა და სამშენებლო-სამონტაჟო პისტოლეტის გამოყენებით სამუშაოებზე;
- ნიტროსაღებავების, ნიტროემალის გამოყენებით პულვერიზაციულ შეღებვაზე, აგრეთვე ასფალტის ლაქით მუშაობაზე;
- ანტისეპტიკური და ცეცხლდამცავი ნივთიერებებით ხის გაჟღენთაზე;
- მინის და მინისქვეშა ნაგებობების სამუშაოებზე;
- მოზარდებისათვის დადგენილი ნორმის ზემოთ სიძიმეების აწევასა და გამოყენებაზე.





## ქიმიური საფრთხეები

მშენებლობაში გამოყენებულმა საშენმა მასალებმა, რომლებიც შეიცავენ ტოქსიკურ ნივთიერებებს, შესაძლოა, დასაქმებულის ჯანმრთელობა დააყენოს დიდი რისკის ქვეშ. ტოქსიკურმა ნივთიერებებმა დასაქმებულს შეიძლება შეუქმნას ალერგიული ფონი, სიმსივნის საშიშროება ან ზედაპირული გაღიზიანება. აღნიშნული ნივთიერებები, რომლებიც დასაქმებულის ორგანიზმში მოხვდება სხვადასხვა გზით (გადაყლაპვით, კანიდან, ინჰალაციით), გამოიწვევს მის მონამვლას. არჩევნ მონამვლის ორ ფორმას – მწვავესა და ქრონიკულს.

მწვავე მონამვლა ვითარდება ორგანიზმში დიდი რაოდენობით მომწამლავი ნივთიერებების შეღწევისას დროის მცირე შუალედში, ხოლო ქრონიკული მონამვლა ვითარდება ორგანიზმში დიდი რაოდენობით მომწამლავი ნივთიერებების შეღწევისას დროის ხანგრძლივ შუალედში.

- **დამწვრობის გამომწვევი ტოქსიკური ნივთიერებებია:** ამოტყუვა, გოგირდმჟავა, ამიაკი.
- **სასუნთქ ორგანოებზე მოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებია:** ქლორი, ამიაკი, კაჟმინა.
- **სისხლზე მოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებია:** ნახშირორჟანგი, ბენზოლი, ტყვია.
- **ნერვულ სისტემაზე მოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებია:** ბენზინი, აცეტონი, მეთილის სპირტი.
- **ფერმეტული და ცვლადი შხამები:** რადიოაქტიური იზოტოპები.

ტოქსიკური ნივთიერებების უმრავლესობა გამოიყენება სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას. მათი დასაშვები კონცენტრაცია უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ ნორმებს.

### ტოქსიკური ნივთიერებებისგან დაცვის ღონისძიებებია:

- ტოქსიკურ ნივთიერებათა შეცვლა ნაკლებად ტოქსიკურით,
- მუშაკის უშუალო კონტაქტის გამორიცხვა მავნე ნივთიერებებთან,
- სანარმოლო პროცესების მექანიზაცია,
- ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით აღჭურვა,
- ნარჩენ მასალების ინსტრუქციის შესაბამისად შენახვა,
- სამუშაო ადგილის დასუფთავება,

- პირადი ჰიგიენის დაცვა,
- სპეციალური კვება,
- შესვენებები,
- სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და სხვ.

### დაიმახსოვრეთ!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალდეს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადანყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიენდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

### **„საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში განსაზღვრულია ქიმიური ნივთიერების ნიშანდებისა და ეტიკეტირების პირობები:**

- საშიში ქიმიური ნივთიერების იდენტიფიკაციისათვის, მასზე ინფორმაციის მისაღებად, ადამიანის ორგანიზმსა და გარემოზე ზემოქმედების ხასიათისა და ხარისხის მისანიშნებლად, უსაფრთხოების დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა საშიში ქიმიური ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება.
- ნიშნისა და ეტიკეტის შინაარსისადმი მოთხოვნებს, აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

- ნიშნისა და ეტიკეტის ნიმუშების პროექტს შეიმუშავებს ამ ნივთიერების შემქმნელი ნივთიერების სახელმწიფო ექსპერტიზაზე წარდგენისა და სარეგისტრაციო განაცხადის შეტანის წინ.
- პირები, რომლებიც იყენებენ საშიშ ქიმიურ ნივთიერებას, ვალდებული არიან, შეუნარჩუნონ მას ნიშანდება და ეტიკეტირება.
- საშიში ქიმიური ნივთიერების ნიშანი აღინიშნება ასობით, სიტყვიერად ან სიმბოლურად. ნიშნის შინაარსი გულისხმობს ნივთიერების დასახელებას, გემოქმედების ხასიათსა და საშიშროების კლასიფიკაციას.
- ეტიკეტზე ზუსტად უნდა აისახოს საშიში ქიმიური ნივთიერების გამოკვლევის შედეგების შესახებ მონაცემები.
- ეტიკეტზე უნდა აღინიშნოს შესაბამისი სიმბოლოები ან პიქტოგრამები, რომლებიც გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას.
- ეტიკეტზე უნდა მიეთითოს, რომ აკრძალულია შესაფუთი ტარის ან მასალის მეორეული გამოყენება.
- ეტიკეტი მყარად უნდა მიმაგრდეს შესაფუთი ტარაზე ან მასალაზე.
- ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საშიში ქიმიური ნივთიერების პარტიისა და სერიის შესახებ.
- ეტიკეტზე აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს შესრულებული ქართულ და რამდენიმე უცხო ენაზე და ადვილად გასაგები გადაშვიდავისა და პროფესიული მოხმარებლისათვის.
- საექსპორტო საშიში ქიმიური ნივთიერების ეტიკეტი და ნიშანი უნდა განსხვავდებოდეს ქვეყნის შიგნით გამოსაყენებელი ნივთიერების ეტიკეტისა და ნიშნისაგან.
- საშიში ქიმიური ნივთიერების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას.
- შესაძლებელია ორი სახის ეტიკეტის გამოყენება:
  - ა) ეტიკეტი ტრანსპორტირებისათვის;
  - ბ) ეტიკეტი მოხმარებისათვის.
- თუ საშიში ქიმიური ნივთიერების ზომების ან შეფუთვის ხასიათის გამო შეუძლებელია მისი ეტიკეტირება ან ნიშანდება, მაშინ შესაბამისი ინფორმაცია უნდა აისახოს თანდართულ საბუთებში.
- საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების წესი განისაზღვრება დებულებით „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების წესის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საუწყებოთაშორის საბჭოსთან შეთანხმებით.
- საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების სახელმწიფო სტანდარტს, მოსალოდნელი საშიშროებისა და უსაფრთხოების შესახებ

ევროკავშირში მიღებული სტანდარტული ფრაგმენტის შემცველი სისტემის საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

- საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების სფეროში კონტროლს ახორციელებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.



ქიმიური საფრთხე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №78/ნ ბრძანება „მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ ადგენს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს საშენ მასალათა მრეწველობის (არამადნეული საშენი მასალების, ბუნებრივი და ხელოვნური მსუბუქი ფოროვანი შემკვსებების, შემკვრელი საშენი და სახურავის მასალების, ბეტონის, რკინაბეტონის, ხე-ტყის, პოლიმერების და სხვ.) საწარმოებისადმი. ვრცელდება სამრეწველო საწარმოების ტერიტორიაზე განლაგებული საშენი მასალების საწარმოებზე, რომლებიც ნედლეულად გამოიყენებენ წარმოების ნარჩენებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №81/ნ ბრძანებით განსაზღვრულია საინფორმაციო ფურცელი „საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხო მოპყრობის შესახებ“.

**საქართველოს მთავრობის №428 დადგენილებაში „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“ განსაზღვრულია საშიშროების კლასიფიკაციის კატეგორიები, რომლებიც გამოსახება შემდეგი აბრევიატურით:**

- ა) ფეთქებადი: E
- ბ) დამუანგავი: O
- გ) განსაკუთრებულად აალებადი: F+
- დ) მაღალაალებადი: F
- ე) აალებადი: R10
- ვ) ძლიერ ტოქსიკური: T+
- ზ) ტოქსიკური: T
- თ) მავნე: Xi
- ი) კოროზიული: C
- კ) გამაღიზიანებელი: Xi
- ლ) მასენსიბილიზებელი: R42 და/ან R43
- მ) კანცეროგენული: Carc. Cat.(1)
- ნ) მუტაგენური: Muta. Cat.(1)
- თ) ტოქსიკური რეპროდუქციისათვის: Repr. Cat.(1)
- ბ) საშიში გარემოსათვის: N ან/და R52, R53, R59.



საშიშროების კლასიფიკაციის კატეგორიები გამოისახება დასურათებული სიმბოლოებით, რისკის R-ფრაზებით და უსაფრთხოების S-ფრაზებით.

მომხმარებელი, რომელიც ახორციელებს საშიში ქიმიური ნივთიერების გამოყენებას, ვალდებულია, უზრუნველყოს ტარაზე ეტიკეტისა და ნიშნის შენარჩუნება.

**საქართველოს მთავრობის №428 დადგენილებაში – „საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტების ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“ – განსაზღვრულია საშიშროების სტანდარტული სიმბოლოები:**



**E**  
ფეთქებადი



**N**  
გარემოსათვის საშიში



**O**  
დამჟანგავი



**Xn**  
Xn  
მავნე



**F**  
ძლიერ აალებადი



**Xi**  
Xi  
გამაღიზიანებელი



**T**  
ტოქსიკური



**T+**  
T+  
ძლიერ ტოქსიკური



**C**  
კოროზიული



**F+**  
F+  
უკიდურესად  
აალებადი



## ბიოლოგიური საფრთხე



ბიოლოგიური საფრთხე

შენობა-ნაგებობების დემონტაჟისას, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას, მიწისა და საკანალიზაციო სამუშაოების წარმოებისას, მიწისქვეშა წყალგაყვანილობების სარემონტო სამუშაოებისას, ობისგან განმედიის სამუშაოების ჩატარებისას არსებობს ალბათობა იმისა, რომ დასაქმებულებს შეხება ჰქონდეთ ბიოლოგიურ აგენტებთან, როგორებიცაა: ობის სოკო, ბაქტერიები ან ფეკალური ბაქტერიები.

ობის სოკომ შესაძლებელია გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება და, შედეგად, ალერგიული რეაქციები. ობის სოკო, ნივთიერებათა ცვლის ფარგლებში, წარმოშობს ტოქსიკურ ნივთიერებებს – მიკოტოქსინებს. მიკოტოქსინები შესაძლებელია, ჩაჯდეს სამშენებლო მასალებში და გავრცელდეს განსაკუთრებით მტვრიანი საქმიანობების დროს (მაგ.: ჩამოყრა, ფრეზირება შესრუტვის გარეშე). გამაღიზიანებელი და ტოქსიკური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია როგორც ცოცხალ, ასევე მკვდარ ობის სოკოს. ამ ბიოლოგიური აგენტის ინვაზიის (შესევა) დროს შესაძლებელია, ასევე, სხვა ბიონივთიერებების გავრცელება. მაგ., ბაქტერიები (აქტინომიცეტები), რომლებიც ასევე იწვევენ ალერგიულ რეაქციებს. ობის სოკოს გამრავლების შემთხვევაში, რაც შესაძლებელია, გამონვეული იყოს ბინძური წყლის გაჟონვით ან დატბორვით, არსებობს ასევე ფეკალური ბაქტერიების (ინფექციის აგენტები) და პარაზიტების გამრავლების რისკები.

### დაიმახსოვრეთ!



სამუშაოს დაწყებამდე საჭიროა, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფრთხეების იდენტიფიცირება – განისაზღვროს, ვინ შეიძლება დაზარალებს.
- შეფასდეს რისკი – განისაზღვროს და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.
- განისაზღვროს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და აქტივობების ვადები.
- ჩატარდეს შეფასების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება.
- მიეწოდოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და დაწესდეს კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

*საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“*

საქართველოს მთავრობის №82 დადგენილება – ტექნიკური რეგლამენტი „ბიოლოგიურ აგენტებზე მუშაობის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ – განსაზღვრავს ბიოლოგიურ აგენტებზე მომუშავე დანესებულებების ძირითად სანიტარიულ და ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს.

დოკუმენტის უმთავრესი მიზანია საჭირო მოთხოვნათა ჩამოყალიბება ბიოლოგიური აგენტების მართვასთან, ან შენახვასა და განადგურებასთან დაკავშირებული რისკების კონტროლისათვის.

აუცილებელია, დანესებულებებმა:

- შეიმუშაონ და დანერგონ ბიორისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული რისკის მართვას და დასაშვებ დონემდე შემცირებას გარემოს, საზოგადოებასა და იმ თანამშრომლებთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ბიოლოგიური აგენტების პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ;
- უზრუნველყონ ბრძანებით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების ეფექტიანი დანერგვა;
- უზრუნველყონ ბიორისკის მართვის სისტემის სერტიფიცირება და ვერიფიკაცია მესამე დამოუკიდებელი მხარის მიერ;
- წარმოადგინონ სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიის ბიოსაფრთხოებისა და ბიოდაცვის რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკული მეთოდების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლებას.
- დაიცვან ბიოეთიკის ნორმები.

პათოგენები კლასიფიცირდება ოთხ რისკკუფად:

**რისკის ჯგუფი 1** – მიკროორგანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდისა და საზოგადოებისათვის მცირე რისკს და, ჩვეულებრივ, არ იწვევენ ადამიანის ან ცხოველის დაავადებას;

**რისკის ჯგუფი 2** – პათოგენები, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდისათვის საშუალო და საზოგადოებისათვის დაბალ რისკს და შესწევთ უნარი, გამოიწვიონ ადამიანისა და ცხოველის დაავადება, მაგრამ, ჩვეულებრივ, ლაბორატორიის პერსონალის, საზოგადოების, შინაური ცხოველებისა და გარემოსათვის სერიოზულ საფრთხეს არ ქმნიან. ლაბორატორიაში ექსპოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ინფექციური დაავადება, მაგრამ ეფექტიანი მკურნალობა და



პრევენციული ღონისძიებები ხელმისაწვდომია და ინფექციის გავრცელების რისკი დაბალია.

**რისკის ჯგუფი 3** – პათოგენები, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდისათვის მაღალ და საზოგადოებისათვის დაბალ რისკს და, ჩვეულებრივ, ინვევენ ადამიანისა და ცხოველის მძიმე დაავადებას, მაგრამ არ ვრცელდებიან ერთი ინფიცირებული ადამიანიდან მეორეზე შემთხვევითი კონტაქტის გზით. მათ წინააღმდეგ არსებობს ეფექტიანი სამკურნალო საშუალებები და პრევენციული ღონისძიებები;

**რისკის ჯგუფი 4** – პათოგენები, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდისა და საზოგადოებისათვის მაღალ რისკს და, ჩვეულებრივ, ადამიანებსა და ცხოველებში ინვევენ ძალიან მძიმე დაავადებებს. შეიძლება, ადვილად გავრცელდნენ ერთი ინდივიდიდან მეორეზე, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. არ არსებობს მათი საწინააღმდეგო ეფექტიანი სამკურნალო საშუალებები და პროფილაქტიკური ღონისძიებები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №147/ნ ბრძანების – „მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ – მიხედვით, განსაზღვრულია სამუშაო ზონის ჰაერში ბიოლოგიური ბუნების მავნე ნივთიერებების შემცველობის შესაბამისი შრომის პირობების კლასები“.

მავნე ნივთიერებები		შრომის პირობების კლასები					
		დასაშვები	მავნე			საშიში	
			2	3.1	3.2		3.3
მიკროორგანიზმები – პროდუცენტები, ცოცხალი უჯრედებისა და მიკროორგანიზმების სპორების შემცველი პრეპარატები		ზღვ	1.1-3.0	3.1-10.0	> 10		
პათოგენური მიკროორგანიზმები	განსაკუთრებით საშიში ინფექციები						+
	სხვა ინფექციური დაავადებების გამომწვევები				+		

„პროფესიული დაავადებების ნუსხისა და პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის“ დადგენილების მიხედვით, განსაზღვრულია ბიოლოგიური ფაქტორების მოქმედებით გამონვეული პროფესიულ დაავადებათა ნუსხა.

ბიოლოგიური ფაქტორების მოქმედებით გამონვეული პროფესიული დაავადებები
რესპირაციული ტუბერკულოზი, ბაქტერიოლოგიურად დადასტურებული
ცოფი
ვირუსული ჰეპატიტი
დაუზუსტებელი პარაზიტული ავადმყოფობები
სხვა ვირუსული ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში
სხვა ვირუსული ინფექციები, რომლებიც ხასიათდება კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებით და არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში



## პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, განერილია პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, ევაკუაციისა და მომეტებული საფრთხის დროს დამსაქმებლის შემდეგი ვალდებულებები:

- სანარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით, მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;
- განახორციელოს აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.
- **დამსაქმებელი ვალდებულია**, პირადად ან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მეშვეობით, დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა დასაქმებულსა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომლებსაც ემუქრებათ ან შეიძლება დაემუქროთ მომეტებული საფრთხე, პრევენციული და საევაკუაციო ზომებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.

- მომეტებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, **დამსაქმებელი ვალდებულია**, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშაოს შეწყვეტის ბრძანება, რათა დასაქმებულებმა შეძლონ სამუშაო ადგილებიდან უსაფრთხო ზონაში გასვლა.
- **დამსაქმებელს უფლება არ აქვს**, მოსთხოვოს დასაქმებულს სამუშაოს გაგრძელება მანამ, სანამ არსებობს მომეტებული საფრთხე.
- დასაქმებული არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში, მომეტებული საფრთხის არსებობის დროს სამუშაო ადგილის ან საფრთხის შემცველი ტერიტორიის შიტოვებისას საკუთარი ქმედების გამო და დაცული უნდა იყოს ზიანის მოშტანი შედეგებისაგან.
- **დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს**, რომ მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თითოეულ დასაქმებულს, რომელსაც არ შეუძლია მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს, ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, დატოვოს სამუშაო ადგილი საკუთარი ან სხვა პირების უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხის შედეგები.

### დაიმახსოვრეთ!



დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

საქმიანობის სპეციფიკიდან და დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, სანარმოს შეიძლება ჰყავდეს ექიმი. ექიმს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი ერთ-ერთ შემდეგ სპეციალობაში: „შინაგანი მედიცინა“, „საოჯახო მედიცინა“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, „პროფესიული პათოლოგია“.



## აირით მოხუთვა

ექსტრემალურ სიტუაციებში ხშირად ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა წამებსა და წუთებზეა დამოკიდებული. ამ დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პირველადი დახმარების აღმოჩენა.



საავტომობილო გზების მშენებლობის პროცესი

პირველადი დახმარება არის გადაუდებელი ღონისძიება, რომელიც უტარდება დაშავებულს პროფესიული სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე. პირველი დახმარების დროული და სწორი აღმოჩენით შესაძლოა, თავიდან ავიცილოთ შემდგომი მძიმე

**ექსტრემალური სიტუაცია** – ადამიანის საქმიანობისა და ქმედითუნარიანობისათვის არახელსაყრელი სიტუაცია, რომლის დროსაც ადამიანმა შესაძლოა მიიღოს როგორც ფსიქიკური, ასევე ფიზიკური დაზიანება.

გართულებები. ის არ გამოორიცხავს სამედიცინო დახმარების საჭიროებას. სამუშაო გარემოში პირველ დახმარებას ატარებს გადამზადებული პირი, კომპეტენციის ფარგლებში, ხელთ არსებული მინიმალური აღჭურვილობით.

გაითვალისწინეთ, რომ სამუშაო ადგილი უზრუნველყოფილ უნდა იყოს პირველადი დახმარების ჩანთით, სადაც განთავსებული იქნება პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები.

პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი თემების ჩამონათვალი:

- დაზარალებულის საწყისი შეფასება;
- მდგომარეობის შეფასება;
- საკუთარი თავის დაცვა ზიანისა და ინფექციებისგან;
- ჭრილობიდან სისხლდენის შეჩერება;

- ძვლების მოტეხილობისას დახმარება;
- თავისა და კისრის დაზიანებისას დახმარება;
- სუნთქვისა და გულისცემის გაჩერებისას დახმარება;
- დამწვრობისა და გადაცივებისას დახმარება;
- მონამვლისას დახმარება;
- გულის წასვლისა და გულყრებისას დახმარება;
- პირველადი დახმარების ნაკრების გამოყენება.

აღნიშნული ჩანთა უნდა განთავსდეს ადვილად მისასვლელ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. მისი მდებარეობა ყოველი დასაქმებულისთვის უნდა იყოს ცნობილი. სამედიცინო დახმარების ჩანთაში პრეპარატების შემადგენლობა და რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ადამიანის დახმარების განევაა საჭირო. ის შეიძლება იყოს 10, 25 და 50 ადამიანის საჭიროებებზე გათვლილი. რეგულარულად უნდა შემოწმდეს და პერიოდულად განახლდეს გადაუდებელი დახმარებისთვის განკუთვნილი პრეპარატები და აღჭურვილობა.



შენობა-ნაგებობების მშენებლობისას ან სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას ჰაერი შეიძლება დაბინძურდეს ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც გამოიყენება ან წარმოიქმნება ტექნოლოგიურ პროცესში, ან შედის სანვავი ნარევის შემადგენლობაში.

ასეთი ნივთიერებებია:

- ტექნიკური სითხეები
- სანვავ-საპოხი ნივთიერებები
- სანვავის ორთქლი
- აკუმულატორის აირები

- ვერცხლისწყლის ორთქლი
- მხუთავი აირი
- ოზონი
- წვისა და ელექტრიზაციის პროდუქტები



დაბინძურებული სამუშაო გარემო

**როგორ ხდება პირველადი დახმარების განწვევა აირით მოხუთვის შემთხვევაში?**

პირველადი დახმარების განწვევის მიზნით, გასათვალისწინებელია შემდეგი მითითებები:

- დაშავებულის სუფთა ჰაერზე გაყვანა;
- კისრისა და მკერდის გათავისუფლება (შემოჭერილი ტანსაცმლის არსებობის შემთხვევაში);
- ცხვირთან ნიშადურის სპირტის მიტანა;
- შეძლებისდაგვარად ჟანგბადის ინჰალაცია (დანიავება და სხვ.);
- საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება და გულის არაპირდაპირი მასაჟი.

**ეს უნდა იცოდეთ!**



სასუნთქი გზების გახსნის მიზნით, დაზარალებულს კისრის ქვეშ უნდა დაუფინოთ რაიმე რბილი ნივთი (მაგ., რულონივით დახვეული მაისური), ისე, რომ მისი ნიკაპი მოექცეს ზემოთ, (როგორც სურათზეა ნაჩვენები). მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელეთ ხელოვნური სუნთქვა.



გულის მასაჟის დროს კი ხელები აუცილებლად ისე უნდა დაიჭიროთ, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. ყოველი ხუთი ბიძგის შემდგომ ხორციელდება ხელოვნური სუნთქვა.

### დაიმახსოვრეთ!

- შემთხვევის ადგილზე არ აპყვეთ ემოციებს.
- იფიქრეთ, არ ჩააყენოთ თქვენი თავი საფრთხეში.
- იმოქმედეთ საღი გონებით.
- დროულად მოუხმეთ დახმარებას.
- იმოქმედეთ **DRCAB** ალგორითმის მიხედვით.
- პირველადი დახმარების აღმოჩენა არ უნდა გახდეს ექიმის გამოძახების დაგვიანების მიზეზი.
- პირველადი დახმარების აღმოჩენა არ უნდა გახდეს პოსპიტალიზაციის დაყოვნების მიზეზი.
- ნუ შეეცდებით, გააკეთოთ ის, რაც აღემატება თქვენს შესაძლებლობებს.



შემთხვევის ადგილზე დაზარალებულისთვის პირველადი დახმარების გაწევის დროს გამოიყენება **სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი – DRCAB ალგორითმი.**

- D** – Danger – გარემოს უსაფრთხოების შემოწმება;
- R** – Responsiveness – ცნობიერების დონის შემოწმება;
- C** – Circulation – ცირკულაციის შემოწმება;
- A** – Airway – სასუნთქი გზების შემოწმება;
- B** – Breathing – სუნთქვის შემოწმება.



## ელექტრული დენით დამწვრობა



ელექტრული დენით დაშავების შემთხვევები

ელექტრული დენით გამონეული შემთხვევის დროს უნდა გათავისუფლდეს დაშავებული მუშაკი დენის მოქმედებისგან და უნდა აღმოუჩინონ სამედიცინო დახმარება.

დაზიანების შედეგი დამოკიდებულია ელ. დენის მოქმედების ხანგრძლივობაზე.

ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შედეგად ადამიანს საშიში ზონის დამოუკიდებლად დატოვება არ შეუძლია.

პირველი, რისი გაკეთებაც აუცილებელია დაზარალებულის ელ. დენის მოქმედებისგან გათავისუფლებისთვის, ესაა იმ ელექტროდანადგარის სწრაფად გამორთვა, რომელსაც ის ეხება. გამორთვა ხდება უახლოესი ჩამრავის, ამომრთველის ან სხვა გამომრთველი აპარატის დახმარებით, აგრეთვე, დამცველის ამოხრახნით და სხვ.



ელგაყვანილობის კაბელები

თუ დანადგარის სწრაფი გამორთვა შეუძლებელია (სიშორის ან ჩამრავის მიუნდომლობის გამო), საჭიროა, დაშავებული მოცილებულ იქნეს იმ დენგამტარი ნაწილებიდან, რომელთაც იგი ეხება.



დაზარალებულის სხეულის გავლით ელ. დენის გადინების შეწყვეტა ხდება:

- სადენის გადაჭრით;
- დანადგარის ავტომატურად გამორთვის გამოწვევით;
- დაზარალებულის მოცილებით დენგამტარი ნაწილისგან.

### გახსოვდეთ!



დახმარების აღმოჩენამდე აუცილებელია, დარწმუნდეთ თქვენს პირად უსაფრთხოებაში.

### პირველადი დახმარების განწევა:

ელექტროტრავმის ნიშნებია:

- ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის დარღვევა;
- სუნთქვის დარღვევა (სუნთქვის შეჩერება);
- სუსტი პულსი (პულსის არქონა);
- ელექტრული დამწვრობა.



ელექტროდენით გამოწვეული დაზიანებები

თუ დაზარალებული გონებაზეა, მაგრამ მანამდე გულწასული იყო, საჭიროა, დავანვინოთ და ექიმის მოსვლამდე უზრუნველვყოთ მისი სრული სიმშვიდე, პულსისა და სუნთქვის კონტროლი.

თუ დაზარალებული გრძნობადაკარგულია:

- უნდა დაანვინოთ გულალმა;
- გაუხსნათ ტანსაცმელი;

- მიეცით თავისუფლად სუნთქვის საშუალება;
- აცნოსვინეთ ნიშადურის სპირტი;
- სახეზე მიასხურეთ წყალი.

პულსის არქონის შემთხვევაში, საჭიროა, დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი (გულ-ფილტვის რეანიმაცია).



### დაიმახსოვრეთ!



არასოდეს ჩააგდოთ თქვენი და დაზარალებულის სიცოცხლე საფრთხეში და ნუ ეცდებით, გააკეთოთ ის, რაც აღემატება თქვენს შესაძლებლობებს!

ელექტროდენით დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების ყველა ღონისძიება დასაშვებია მეხის დაცემით გამონვეული დაზიანების შემთხვევაშიც.



## ხანძრით დამწვრობის დროს პირველადი გადაუდებელი დახმარება

ხანძრის გაჩენისას ხშირია ისეთი შემთხვევა, როგორებიცაა: ცეცხლისგან დამწვრობა, მოწამვლა მომწამლავი კვამლისგან და სიმაღლიდან გადმოვარდნისას მიღებული ტრავმები.

ხანძრის შემთხვევაში დასაქმებულმა შეიძლება მიიღოს **თერმული** დამწვრობა.

### დაიმახსოვრეთ!



დამწვრობა ფასდება თერმულად, თუკი იგი გამონვეულია ცეცხლის, გახურებული სხეულის, ცხელი სითხისა და ორთქლის უშუალო ზემოქმედებით.

ხანძრის დროს ასევე ხშირია სასუნთქი გზების დამწვრობა. შეიძლება ვივარაუდოთ, თუ დაზარალებულს დამწვარი აქვს სახის ნაკვთები, ეს ნიშანია იმისა, რომ სასუნთქი გზებიც დაუზიანდებოდა.

ასეთ პირობებში პირველადი დახმარება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ტანსაცმელი უნდა გაიჭრას მაკრატლით, დამწვარ ადგილებში კი ტანსაცმელი უნდა დარჩეს ხელუხლებელი, ვინაიდან დანვის შედეგად კანზეა მიკრული;
- სხეულის დამწვარი ნაწილები 10-15 წუთის განმავლობაში უნდა გაჩერდეს წყლის ჭავლის ქვეშ. (ზამთრის პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს თოვლი ან ყინული);
- კანის დამწვარი ნაწილები უნდა შევახვიოთ ასეპტიკური შესახვევით (მისი არქონის შემთხვევაში, დასაშვებია ოდეკოლონში ან სპირტში ამოვლებული სუფთა საფენის გამოყენება).

### დაიმახსოვრეთ!



პირველადი დახმარების ჩატარების შემდეგ აუცილებელია, დაზარალებული გადაყვანილ იქნეს სამედიცინო დაწესებულებაში.

სამუშაო გარემოში გზის მშენებელმა შესაძლოა მიიღოს მექანიკური ტრავმა – მოტეხილობა, დაჭევილობა, ღია და დახურული ტრავმები. მექანიკური ტრავმის შემთხვევაში გატარებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

- შემთხვევის **ადგილის დათვალიერება**/სიტუაციაში გარკვევა;
- მოკლე დროში **მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვება**;
- გარემოს შეფასება, თუ რამდენად სახიფათოა თქვენთვის და სხვა მუშაკებისთვის შემთხვევის ადგილი;

- სწრაფად შეფასდეს, თუ რა **სახის დახმარება გჭირდებათ და რისი გაკეთება შეგიძლიათ** დამოუკიდებლად;
- დაზარალებულსა და თვითმხილველებზე ინფორმაციის მიწოდება, რომ **თქვენ შეგიძლიათ პირველადი დახმარების გაწევა**.

### დაიმახსოვრეთ!



შემთხვევის ადგილზე თქვენ, შესაძლოა, ერთდროულად დაგჭირდეთ უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება ტელეფონით და პირველადი დახმარების გაწევა.

მექანიკური ტრავმის დროს შეიძლება განვითარდეს ძვალკუნთოვანი სისტემის დაზიანება – ძვლის მოტეხილობა, მისი მთლიანობის დარღვევა, ძვლის ამოვარდნილობა, რბილი ქსოვილების ტრავმა. რბილი ქსოვილების დაზიანების ტიპებია: მყესის დაჭიმვა და დაზიანება სახსართან ახლოს. **რბილი ქსოვილების დაზიანების ნიშნებია: ძლიერი ტკივილი დაზიანების არეში, რომელიც ძლიერდება მოძრაობის დროს; მოძრაობის შეზღუდვა ან შეუძლებლობა; სისხლჩაქცევა ან შეშუპება დაზიანების არეში.**

### პირველადი დახმარება რბილი ქსოვილების დაზიანების დროს:

რბილი ქსოვილების დაზიანებაზე ეჭვის შემთხვევაში, თქვენი მიზანია, შეამციროთ ტკივილი და შეშუპება. რბილი ქსოვილის დაზიანების დროს იმოქმედეთ **RICE** ალგორითმის მიხედვით:

**R** – REST – მოსვენება;

**I** – ICE – ყინულის დადება;

**C** – COMPRESSION – ზომიერად მჭიდრო ნახვევის დადება;

**E** – ELEVATION – სხეულის დაზიანებული ნაწილის ზემოთ აწევა.

დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური.



## ღრძობა

### პირველადი დახმარება ამოვარდნილობის დროს:

ამოვარდნილობა ნიშნავს სახსარში მონათესავე ძვლების სასახსრე ზედაპირების ერთმანეთისგან სრულ ან ნაწილობრივ დაცილებას. თუ სასახსრე ბოლოები მთლიანად არის დაცილებული ერთმანეთს, ამოვარდნილობა სრულია, ხოლო თუ ნაწილობრივ მაინც ეხება – არასრული.

ტრავმული ამოვარდნილობის დროს საჭიროა ამოვარდნილი ძვლის დაუყოვნებლივ ჩასმა კვალიფიციური სპეციალისტის მიერ. ხოლო პირველი დახმარება გულისხმობს ტკივილის შემცირებას – დაზიანებული სახსრის მიდამოზე ცივი საფენის დადებასა და ტკივილგამაყუჩებელი წამლის მიცემას. უნდა მოხდეს კიდურის ფიქსაცია იმ მდგომარეობაში, რომელიც მან ტრავმის შემდეგ მიიღო. დაზიანებული კანის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, აუცილებელია ასეპტიკური ნახვევის დადება (ჩამობანა, ჭრილობის ირგვლივ სპირტის, იოდის წასმა და სტერილური დოლბანდით გადახვევა).



წყარო: phoenixshoulderandknee.com

ძვლის ამოვარდნა

### გაითვალისწინეთ!

დაშავებულმა და მისმა თანმხლებმა პირმა ამოვარდნილობის ჩასწორება დამოუკიდებლად არ უნდა სცადონ – ეს მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას.



## პირველი დახმარება მოტეხილობის დროს

ტრავმის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმხილველის სწორ დახმარებას პრეჰოსპიტალურ ეტაპზე. მექანიკური ზემოქმედებით ძვლის მთლიანობის დარღვევას მოტეხილობა ეწოდება. მთლიანობის ნაწილობრივი დარღვევის შემთხვევაში, აუცილებელია ასეპტიკური ნახვევის დადება (ჩამობანა, ჭრილობის ირგვლივ სპირტის, იოდის წასმა და სტერილური დოლბანდით გადახვევა).

ვევაში საქმე გვაქვს არასრულ მოტეხილობასთან – გაბზარვა, ატკეჩვა. არჩევენ დახურულ და ღია მოტეხილობას.

**პირველადი გადაუდებელი დახმარება დახურული მოტეხილობის დროს:**

დახურული მოტეხილობის სიმპტომებია: ტკივილი, დეფორმაცია მოტეხილობის ადგილას, კიდურის პასიური მოძრაობა.

გაუკეთეთ დაზარალებულს ფიქსაცია. მხრისა და ბარძაყის ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში უნდა დააფიქსიროთ არანაკლებ სამი სახსრისა; დაადეთ არტაშანი, ისე, რომ დაზიანებული არე დაფიქსირდეს ორ მეზობელ სახსარს შორის (მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ); არტაშანი, უკეთესია, დაადოთ გარედან, ტანსაცმელზე და მისცეთ მას კიდურის ფორმა (მავთულის არტაშანი); მოტეხილობის არეში ნახვევით ფიქსაცია არ გააკეთოთ; საველე პირობებში შეიძლება გამოიყენოთ ფიცარი, ხის ტოტი, ქაშარი, თოკი. უკიდურეს შემთხვევაში, დაზიანებული ფეხი დააფიქსირეთ ჯანმრთელ ფეხზე, ხოლო ზედა კიდური ტანზე ნახვევის საშუალებით. თუ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტი აზიანებს კანის მთლიანობას, იგი ხდება ღია.




დახურული მოტეხილობა

წყარო: [www.aversti.ge](http://www.aversti.ge)

**პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის ღია მოტეხილობის დროს უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

- კიდურის გაშიშვლება, ტანსაცმლის შემოჭრა;
- სისხლდენის შეჩერება: დამწოლი ნახვევის, არტერიული სისხლდენისას ლაბტის დადება;
- ტრილობაზე სტერილური ნახვევის დადება;
- კიდურის იმობილიზაცია;
- სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა.



ღია მოტეხილობა

### ტრავმირებულის ტრანსპორტირების წესები:

#### როდის რეკავთ 112-ზე?

- როდესაც ფიქრობთ, რომ სხვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება;
- როდესაც ხედავთ ადამიანის ჯანმრთელობის აშკარა დაზიანებებს;
- როდესაც ადამიანს აღენიშნება გულ-მკერდის არეში მწვავე ტკივილი ან სუნთქვის გაძნელება;
- როდესაც ადამიანი მძიმედ დაშავდა;
- როდესაც ეჭვობთ, რომ ადამიანი დაშავებულია (არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანი შავდება, მაგრამ იმ მომენტში მწვავე გამოხატულება არ აქვს. ასეთია შიდა სისხლჩაქცევა, რომელიც გამოწვეულია სიმალლიდან ვარდნით);

ტრავმირებულის ტრანსპორტირება მეტად კომპლექსური საკითხია;

გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფს დაშავებული პირის ტრანსპორტირებას სამკურნალო დაწესებულებაში;

თუ თან გახლავთ ვინმე სხვა პირი, გაგზავნეთ ის სასწრაფოს დასახვედრად (მოსაყვანად).



დაშავებულის ტრანსპორტირება

# დანართი N<sup>o</sup>2 სამშენებლო მოედანზე გამოსაყენებელი უსაფრთხოების ნიშნები



ამნის ისრის ქვეშ დგომა აკრძალულია



უცხო პირთა შესვლა აკრძალულია



მონევა აკრძალულია



აკრძალულია ღია ცეცხლით სარგებლობა





გავლა აკრძალულია



აკრძალულია წყლით ჩაქრობა



აკრძალულია სასმელ წყლად გამოყენება



შეხება აკრძალულია



ფრთხილად! ელექტრომაგნიტური ველი



ყურადღება! – ელექტრომაგნიტური ველი

---



სახიფათო – რადიოაქტიური ნივთიერებები ან მაიონიზებელი გამოსხივება

---



ხანძარსაშიშია – ადვილად აალებადი ნივთიერება

---



ხანძარსაშიშია – დამუანგავი

---



ყურადღება! (შოსალოდნელი ხიფათი)

---



ფრთხილად – ძნელადშესამჩნევი წინაღობა

---



აუცილებელია დამცავი ფეხსაცმელების გამოყენება

---



**აუცილებელია დამცავი ხელთათმანების გამოყენება**



**აუცილებელია დამცავი ქამრის გამოყენება**



**აუცილებელია დამცავი კომბინეზონის გამოყენება**



**აუცილებელია დამცავი ჩაფხუტის გამოყენება**



**აუცილებელია დამცავი ხმის დამხშობის გამოყენება**



**აუცილებელია დამცავი პირფარის გამოყენება**



აუცილებელია დამცავი სათვალეების გამოყენება



დაზარალებულების საევაკუაციო საშუალება




ტელეფონი



მიმართულების მანიშნებელი



პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი



მიმართულება საევაკუაციო გასასვლელისაკენ



საევაკუაციო გასასვლელი

# გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს შრომის კოდექსი
3. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
4. „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი
5. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
6. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №52 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“
9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის №361 დადგენილება „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
10. საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
11. საქართველოს მთავრობის №450 დადგენილება „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
12. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №100 ბრძანება „ენერგეტიკაში ენერგოობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მონყობის და მათით სარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ“
13. საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე
14. საქართველოს მთავრობის №340 დადგენილება „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“
15. აპლიკაცია „მშენებლობის უსაფრთხოება“, საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, BG BAU BAUSTEINE, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019 წ.

16. შრომის უსაფრთხოების ტრენინგის მასალები. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). 2018 წ.
17. მ. ბარათაშვილი, კ. მჭედლიშვილი, თ. ნარეკლიშვილი, ი. ღარიბაშვილი და სხვ., „საავტომობილო გზების მშენებლობა“, ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ასოციაცია (GIZ), 2020 წ.
18. სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, პრობლემები და გამონწვევები“, ი. არაბიძე, სტუ, 2020
19. ი. არაბიძე, „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები და ინსტრუქტაჟები მშენებლობაზე“, 2020 წ.
20. ი. ღარიბაშვილი, გ. დოლიძე, ნ. მათიაშვილი, ი. მშვიდლობაძე, ი. კაკუტაშვილი, ა. გოგოლაძე, ა. საყვარელიძე, გ. დალაქიშვილი, ა. გოგბერაშვილი, შ. დოლიძე, კ. ხაზალია, გ. ჩავლეშვილი, „ჰიდროტექნიკური მშენებლობა“. სსიპ-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 წ.
21. ი. ღარიბაშვილი, შ. დოლიძე, ლ. ბალანჩივაძე, თ. ნარეკლიშვილი, გ. დოლიძე, „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე)“, სახელმძღვანელო, სსიპ-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 წ.
22. დ. კალაძე, მ. ჩიხლაძე, ჯ. ჭეიშვილი, ნ. გომელაური. „პირველადი გადაუდებელი დახმარება“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015 წ.
23. ლ. ჩხეიძე, „ექსტრემალური საწარმოო პირობები და პირველადი სამედიცინო დახმარება“, სტუ-ს გამ-ბა, 2014 წ.







დაბეჭდილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)  
მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური  
სამინისტროს (BMZ) სახელით.

რეგისტრირებული ოფისები: ბონი და ეშბორნი, გერმანია

T +49 61 96 79-0

F +49 61 96 79-11 15

E [info@giz.de](mailto:info@giz.de)

I [www.giz.de](http://www.giz.de)

კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში  
რუსთაველის გამზირი #42/გრიბოედოვის ქუჩა #31ა,

0108 თბილისი, საქართველო

T +995 32 220 1833

E [giz-georgia@giz.de](mailto:giz-georgia@giz.de)

I [www.giz.de](http://www.giz.de)

